კვირის პალიტრა

გზა

(1168) 29/VII.-3/VIII.2005. ფასი 60 თ.

1168
2005

„ასალი ქართველების“ ტურისტული მისწრაფებები —

ქორწილი ქოქოსის ხის ქვეშ, სასტუმროს ნომერი პრეზიდენტის გვერდით, იაპონიაში აყვავებული საკურას სანახავად დასხვა...

როგორი საცურაო კოსტიუმებია წელს მოდაში

რატომ ვერ შეეჩვევნენ ქართველები ტანგას...

გზავნილები — რუსეთის პრეზიდენტს ქერა ქალი მოკლავს...

ლუბა ელიაშვილის დეტექტივი — მანიაკის ძღვენი

ქალი საჭესთან — პატარა მანქანა, რომელიც 1 ტონასა და 200 კგ-ს იწონის...

„ქუჩაში დარჩენა არ მეშუქრება...“

„აუცილებელია, ქალი კვირაში ერთი დღე დილიდან სალამომდე იწვეს...“

26 ივლისიდან

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

აგვისტოს ნომერში იხილეთ:

4 პოსტერი

შეიარაღებული და ძალიან საშიში

ფიუზელაჟის მხატვრობა

ტანკების გამანადგურებლები

თვითმკვლელ ხომალდებ

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

Mercedes-ი გურიაშიც „მერსედესია“

კვირის პალიტრა
№30 (268)
28 ივლისი - 3 აგვისტო 2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
სენსაციური აღმოჩენა ქართულ ენერგეტიკაში ანუ „ახლა რაღა ვქნათ, ხალხო?!“ 3
ერთი კითხვა 4
ფაქტი და კომენტარი 4
სახელმწიფო
გარემოს დაცვის გამსხვილებული სამინისტრო მტკვრის გაწმენდას, სტიქიის მართვასა და გაჩეხილი ტყის აღდგენას გვპირდება 7
რეპორტაჟი
რას ნიშნავს ჩართული სირენა, შსს-სთან გასარკვევი საკითხი და... შიგადაშიგ სატელეფონო სექსის მცდელობა 9
კრიმინალი
- „მოსამართლეს არგუმენტები არ ჰქონდა და ამიტომაც გაიქცა დარბაგიდან“ 12
- ტაქსის მძღოლებთან კონფლიქტს მძიმე დანაშაული მოჰყვა 13
- მკვლელობა ჩაქუჩითა და აუდიომაგნიტოფონით 14
- გამტაცებლები დაგარალებულისგან 100.000 დოლარს ითხოვდნენ 15

ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 16
ნამდვილი ამბავი
ქალების აბანოს დამლაგებელი... 16
გზავნილები
რუსეთის პრეზიდენტს ქერა ქალი მოკლავს ანუ როგორ აფასებენ მობილურ ტელეფონგე ბალანსს საიქიოში 18
ქალი საჭესთან
„კარბიურატორი დამიშლია და ამიწყვია, ასე რომ, ქუჩაში დარჩენა არ მემუქრება...“ 22
დასვენება
„აუცილებელია, ქალი კვირაში ერთი დღე დილიდან საღამომდე იწვეს“ 23
თემა
სად და როგორ ისვენებენ „ახალი ქართველები“ 25
ცხოვრება
„ტკივილი გულიდან იწყება, მთელ მკერდს მოედება და მუცელში „ბროვდება“ 28
ჯანმრთელობა
- ივლისის კალორიები 30
- გაფხულის ფეხსაცმელი 31

სად და როგორ ისვენებენ „ახალი ქართველები“

ამ პატარა და ღარიბ საქართველოში 150-ზე მეტი ტურისტული სააგენტო ამოქმედდა... ჩვენი საზოგადოებაც მდიდრებად და ღარიბებად იყოფა ამ უკანასკნელთა ყოფაზე ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან არაერთხელ გიამბეთ. ამიტომ ახლა გვსურს, ე.წ. „ახალი ქართველების“ ტურისტული მისწრაფებები განვიხილოთ.

25

„კარბიურატორი დამიშლია და ამიწყვია“

„ძალიან მაგარი მანქანა მყავს – „როვერის“ ფირმის „მინიკუპერი“... სასწაული მანქანაა, ძალიან მიყვარს. რაკი პატარაა, ყველას ჰგონია, რომ მსუბუქია და მოსინჯავენ ხოლმე – ხელით ხომ ვერ ავწევთო? ამაზე ყოველთვის მეცინება. პატარა კი არის ვიზუალურად, მაგრამ 1 ტონასა და 200 კგ-ს იწონის.“

22

რას ნიშნავს ჩართული სირენა... შიგადაშიგ სატელეფონო სექსის მცდელობა

26 მაისიდან, საქართველოში „სასწრაფო სამედიცინო დახმარება“ უფასოდ გამოცხადდა; გაიზარდა მომსახურე პერსონალის ხელფასები და ექიმებსაც ნორმალური მუშაობისთვის საჭირო ყველა პირობა შეექმნათ. შეესაბამება თუ არა დეკლარირებული სიკეთე სინამდვილეს?

9

„აუცილებელია, ქალი კვირაში ერთი დღე დილიდან საღამომდე იწვეს“

„საოჯახო საქმეების კეთება ხშირად მიწევს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დალაგება მიყვარს. არა, უბრალოდ სისუფთავე მიყვარს. მე არ შემიძლია, არეულ სახლში ძილი. თურმე ეს მანია გენეტიკურად მქონია...“

23

საკითხავი ქალებისთვის
- როგორ გავუმკლავდეთ მუწუკებსა და ფერიმჭამელებს 32
- როგორ ვიწინასწარმეტყველოთ ხანგრძლივი ქორწინება 33

ტაქარი
რა უნდა ვიცოდეთ ბავშვის დასXასთან დაკავშირებით 34

ადამიანი
მეწისქვილე ქალი, „შეთავსებით“ – გამშველებელი... 35

ლეგიონერები
- „არ მინდოდა, მაყურებელს ჩემი ცრემლი ენახა“ 36
- „ამაზე კარგ ფორმაში ვყოფილვარ, მაგრამ ნაკრებიდან არ შემხმიანებიან“ 37

ვარსკვლავები
ჰოლივუდის ვარსკვლავები „სასიკვდილო“ ტრასებზე 38

ბომონდი 41

ქართული დეტექტივი.
ლუბა ელიაშვილი. მანიაკის ძღვენი (გაგრძელება) 42

მწვრთნელი
ლევან მოსეშვილმა ჩამორთმეული ხატი გიორგი სიხარულიძის ოXახში ნახა 46

ავტო 49

სცენა
აქტიურად ამღერებული ქეთი ახობაძე და სპონტანურად გაჩენილი კლიპის იდეა 50

შოუბიზნესი
მოცეკვავე ჟურნალისტები, თვალების არშემდგარი აუქციონი და სცენის განუმეორებელი ხიბლი 53

ტესტი
ერთგული მკითხველი 53

მოდა
უკან – შორტი, წინ – ტრუსი ანუ როგორ დავმალოთ სხეულის ნაკლი 54

ფავორიტები
Xონ ტერი ჩემპიონი, რომელიც ავტორიტეტებსაც ეკამათება 56

ასტროლოგია
როგორ მოვინადიროთ საყვარელი მამაკაცის გული 58

ჰოროსკოპი
კვირის (28 ივლისი – 3 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი
რამდენად სამართლიანად გაქვთ გადანაწილებული საოXახო საქმეები? 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მეწისქვილე ქალი, „შეთავსებით“ – გამშველებელი...

„დამიტოვებენ ხოლმე საფქვავს და შემითანხმდებიან, წასაღებად როდის მოვლენ. ამას წინათ, ერთმა კაცმა მომიტანა საფქვავი. რომ ავწონე, ვუთხარი – 15 კილოა-მეთქი. გაუხარდა – მართალი ხარ, არ იტყუებიო, – მითხრა... ზოგი მეხმარება ტომრების აწევაში, ზოგი – ხელსაც არ ჰკიდებს...“

35

„არ მინდოდა, მაყურებელს ჩემი ცრემლი ენახა“

იმის მიუხედავად, რომ სლოვენია უკვე კარგა ხანია, მეორე სამშობლოდ იქცა მისთვის, ვოვამ პროგრესისთვის აუცილებელი ნაბიჯი გადადგა და გაცილებით ძლიერ, იტალიის საკალათბურთო ლიგას მიაშურა. ამიერიდან, ვლადიმერ ბოისა სიენის „მონტე პასკის“ მოთამაშეა და ახლა ამ კლუბისთვის მოუხდება ოფლის ღვრა.

36

სანდრა გალოკი რეალითი-შოუს ვარსკვლავს გაჰყვა ცოლად



საქორწინო ცერემონია კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-ინეზის მახლობლად მოეწყო. წვეულებას რამდენიმე ასეული სტუმარი დაესწრო და მათ შორის შოუბიზნესის მრავალი ცნობილი წარმომადგენელიც. უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლივუდის 41 წლის ვარსკვლავისთვის ეს პირველი ქორწინებაა, რასაც ვერ ვიტყვით მის მეულლეზე.

41

მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიაშვილი

– წარმოუდგენელია, ძაღლი ამ ხის ფუღუროში იყოს ჩაჭედილი და ხმას არ იღებდეს, – ამბობდა იგი.

– ნამდვილად აქანე ვიყავი, კარგად გევიგე წკმუილი, – დაიჟინა ნაზიკომ. მერე ხეში დანით გამოღრუტნულ ვიწრო ფუღუროში ხელი შეყო და იკივლა.



42

სენსაციური აღმოჩენა ქართულ ენერგეტიკაში, ანუ „ახლა რაღა ვქნათ, ხალხო?!"

ბოლო არ უჩანს ქართველი ენერგეტიკოსების მიღწევებს ახალ-ახალი პრობლემების აღმოჩენაში. აქამდე ყველას გვეგონა, რომ ენერგოკრიზისის მხოლოდ ერთი — ზამთრის სახეობა არსებობს და იგი ნოემბრის დასაწყისიდან აპრილის ბოლომდე გრძელდება. ამიტომ წინასწარვე ვიცოდით, როგორ მოვმზადებულიყავით ამისათვის და შეძლებისდაგვარად ვიმარაგებდით სანთელს, ნავთს, შეშას, თერმომეტრს, ასპირინს, ძმრიან „ნასკებს", არაყს და სალანძღავ-საგინებელი სიტყვების ლექსიკონს.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ არსებობს ენერგოკრიზისის მეორე, არანაკლებ საშიში სახეობა და მას ზაფხულის ენერგოკრიზისი ეწოდება.

თუ აქამდე ზამთრის ზვავები და ქარიშხალი გლეჯდა მაღალი ძაბვის ელექტროსადენებს, ახლა ზაფხულის თაკარამ დაგვრია ხელი. არადა, რით გინდა, რომ უშველო?! ეს ფიზიკის კანონია: გახურებისას ლითონი ფართოვდება; ჰოდა, ის სპილენძისა და ალუმინის სადენებიც გასივდა, დამძიმდა და გაწყდა. ექსპერტთა მეორე ჯგუფმა ასეთი ახსნა მოუძებნა მომხდარს:

— გახურებული სადენი სიგრძეში გაიწელა, ჩამოიზნიქა, ქვედა სადენს შეეხო და მოკლე ჩართვა მოახდინა...

შე ოჯახაშენებულო, ის ქვედა სადენი არ იყო გახურებისაგან გაწელილი და ჩამოზნექილი, თუ მარაოთი უნიავებდა ენერგეტიკის მინისტრი, გრილად რომ შენახულიყო?!

ახლა რაღა ვქნათ, გეკითხებით?! ზამთარში შუქი რომ არ გაქვს, გაზით გათბები; კარადას დაშლი, ბოლო-ბოლო და შეშად გამოიყენებ, თბილადაც ჩაიცვამ, მაგრამ ზაფხულში გაზით და შეშით ხომ არ გაგრილდები, რაც არ გაცვია, იმაზე მეტს ხომ ვერ გაიხდი?!

მოკლედ, სულ გაგვანადგურა ამ ენერგოკრიზისმა, მაგრამ ყველა უბედურებას აქვს თავისი დადებითიც: კვირადღეს გადაკეტილ რუსთაველზე გავისეირნე: ძლივს დალასლასებდა გათანგული ხალხი ქუჩაში. ჩვენს ყოფილ მერსაც უფიქრია, კიდევ ერთხელ გავისეირნებ ამ ჩემს გადაკეტილ პროსპექტზეო; მოდიოდა, მარა რა მოდიოდა: კაცი-გოლიათი, კაცი-მთა; „შარვალ-კოსტუმი" აქამდე რომ სისრულისაგან ეფართხუნებოდა, ახლა ჟილეტივით და შორტივით ეცვა. იმ სადენებისა არ იყოს, სიცხისაგან ისიც გაზრდილა და გაფართოებულა. ჰოდა, რა დროს შვებულებაა, დროზე გავუშვათ ევროსაბჭოში, სანამ ისევ დაპატარავებულა. ხომ იცით, პირველი შთაბეჭდილება სულ სხვაა და რომ დაინახავენ, უფრო მოწიწებით მოგვეკიდებიან.

შინ დაბრუნებულს კი, ჩემი ოროთახიანი სტანდარტული პროექტის ბინის ნაცვლად ოთხოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა დამხვდა, ისიც გაფართოებულა ამ სიცხეში; ჩემი პატარა ტელევიზორი კი საოჯახო კინოთეატრად ქცეულა; აბაზანის ნაცვლად, რომ ვერ ვეტეოდი, იმოდენა აუზი დამხვდა, რომ უკეთესს ვერ ინატრებ!.. კარგი ყოფილა ეს ფიზიკის კანონი, მაგრამ კოღომ რომ მიკბინა, კინაღამ დამცალა სისხლისაგან: ისიც ისე გაზრდილიყო, რომ დილით კოღო დავტოვე და საღამოს დრაკულა დამხვდა...

ენერგოკრიზისს კი უნდა შევეგუოთ. ფიზიკის კანონი ყოფილა, ბატონო და ჩვენ რას მოვუხერხებთ?! ზაფხულში გაფართოვდება და სიმძიმისაგან გაწყდება სადენი, ზამთარში კი დავიწროვდება, დაწვრილდება და ისე გაწყდება. შუქი კი გაზაფხულსა და შემოდგომაზეც გვეყოფა.

P.S. ერთ-ერთი დაწესებულების თათბირზე:

— ბატონო დირექტორო, ხელფასის გაზრდის არაფერი ისმის?

— საიდან მოიტანეთ, ვინ გაგიზრდით ხელფასს?!

— რა ვიცი, ზამთარში არ აგვიღია, გაიყინა და დაპატარავდა, ზაფხულში აღარ იზრდება?!

პროვოკატორი

„სიღარიბის დონე სუსტად გამოხატული ზრდის ტენდენციით ხასიათდება“

— 2005 წლის იანვარ-ივნისის შედეგების მიხედვით, როგორია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა?

გიორგი ყაველაშვილი, *სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე:*

— შემიძლია გითხრათ, რომ მთლიანი შიდაპროდუქტის ზრდის ტემპმა 2005 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,8% შეადგინა. მთლიანი შიდაპროდუქტის მოცულობაში უდიდესი წილი ტრადიციულად სოფლის მეურნეობას უკავია და წლევანდელი სტიქიური მოვლენების მიუხედავად, ამ სექტორში ზომიერი ზრდა მაინც შეინიშნება. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სწრაფად ფართოვდება ქვეყანაში სამშენებლო სექტორი, რაც განპირობებულია საბანკო სისტემის მიერ ახალი, გრძელვადიანი დაკრედიტების კამპანიის წარმოებით. 2005 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების დონე 9,4%-ით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაძვირდა თამბაქოს ნაწარმი, სპირტიანი სასმელები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, ხილი, სასტუმროებისა და კვების ობიექტების მომსახურება, სამედიცინო მომსახურება და რა თქმა უნდა, საწვავი. ხოლო ამ 6 თვის განმავლობაში, გაიაფდა რძე და რძის ნაწარმი, ბოსტნეული და საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ძირითადად სავაჭრო პარტნიორებს, ამ სექტორში კვლავ თურქეთი ლიდერობს. ძირითადი საექსპორტო პროდუქცია კვლავ შავი ლითონების ჯართია, რაც მთლიანი ექსპორტის 14%-ს შეადგენს. შემდეგ პოზიციებს ინაწილებენ: ფეროშენადნობები, საფრენი აპარატები, ნატურალური ღვინოები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები. ძირითად საიმპორტო პროდუქციას წარმოადგენს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რაც იმპორტის 12%-ს შეადგენს. რაც შეეხება ჩვენი მოსახლეობის ამსახველ სტატისტიკას, შემიძლია გითხრათ, რომ სიღარიბის დონე მთელ ქვეყანაში სუსტად გამოხატული ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ■

მცურავი რესტორნები – ცარიელი მტკვრის კალაპოტის სანაცვლოდ



— რა გეგმები აქვს მტკვრის კალაპოტთან დაკავშირებით ქალაქის მერიას და რა ალტერნატივას სთავაზობთ ამ ტერიტორიის მეაკუთრეებს?

გიგი უგულავა, *თბილისის მერი:*

— მტკვრის კალაპოტში ჩვენ არაფრის აშენებას არ ვგეგმავთ, პირიქით, სურვილი გვაქვს, რომ ეს კალაპოტი თავისუფალი იყოს. ჩვენი გადაწყვეტილებით, წლების წინ, ამ ტერიტორიაზე გასხვისებული 6520 კვმ მიწის ფართობი სახელმწიფოს დაუბრუნდება, ხოლო მტკვრის კალაპოტში არსებული ნაკვეთების 14 მეპატრონეს ალტერნატიულ ვარიანტს ვთავაზობთ. მაგალითად, მათ შეუძლიათ ანალოგიური კვების ობიექტები მცურავ საშუალებებზე გადაიტანონ, რაც საკმაოდ აპრობირებული მეთოდია მრავალ ქვეყანაში და ნაკლები ხარჯის მომტანია თავად მეწარმე-სუბიექტისთვის. საფუძვლიანი ეჭვი არსებობს იმისა, რომ თავის დროზე, ეს მიწები არაკანონიერად იქნა გასხვისებული, რასაც სისხლის სამართლებრივი მოკვლევა დაადგენს. ხოლო თუ დადგება საკითხი, ნაკვეთის მეპატრონეებისთვის სამართლიანი კომპენსაციის გადახდის თაობაზე, უკან არ დავიხევთ, თუმცა, არ ვაპირებთ მათთვის იმ ქრთამების ანაზღაურებას, რომლებიც წლების წინ, მტკვრის კალაპოტის მისათვისებლად აქვთ გადახდილი. ■

სერგეი შამბა 200-ლარიან ბანკნოტზე სოხუმის ხედების გამოსახვას დაუფარავი ირონიით ხვდება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას, 200-ლარიან ბანკნოტზე ქალაქ სოხუმის ხედების გამოსახვის შესახებ, დაუფარავი ირონიით შეხვდა.

„დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთის მოსახლეობა ამ ინფორმაციას არც სიხარულით შეხვდება და არც აღფრთოვანებით“, — აცხადებს შამბა, რომლის განმარტებით, ამ ინფორმაციისადმი მისი პირველი რეაქცია ირონიული იყო და ასეთადვე დარჩება.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო უწყების ხელმძღვანელი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოში „ვერა და ვერ მიეჩვივნენ იმას, რომ აფხაზ ხალხს საქართველოში მიმდინარე პროცესები არ აინტერესებს. მერწმუნეთ, აფხაზეთის მთავრობაში ამ საკითხზე არავინ იმსჯელებს“, — ირწმუნება სერგეი შამბა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ქართული ფულის 200-ლარიანი ბანკნოტი მიმოქცევაში აფხაზეთში არ იქნება და იგი მდინარე ენგურს „ვერ გადალახავს“.

საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, 200 ლარის ღირსების ბანკნოტის რევერსზე სოხუმის ხედები იქნება გამოსახული.

„გაწვრთნილი დივერსიული ჯგუფი დაახლოებით 120 წევრს აერთიანებს“

გორში მომხდარი ტერაქტის გახსნასთან დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებებში დაუფარავად ითქვა ამ დანაშაულში რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობის შესახებ. რას ეფუძნება ეს ბრალდებები? — ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს გვცემს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ***გივი თარგამაძის*** *შემდეგი კომენტარი:*

— სამწუხაროდ, ჩვენი დიდი ხნის ეჭვი

გორის ტერაქტი

დადასტურდა და მთელმა მსოფლიომ იხილა, რომ თბილისიდან 100-ოდე კილომეტრში, მძლავრი ტერორისტული ბუდე არსებობს. ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დივერსიული ჯგუფების მომზადებაში კი უშუალოდ რუსეთი მონაწილეობს, რაც საქართველოს შიდაკონფლიქტებში უხეში ჩარევაა. ჩვენი ინფორმაციით, რუსეთის მიერ გაწვრთნილი დივერსიული ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია – დაახლოებით 120 წევრს აერთიანებს. ასევე დიდია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ რუსეთის აგენტთა რაოდენობა. რუსეთის ხელისუფლება გონს უნდა მოეგოს და რაც შეიძლება სწრაფად გაწმინდოს კონფლიქტის ზონა თავისი აგენტებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა უშუალოდ მათ თანამშრომლებს დაეკისრებათ.

„რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში აუცილებლად უნდა მუშაობდნენ"

ქართველი მაღალჩინოსნებისა და სამართალდამცველების მიერ გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა ცნობილი რუსი პოლიტოლოგი, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის პროფესორი, პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი და ამავდროულად, მოსკოვის უნივერსიტეტის მართვის კათედრის დოცენტი **სერგეი მარკოვი,** *რომელიც, პოლიტიკურ წრეებში გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან დაახლოებულ პირად ითვლება. გთავაზობთ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსისთვის" მიცემული მისი ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს:*

– ვფიქრობ, რომ ქართველ ძალოვანთა განცხადებებს მოსკოვში სერიოზულად არ აღიქვამენ. საქმე ის არის, რომ მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს, რომელიც რუსეთისადმი აგრესიულობით გამოირჩევა, გაუწონასწორებელ ადამიანებად მიიჩნევენ. მათ შეუძლიათ, გააკეთონ ისეთი განცხადებები, რომლებსაც სიმართლესთან საერთო არაფერი აქვს. დრომ დაადასტურა, რომ ეს ადამიანები ყოველგვარი პროვოკაციისთვის მზად არიან. რუსეთში სააკაშვილისგან უფრო დიდ პროვოკაციებსაც ელიან. შს მინისტრის განცხადებაში დასახელებული გვარების მიუხედავად, ვანო მერაბიშვილის ბრალდებები არასერიოზულად გამოიყურება. ნათელია, რომ რუსეთი, როგორც ზესახელმწიფო, ტერაქტების ორგანიზებით არ არის დაკავებული. ჩვენთან არ უყვართ სააკაშვილის რეჟიმი და დარწმუნებული არიან, რომ იგი წარსულს ისევე ჩაჰბარდება, როგორც გამსახურდიასა და შევარდნაძის რეჟიმები. ამიტომ, რუსეთში ვერ ხედავენ იმის აუცილებლობას, რომ ტერაქტებით ხელი შეუწყონ სააკაშვილის მმართველობის დასასრულის მოახლოებას. მიმაჩნია, რომ რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში აუცილებლად უნდა მუშაობდნენ, ქმნიდნენ აგენტურულ ქსელს, მოიპოვებდნენ სადაზვერვო ინფორმაციას გორის რაიონში, სადაც საომარი მოქმედებების დაწყებაა შესაძლებელი. ამ რეგიონში რუსეთის სამხედრო დაზვერვა რომ არ მოქმედებდეს, ამ უწყების ხელმძღვანელი და გენერალური შტაბის მმართველები სამუშაოდან იქნებოდნენ გასაყრელები. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის სპეცსამსახურები რეგიონში მუშაობენ, მაგრამ ტერაქტების ორგანიზებით არ არიან დაკავებულნი. გუშინდელი განცხადებით, სააკაშვილმა თავისი ძალოვნების „დაუჯერებელ მონაგონს" დაუჭირა მხარი. ვიმეორებ, რუსული სამხედრო დაზვერვა ვალდებულია, იმუშაოს შიდა ქართლის რეგიონში, მაგრამ ის, რომ ისინი იქ ტერაქტებს აწყობენ, აბსოლუტურად დაუჯერებელია... სააკაშვილს, ისევე, როგორც გამსახურდიას და შევარდნაძეს, არ სურს რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა. სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს რუსეთის სპეცსამსახურებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისში, თავისუფლების მოედანზე აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე ტერაქტის მოწყობის მცდელობაში. თუ დადასტურდება რუსეთის სპეცსამსახურების ბრალეულობა საქართველოში განხორციელებულ ტერაქტებში, რუსეთის პრეზიდენტმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, გენერალურ შტაბსა და დაზვერვის მთავარ სამმართველოში, მასშტაბური წმენდა უნდა მოაწყოს. ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, ჩავთვლი, რომ მათ საკუთარ უფლებამოსილებას გადააჭარბეს და პოლიტიკურ თამაშებში ჩაერთვნენ. ამის არ მჯერა და დარწმუნებული ვარ, ქართველი ძალოვნები, რომლებიც საქართველოში „ომის პარტიას" წარმოადგენენ, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საომარი მოქმედებებისთვის ემზადებიან. არ უარვყოფ, რომ სამხრეთ ოსეთი დახმარებას რუსეთიდან იღებს. საქმე ის არის, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს უსაფრთხოებას არ ემუქრება. ვთვლი, რომ თბილისსა და ცხინვალს შორის მყიფე მშვიდობა არ უნდა დაირღვეს. ომის დაწყება ოსებს არ აძლევს ხელს. საომარი მოქმედებების განახლება კი სამხრეთ ოსეთთან შედარებით გაძლიერებულ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სურს, რომელიც დასავლეთის დახმარებით ყოველდღიურად კიდევ უფრო ძლიერდება. ■

სერგეი მარკოვი

რუბრიკა მოამზადა ემა ტუხიაშვილმა

გვერდების მომზადებისას გამოყენებულია „ინტერპრესნიუსის" მასალები

სიახლე ჯეოსელისგან
ჯეო
მხსნელი
ეს ფასების სპეციალური ბალანსერი ფეი-ფეი ნომრის მფლობელს, 20 დღის განმავლობაში, ფიქსირებულად 5 თვეს შეგვიძლია ფასების (ანუ ანგარიშის: "ფულის, ფულიანობა") გაზრდის სერვისებზე აკრძალვა.
ასევე: "110# YES, პოსტფოსტისას პასუხით Answer (36 EnterReply/ Отвечать). ფასებიანი ინ ვერთვების (ანგარიშების) ნომერი. ყოველი ზსვარ არ ფულიანობერ.
www.lailai.ge

ამ ცოტა ხნის წინ დატრიალებულმა „სამთავრობო კარუსელმა“ საზოგადოებაში არსებული მოლოდინი (სტრასბურგში ელჩის თანამდებობაზე თავდაპირველად, გიორგი პაპუაშვილის კანდიდატურას ასახელებდნენ), არ გაამართლა და ყოფილი იუსტიციის მინისტრი კვლავ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სადარაჯოზე დარჩა. მართალია, მის სპეციალობას გარემოს დაცვასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაგრამ ნადირობისადმი გულგრილი დამოკიდებულება მის თანამდებობრივ სტატუსს ნაწილობრივ ამართლებს. როგორც თავად ამბობს, არც ხის ჯიშების გარჩევა-შია პროფესიონალი, თუმცა ფოთლოვანის და წიწვოვა-ნის ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლია და ხეტყის უკანონო ჭრასთან შეუპოვარ ბრძოლასაც აპირებს...

გარემოს დაცვის გამსხვილებული სამინისტრო მტკვრის გაწმენდას, სტიქიის მართვასა და გაჩეხილი ტყის აღდგენას გვპირდება

ემა ტუხიაშვილი

— ბატონო გიორგი, თქვენმა წინამორბედმა ქალბატონებმა ბევრი პრობლემა დაგახვედრეს სამინისტროში?

— ჩემი მხრიდან უხერხულია ამ თემაზე ლაპარაკი... გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქალბატონ ნინო ჩხობაძეს ეს თანამდებობა რამდენიმე წლის განმავლობაში ეკავა, ხოლო თამარ ლებანიძე, გარემოს დაცვის მინისტრი დაახლოებით ერთი წელი იყო. პრობლემების მოსაგვარებლად საკუთარი წვლილი ქალბატონებმაც შეიტანეს, თუმცა, გასაკეთებელიც ბევრია. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში, ამ სამინისტროს დაქვემდებარებაში გადმოვიდა მრავალი სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც მანამდე, ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ითვლებოდა. მათ შორისაა ისეთი პრობლემატური სტრუქტურული რგოლები, როგორებიც გახლავთ: სატყეო დეპარტამენტი, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი, გეოლოგიის დეპარტამენტი, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი და ა.შ. წლების მანძილზე, აღნიშნულ უწყებებზე კონტროლი ფაქტობრივად, არ ხორციელდებოდა. ამიტომ გარემოს დაცვის სამინისტროს ერთიან ადმინისტრაციულ სივრცეში მათი ინტეგრირება ცოტა გაჭირდა.

— თქვენ არ გაგიჭირდათ იუსტიციის სამინისტროდან გარემოს დაცვის სამინისტროში „ინტეგრირება“. ისე, ამაშიცაა გარკვეული სიკეთე: თუ მანამდე, საპატიმროებში სიარული გიხდებოდათ, ახლა ბუნებაში გადიხართ... არ მეთანხმებით?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს უკვე დიდი ხანია, გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვმუშაობ. იუსტიციის სამინისტროში მიღებული გამოცდილება კი, სტრუქტურული და საკანონმდებლო რეფორმების სწრაფად წარმართვაში მეხმარება. მართალია, გარკვეულ სპეციფიკურ საკითხებში გარკვევა მიხდება, მაგრამ მთავარია, რომ სწორი მენეჯმენტის საფუძველზე, მიზანმიმართულად იქნას გამოყენებული ამ დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების პოტენციალი. რაც შეეხება ამ ორი სამსახურის სპეციფიკის შედარებას, შემიძლია გითხრათ, რომ მაგალითად, სატყეო დეპარტამენტში არანაკლები პრობლემაა, ვიდრე პენიტენციარულ სისტემაში ვაწყდებოდი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში საკმაოდ მძლავრადაა განვითარებული პენიტენციარულ სისტემაზე ორიენტირებული არასამთავრობო სექტორი, რომლის კრიტიკული დამოკიდებულებაც ხშირად მასტიმულირებელი იყო ჩემთვის. სამწუხაროა, მაგრამ ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებში არასამთავრობო სექტორი აშკარად პასიურობს. 6 თვეა, ამ თანამდებობაზე ვარ და ჯერ არ მსმენია, რომ მათგან კონკრეტული რეკომენდაციებისა თუ წინადადებების შემოთავაზება ყოფილიყო. ამრიგად, უწყებაში არსებული კორუფციული პირამიდის შესწავლა ძირითადად, ჩემს თანამშრომლებთან ერთად მიწევს.

— „მწვანეთა მოძრაობა“ საკმაოდ გამოცდილი არასამთავრობო რგოლია საქართველოში, მასთან არ თანამშრომლობთ?

— მსგავსი ორგანიზაციები ზოგადად გარემოს დაცვის საკითხებზე მუშაობენ — მაგალითად, ძალიან აქტიურობდნენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით. მაგრამ ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხებზე სპეციალიზებული არასამთავრობო სექტორი, ფაქტობრივად, არ გაგვაჩნია. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ გარემოს დაცვაზე ორიენტირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თუმცა მკვეთრად შევცვალეთ მათთან ურთიერთობის პოლიტიკა. მოგეხსენებათ, რომ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ქვეყნის საზღვრებს არ ცნობს და ის შესაძლოა, მეზობელი ქვეყნის სატკივარიც გახდეს. სწორედ ამის გამო, წლების განმავლობაში, უცხოური დახმარებების დიდი ნაწილი სწორედ ამ სექტორში მოედინებოდა. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ უცხოელი ექსპერტები, დონორები თავად ირჩევდნენ საქართველოს გარემოში ინტერესთა სფეროს. მაგალითად, თუ ერთი დონორი დაინტერესებული იყო იმით, თუ ამა თუ იმ მონაკვეთში რამდენი ღამურა გადაიფრენდა, სოლიდური თანხით დაფინანსებული პროექტები სწორედ მსგავსი საკითხის გადასაჭრელად ხორციელდებოდა. ახლა კი უკვე სამინისტრომ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრა პრიორიტეტები და უცხოურმა დონორებმა თავიანთი პროექტები სწორედ ჩვენს ინტერესებს უნდა დაუკავშირონ.

— ამბობენ, რომ ეკოლოგია, როგორც ერთ-ერთი საგანი, შესაძლოა, სასკოლო პროგრამაშიც შევიდეს. მართალია?

— ვფიქრობ, ბავშვები საზოგადოების ის ნაწილია, ვინც ყველაზე მეტად ინტერესდება გარემოს დაცვის საკითხებით. ხეების დარგვა, მცენარეების მოვ-

ლა-პატრონობა, მორწყვა ბავშვობაში მეც ძალიან მიყვარდა. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია, რომ საზოგადოების ცნობიერება გარემოს დაცვის საკითხების მიმართ ავამაღლოთ და მეტი აქტუალობა შევძინოთ. ჩვენს გეგმებში შედის, რომ სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა მეურვეობა გაუწიონ ტყის გარკვეულ მონაკვეთებს, რაშიც დახმარებას ჩვენი სამინისტრო გაუწევს. განათლების სამინისტრო დაინტერესებულია იმით, რომ ეკოლოგიის შესწავლა, პირველ ეტაპზე, ფაკულტატურული, სამომავლოდ კი – სავალდებულო საგანი გახდეს. აქვე მინდა გითხრათ, რომ შემოდგომიდან ვიწყებთ პროგრამას, რომელიც ტყეების მასობრივ განაშენიანებას ითვალისწინებს. ჩვენი უცხოელი მეგობრების დახმარებით, გავხსნით ხის ჯიშების სანერგე მეურნეობებს, შესაბამისი სასათბურე პირობებით. ეს საშუალებას მოგვცემს, 2-3 წლის მანძილზე აღვადგინოთ ის, რაც წლების განმავლობაში იქნა განადგურებული. აღსანიშნავია ჩვენი თანამშრომლობა საქართველოს საპატრიარქოსთან და არ გამოვრიცხავ, რომ ტყეების, ტერიტორიების ნაწილი დროებით სარგებლობაში ან საკუთრებაში გადავცეთ საპატრიარქოს. ვგეგმავთ ერთობლივი ეკოლოგიური ბანაკების შექმნას, რაც თავად კათალიკოს-პატრიარქის ინიციატივაა.

— გარემოს დაცვის სამინისტროში თქვენს მოსვლას, საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურება დაემთხვა. როგორც ვიცი, თავად მოინახულეთ დაზარალებული რეგიონები. თუ გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რისი გაკეთება მოხერხდა ამ დროისთვის?

– იმედია, სტიქიური მოვლენები ჩემს „ცუდ ფეხთან“ არ არის დაკავშირებული... ყველა ეს მოვლენა პროგნოზირებული გახლდათ. უნდა ვაღიარო: ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ ჩვენი ჰიდრომეტცენტრისა და გეოლოგიური დეპარტამენტის პროგნოზები გამართლდა. პრობლემები წარმოშვა იმან, რომ სტიქიური მოვლენების მართვა საქართველოსთვის სიახლეს წარმოადგენს. მაგალითად, როდესაც ჩვენი სამინისტროდან ამა თუ იმ რაიონის ხელმძღვანელობას მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდა, გაკვირვებით გვეკითხებოდნენ: მერე, ჩვენ რა ვქნათო?!. ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც მომხდარი სტიქიის დროს იჩინა თავი, სივრცობრივი დაგეგმარების პრობლემაა. ამჟამად საქართველოს მთავრობა ამ მიმართულებითაც მუშაობს. მართალია, ჯერჯერობით, სოფლებისა და ქალაქების მასობრივი მშენებლობა არ მიმდინარეობს, მაგრამ სამომავლოდ ეს ფაქტორი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. ჩვენი სამსახურები უკვე მუშაობენ მომავალი წლის პროგნოზებზე, მაგრამ ამისათვის მხოლოდ მცირედი რესურსების მობილიზება მოხერხდა. მსგავსი პროგრამების დაფინანსება არ უნდა შეწყდეს, რადგან უკვე მიყენებული ზარალის ანაზღაურება გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე მისი პროგნოზირება და პრევენცია.

— ზაფხულის დადგომასთან ერთად, აქტუალობას იძენს საქართველოში არსებული ზღვების, ტბებისა და მდინარეების ეკოლოგიური სურათის შესწავლის საკითხი. ცოტა ხნის წინ, თავად იმყოფებოდით შავ ზღვაზე. რა დასკვნების გაკეთება შეგიძლიათ?

– მინდა გითხრათ, რომ ცნობები შავი ზღვის კატასტროფულად დაბინძურების შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება და ტურისტული სეზონი ჩვეულ რეჟიმში უნდა წარიმართოს. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში გამწმენდი სამუშაოები შავი ზღვის სანაპირო ზოლში არ ჩატარებულა. ამ საკითხით სერიოზულადაა დაინტერესებული აჭარის მთავრობა და შეიძლება ითქვას, რომ ერთდროულად ორი პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს. აქვე მინდა გითხრათ, რომ ხარჯების დიდი ნაწილი უცხოური გრანტის საშუალებით იქნება დაფარული, ნაწილი კი, გრძელვადიანი კრედიტით ანაზღაურდება, რომელსაც შემდეგ, აჭარის მთავრობა დაფარავს. პროექტის პირველი ნაწილი, ბათუმთან ახლოს თანამედროვე ნაგავსაყრელის მოწყობას ითვალისწინებს, ხოლო მეორე – ბათუმში წყლისა და საკანალიზაციო სისტემის სრულ რეაბილიტაციას.

— მტკვარს რა ეშველება?

– ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ და პირველ რიგში, მოხდება მტკვრის შესწავლა – როგორც საქართველოს, ასევე თურქეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რათა პრობლემის, რაც შეიძლება რეალური სურათი მივიღოთ. შემიძლია გითხრათ, რომ მტკვრის გაწმენდის პრობლემა დაახლოებით 18 თვეში მოგვარდება. მიგვაჩნია, რომ მტკვრის სისუფთავე ჩვენი ქალაქის ეკოლოგიური სურათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. იმასაც გეტყვით, რომ მიმდინარეობს მუშაობა თბილისში თანამედროვე დასუფთავების სისტემის შესაქმნელად. საუკეთესო კომპანიის გამოსავლენად ჩატარდება საერთაშორისო ტენდერი, ხოლო გამარჯვებული იკისრებს როგორც თბილისის სრული დასუფთავების, ასევე ქალაქგარეთ ახალი ნაგავსაყრელის მოწყობის ვალდებულებას.

— ცოტა ხნის წინ, თქვენ იერიში მიიტანეთ სატყეო დეპარტამენტში არსებულ კორუფციულ ქსელზე და ხმაურიანად გაათავისუფლეთ სატყეო სამსახურის რამდენიმე ხელმძღვანელი პირი. თუ შეგიძლიათ გაგვიმხილოთ, რა ოდენობის ზარალი მოგვაყენეს თავისი გულგრილი დამოკიდებულებით ამ ადამიანებმა?

– მე მიღებული მაქვს სტრატეგიული დავალება, რომ გაჩეხილი ტყეებისგან მიყენებული ზარალი შევის-

ფრაზა გენიალური

მეტისმეტი გულახდილობა ისეთივე უმართებულოა, როგორიც ტანთ გახდა და გაშიშვლება.

ფრენსის ბეკონი

წავლო. პირველ ეტაპზე, ე.წ. „ცხელ წერტილებს“ ვსწავლობთ, როგორებიცაა: ბორჯომ-ბაკურიანი, ადიგენი, საჩხერე და ა.შ. შესწავლის პროცესი ჯერ არ დასრულებულა, რადგან რთულია, მცირერიცხოვანი თანამშრომლების მონაწილეობით მოკლე დროში ერთი რომელიმე ტყის სრული ანალიზი გააკეთო. დაგეგმილი გვაქვს, თანამედროვე კოსმოსური საშუალებით საქართველოს ტყეების სრული აღრიცხვიანობა. წინასწარი მონაცემებით, მიყენებული ზარალი მილიონ ლარს აჭარბებს. სწორედ ამ მიზეზით მოხდა თანამშრომლების გათავისუფლება და მათი დანაშაულებრივ ქმედების გამოსავლენად მასალები პროკურატურას გადაეგზავნა. ხეტყის ბიზნესს თავადაც შევუწყობ ხელს, ოღონდ ეს ყველაფერი ლეგალურ ჩარჩოებში უნდა მოექცეს.

— მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი ნაწილი, ეკოლოგიური პოლიციის გაუქმებაც იყო. ვინ დაიკავებს მის ადგილს?

— ამ სამსახურში 600-მდე ადამიანი ირიცხებოდა და ხშირ შემთხვევაში, თავად იყვნენ ჩაბმულნი უკანონო ქმედებებში. დაახლოებით 1 თვეში, ჩვენი სამინისტროს ბაზაზე ჩამოყალიბდება ინსპექტორატი, რომელსაც არ ექნება საგამოძიებო, ძალოვანი ფუნქციები და მას უშუალოდ დაევალება, გამოავლინოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დარღვევები: ხეტყის უკანონო ჭრა, ბრაკონიერობა და ა.შ. ეკოპოლიციისაგან განსხვავებით, ინსპექტორატის თანამშრომელთა შერჩევის კრიტერიუმები ძალზე მკაცრი იქნება. თანამშრომლებს ხელფასები 400-500-მდე ექნებათ და მათზე მკაცრი კონტროლის მექანიზმიც დაწესდება. შიდარესურსების სიმცირის გამო, პირველ ეტაპზე, მხოლოდ 50-კაციანი ჯგუფის ჩამოყალიბება ხერხდება. მაგრამ მთავრობა გვპირდება, რომ გაისად ჩვენი სამინისტროს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და ინსპექტორატიც საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს. როდესაც სატყეო დეპარტამენტში საკადრო წმენდა დავიწყეთ და თანამშრომლებს მკაცრი მოთხოვნები წავუყენეთ, ხის უკანონო მჭრელებმა სასტიკად სცემეს ერთ-ერთი მეტყევე და მას თავდაცვის არანაირი საშუალება არ გააჩნდა. ინსპექტორატის შექმნა ბევრ ასეთ პრობლემას გადაჭრის.

— საინტერესოა, სად გაატარებს შვებულებას გარემოს დაცვის მინისტრი?

— შესაძლოა, შვებულება სულ არ მქონდეს. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ამ მიზნით საქართველოს ტყე-პარკების მონახულება და ზღვისპირეთის დათვალიერება განვიზრახო. ■

რას ნიშნავს ჩართული სირენა, შსს-სთან მასარკვევი საკითხი და... შიგაღაშიგ სატელეფონო სექსის მცდელობა

26 მაისიდან, საქართველოში „სასწრაფო სამედიცინო დახმარება“ უფასოდ გამოცხადდა; გაიზარდა მომსახურე პერსონალის ხელფასები და ექიმებსაც ნორმალური მუშაობისთვის საჭირო ყველა პირობა შეექმნათ. შეესაბამება თუ არა დეკლარირებული სიკეთე სინამდვილეს? — ამის გასარკვევად თბილისის „სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ ცენტრს ვესტუმრეთ და მისი დირექტორის მოადგილეს, ლევან ტურძელაძეს ვესაუბრეთ.

ნათია თენიეშვილი

ცენტრალურ ოფისში შესული, ნამდვილად ვერ იფიქრებთ, რომ აქ რაიმე, უკეთესობისკენ შეიცვალა. უფრო იმაზე დაიწყებთ ფიქრს — ამოყრილ პარკეტს ფეხი არ წამოჰკრათ, უეცრად იატაკი არ გამოგეცალოთ ფეხქვეშ ან ჭერი არ ჩამოგექცეთ თავზე... თუმცა, ბატონი ლევანის თქმით, ეს პრობლემა მოგვარდება და ახლო მომავალში, „სასწრაფო დახმარების“ ცენტრს ახალი, თანამედროვე ოფისი ექნება.

ლევან ტურძელაძე „სასწრაფოში“ 22 წელია, მუშაობს და ამბობს, რომ ამ სამსახურის ექიმს განსაკუთრებული მომზადება სჭირდება: სტაციონარში ავადმყოფისთვის საბოლოო დიაგნოზის დასმას 3 დღეს ანდომებენ, „სასწრაფო დახმარების“ ექიმმა კი, ძალზე მოკლე ხანში, დიაგნოზიც უნდა დასვას და ავადმყოფს დახმარებაც გაუწიოს. თავად, ყველაზე რთულ და ექსტრემალურ სიტუაციაში 1984 წელს აღმოჩნდა, როცა საექიმოს შესახვევში მთელი სადარბაზო აფეთქდა და 100 კაცზე მეტი დაიღუპა... „სასწრაფოს“ ახსოვს დრო, როცა ექიმის ხელფასი 30 ლარს შეადგენდა, მერე — 160 ლარს. დღეს ექიმი, რომელსაც 4 დღეში ერთხელ უწევს მორიგეობა, 480 ლარს იღებს.

ამჟამად, თბილისს 55 „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა ემსახურება. ბრიგადა 2 ექიმისგან ან ექიმისა და ექთანისგან შედგება. ბატონი ლევანი ამბობს, რომ ზამთარში გამოძახებების რიცხვი გაიზრდება და ეს საკმარისი არ იქნება. თუმცა მანამდე, ბრიგადების რაოდენობის გაზრდაცაა გათვალისწინებული.

რატომ რეკავენ მობილური ტელეფონის შემკეთებლები და პატიმრები „03“-ის საოპერატოროში და რას სთხოვს ბატონი ლევანი თბილისელ მძღოლებს? — ამ და სხვა ინფორმაციას ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ჩვენი აღმავლობა იმ დროიდან დაიწყო, როცა მიხეილ სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა. არაფერი არ გვქონდა, ნულიდან ვიწყებდით. მაშინ მანქანები შეგვიძინეს და დახმარებასაც გვიწევდნენ. მერე, როცა ბატონი მიშა პრეზიდენტად აირჩიეს, მან ერთ-ერთ პრიორიტეტად, „სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ აღორძინება გამოაცხადა და „მერსედესის“ მარკის მანქანები გადმოგვცა. ამჟამად ჩვენი სამსახური აღჭურვილია იტალიური და ჩინური წარმოების თანამედროვე კარტოგრაფებით, სხვადასხვა აპარატურით, რომელიც ან საერთოდ არ გვქონდა, ან ძალიან მოძველებული იყო. ჩვენს სამედიცინო ყუთში უკვე არის ყველა ის მედიკამენტი და სამკურნალო საშუალება, რაც საჭიროა. არ გვაქვს ბენზინის პრობლემა, გაგვიორმაგდა ხელფასები და ა.შ.

— ამ რეორგანიზაციას ხომ არ მოჰყოლია ძველი თანამშრომლების შეცვლა ან კადრების შემცირება?

— არა, ყველა ძველი თანამშრომელი ადგილზე დარჩა. ადრე ქალაქს 30 ბრიგადა ემსახურებოდა. მათი რიცხვი 55-მდე გაიზარდა და ამის გამო, ახალი თანამშრომლების მიღებაც მოგვიხდა. გვყავს

არის კიდევ ერთი პრობლემა: დღეს ქალაქში მობილური ტელეფონი ყველა ადამიანს აქვს...

4 მანქანა, რომელიც შოკის ბრიგადას ემსახურება. ისინი ექსტრემალური, გადაუდებელი დახმარების გასაწევად მიემართებიან.

— **მას შემდეგ, რაც „სასწრაფო“ უფასო გახდა, ალბათ გამოძახებების რიცხვმაც იმატა, ხომ?**

— კი, იმატა გამოძახებების რიცხვმა. ამას ველოდით... საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქალაქს 130 ბრიგადა ემსახურებოდა. მაშინ თბილისის მოსახლეობა, შემოგარენის ჩათვლით, მილიონ-ნახევარ კაცს შეადგენდა. ახლა ნახევარი საქართველო თბილისშია ჩამოსული და 55 ბრიგადა, რა თქმა უნდა, არ ეყოფა. მაგრამ ამ სეზონისთვის საკმარისია: ზაფხულში მოსახლეობა ქალაქიდან გადის და მოთხოვნილებაც „სასწრაფოზე“ იკლებს. ზამთრისთვის ეს შემადგენლობა საკმარისი აღარ იქნება. ახლა დღეში 700-მდე გამოძახება გვაქვს — ე.ი. თითო ბრიგადა დაახლოებით 12 რეისს ასრულებს.

— **როგორც ვიცი, ხშირია ისეთი ტიპის გამოძახებაც, როცა „სასწრაფო დახმარება“ საჭირო არ არის.**

— კი. ამას წინათ, იმ მიზეზით გამოძახება, რომ ავადმყოფი საწოლიდან გადავარდა: მოდით და აიყვანეთო. ბრიგადა, რა თქმა უნდა, გავიდა, იმიტომ, რომ საწოლიდან გადმოვარდნის დროს, ადამიანს შეიძლება, რამე დაუშავდეს. მივიდა ბრიგადა, დახვდა ასაკოვანი ქალბატონი, რომელსაც დაშავებული არაფერი ჰქონდა და საწოლში ჩააწვინა. საბანი კარგად გადამფარე, შვილოო, — სთხოვა ექიმს. გადაფარეს, დაემშვიდობნენ და წამოვიდნენ. შეიძლება, ვიღაცამ მწვანილის დაჭრის დროს თითი გაიჭრას და გამოიძახოს „სასწრაფო“ — ასეთი შემთხვევაც ხშირია. ასევე ბევრია ცრუგამოძახება. დღეში დაახლოებით 1000-მდე ცრუ და არასაჭირო გამოძახება შედის სადისპეტჩეროში. ცრუგამოძახების ავტორის დაფიქსირება შესაძლებელია, მაგრამ ის, თუ როგორი უნდა იყოს რეაგირება — კანონში გათვალისწინებული არ არის. ცენტრალურ საოპერატოროში შედის ზარი და ოპერატორი ქვესადგურებს გადასცემს ცნობას. ცრუ და არასაჭირო გამოძახებებთან ერთად, საოპერატოროში ციხიდანაც რეკავენ და დისპეტჩერებთან დაახლოებით ასეთი ტიპის საუბარს აბამენ: ვაიმე, რა კარგი ხარ, რა ფერის კაბა გაცვია? — და ა.შ. ამგვარად, პატიმრების დიდი რაოდენობა სატელეფონო სექსისთვის „03“-ის გამოყენებას ცდილობს... არის კიდევ ერთი პრობლემა: დღეს ქალაქში მობილური ტელეფონი ყველა ადამიანს აქვს. ეს ტელეფონები ხშირად ფუჭდება და სამწუხაროდ 112-ზე ზარი უფასოა. ჰოდა, მთელი საქართველოს მასშტაბით, ტელეფონის ხელოსნები 112-ზე დარეკვით ამოწმებენ, შეკეთდა თუ არა ტელეფონი. რეკავენ სადისპეტჩეროში, კითხულობენ — 112-ია? იღებენ პასუხს და თიშავენ. ეს ჩვენთვის სერიოზული პრობლემაა, თუმცა ვფიქრობ, ამასაც მალე მოევლება.

— **ხშირად გამიგონია, რომ „სასწრაფო“ ავადმყოფთან მისვლას იგვიანებს ხოლმე. ეს ტელეგადაცემა „პატრულშიც“ არაერთხელ დაფიქსირებულა. რა არის ამის მიზეზი?**

— ხშირად ადამიანი, რომელსაც სჭირდება „სასწრაფო დახმარება“, სხვას ავალებს ჩვენთან დარეკვას. ის ვერ რეკავს და ჰგონიათ, რომ ჩვენ ვაგვიანებთ.

— **მაგრამ როცა საქმეში „პატრული“ ერთვება, თქვენთან ხომ 022-დან ირეკება!..**

— ამ საკითხის გარკვევამ მოგვიწია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელთან, გურამ დონაძესთან. 022-დან შემოსულ ზარებზე დაგვიანება, ფაქტობრივად, არ ხდება... დროდადრო, 10-15 წუთით დაგვიანება ხდება...

დღეში დაახლოებით 1000-მდე ცრუ და არასაჭირო გამოძახება შედის სადისპეტჩეროში. ცრუგამოძახების ავტორის დაფიქსირება შესაძლებელია, მაგრამ ის, თუ როგორი უნდა იყოს რეაგირება — კანონში გათვალისწინებული არ არის

— **წესით, რამდენ წუთში უნდა იყოს „სასწრაფო“ ადგილზე მისული და მაინც რა მიზეზით ხდება ხოლმე დაგვიანება?**

— წესით, „სასწრაფო“ მაქსიმუმ 15-20 წუთში უნდა იყოს ადგილზე, მაგრამ პიკის საათებში, 55 ბრიგადა საკმარისი არ არის. როცა ჩვენი გამოძახების პიკი ემთხვევა ქალაქში პიკის საათს, მაშინ ვაგვიანებთ მხოლოდ 15-20 წუთით. ამას უაზრო გამოძახებებიც უწყობს ხელს. გამოგიძახებს ვიღაცა იმიტომ, რომ თითი სტკივა. ამის გულისთვის გაივლი 50 კილომეტრს აქეთ-იქით, დახარჯავ უამრავ ბენზინს, დროს და ვისაც მართლა სჭირდება დახმარება, იმასთან შეიძლება, დაგაგვიანდეს. დაბოლოს, კიდევ ერთი პრობლემის შესახებ, რომელიც პრაქტიკულად ყველას ეხება: კარგი იქნება, თუ სირენაჩართული „სასწრაფოს“ მანქანის დანახვაზე, მძღოლები გზას დაგვითმობენ ხოლმე... ■

ნდობის ტელეფონი

822-006-099



ქალაქის ტელეფონიდან დაკავშირება შესაძლებელია ტელეკომბარათებით

ზარი ფასიანია. 18 წლიდან

პირველად საქართველოში

მუსიკალური და ხმოვანი ზეთარი ჯეოსელისგან

ჯეოზეთარი

გაუგზავნე ჯეოზეთარის კოდი ნომერზე 7055 და მისცალე სგანდარტული ტონალური სიგნალი (ზეთარი. რომელიც ისმის მოგილოცო ტელეფონი ამონთვნტთან დაკავშირების დროს) ნებისმიერი მუსიკალური ანდა ხმოვანი ფრაგმენტით.

ჯეოზეთარით საოგანლოგა შეეძლია ყველა ჯეოსელის და ლაი-ლაის ამონთვნტს.

გაიცანით ახლობლები

ეს-ეს ჯეოზეთარი

www.geozumar.ge

"მოსამართლეს არგუმენტები არ ჰქონდა და ამიტომაც გაიქცა დარბაზიდან"



კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, ამჟამად პატიმრის — სულხან მოლაშვილის ბოლო სასამართლო პროცესმა ხმაურიანად ჩაიარა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ განსასჯელის ადვოკატებმა — სოსო ბარათაშვილმა და შალვა შავგულიძემ, მოლაშვილისთვის პატიმრობის გაუქმების შესახებ მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართეს. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რამაც განსასჯელის მხარის უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია. ამის შემდეგ, ადვოკატები მორიგი შუამდგომლობის დაყენებას აპირებდნენ, მაგრამ მოსამართლემ ისე გადადო სხდომა და დარბაზიც ისე დატოვა, რომ მათთვის არც მოუსმენია.

შალვა შავგულიძე:

„მოსამართლემ, ფაქტობრივად, შუამდგომლობის დაყენების საშუალება არ მოგვცა. წინა შუამდგომლობაც, სრულიად უსაფუძვლოდ, არ დაგვიკმაყოფილა. ცხადია, რომ მას არგუმენტები არ ჰქონდა, რითიც ახსნიდა თავის უარს და ამიტომაც გაიქცა დარბაზიდან. ჩვენი შუამდგომლობა სავსებით კანონიერი გახლდათ. ვითხოვთ მოლაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას, რადგან ყოვლად უსაფუძვლოდ და უკანონოდ ზის ის ციხეში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთგზის მიუთითებს, რომ ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ჭეშმარიტი საჯარო ინტერესების სპეციალური ნიშნები, რომლებიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადაწონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნებს. სულხან მოლაშვილის შემთხვევაში, ასეთ რამეს ადგილი არა აქვს. არ არსებობს მისი მიმალვის საფრთხეც. ის პირველი გამოძახებისთანავე გამოცხადდა, თანაც დროულად. საგამოძიებო ორგანოში, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირების მიერ საჯაროდ, დაუფარავად კეთდებოდა განცხადებები მისი მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ“.

ადვოკატების ეს არგუმენტები მოსამართლემ არ გაიზიარა და ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნას უსაფუძვლო უწოდა. შეგახსენებთ, რომ სულხან მოლაშვილი 2004 წლის 23 აპრილს, 02.30 საათზე დააკავეს. მას იმავე დღეს შეეფარდა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა. ეს ვადა მოლაშვილს სასამართლომ ზედიზედ სამჯერ გაუგრძელა. პატიმრობის ცხრათვიანი ვადა 2005 წლის 23 იანვარს ამოიწურა, მაგრამ სამართალდამცავებმა პატიმრობიდან მოლაშვილის გათავისუფლება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს. პროკურატურა კონტროლის პალატის ყოფილ უფროსს 3 მილიონამდე ლარის გაფლანგვასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში სდებს ბრალს. როგორც ადვოკატები ამბობენ, მათი მორიგი შუამდგომლობა მოლაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლას შეეხება. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს. მომდევნო სასამართლო სხდომა ამ დღეებში გაიმართება.

■

ჯაქსის მძღოლებთან კონფლიქტს მძიმე დანაუაული მოჰყვა

„...დაჭრილი ძალიან ცუდად იყო, ეკვდებოდა...“ – აცხადებს პოლიციელი

23 წლის მსჯავრდებული, რომელიც რაიონულმა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის მძიმე მუხლით — განზრახ მკვლელობის მცდელობაში ცნო დამნაშავედ, მკაცრი სასჯელისგან საკასაციო პალატის მოსამართლეებმა იხსნეს. პირველი განაჩენის მიხედვით, თბილისელმა ზურაბ ჩუბინიძემ, შურისძიების მოტივით სცადა, ახალგაზრდა მამაკაცი დანით მოეკლა. ამ დანაშაულისთვის მას თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ შემთხვევის დღეს, ზურაბ ჩუბინიძეს ზედიზედ რამდენიმე ტაქსის მძღოლთან ჰქონდა კონფლიქტი. ამაზე განაწყენებულმა კი, როგორც ჩანს, ბოლოს, სულ სხვა ადამიანზე იყარა ჯავრი. დაზარალებული, ერთ-ერთი მძღოლის ნაცნობი – კახა მუკბანიანი აღმოჩნდა. საქმის მასალების მიხედვით, ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ 2003 წლის 7 აპრილს, ზურაბ ჩუბინიძე თავის ნათესავთან – ვინმე ბაჩოსთან (მისი გვარი გამოძიების მასალებში არ ფიქსირდება) და ცოლქმართან (არც მათი ვინაობაა ძიების მიერ დადგენილი) ერთად თბილისში, ზუბალაშვილების ქუჩაზე იმყოფებოდა და ერთ-ერთ ბინაში ხარების დღესასწაულს აღნიშნავდა. სუფრასთან მსხდომებმა ალკოჰოლური სასმელი დალიეს, მათ შორის, ჩუბინიძემაც. შეზარხოშებულებმა, იმავე საღამოს კასპის რაიონის სოფელ ქანდაში წასვლა გადაწყვიტეს – გარდაცვლილი ნაცნობის, ზურა წიკლაურის საფლავზე გასასვლელად.

უკვე 8 აპრილის დილის 5 საათი იყო, როდესაც ისინი მეტროს სადგურ

„რუსთაველთან“ მივიდნენ და მიმდებარე ტერიტორიაზე ტაქსი გააჩერეს. მძღოლი მათი ნაცნობი აღმოჩნდა. სთხოვეს სოფელ ქანდაში წაყვანა, მაგრამ მძღოლმა – პაატა ბეგიაშვილმა, ნაცნობობის მიუხედავად, ისინი უარით გაისტუმრა, თუმცა, ამის სანაცვლოდ, სხვა ტაქსის მოძებნაში დახმარება შესთავაზა. შეთავაზება ჩუბინიძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა მიიღეს და მძღოლს რესპუბლიკის მოედნისკენ გაჰყვნენ. მაგრამ კასპის რაიონში წაყვანაზე სხვა ტაქსის მძღოლებისგანაც უარი მიიღეს. ამის შემდეგ, ბეგიაშვილმა თავისი ავტომანქანით ისინი რკინიგზის სადგურთან მდებარე მანქანების გაჩერებასთან მიიყვანა. ამასობაში, უკვე დილის 6 საათი გახდა. ჩუბინიძემ და ბაჩომ კიდევ ერთი ნაცნობი ტაქსის მძღოლი შენიშნეს – ჯიმშერ ბერიაშვილი, რომელიც ზუსტად რკინიგზის სადგურის პირდაპირ გაჩერებულიყო თავისი ავტომანქანით და იქვე, მანქანის სალონში ეძინა. მასთან ერთად მანქანაში ეძინა მის ახლობელს – კახა მუკბანიანსაც. მანქანას მძღოლის მხარიდან ბაჩო მიუახლოვდა, მეორე მხარიდან – ჩუბინიძე. ბერიაშვილი გააღვიძეს და იმავე თხოვნით მიმართეს, მაგრამ თანხმობა ვერც მისგან მიიღეს. ამდენი უარით გაღიზიანებულმა და გულმოსულმა ჩუბინიძემ უხეშად მიმართა ბერიაშვილს, თან კვლავ გაუმეორა თხოვნა, კასპის რაიონში წაყვანის თაობაზე. ასეთი საქციელის გამო, მას შენიშვნა მისცა მანქანაში მყოფმა მუკბანიანმა და მოუწოდა, შეეწყვიტა რაიონში წაყვანაზე ლაპარაკი. ამ შენიშვნამ კიდევ უფრო გაანაწყენა ჩუბინიძე, მუკბანიანის საყვედური იუკადრისა და ურთიერთობის გასარკვევად, მანქანიდან გადასვლა მოსთხოვა მას. მუკბანიანი ასეც მოიქცა. ჩუბინიძემ მას მაშინვე ჩხუბი დაუწყო. როგორც რაიონული სასამართლოს განაჩენშია აღნიშნული, ჩხუბისას ჩუბინიძემ, შურისძიების მოტივით, მუკბანიანის განზრახ მკვლელობა განიზრახა. სწორედ ამ მიზნით, მან ჯიბიდან თავისი ფიქსატორიანი დანა ამოიღო, გახსნა და მუკბანიანს სხეულში, კერძოდ, მუცლის არეში ძლიერად ჩაარტყა. მუკბანიანი მაშინვე ჩაიკეცა. შემავალი ჭრილობა მძიმე ხარისხის, სიცოცხლისთვის სახიფათო აღმოჩნდა, რის შედეგადაც, დაზარალებულს წვრილი ნაწლავი და ღვიძლი დაუზიანდა. იქვე მყოფებმა მუკბანიანი დაუყოვნებლივ მოაშორეს შემთხვევის ადგილს და საავადმყოფოში წაიყვანეს. დროული სამედიცინო დახმარების წყალობით, დაჭრილს სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

შემთხვევის ადგილზე იმ დროს, სატრანსპორტო პოლიციის განყოფილების თანამშრომელი, უფროსი ინსპექტორი – **კ. ჟუმბურიძე** აღმოჩნდა. როგორც თავად აღნიშნავს, ის ჩხუბს შეესწრო და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოს მოახსენა:

„იმ ღამეს, ჩვეულებრივად, სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდი. 8 აპრილის დილის საათებში, თანამშრომლებთან გ. ყიფიანთან და კ. ფარქოსაძესთან ერთად შემოვლას ვაწარმოებდი. მე ჯგუფის უფროსი გახლდით. ჩულურეთის ტერიტორიაზე შევამჩნიე, რომ ორი ახალგაზრდა ჩხუბობდა, როგორც შემდეგ დადგინდა – კ. მუკბანიანი და ზ. ჩუბინიძე. ჩემთვის ორივენი უცნობები იყვნენ. მათი ჩხუბი დაახლოებით 10-18 მეტრის მანძილიდან შევნიშნე. იმ დროისთვის უკვე საკმაოდ იყო გათენებული და ყველაფერი კარგად ჩანდა. ასევე კარგად დავინახე ჩუბინიძის მოძრაობაც, თუ როგორ დაარტყა მან დანა მუკბანიანს. მაშინვე მათკენ წავედი. დროულად ვერ მივუსწარი, თორემ, დაჭრა არ მოხდებოდა. შემთხვევის ადგილზე სხვებიც იდგნენ, მაგრამ მხოლოდ ეს ორნი ჩხუბობდნენ. ჩუბინიძე იქვე არ გაგვიჩხრეკია, რადგან დაჭრილი ძალიან ცუდად იყო, კვდებოდა, მუცელში ნაწლავები ჩემი ხელით „ჩავუწყვე“. ამის შემდეგ, ის საავადმყოფოში წავიყვანეთ და იქ დავტოვეთ. შემთხვევის ადგილიდან მიხაილის საავადმყოფომდე მანძილი დაახლოებით ორი კილომეტრი იყო. დაკავებულის პირად ჩხრეკასაც დავესწარი. ჩხრეკა ერთ-ერთმა ოპერატიულმა მორიგემ ჩაატარა, მაგრამ კონკრეტულად ვინ, არ მახსოვს“.

პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, ჩუბინიძისგან ამოიღეს ფიქსატორიანი დანა, რომელზეც სისხლის ლაქები ემჩნეოდა. ერთ-ერთმა მოწმემ იქვე, სადგურზე არსებული კაფე-ბარის გამყიდველმა, **ა. ძაკაშვილმა** სასამართლოს უფრო დეტალური ჩვენება მისცა:

„დაახლოებით დილის 6 საათი იქნებოდა, როცა ჩხუბის ხმა შემომესმა. წავედი და ვნახე, რომ ჯონის (ჯიმშერ ბერიაშვილი. – ავტ.) მანქანასთან ახალგაზრდები ჩხუბობდნენ. ჩემთვის უცნობ ბიჭს, როგორც შემდეგ შევიტყვე – ზ. ჩუბინიძეს, მუკბანიანისთვის საყელოში ხელი წაევლო და მანქანიდან მის გადათრევას ცდილობდა. თანაც ნიკაპშიც ამოარტყა ხელი. მუკბანიანი რომ გადავიდა, ჯერ არასასიამოვნო საუბარი დაიწყეს, შემდეგ კი გაწევ-გამოწევა და ჭიდილი დაუწყეს ერთმანეთს. ყოველივე ეს დაახლოებით 15-20 წამი გაგრძელდა. დავინახე, როგორ შემოტრიალდა მოულოდნელად მუკბანიანი, მას მუცელზე ჰქონდა ხელი მიდებული...“

გამომიებამ თავად დაზარალებულიც დაჰკითხა. მან ყველაფერი ისე მოუთხრო გამომძიებელს, როგორც დანარჩენმა მოწმეებმა და ჩადენილ დანაშაულში ჩუბინიძეს პირდაპირ დასდო ბრალი. მაგრამ სააპელაციო პალატის სასამართლო პროცესზე მოულოდნელი რამ მოხდა: დაზარალებული მუკბანიანი ჯერ პროცესზე გამოცხადებისგან იკავებდა თავს და პალატის მოსამართლეებს წერილობით მიმართა – ჩემი პირველი ჩვენებით იხელმძღვანელეთო; ამ ჩვენებაში ის ხელს ადებდა ჩუბინიძეს; მაგრამ შემდეგ, სხდომაზე მისულმა, დაკითხვისას ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ მას არ დაუნახავს, ჩუბინიძემ დაარტყა თუ არა დანა. დაზარალებულის ბოლო ჩვენება მოსამართლეებმა არ გაიზიარეს და ჩათვალეს, რომ ის მოწინააღმდეგე მხარის ზემოქმედებით იყო გამოწვეული. რაც შეეხება ჩუბინიძეს – სააპელაციო პალატამ მის მიმართ რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა.

„ჩუბინიძის ქმედება, რეციდივის გათვალისწინებით, ითვლება განსაკუთრებით საშიშ რეციდივად, ვინაიდან წარსულში ის უკვე განზრახ მძიმე დანაშაულისთვის იყო ნასამართლევი და ამჯერად, კვლავ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩადინა... თუმცა, მის ოჯახურ მდგომარეობასაც ვითვალისწინებთ (ის გაიზარდა მრავალშვილიან ოჯახში, ამ ოჯახის ერთ-ერთი შვილი დაავადებულია ცერებრალური დამბლით). აქედან გამომდინარე, ჩუბინიძისთვის სასჯელის განსაზღვრისას, სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლით ვხელმძღვანელობთ“, – აღნიშნეს მოსამართლეებმა. სწორედ ზემოთ აღნიშნული მუხლის შესაბამისად მიუსაჯეს ჩუბინიძეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, მსჯავრდებულის მიერ აღნიშნული განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების შემდეგ, სიტუაცია კიდევ უფრო გამარტივდა. საკასაციო პალატის მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ მსჯავრდებულის ქმედება 19/108 მუხლით არასწორად იყო დაკვალიფიცირებული. მათი აზრით, ჩუბინიძეს დანაშაულის ჩადენის მომენტში, დაზარალებულის მოკვლა კი არ სურდა, არამედ მისთვის სხეულის დაზიანების მიყენება განიზრახა. საბოლოოდ, ის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებაში ცნეს დამნაშავედ და სასჯელიც – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 5 წლამდე შეუმცირეს. პროცესში მონაწილე ბრალდების მხარე – პროკურატურის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ყოველივე ამაზე პირველ რიგში, დაზარალებულის პასიურობამ და მის მიერ მამხილებელი ჩვენების გაუგებარი მიზეზით შეცვლამ იმოქმედა.

■

მკვლელობა ჩაქუჩითა და აუდიომაგნიტოფონით

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულისთვის პროკურატურა უმკაცრეს სასჯელს მოითხოვდა

1962 წელს დაბადებული მიხეილ კვანჭიანი განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით წარდგა სასამართლოს წინაშე. გარდაბანში მცხოვრებ, აუდიო-ვიდეოაპარატურის შემკეთებელს, პროკურატურა ერთ-ერთი კლიენტის — 42 წლის გურამ ფანგანის მკვლელობაში სდებდა ბრალს. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, კვანჭიანმა ის ჩაქუჩისა და აუდიომაგნიტოფონის თავში ჩარტყმით გამოასალმა სიცოცხლეს.

2004 წლის 22 მარტს, მიხეილ კვანჭიანთან, რომელიც გარდაბანში მდებარე, კულტურის სახლის შენობაში განთავსებულ სახელოსნოში მუშაობდა, ნაცნობი — გურამ ფანგანი მივიდა და შესაკეთებლად მას აუდიომაგნიტოფონი მიუტანა. მაშინ დაახლოებით დღის 2 საათი იქნებოდა. კვანჭიანმა და ფანგანმა ერთად 1 ლიტრი არაყიც დალიეს და დათვრნენ. მთვრალებს შელაპარაკება მოუხდათ. შელაპარაკების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე, დაუდგენელმა პირებმა კვანჭიანის სახელოსნო გაძარცვეს და საკმაოდ ფასეული ნივთები წაიღეს. ნასვამმა კვანჭიანმა რატომღაც ეჭვი ფანგანზე მიიტანა და მას ჩხუბი დაუწყო. ჩხუბისას ის, როგორც განაჩენში წერია, შურისძიებით განიმსჭვალა და ფანგანის მოკვლა განიზრახა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მან ჩაქუჩი აიღო და ფანგანს რამდენჯერმე მოუქნია; შემდეგ, აუდიომაგნიტოფონსაც დასწვდა და ისიც ჩაარტყა მას თავში. ამის შედეგად ფანგანმა მრავალი მძიმე დაზიანება მიიღო: ცხვირის ძვლების მოტეხილობა, ყვრიმალისა და მარცხენა შუბლ-თხემის ძვლების მოტეხილობა, თავის ტვინში სისხლჩაქცევით. დაზიანებები სიცოცხლისთვის საშიშ, მძიმე ხარისხს მიეკუთვნებოდა. ფანგანი ადგილზევე გარდაიცვალა.

მისი სიკვდილის უშუალო მიზეზად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა ტრავმული შოკი დაასახელეს, რაც უშუალოდ თავის ქალის ტრავმული დაზიანებით და თავის ტვინში სისხლჩაქცევით იყო გამოწვეული. მას შემდეგ, რაც კვანჭიანი დარწმუნდა, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა, დატოვა იქაურობა და მიიმალა. მაგრამ პოლიციამ ის მალევე დააკავა.

პროკურატურამ კვანჭიანს 109-ე მუხლი მიუყენა. სასამართლო პროცესზე განსასჯელმა დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ მისი სახელოსნო ხშირად იძარცვებოდა, რის გამოც, ძალიან გაღიზიანებული იყო. „*სწორედ ამის გამო მომიხდა შელაპარაკება გურამ ფანგანთან. ჯერ მხოლოდ ვკამათობდით, შემდეგ ეს ერთმანეთის გინებასა და ჩხუბში გადაიზარდა*“, — აღნიშნა განსასჯელმა.

პროკურატურამ მისი მკაცრად დასჯა მოითხოვა. მაგრამ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ გადაწყვიტა, რომ განსასჯელისთვის შეფარდებული მუხლის გადაკვალიფიცირება იყო საჭირო. საბოლოოდ, ის განზრახ მკვლელობაში (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე) ცნეს დამნაშავედ და ჩადენილი დანაშაულისთვის 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ასეთი განაჩენით განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩა ბრალდების მხარე, რომელმაც მიმართა კიდეც საჩივრით უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას. პროკურატურის წარმომადგენლის თქმით, საქმე ჰქონდათ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ დანაშაულსა და საშიშ დამნაშავესთან, რომლისთვისაც კოლეგიას ბრალი არ უნდა შეემსუბუქებინა.

მაგრამ პროკურორს არც საკასაციო პალატა დაეთანხმა — „*განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობის ჩადენისას, აუცილებელია, გამოვლინდეს უკიდურესი, წრეგადასული სისასტიკე. ამ დროს დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი ქმედება განსაკუთრებით მწვალებლურ ხასიათს ატარებს, მას მსხვერპლის უბრალოდ მოკვლა კი არ უნდა, არამედ სურს, მისი ტანჯვა-წამებით სიკვდილი. მაგრამ ჭრილობათა სიმრავლე ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ მკვლელმა დანაშაული განსაკუთრებული სისასტიკით ჩადინა და რომ მას დაზარალებულის მოკვლა აუცილებლად ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ სურდა. მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის ქმედებაში ასეთი სურვილი არ შეინიშნება, თუმცა ის, რომ მას შურისძიების გრძნობა ამოძრავებდა, დადგენილია*“, — აღნიშნეს საბოლოო განჩინებისას საკასაციო პალატის მოსამართლეებმა.

■

ფრაზა გენიალური

არაფერს შეუძლია, უბედურება შემამთხვიოს, თუ არა საკუთარ ჩემს თავს; ბოროტი ჩემშივეა და ჩემითვე; და თუ ვიტანჯები, ეგ ჩემი საკუთარი თავის ბრალია.

ბერნარდენ დე სენ-პიერი

გაგიჟებლები დაზარალებულისგან 100.000 დოლარს ითხოვდნენ

სამი წლის წინ თბილისში მომხდარი, ადამიანის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით საქმის განხილვა, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა. დამნაშავეებს, რომლებმაც თბილისელი ირაკლი კოსტავა აიყვანეს მძევლად და მისი თავისუფლების სანაცვლოდ, დაზარალებული ოჯახისგან 100.000 დოლარის გადახდას მოითხოვდნენ, სასამართლომ უკვე სასჯელი შეუფარდა. მსჯავრდებულებმა: 41 წლის ლენტეხელმა სოსო გაზდელიანმა და 43 წლის თბილისელმა მერაბ ჭეხაშვილმა განაჩენი გაასაჩივრეს. განაჩენის თანახმად, გაზდელიანს 10 წლით, ხოლო ჭეხაშვილს — 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

გამოძიების მასალების მიხედვით, გაზდელიანი, გ. სამსიანი და სხვა პირები წინასწარ შეთანხმდნენ იმაზე, რომ მძევლად ჩაეგდოთ ხელში ირაკლი კოსტავა. შეკრიბეს მასზე ცნობები, ჩათვალეს, რომ მატერიალურად შეძლებული იყო და ფულის გამოძალვის მიზნით, მისი გატაცება გადაწყვიტეს. დაადგინეს კოსტავას მოძრაობის მარშრუტი, გაიგეს, რომ მას ყოველ დილით, ერთსა და იმავე დროს, ბაგა-ბაღში მიჰყავდა თავისი ვაჟიშვილი.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა 2001 წლის 20 თებერვლისთვის დაგეგმეს. სამი ბოროტმოქმედი მივიდა ბაგა-ბაღთან, კოსტავას ჩაუსაფრდა და მის გამოჩენას დაელოდა. დაახლოებით დილის 11 საათისთვის, კოსტავაც გამოჩნდა, თავის შვილთან ერთად. ბავშვი ბაღში დატოვა და იქიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე თავს დაესხნენ გამტაცებლები. ძალის გამოყენებითა და მუქარის შედეგად ჩასვეს ის ავტომანქანაში, შემდეგ, შავი ნაქსოვი ქუდი ჩამოაცვეს თავზე და დიდი დიღმისკენ აიღეს გეზი.

დიდ დიღომში სოსო გაზდელიანს წინასწარ ჰქონდა მომზადებული ბინა. როგორც გაირკვა, ეს ბინა გაზდელიანის ახლობელს ეკუთვნოდა და მასთან ბოროტმოქმედთა ჯგუფის დანარჩენ წევრებს არანაირი კავშირი არ ჰქონდათ. საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ მანამდე, მათ არც იცოდნენ ამ ბინის არსებობის შესახებ. ხოლო რაც შეეხება გაზდელიანს, ბინა მან დანაშაულის ჩადენამდე ცოტა ხნით ადრე მოინახულა, დაათვალიერა და გეგმის შესაბამისად მოამზადა.

მას შემდეგ, რაც გატაცებული კოსტავა იქ მიიყვანეს, გაზდელიანმა თავის ახლობელს — მერაბ ჭეხაშვილს დაურეკა და უთხრა — კაცი მყავს გატაცებული, დიდ დიღომში, ერთ-ერთ ბინაში მოვათავსე და მის სადარაჯოდ კაცი მჭირდებაო. სთხოვა ჭეხაშვილს, დაუყოვნებლივ მისულიყო მასთან და თან ერთი მეგობარიც წაეყვანა. ჭეხაშვილმა თხოვნა შეასრულა და მართლაც, მეგობართან ერთად მივიდა გაზდელიანის მიერ მითითებულ მისამართზე. ის და მისი მეგობარი რამდენიმე საათის განმავლობაში სდარაჯობდნენ გატაცებულს.



ამასობაში, კოსტავასთან ერთ-ერთი ბოროტმოქმედი, რომელიც მას მუსად გაეცნო, მოლაპარაკებას აწარმოებდა. ბოლოს, ისინი 100.000 დოლარის გადახდაზე შეთანხმდნენ. კოსტავას კუთვნილი მობილური ტელეფონით მუსა მის ნათესავს კ. მეყანწიშვილს დაუკავშირდა და მომხდარის შესახებ აუწყა. უთხრა, რომ გატაცებული ჰყავდათ კოსტავა და მის გამოსასყიდად 100.000 დოლარს ითხოვდნენ. რამდენიმე ხანში, მეყანწიშვილს კვლავ დაუკავშირდნენ ბოროტმოქმედები. მეყანწიშვილმა მათ უთხრა, რომ მხოლოდ 50.000 დოლარის შოვნა შეძლო. გამტაცებლები ამ თანხაზეც თანახმანი იყვნენ. თანხის გადაცემის შემდეგ, მათ კოსტავა გაათავისუფლეს. მაგრამ დაზარალებულმა მომხდარის შესახებ უმალ პოლიციას აცნობა. ამის შედეგად, ჭეხაშვილი და გაზდელიანი დააკავეს.

გაზდელიანმა თავი დამნაშავედ არ ცნო. როგორც მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი, ეკა ბესელია ირწმუნებოდა, ის საერთოდ არ ყოფილა შემთხვევის ადგილას და არც დანაშაულში მიუღია მონაწილეობა. გაზდელიანისა და მისი ადვოკატის თქმით, მას ჰქონდა ალიბი, რომლის თანახმადაც, მაშინ, როცა გატაცება ხდებოდა, გაზდელიანი სულ სხვაგან იმყოფებოდა.

განსასჯელისა და ადვოკატის პოზიცია მოსამართლეებმა არ გაიზიარეს. საქმის მასალების მიხედვით, გაზდელიანი შემთხვევის დღეს, მობილური ტელეფონით სარგებლობდა; მის ტელეფონში დაფიქსირებული იყო ორივე მხარეს განხორციელებული ზარები იმ ტელეფონზე, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს, მომხდარი დანაშაულის ტერიტორიაზე იყო; ამასთან, ეს ზარები სწორედ იმ პირების ტელეფონებიდან ხორციელდებოდა, რომლებიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ გატაცებაში.

რაც შეეხება ჭეხაშვილს, მან განაცხადა, რომ უშუალოდ გატაცებაში მონაწილეობა არ მიუღია და მხოლოდ დანაშაულის დაფარვაში იყო დამნაშავე, რასაც ის აღიარებდა და ინანიებდა. გატაცების ორგანიზებასა და განხორციელებაში ის მოსამართლეებს არც უცნიათ დამნაშავედ, მაგრამ მისი ქმედება არც მხოლოდ დანაშაულის დაფარვად შეაფასეს. მოსამართლეების აზრით, ჭეხაშვილმა ადამიანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში მიიღო მონაწილეობა, მაშინ, როცა გატაცებულს სდარაჯობდა და მას გადაადგილების საშუალებას არ აძლევდა. ამასთანავე, საქმის მასალების თანახმად, ჭეხაშვილი სხვა ბოროტმოქმედებთან ერთად მიმართავდა მუქარას. აქედან გამომდინარე, პალატის მოსამართლეებმა ჭეხაშვილს სასჯელი 5 წლამდე შეუმცირეს. გაზდელიანის მიმართ განაჩენი უცვლელი დატოვეს. თუმცა სასჯელის ზომად, 8-ის ნაცვლად, თავისუფლების აღკვეთა 7 წლით განუსაზღვრეს. ■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. კიტრის სამშობლო ინდოეთია.

2. ჯუდი გარლანდი ლაიზა მინელის დედა იყო.

3. დედამიწაზე ყოველ წამს 200 ბავშვი იბადება.

4. ნონა გაფრინდაშვილი საკმაოდ კარგად თამაშობს ბილიარდს.

5. გაჭირვებული ქართველის გამჭრიახობა მომცაო, — ნატრობენ ებრაელები.

6. პრემიერ-მინისტრის რანგში იულია ტიმოშენკომ პირველად საქართველო მოინახულა.

7. მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ტელესკოპი კუნძულ ჰავაიზეა დამონტაჟებული.

8. ალპინისტსა და პარლამენტარ გია თორთლაძეს 11 დოკუმენტური ფილმი აქვს გადაღებული.

9. ვახუშტი კოტეტიშვილი მშობლიურ სოფელ კავთისხევში, საპატიო სოფლელად არის არჩეული.

10. სიცოცხლის ბოლო წლებში, კიბის ქვეშ მცხოვრები ნიკო ფიროსმანი ჩიოდა — ბავშვები ფანჯარას მიმტვრევენო.

11. მოსკოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, რუსეთში დაახლოებით 30000 ბანქოს შულერი მოქმედებს.

12. ასურელები პრასს სამკურნალო მცენარედ მიიჩნევდნენ. მათი რწმენით, იგი ადამიანს გაჭაღარავებისგან იცავდა.

13. ტიბერია და ლიტორიო, იტალიის ქალაქებია. მუსოლინის ბრძანებით, ჭაობები დააშრეს და მათ ადგილას ააშენეს ეს ორი ქალაქი.

14. „ქართული ცეკვა ჩე გევარას და ფიდელ კასტროსაც უცეკვიათ“, — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ნინო სუხიშვილმა.

15. 2005 წლის 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებული აღლუმის დაწყებამდე, მოსკოვის თავზე ღრუბლები 11 ვერტმფრენის დახმარებით გაფანტეს.

16. „თურქი მესხების“ შუა აზიაში გასასახლებლად, ბერიას ბრძანებით, სტუდებეკერებისათვის 750 ტონა ბენზინი გამოყვეს.

17. ფილმში — „ბედის ირონია“ ბარბარა ბრილსკას, ვალენტინა ტალიზინა ახმოვანებს, სიმღერებს კი მის ნაცვლად, ალა პუგაჩოვა ასრულებს.

ინგა ჯაყელი

...ხუთი წლის წინ, უმუშევრობის შემდეგ, მუშაობა რომ დაიწყო მისმა ბედოვლათმა ქმარმა, თალიკოს გაუხარდა და იმისი კითხვაც დაავიწყდა უცებ — ვის დასჭირდა ლოთობისგან ღიპმოშვებული და თვალებამღვრეული მისი ქმარი?!. თან, რა კითხვა უნდოდა, იცოდა, რომ არც მინისტრთა კაბინეტს ჩააბარებდნენ და არც პარლამენტში გამოიძახებდა ვინმე. ეჭვიც არ ეპარებოდა, ვინმეს შავ მუშად ეყოლებოდა დაქირავებული და ვირივითაც ამუშავებდა, მაგრამ მთელი დღე ბირჟაზე გდებას და იაფფასიანი არყის ყლურწვას, ყველაფერი სჯობდა, თან სახლიდან კი არ გაჰქონდა თალიკოს სიმწრით ნაშოვნი „კაპიკები“, აქეთ შემოჰქონდა ყოველდღიურად 2 ან 3 ლარი, რაც კომუნისტების დროინდელ 100 მანეთს უდრიდა გაჭირვებული ოჯახისთვის...

რომ იტყვიან, ქუჩის ბაზრობაზე მთელ დღეს „ნაგდებ“ თალიკოს, ქმრის სადევნად კი არა, თავის მოსაფხანადაც არ ეცალა, მაგრამ ბოლო დროს საეჭვოდ მოეჩვენა ვალერის საქციელი: ჯერ იყო და რომ იბანდა, კარი შეუღო და კაი ხანს უყურა მოღუშულმა, რომ იფიქრა — მეშველა, გონია, გაახსენდა კაცი რომაო! — და გაეპრანჭა კიდევაც, კაცი უსიტყვოდ შეტრიალდა და მას მერე ლოჯიაში იძინებს, სულ არ უნდა საძინებელში შეხედვა... ჩაძინებულს მიაყურადა — იქნება, ბოდვისას ქალის სახელი წამოსცდეს და გევიგო ვისთან დეიწყო წანწალიო! — მაგრამ აღტაცების გამომხატველი შორისდებულების მეტი არაფერი გაუგონია, რასაც შიგადაშიგ კატის ენის წკლაპუნი და წკმუტუნი ერთვოდა ხოლმე: ი-იფ! ვახ! მუ-უ! ვაი-ი-ი-!... — თან სახე როგორი „განათებული“ ჰქონდა ამ დროს, პირდაპირ ბრწყინავდა და იმ 22 წლის ვალერის ემსგავსებოდა, ყველა და ყველაფერი რომ დაავიწყა თალიკოს და უკანმოუხედავად „გეეკიდა წკვარამში“...

— დევიღუპე, ვინცხა გეიჩინა, მარა, შინ უმაქნისი, გარეთ ვის რა ჭირათ უნდა, თან ფულს რავა გოდოუხდიდნენო! — თავის ტკივილი აუტეხა თალიკოს ეჭვმა და აღარც მოასვენა. მეორე დღეს, ქმარი რომ სამსახურში გაისტუმრა, უკან გაჰყვა მალულად... რა ებაზრებოდა და ევაჭრებოდა, ან რას იპოვიდა იმ წყეულ ბაზრობაზე იმის ფასს, რაც ქმრისადმი უყურადღებობის შემთხვევაში შეიძლება დაეკარგა?!.

ფეხით იარა ვალერამ კაი ხანს, თავს ავტობუსში ასვლის უფლებაც არ მისცა, ზედმეტი ხარჯი რომ არ მოსვლოდა. რაღაც ნახევრად დანგრეულ შენობას მიადგა და ფრთხილად დააკაკუნა კარზე, გაუღეს და შევიდა.

თალიკომ პირდაპირ მივარდნა ვერ გაბედა და შორიახლოს დაუდარაჯდა, — როცხა იქნება, გამოვა, აპა, რა იქნებაო?!.

კარი მალე გაიღო, მაგრამ... ვალერას მაგივრად ორი ტანსრული, ფაშფაშა დედაკაცი გამოვიდა, ხელში ვედროები და ცოცხები ეჭირათ. იქვე, ჩიხში ჩაუხვიეს და თვალს მიეფარნენ.

— ამ ბებერ ვაგზლის „უბორშჩიცებთან“ ჩემს ვალერას რა ესაქმებაო? — ცეცხლი შემოანთო ეჭვმა, კარს მიეჭრა და დააბრახუნა. რომ არავინ გამოეპასუხა, იყვირა: ვიცი, მაქანე ხარ, ვალერა უბედურო და გირჩევნია, თავად აღიარო სიმართლეო!..

ისევ დუმილი. მიაწვა კარს და ძვრა ვერ უყო, გარედან დაჟანგული ბოქლომი ედო.

სხვა გზა არ ჰქონდა და ისევ იმ გზას დაადგა, საითაც ის დედაკაცები გაუჩინარდნენ. ჩიხი პატარა იყო და უცებ გავიდა ბოლოში. რომელიღაც დაწესებულების წინ უამრავი „იმპორტული“ მანქანა იდგა. ეზოში შესულმა აბრას ახედა და: „ქალთა №3 აბანო“ – ამოიკითხა.

...კარი თამამად შეაღო და იქვე გააჩერა შვილის ტოლმა ბიჭმა.

– რა გნებავთ, აქ შესვლა უცხოებს ეკრძალებათ!

– რას ჰქვია ეკრძალებათ, ქალების აბანოში დასაბანად მოვედი და ამის უფლებას მართმევ?! – იუკადრისა თალიკომ უარი.

– აქ 40 წელს ზემოთ ქალებს არ ვიღებთ, თან ჩვენი მომსახურება ძვირი ღირს, სულ მცირე 50 ლარი! – დაიბნა ბიჭი.

– ეგი აბანოა თუ ბორდელი?! – სამაგიეროდ, თალიკო არ დაიბნა და ხელი ჰკრა ბიჭს, შესასვლელისკენ გაიწია.

ხმაურზე ხალხი შეიყარა და ჯინსში გამოწყობილმა „პიჟონმა“, რომელიც უფროსს ჰგავდა, იქვე მდგომ თალიკოს „ნაცნობ“ დამლაგებელ ქალებს უყვირა: რას დაგიღიათ პირები, მოჰკიდეთ ხელი და გაიყვანეთო!..

იმათაც სტაცეს ხელი და ის იყო, უნდა ეყვირა თალიკოს – პოლიციას გამოვუძახებო! – რომ ერთმა პირზე ააფარა ხელი და ყურში უჩურჩულა: გამოდი, არ დამღუპოო!..

...კი, ნამდვილად ვალერა იყო, მის ძველ კაბა-კოფთაში გამოწყობილი და დედამისის ნაქონი „კასინკით“ თავწაკრული...

– რას ჰგავხარ, შე უბედურო? – მუხლები მოეკვეთა ქალს.

– წაი ახლა სახში და საღამოს გეტყვი ყველაფერს, ახლა რომ გევიშიფრო, ცოცხალს არ დამტიებენ, ხომ ხედავ, მხეცებში მაქ საქმე!...

...დაუჯერა და წამოვიდა. ნერვიულობისგან წნევამ აუწია და ვალერას მოსვლამდე ტახტზე იწვა თავწაკრული...

როგორც იქნა, დაღამდა, მძიმედ შემოაბიჯა კაცმა ოთახში, შვილები მოიკითხა და რომ გაიგო, არც ერთი არ დაბრუნებულიყო, ჯერ, გაუხარდა, ნამდვილად არ უნდოდა, მათ წინაშე ეღიარებინა მწარე სიმართლე.

– რას გავდი, ვალერა გაჭირვებულო, რა ცირკი მოაწყვე, ასთე რაფრა დეეცი?! – შესტირა ცოლმა და კედლისკენ იბრუნა პირი.

– რა მექნა, აპა, სანამდე მემათხოვრებია კაპიკები, მშიერი, ქვაბში ვერ ვბედავდი ჩახედვას, კაცი ვარ და თავმოყვარეობა მაქვს, მთლად ისე კი არ მომდებია ბოლო, შენ რომ გგონია... ვერ ვიშოვე ვერსით საქმე, აღარაა კაცების ადგილი ამ ქვეყანაში და რა მექნა, იმ აბანოში კი დამლაგებელი სჭირდებოდათ, თან აუცილებლად ასაკოვანი და ქალი... გადაცმა ვახტანგიას მოაფიქრდა პირველათ...

– ის მეორე, ვახტანგია იყო, მაყვალას ქმარი?! – საწოლში წამოჯდა თალიკო, სულ დაავიწყდა წნევა და თავის ტკივილი.

– ის იყო, იმან მეიფიქრა ამფერი ოინი და მის მერეა რომ მევითქვით სული, ბევრი არა, მარა, პურის ფულს ხომ ვშოულობთ...

– ახლა მივხვდი, რეიზა გამიყავი საძინებელი, აღარ მოგწონვარ, ხო, ახალგაზრდა კახპების ნაყურებზე, იმიტომ ოხრავ და კვნესი მთელი ღამე, იქნებ ხელსაც ქე გასობიებენ! – ისევ ეჭვმა გადარია თალიკო.

– კაი, ახლა, თუ ქალი ხარ, თითო ხელის მოსობაში დოლარებს იღებენ, მე რავა წამიკარებს რომელიმე, ძალიანაც მევინდომო, თვალს თუ წყალს დავალევინებ, რა მოხდა! – ხმა დაიშაქრა ვალერამ.

– იმგენის თეძოების და ძუძუების მერე, აღარ მოგწონს ხომ ჩემი ტანფეხი?! – ისევ კაპასობდა თალიკო.

– რაც მართალია, მართალია, ნემეტნავი მეეშვი, ტანსაცმელი დარჩი ცარიელი, მე კაცი ვარ, ძაღლი კი არა, ძვლებზე გევიგიჟო თავი! – აღარ დაიხია უკან ვალერამ და... სკამიც მოხვდა თავში!..

გონს რომ მოვიდა, ატირებული თალიკო ძმარში დასველებული ტილოთი უზელდა გულმკერდს:

– ოღონდ არ მომიკვდე და რაც გინდა, ის ქენი!..

– რავა ფიქრობ, ქალების აბანოს დამლაგებლობა რომ მინდოდა, მიტო დავამთავრე ინსტიტუტი?!. – გატეხილ თავზე მოისვა ხელი ვალერამ და ცრემლი გადმოსცვივდა, მერე კი ბევრი აგინა მამაპაპურად თავის ამ დღეში ჩამგდებს!.. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

18. „მამაკაცს ცხოვრების მანძილზე, ოთხი ცოლი უნდა ჰყავდეს, რადგან იგი ცხოვრების განმავლობაში იცვლება“, – წერდა ერნესტ ჰემინგუეი.

19. ამერიკაში მსახიობ საველი კრამაროვის ემიგრირების შემდეგ, მხატვრული ფილმის – „იღბლიანი ჯენტლმენები“ ტიტრებიდან მისი გვარი ამოიღეს. P.S. დღეს ამ ფილმის მთავარი როლების შემსრულებელთა ოთხეულიდან, არც ერთი აღარ არის ცოცხალი.

20. ამა წლის 28 მაისს, პერუში მოდების ჩვენებაზე მოდელები პოდიუმზე ცხენებით გამოვიდნენ. ერთ ცხენს ფეხი დაუცურდა, თავის მხედრიანად პირდაპირ მაყურებელთა რიგებში მოადინა ზღართანი და ირგვლივ ყველაფერი დალეწა.

21. ძველად რუსეთში, როდესაც ფეხმძიმე ქალს მშობიარობა დაუგვიანდებოდა, ქმარი მას მხრებზე ისვამდა და ქოხში ძუნძულსა და ხტუნვას იწყებდა, რათა დაეჩქარებინა მშობიარობის პროცესი.

22. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ ნაპოლეონს საძინებელ ოთახში ჰქონდა დაკიდებული. იმპერატორი მხატვრობის ბაიბურში არ იყო, მაგრამ და ვინჩის აფასებდა, როგორც გამომგონებელსა და გენიოს უნივერსალს.

23. არსენა ოძელაშვილის მკვლელი, გიორგი კუჭატნელი გვარად სეფისკვერაძე იყო. მან თავის დროზე, ლეკებთან ომში გაითქვა სახელი, რისთვისაც მამული უბოძეს კუჭატანში. კუჭატნელმა არც კი იცოდა, ვინ მოკლა. როდესაც გაიგო, დაწესებულ ჯილდოზე უარი თქვა.

24. „ღამის შოუში“ მიწვეული მხატვარი, ზაალ სულაკაური, კახა ბენდუქიძის კარიკატურის ხატვისას, დავით გოგიჩაიშვილმა გააფრთხილა – პირი არ დაუხატო, რა იცი, რა ხდებაო...

25. „სიმართლე გითხრათ, მინდა, რომ ჯარმა სწრაფად ჩაიაროს აღლუმზე და დროულად დაუბრუნდეს დისლოკაციის ადგილს და წვრთნებს, რადგან მჯერა, რომ ნამდვილი აღლუმის ემოცია ქართველ ერს ჯერ კიდევ წინ აქვს“, – განაცხადა 26 მაისის აღლუმის მზადებისას ირაკლი ოქრუაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

მარი ჯაფარიძე

ანჯელინა ჯოლის კოცნა, ჯენიფერ ლოპესის ღიტინი და სექსი ნიანგთან

„ერთი საოცარი სიზმარი უნდა მოგიყვეთ. დამესიზმრა, თითქოს ანჯელინა ჯოლი და ჯენიფერ ლოპესი ჩემთან სტუმრად იყვნენ. ჯერ ანჯელინა მოვიდა, გამიღიმა, გვერდით მომიჯდა და ის იყო, კოცნა დავუპირე, რომ კარი გაიღო და ჯენიფერი შემოგვმანდა. მე პირველი უფრო მომწონს, ამიტომ მისი ალერსი გავაგრძელე, მაგრამ ლოპესი არ მომეშვა, ზურგზე მეტმასნებოდა, კისერზე მკოცნიდა, მიღიტინებდა... ორივეს ჩავეხუტე. ამ დროს ოთახში ბებიაჩემი შემოვიდა და ფუნთუშები და ყავა შემოიტანა. მის უკან უცხო ადამიანები იდგნენ, ყველანი იღიმებოდნენ... მათ შორის, ჩემი თანაკლასელი გოგონებიც გახლდნენ, სრულიად შიშვლები და მოუძღოდნენ ჩემს შეფს, რომელიც ნიანგზე იჯდა. მერე ნიანგზე ანჯელინა დაჯდა. მე ის ხელში ავიყვანე, საწოლზე დავაწვინე, საბანი დავაფარე და ნიანგს მივუბრუნდი. ბოლოს და ბოლოს, ამდენ ლამაზ ქალში ვიყავი და ყველას ნიანგი ვარჩიე. მასთან ალერსით ვიჯერე გული. ეს საშინელი შეგრძნება იყო. იძულებული გავხდი, გამეღვიძა. კარგა ხანს ვფიქრობდი ამ სიზმარზე, ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი?.. იმის შემდეგ, როცა ოთახში ქალთან ერთად ვრჩები, სულ ის წყეული ნიანგი მახსენდება. პირველ ხანებში, გარკვეული პრობლემებიც კი შემექმნა და ინტიმურ ურთიერთობას ვერ ვახერხებდი. მიზეზს ყველა გოგოს გულახდილად ვეუბნებოდი, ისინი კი გულიანად იცინოდნენ. ჩემი და ნიანგის ამბავი ლამის მთელმა თბილისმა გაიგო. შემთხვევით, ხომ არ იცით, ეს სიზმარი რას უნდა ნიშნავდეს?“

გამგონია, როცა ადამიანი ასეთ უცნაურ სიზმარს ნახულობს, ურჩევენ ხოლმე — საბანი კარგად დაიფარე, ნიავმა რომ არ შეგიღიტინოსო... თუ ეს რჩევა გამოგადგებათ, მოხარული ვიქნები. ახლა კი შემდეგი სიზმარი, რომელიც ნინამ დაგვიმესიჯა.

სიზმრად ნანახი, საქმროს ცოლ-შვილი

„ვმუშაობ ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ლექტორად. 28 წლის ვარ, გარეგნობით სტუდენტებისგან ვერაფრით გამომარჩევთ. ძალზე კარგი ურთიერთობა მაქვს ჩემს მოსწავლეებთან. მიყვარს მათთან ერთად ხეტიალი, ბარებსა თუ დისკოთეკებზე წასვლა. ერთხელ, სწორედ მათთან ერთად ვიყავი, როდესაც ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი მოგვიახლოვდა და პირდაპირ მე

ახდენილი სიზმარი

რუსეთის პრეზიდენტს ქერა ქალი მოკლავს ანუ როგორ აფასებენ მობილურ ტელეფონზე ბალანსს საიქიოში

როგორ ფიქრობთ, ვისი გამოისობით მოხდა ვარდების რევოლუცია? ნურც სააკაშვილს დააბრალებთ, ნურც ბუშს და სოროსს. ვარდების რევოლუცია ჩემმა 80 წლის ბებიამ, ზინაიდა ივანოვნამ „იჩალიჩა“. როცა ჩვენ ჯერ კიდევ აზრზე არ ვიყავით, რა გველოდა ნოემბერში, ბებო ყოველ დილით ამბობდა — წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, რომ ქვეყანაში არეულობა მოხდება, თან „ნაღველმაც“ შემომიტია, უეჭველად მთავრობაში ცვლილებები გველისო. იმდენი იძახა, სანამ რევოლუცია არ მოხდა და მთავრობა მართლაც არ შეიცვალა. ახლანდელ ხელისუფლებას მეგობრულად ვურჩევდი, ბებიის „ნაღველს“ თვალისჩინივით მოუფრთხილდნენ, თორემ, ერთხელაც ისევ შემოუტევს და... წინასწარმეტყველური სიზმრები ისევ დაესიზმრება... გარდა წინასწარმეტყველურისა, არსებობს სხვა „ჟანრის“, მაგალითად — ეროტიკული, ფანტასტიკური, მელოდრამატული, „ბოევიკური“ და საშინელებათა სიზმრები. სიზმარი შეიძლება იყოს აგრეთვე შავ-თეთრი და ფერადი. შეგიძლიათ, სიზმარი ნახოთ, აიხდინოთ და „გააჩუქოთ“ კიდეც. ეს კი საკმაოდ მარტივად ხდება: თავზე შარფს შემოიხვევთ, ხელს სამჯერ შემოიტარებთ თავს ზემოთ და იტყვით: ჩემი სიზმარი — შენ, ჩემი სიზმარი — შენ...

დროა, მკითხველებს გადავცეთ სიტყვა. 25 წლის შალვა მოგვითხრობს:

დამასო მზერა. თქვენი გაცნობა მინდა, მაგრამ ახლა არ მცალია, ტელეფონის ნომერი მომეცით, საღამოს დაგირეკავთო. ყველანი სახტად დავრჩით, მაგრამ ტელეფონის ნომერი მაინც მივეცი. გოგონები მეუბნებოდნენ — აუ, ნინა მასწ, ეტყობა, ძალიან მოეწონე,მაგარი „დერზკი“ ტიპი ჩანს,აუცილებლად შეხვდითო. ბიჭები მეხუმრებოდნენ — ნინა მასწ, ჩვენც წამოგვყებით პაემანზე, თუ რამეს ზედმეტს გაკადრებთ, იქვე, თქვენ თვალწინ, ჰაერში ვაბურთავებთო... მე და ლევანი ერთმანეთს ძალზე დავუახლოვდით. ბავშვებიც კი ხვდებოდნენ, რომ შეყვარებული ვიყავი. მის გარდა, არავინ და არაფერი აღარ მაინტერესებდა. მთელი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ლევანი ოჯახის შექმნას არ ჩქარობდა, თუმცა, არც მე ვიყავი პატარა და არც ის და მიმაჩნდა, რომ დრო იყო, ჩვენი ურთიერთობა ცოლქმრული კავშირით გაგვემყარებინა. ერთ საღამოს ადრე დავწექი დასაძინებლად. უამრავი ფიქრი შემომაწვა. ვცდილობდი, მეპოვა მიზეზი, რის გამოც ლევანი დაქორწინებაზე არაფერს ამბობდა, მიუხედავად იმისა, რომ ვგრძნობდი, უზომოდ ვუყვარდი. მტკიცედ გადავწყვიტე, მეორე დილით ჯერ ეკლესიაში წავსულიყავი, შემდეგ კი ლევანს დავლაპარაკებოდი ამ საკითხზე და ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ ამჯერად უფრო გამბედავი ვიქნებოდი და არასასურველ საუბარს აღარ გადავდებდი. როდისროდის ჩამეძინა და სიზმარში ლევანი ვნახე. ხელ-ფეხი ჯაჭვით ჰქონდა შეკრული და კედელთან იდგა. ცდილობდა, თავი დაეღწია ბორკილებისთვის, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა. მის ფეხებთან ახალგაზრდა ქალი

ოჯდა, კალთაში ბავშვი ჰყავდა ჩაგორებული, მე კი ლევანის წინ ვიდექი და დროდადრო მათრახს ვურტყამდი. შეშინებულმა გავიღვიძე. სიზმარმა უფრო დამარწმუნა იმაში, რომ ლევანს უნდა დავლაპარაკებოდი. საღამოს დავიმარტოხელე და პირდაპირ დავუსვი საკითხი — როდის უნდა დავქორწინდეთ-მეთქი? სახე აელეწა და სწორედ ისეთ დღეში ჩავარდა, როგორც სიზმარში ვნახე. ცდილობდა, საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ მე ამის საშუალებას არ ვაძლევდი. რომ იტყვიან, მართლა კედელთან მივაყენე და ვაიძულე, გამომტყდომოდა, რომ ცოლ-შვილი ჰყავდა. ბოლოს ისიც დაამატა, რომ ცოლთან გაყრას აპირებდა და მერე ხელ-ფეხიც გაეხსნებოდა, რომ ჩემზე დაქორწინებულიყო... წარმოიდგინეთ, როგორ ზუსტად ახდა ჩემი სიზმარი. მე ხომ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ მას ოჯახი ჰყავდა... ერთმანეთს დავშორდით. მე სხვაზე გავთხოვდი, ლევანი კი ცოლს მაინც გაშორდა. მაგრამ როცა შემთხვევით მოკრავ ხოლმე თვალს, ვგრძნობ, რომ ის ძალზე უბედურია. არც მე ვარ ბედნიერი, მაგრამ უფრო მეტად ვიგრძნობდი თავს დამნაშავედ, მას ოჯახი ჩემ გამო რომ დაენგრია. ნახვამდის. ნინა".

შემდეგმა სიზმარმაც და მესიჯმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დარწმუნებული ვარ, არც თქვენ დაგტოვებთ გულგრილს. ამიტომ ყოველგვარი კომენტარის გარეშე გთავაზობთ.

„სიზმრად უცნობი, იდუმალი ქალი მოდიოდა..."

„ძალზე კარგი მშობლები მყავს. მამა წლების განმავლობაში ჩაის ფაბრიკის დირექტორი იყო, დედა — საშუალო სკოლაში ფიზიკას ასწავლიდა. დედისგან ძალზე ბევრი რამ ვისწავლე. მყავს უფროსი ძმა, რომელიც უზომოდ მიყვარს და რომ დამჭირდეს, ჩემი გულისთვის საკუთარ სიცოცხლეს არ დაიშურებს. ბავშვობიდანვე „სიზმარა" ვიყავი, ღამეში რამდენიმე სიზმარს ვნახულობდი და დილით ყველა მახსოვდა ხოლმე. მთელი ცხოვრების მანძილზე, ერთი უცნაური ქალი მესიზმრებოდა. წლების განმავლობაში დავაფიქსირე, რომ ამ ქალს ჩემს დაბადების დღეზე ან ისეთ დღეებში ვნახულობდი, როცა ჩემს ცხოვრებაში რამე მნიშვნელოვანი ხდებოდა. თუ ავად გავხდებოდი, იმ ღამით აუცილელად მეცხადებოდა სიზმარში და მთელ ღამეს ჩემს საწოლთან ატარებდა. ყოველთვის ერთი და იგივე კაბა ეცვა, თუმცა, ამას კაბასაც ვერ დავარქმევდი. ეს იყო თეთრი ტომარა, რომელსაც მხოლოდ თავისა და ხელების გასაყოფი ჰქონდა. ამ ქალს თმა მუდამ გრძელი და ჩამოშლილი ჰქონდა. თავდაპირველად ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მერე და მერე ეს საგონებელში მაგდებდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთხელ, უბედური შემთხვევისგან მიხსნა. მაშინ მე-7 კლასში ვიყავი. სასწავლო წელი მთავრდებოდა და კლასი ექსკურსიაზე წასასვლელად ვემზადებოდით. წინა ღამით, ეს უცნაური ქალი მესიზმრა და მთხოვა, უარი მეთქვა წასვლაზე. მე გავჯიუტდი, სიზმარში ვტიროდი და ვეჩხუბებოდი — ვინ ხარ, რა შენი საქმეა, წავალ თუ არა-მეთქი. ის ტელევიზორს მიუახლოვდა, ჩართო და მთხოვა, ყურადღებით უყურეო. ეკრანზე გამოჩნდა ავტობუსი, რომელიც გზაზე მიქროდა. ავტობუსი ხევში გადაიჩეხა. ცხადად ვხედავდი, როგორ ამოტრიალდა რამდენჯერმე და როგორ დაენარცხა მიწას. ვხედავდი ადამიანებს, რომლებიც ცდილობდნენ, დაშავებულებისთვის დახმარება გაეწიათ. ავტობუსიდან გადმოჰყავდათ დასისხლიანებული ჩემი თანაკლასელები... შეშინებულმა გავიღვიძე. დილა რომ გათენდა, დედას ჩემი სიზმარი მოვუყევი. დამამშვიდა — თუ შეგეშინდა, ნუ წახვალო, მითხრა. თვითონ კი სკოლის ეზოში შეკრებილ ბავშვებსა და მასწავლებლებს სთხოვა, გადაეფიქრებინათ წასვლა, მაგრამ ყური არავინ დაუგდო... ჩემი სიზმარი

ახდა. ავტობუსი მართლაც ხევში გადავარდა. მეორე დღეს, ტელევიზიით უჩვენებდნენ კადრებს, რომლებიც მე წინაღამეს სიზმარში ვნახე. ამ შემთხვევამ მაშინ მთელი საქართველო შეძრა. 11 ბავშვი და ორი პედაგოგი დაიღუპა. ამ ამბის შემდეგ, როცა სიზმარში იმ უცნაურ ქალს ვნახულობდი, სულ ვეკითხებოდი — ვინ ხარ-მეთქი? მაგრამ პასუხს ვერასოდეს ვიღებდი. სტუდენტობისას ერთი ბიჭი შემიყვარდა. ოჯახის შექმნაზე სერიოზულად ვფიქრობდი. ეს ქალი კი მოსვენებას არ მაძლევდა, სიზმარში ჩაჩიჩინებდა — მაგას ცოლად არ გაჰყვე, უბედური იქნებიო. თქვენ წარმოიდგინეთ, დავუჯერე, რადგან ის ჩემს მფარველ ანგელოზად მეგულებოდა და იმდენად ვთვლიდი ჩემი ცხოვრების ნაწილად, რომ სახელიც კი შევურჩიე და მოფერებით ბაბუცას ვეძახდი... უკვე გათხოვილი ვიყავი და ორი შვილიც მყავდა, როცა მორიგი დასიზმრების დროს ვთხოვე — შენი სახლი მიჩვენე-მეთქი. ძალზე შორს წამიყვანა და სასაფლაოზე, ერთ-ერთ საფლავთან მიმიყვანა. შემოღობავი საფლავი იყო, სადაც ჯვარიც კი არ იყო დასმული. მხოლოდ დიდი ცაცხვის ხე იდგა. გავაცნობიერე, რომ ეს ქალი გარდაცვლილი იყო და შეშინებულმა გავიღვიძე. იმ დღესვე დედასთან წავედი (მე ოჯახთან ერთად ცალკე ვცხოვრობდი) და ვთხოვე, დამხმარებოდა, ვუთხარი — მის გარეგნობას დაწვრილებით აღგიწერ, იქნებ მიხვდე, ვინ არის-მეთქი. დედამ არ მომისმინა და მთხოვა — შაბათს დილით არსად წახვიდე, მე და შენი ძმა გამოგივლით, სადღაც უნდა წაგიყვანოთო. გუმანით ვგრძნობდი, რომ შაბათს რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გამეგო. მანამდე მთელი ოთხი დღე და ღამე იყო დარჩენილი. ყოველღამით მესიზმრებოდა ბაბუცა. ხან ტიროდა, ხან იცინოდა. ხანდახან მხოლოდ შორიდან მეჩვენებოდა და ახლოს არ მოდიოდა. უცნაურად იქცეოდა... როგორც იქნა, შაბათიც დადგა. დილით ადრე გავემგზავრეთ. გზაში ხმას არ ვიღებდი, არც არავის დაუძალებია, რამე თქვიო. რაიონში ჩასვლას მთელი 5 საათი მოვუნდით. იქ კი გეზი სასაფლაოსკენ ავიღეთ. ჩემი სოფლიდან კარგა მანძილით მოშორებული ადგილი იყო. სასაფლაოზე მისვლისთანავე, თვალში მომხვდა განმარტოებით, ღობის გარეთ ამოსული ცაცხვის ხე. სიზმარში ნანახი ადგილი უცებ ვიცანი და მაშინვე ვთქვი — ბაბუცა, აი, იქ არის დასაფლავებული-მეთქი. დედამ გაოცებულმა შემომხედა. მართლაც, იქ მივედით. მხოლოდ ამობურცული ადგილის მიხედვით მიხვდებოდით, რომ იქ საფლავი იყო. ძირს დავჯექი და საფლავის მიწას ხელი გადავუსვი. სწორედ ამ დროს, დედამ მითხრა — აქ დედაშენია დამარხულიო... ფეხზე წამოვხტი. უწყლოდ დარჩენილი თევზივით ვაფჩენდი პირს და სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი. შემდეგ, აი, ასეთი ამბავი მოვისმინე: დედაჩემს სინამდვილეში ქეთინო რქმევია. თურმე, საყვარელი მამაკაცისგან დაფეხმძიმებულა და ამის გამო, მამამისი სიცოცხლეს უმწარებდა, მაგრამ მას ბავშვის მოცილება არ ნდომებია. მამამისს ხელფეხშეკრულიც კი წაუყვანია ექიმთან, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. ორსულობის უმეტეს დროს თურმე, ტყეში ჩადგმულ ქოხში ატარებდა (იქ საძოვრები ყოფილა და მწყემსების ქოხი მდგარა), რომ მამის რისხვა აეცილებინა თავიდან და ბავშვიც გადაერჩინა. დედა ჩუმად აწვდიდა საჭმელს და წყალს. როცა მშობიარობის დრო მოსულა, მუცელმტკივან ქალს სახლისთვის მიუშურებია, რომ დახმარება გაეწიათ. მისდა საუბედუროდ, მამა შინ დახვედრია და მშობიარე შვილი წიხლით უცემია... ჩემი გადარჩენა შეძლეს, მაგრამ დედა ვეღარ გადაარჩინეს. გაოფორებულ მამას შვილის დატირების უფლებაც კი არ მიუცია ცოლისთვის... იმავე საღამოს, სასაფლაოს ღობის მიღმა გაუთხრია საფლავი და თავისი ხელით შეკრულ კუბოში ჩასვენებული შვილი მარტოს მიუბარებია მიწისთვის... ცაცხვი საფლავზე თავისით ამოსულა. ჩემს ბებიას თურმე, ჩემი გამზრდელი დედა კარგად იცნობდა. ერთხელ დაუჩივლია — მეშინია, ჩემმა ქმარმა ბავშვი არ მოკლას, ხანდახან ისეთი ზიზღით უყურებს, რომ მგონია, მოახრჩობსო. დედას შეუთავაზებია — ბავშვი მე მომეცი, ერთი ბიჭი მყავს, გოგონას საკუთარი შვილივით მოვუვლიო. ბებოს ქმარი მოუტყუებია — ბავშვი თბილისში უნდა გავაშვილოო, — და დედასთან მოვუყვანივარ, თან თავისი შვილის ფოტოც მოუტანია — იქნებ, რომ გაიზრდება, სიმართლე შეიტყოს და ფოტო მაინც აჩვენეთო... ეს ქალი ბავშვობაში ხშირად დადიოდა ჩვენთან სტუმრად. შემდეგ დაიღუპა. მისი ქმარი დაპატიმრებული იყო. ძალზე დიდი ხნის შემდეგ, ჭლექით დაავადებული, გამოუშვეს ციხიდან. ამის შემდეგ, მეზობლები თურმე, ხშირად ხედავდნენ შვილის საფლავთან მჯდარს. სულიც იქ დაულევია, მძიმედ დაავადებულს... სურათიდან ჩემი ბაბუცა მიყურებდა და მიღიმოდა. იმ ღამით, ისევ მესიზმრა დედაჩემი. ტიროდა... ახლა მე უკვე 42 წლის ვარ. მყავს დედა რეალურ ცხოვრებაში და დედა — სიზმარში. ორივე ერთნაირად მიყვარს. მე მას ისევ ბაბუცას ვეძახი. ხომ დაუჯერებელი ამბავია! ორ შვილს ვფიცავ, თუ რამე დამემატებინოს... ნახვამდის".

მართლაც, საოცარია და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ის, რასაც ცხოვრება „შეთხზავს", ნებისმიერი, თუნდაც გენიოსი შემოქმედის ფანტაზიისთვისაც კი მიუწვდომელია...

მომდევნო რესპონდენტის მონათხრობიც, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთობ უჩვეულოა, თუმცა, სრულიად განსხვავებული შინაარსის გახლავთ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენმა გულის სწორმა ციდან ვარსკვლავის მოწყვეტა გთხოვათ. შეგეშინდათ?.. არ შეძრკეთ, თქვენ არც პირველი ხართ და არც — უკანასკნელი. სიზმრის საშუალებით 1-2 კაშკაშა ვარსკვლავის მოწყვეტა ძნელი სულაც არ არის. სულს შეუბერავთ, კოსმოსური მტვრისგან გაწმენდთ, პალტოს სახელოთი გააპრიალებთ და უსახსოვრებთ... მეგობრულ რჩევას მოგცემთ: გაითვალისწინეთ, რომ ხალხში გავრცელებული აზრის მიხედვით, ვარსკვლავის და ყველა იმ სხეულისა თუ ნივთის სიზმრად ნახვა, რომელიც კოსმოსთან არის დაკავშირებული, ჯადოს არსებობას მოასწავებს.

ახდენილი სიზმარი და ნაპოვნი ჯადო

„ხათუნას წლების განმავლობაში ვიცნობდი, მაგრამ მის მიმართ გრძნობა არასოდეს გამჩენია. ერთი ჩვეულებრივი გოგო იყო. თუმცა, მთელი 12-წლიანი ურთიერთობის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ მის გარეშე გაძლება მიჭირდა, რომ ბოლო დროს, მოვუხშირე მასთან რეკვას და საათობით ლაპარაკს. როცა გავაცნობიერე, რომ მიყვარდა, შოკში ჩავვარდი, იმდენად მოულოდნელი იყო. რას ვიზამდი? ბოლომდე მივენდე გრძნობებს და ხათუნასაც გავუმხილე ამის შესახებ. არ გაჰკვირვებია. ჩვეულებრივად მიიღო და მითხრა — მე უკვე მრავალი წელია, მიყვარხარ და მადლობა ღმერთს, ჩემი გრძნობა უპასუხოდ არ დარჩაო... ჩვენმა საერთო ნაცნობებმა უმალ შეიტყვეს ჩვენი სიყვარულის შესახებ. ყველა გაკვირვებული იყო — ამდენი წელია, ხათოს იცნობ და ახლა მიხვდი, რომ გიყვარსო?.. ჩვენი ურთიერთობა მძაფრსუბიექტიანი ფილმივით ვითარდებოდა. ხშირად ვჩხუბობდით, ხათუნა ეჭვიანობდა. დედაჩემი ღაწვს იხოკავდა — ეგ გოგო რძლად არ მომწონსო... ერთ ღამეს, ასეთი სიზმარი ვნახე: ხათუნა მომიახლოვდა, უფრო სწორად — „მოფრინდა" ჩემთან, მუჭში უამრავი მოელვარე ვარსკვლავი ჰქონდა მოგროვილი, თავზე დამყარა და მითხრა — ასეთი ვარსკვლავები ციდან მომიკრიფე და მომიტანეო... დილით რომ გავიღვიძე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ზღაპარში ვიყავი. სიზმარი რაღაცის მიმანიშნებლად მივიჩნიე და გადავწყვიტე, გამეგო, რას ნიშნავდა ნანახი სიუჟეტი. მივაკითხე ერთ ქალბატონს, რომელიც მკითხაობასა და სიზმრის ახსნაში იყო დახელოვნებული. შესაბამისი ანაზღაურების საფასურად მითხრა — ეს სიზმარი იმის მანიშნებელია, რომ ამ გოგომ ჯადო გაგიკეთაო.

გავითიშე. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ პატრულმა ჩვენ დაგვიჭირა. მე გამოვიქეცი, მაგრამ მეგობარი მთელი ღამე განყოფილებაში აყურყუტეს. ბესო, როგორ ხარ, ჯიგარო?.. ამის შემდეგ კონცერტზე „კასკები“ და რკინის მობილურები წავიღოთ, „ხარაშო“? გიო, თელავი“.

„ალბათ გახსოვთ ჩემი ადრინდელი გზავნილი, სადაც ვამბობდი, რომ გიოს პირველი კოცნა ვაჩუქე, ის კი გერმანიაში მიდის-მეთქი... ახლა გეტყვით, რომ ყველაფერი სიცრუე ყოფილა. ის თურმე, ძველ საყვარელს შეხვედრია და ახლა მომწერა – მე არავის არაფერს შევპირებივარო. არადა, სიყვარულს მეფიცებოდა. წარმოგიდგენიათ? ცუდ სიტუაციაში ვარ, აბა, რა! ნანო“.

„შესაძლოა, მეჩვენება, მაგრამ ვფიქრობ, საკმაოდ მძიმე ცხოვრება მაქვს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენები ძალზე მაფიქრებს. ჩემი თანაკლასელი ბიჭი სიცოცხლეს მიმწარებს. ცდილობს, დამამცირო და ხან რა სისაძაგლეს მეძახის, ხან – რას. მის გამო ხშირად ჩავვარდნილვარ არასასიამოვნო კი არა, საშინელ სიტუაციაში. იცით, რამდენჯერ მიტირია ცხარე ცრემლით?.. არადა, მგონი, ვუყვარვარ. მაშ, რატომ იქცევა ასე?.. მე კი მის მიმართ ხან სიყვარულს ვგრძნობ, ხან კი უზომოდ მეზიზღება. ანა“.

„ერთი რამ უნდა გავანდო „გზავნილებს“: საკუთარმა ნათესავმა, დეიდაშვილის შვილმა, 18 წლის ლაწირაკმა გოგომ ჯერ სიყვარული ამიხსნა, მერე მითხრა – უიმე – რაებს ვბოდავ, რა სიყვარული ამიტყდა, შენთან მხოლოდ ერთხელ დაწოლა მსურსო... თან გამაფრთხილა – არც პირველი ხარ და არც ბოლო იქნებიო... არასასურველი სიტუაცია კი არა, 2 წელია, შოკიდან ვერ გამოვსულვარ... ზაზა“.

„არასასურველ სიტუაციაში მაშინ აღმოვჩნდი, როცა ზღვაზე ლიფი გამძვრა. მე რომ შევნიშნე, უკვე გვიანი იყო: მთელი პლაჟი მე მიყურებდა.. ქეთი“.

„ერთი ბიჭი უზომოდ მომწონდა. ყოველდღე ვუმესიჯებდი. რატომღაც იფიქრა, რომ ვაშაყირებდი, ან ისეთი „ლენჩავიკა“ იყო, რომ ვერაფერს მიხვდა. იურისტები ვართ. ერთმანეთთან ყოველდღიური, საქმიანი ურთიერთობა გვიწევს. ახლა თავს ძალზე უხერხულად ვგრძნობ, რომ მე ასეთი სულელი აღმოვჩნდი, ის კი – ასეთი ჩოჩორი“.

„არასასურველ სიტუაციაში მაშინ აღმოვჩნდი, როცა ჩემს დაქალთან სტუმრად ვიყავი და მისმა „ტურფამ“ მოაკითხა... როცა მან კარზე დააკაკუნა, დაქალმა ის ოთახში არ შემოიყვანა და იქვე შემოსასვლელში ჩამოსხდნენ. გიორგობა დღე იყო, დენი არ გვქონდა. სანთელი თან წაიღო, მე კი სიბნელეში დავრჩი. კავალერი ნასვამი გახლდათ. ცოტა ხანში, ისეთი საალერსო სიტყვები და კოცნის ხმა შემომესმა, რომ გავშეშდი. ყურებზე ხელები ავიფარე და ვინატრე – ნეტავ, ამ ოთახის ფანჯარას ცოტათი დიდი „ფორთოჩკა“ ჰქონდესმეთქი... ბოლომდე პირნათლად „გამოვიყენე დუმილის უფლება“... იმ ტიპმა დღესაც არ იცის, რომ მე იქ ვიყავი და მათი ალერსის მომსწრე გავხდი. ლამის სანთლის დაჭერამაც მომიწია... აი, ასეთი ამბებიც ხდება, ჰორაციო!“

„არასასურველ სიტუაციაში აღმოვჩნდი, როცა მივხვდი, რომ ჩემი შეყვარებული აღარ მიყვარდა. ვერ შევძელი, მისთვის ეს ამბავი გამემხილა, რადგან ძალზე მეცოდებოდა. ზიზღით ვთამაშობდი შეყვარებული ადამიანის როლს... მერე გამოჩნდა სხვა ადამიანი, რომელსაც გავუმხილე ჩემი გასაჭირი. ის მარწმუნებდა, რომ ჯობდა, სიმართლე მეთქვა. ამასობაში ეს, მეორე შემიყვარდა, მაგრამ ვერც მას ვუბედავ ამის გამხელას. „პატარა“.

„ჩემმა დაქალმა გადაწყვიტა, ბებიამისი შეეშინებინა, რადგან ის შინიდან არ უშვებდა. აი, სწორედ მაშინ აღმოჩნდა ბებო არასასურველ სიტუაციაში. ნინომ პირში წითელი ღვინო ჩაიგუბა, კიბის ქვეშ დაწვა და წითელი სითხე ნელ-ნელა გადმოუშვა... ხომ წარმოგიდგენიათ, ბებიამისი რა დღეში ჩავარდებოდა?!. ქალს ეგონა, რომ ნინო კიბიდან დაგორდა, თავი ძირს დაარტყა და კვდებოდა... თამუნა“.

„მარი, დაგიჩოქებ, ოღონდ, ეს მესიჯი სადმე „ჩაბიკვეხე“... ერთ ბიჭზე ჭკუა მეკეტებოდა, ისე მიყვარდა, ოღონდ – მეგობრულად. საერთოდ, თბილი ადამიანი ვარ და მასაც სულ „სიხარულოს“ ვეძახდი. ის „ძველი ბიჭია“. მისი ძმაკაცის ძმაკაცი კი, ჩემი შეყვარებული გახლდათ. ჰოდა, ამ ბიჭს, ამდენი „სიხარულოს“ ძახილში თურმე, შევუყვარდი... ერთ დღეს, შეყვარებულთან ერთად ვჭუკჭუკებდი, ამან კიდევ დამიძახა, გვერდზე გამიყვანა და სულ „ქურდული ბაზარით“ გამირჩია საქმე: „ჯოგო, შენ როგორ იქცევი, ხომ იცი, რომ ეგ ბიჭი ჩემი „ჩერეზ“ ძმაკაცია, რა გინდა, ძმაო, ერთმანეთი უნდა მოგვაკვლევინო?!. შენი გულისთვის ყველა გოგოს „დავადე“ და თუ არ გიყვარდი, „სიხარულოს“ რაღატომ მეძახდი? ცალმხრივი „დვიჟენია“ არ მიყვარს, იცოდე. ვახ, ჩემი, ეს რა მიქენი, ბავშვო! (მე 18 წლის ვარ, ის – 25-ის)! „პროტივზე“ არასოდეს გამივლია, შენ კი ჭკუიდან უნდა გადამიყვანო?!.“ შემეცოდა ჩემ მიერ უნებლიეთ მოტყუებული ბიჭი და შეყვარებულს „დავადე“. აი, რა არასასურველ სიტუაციაში ჩამაგდო ჩემმა თბილმა ბუნებამ... „ტუპიაჩკა“.

„იცით, დღეს რა დამემართა? დიდი ამბით გოგოს „ვეპრანჭებოდი“ და ღვინით სავსე ბოთლებით არ შევეფეთე „სასიდედრუნიას“?! როგორი სიტუაციაა? პუსიკა, მიყვარხარ“.

„ტელეფონით გავიცანი ერთი ბიჭო, რომელიც სულ მეუბნებოდა – ძალზე მაგარი გარეგნობა მაქვსო. შემთხვევით შევხვდი და... რატომ მატყუებდა? ძალზე ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდი. მასთან შეხვედრაზე ვოცნებობდი, მაგრამ... ჩემ მიერ აგებული კოშკების დანგრევა მომიწევს“.

„5 თვის წინ ერთი კაცი გავიცანი. ის თბილისელია, მე – ბათუმელი. მხოლოდ მობილურით მეკონტაქტება, მაგრამ მეუბნება – მიყვარხარო. მე კი ქმარი და ორი შვილი მყავს. ქმარი ყველა ჩემს სურვილს ასრულებს. ის უცნობი ხმა კი ძალზე მაშინებს. თუ ამ ჟურნალს წაიკითხავს და თავის თავს ამოიცნობს, მინდა ვუთხრა, რომ დამივიწყოს. ირინა“.

„ტელეფონით გავიცანი საბა და ძალზე შემიყვარდა. მისთვის ყველაფერზე წავიდოდი. ერთ დღეს შემომჩივლა, რომ რაღაც გასაჭირი აღგას და ფული სჭირდება. ავდექი და რაც მებადა, ყველა ძვირფასი სამკაული მივეცი. აღმოჩნდა, რომ ფლიდი და მატყუარა ყოფილა. სიყვარულთან ერთად ძვირფასეულობაც დავკარგე. აი, ასე აღმოვჩნდი არასასურველ სიტუაციაში“.

„არასასურველ სიტუაციაში მაშინ აღმოვჩნდი, როცა ტელეფონით გაცნობილ ბიჭს შევხვდი და „ყურშა“ აღმოჩნდა. არადა, ალენ დელონი მეგონა“...

დღეს გზავნილებს ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – მისი წყევლა ამიხდა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ნდობის ტელეფონი

822-009-099

ზარი ფასიანია.
18 წლიდან

მადლობას. შენს იმედზე ვართ მე და დადა“.

„მინდა, ლაშას ვუთხრა, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს. არ წავალ ამერიკაში, რადგან ვიცი, უშენოდ წამითაც ვერ გავძლებ. გამოცდები მივატოვე, ფოთის მატარებელში ჩავჯექი და გაოგნებული თვალები დავუკოცნე: ის ხომ მხოლოდ 15 დღის შემდეგ მელოდა. დამიბეჭდე, მარი, და გპირდები, ქორწილი არ აგცდება“.

„ერთხელ დამესიზმრა, რომ ჩემი შეყვარებული უცხოეთიდან დაბრუნდა. ეს სიზმარი მეორე დღესვე ამიხდა. მეორე ღამეს დამესიზმრა, თითქოს მომიტაცა. მეორე დღეს, მაღაზიაში რომ წავედი, ეს სიზმარი სწორედ მაშინ ამიხდა. ძალზე გავბრაზდი. გზაში წივილ-კივილი არ ამიტეხია. ვეხვეწე, მანქანის საჭესთან დამსვით-მეთქი და ხათრი არ გამიტეხეს. ისე გავაქროლე მანქანა, რომ ლამის შიშისგან ჩაისვარეს. გააჩერე, უნდა ჩამოვიდეთო, – მეხვეწებოდნენ. მე კი, მანქანიდან „გადმოლაგდნენ“ თუ არა, მოვაბრუნე და შინ წამოვედი. თათა“.

„თეთრ ცხენზე ამხედრებული უფლისწულები ნამდვილად არასოდეს დამსიზმრებია. თუმცა, ისე მოხდა, რომ ყველაფერი მართლაც ახდენილ სიზმარს ჰგავდა. ორი წლის წინ თავდავიწყებით შემიყვარდა ერთი ბიჭი. ქარში, წვიმაში, თოვლში ხელიხელჩაკიდებულები საათობით დავხეტიალებდით ქუჩებში. რამდენჯერ ყოფილა – დაღლილი, ხელში ავუყვანივარ და ჩემს სადარბაზომდე ისე მივუყვანივარ. სულ ახლახან კი, თავად ვთქვი მასზე უარი. ჩემი მშობლები ჩემს დაბადებამდე დაშორდნენ ერთმანეთს. „ძვირფას“ სადედამთილოს კი თურმე, ასეთი ოჯახიდან გამოსული, უმამო და უპატრონო რძალი არ სურდა. დედამისი ისეთია, ვიცი, არასოდეს გვაპატიებს მისი სურვილის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯს. მაპატიე, სიხარულო, ლამაზი სიზმრები თურმე, არ ახდება. მიყვარხარ, მაგრამ ასე ჯობს. მშვიდობით!“

„მარი, გადავწყვიტე, გაგებუტო, მაგრამ ვიცი, უშენოდ ვერ გავძლებ. ანდა შენ რას გემართლები?! ყოველთვის შუაღამეს გწერ მესიჯს და შენც ალბათ ამის გამო მსჯი – არ მიქვეენებ. ალბათ ფიქრობ, ასეთი ერთგული მკითხველი არ მჭირდება, დამესიჯების დრო რომ არ იცისო. არადა, რომ იცოდე, როგორ მიყვარს „გზავნილები“! შექმნის დღიდან, ყველა ნომერს სათუთად ვინახავ. დამცინიან – მზითევს აგროვებსო... მართლა მიყვარხართ, აფერისტობის გარეშე გეუბნებით. რაჭველი პაწია“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – ზღვაზე გაცნობილმა ადამიანმა ჩემი ცხოვრება გადააბრუნა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

„ავტოინსტრუქტორი დამიშალია და ამიტუკვია, ასე რომ, ქუჩაში დარჩენა არ მიმაქრიჭა“...

შავი, თეთრი ზოლებით — ასე გამოიყურება მომღერალ ნინო ქათამაძის ორიგინალური მანქანა, რომლის დანახვაზეც ღიმილს ვერ შეიკავებთ და გაიფიქრებთ — ნეტავ, ამ მანქანაში ადამიანი როგორ ეტევაო? არადა, „მინიკუპერში“ თვითონ ნინო კი არა, მისი ნათლია — რომა რცხილაძეც კი კომფორტულად და უპრობლემოდ თავსდება.

ნინო ჯავახიშვილი

– ძალიან მაგარი მანქანა მყავს – „როვერის“ ფირმის „მინიკუპერი“. იცი, როგორ შევიძინე?.. მანქანის ყიდვა რომ მინდოდა, ამის შესახებ ჩემმა ნათლიამ – რომა რცხილაძემაც იცოდა. გაუგია, რომ ეს მანქანა იყიდებოდა, უნახავს და მოსწონებია. იმ საღამოსვე დავრეკეთ მანქანის პატრონთან და ვიყიდე კიდეც. სასწაული მანქანაა, ძალიან მიყვარს. რაკი პატარაა, ყველას ჰგონია, რომ მსუბუქია და მოსინჯავენ ხოლმე – ხელით ხომ ვერ ავწევთო? ამაზე ყოველთვის მეცინება. პატარა კი არის ვიზუალურად, მაგრამ 1 ტონასა და 200 კგ-ს იწონის. 4-ცილინდრიანი ძრავა აქვს, ძლიერი მანქანაა.

— თქვენს ნაცნობებს შორის კიდევ ვინმეს ხომ არ ჰყავს ასეთივე მანქანა?

– არა. თბილისში დადის რამდენიმე ორიგინალური და გამორჩეული ავტომანქანა, მაგრამ ასეთი – არა. სულ რამდენიმე თვეა, რაც შევიძინე. თებერვალში ვიყიდე და ამ 5 თვის მანძილზე, 3 თვე თბილისში არც ვყოფილვარ. ჩემს მანქანას ვერავის ვანდობ, ნათლიის გარდა. მხოლოდ ის სარგებლობდა, როცა თბილისში არ ვიყავი. თქვენ წარმოიდგინეთ, ეტევა – ასე რომ, მანქანა არც ისეთი პატარაა.

— რამდენი ხანია, რაც საჭეს უზიხართ? „მინიკუპერი“ პირველი მანქანაა თქვენთვის?

– ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც მამამ მაჩუქა მანქანა – ჯერ კიდევ სკოლაში დავდიოდი. თეორიულად ყველაფერი ვიცოდი, ამიტომაც არ გამჭირვებია მართვა, არ დამიწყია ფიქრი – ვაიმე, რა უნდა გავაკეთო-მეთქი?! დავჯექი და დამოუკიდებლად გავიარე ქალაქში. უკვე ორი მანქანა გამოვიცვალე – პირველად „ვაზ 2103“ მყავდა, მერე – „2109“.

იქ ხუმრობენ კიდეც – განათლების მიღება ტრანსპორტში მგზავრობის დროსაც შეიძლებაო...

— სწრაფად დაგყავთ მანქანა?

— ვიცი, რამდენად სახიფათოა სწრაფად სიარული, ამიტომ მანქანას არ ,,ვეთამაშები". არ მინდა, ჩემი თავქარიანობით ვინმე დავაზიანო. 16 წელია, საჭესთან ვზივარ და ჯერ არ მოვხვედრილვარ საავარიო სიტუაციაში. ერთადერთი შემთხვევა იყო, ჩემ წინ მიმავალმა მანქანამ მოულოდნელად დაამუხრუჭა და უკნიდან სხვა დამეჯახა. იმ კაცს მაინც მე გავუკეთე მანქანა: თვითონ ფული არ ჰქონდა და შემეცოდა.

— მოძრაობის წესებს ხშირად არღვევთ?

— მაინცდამაინც ხშირად — არა, შუქნიშანზე ვჩერდები, არ მაღიზიანებს საცობებიც. თუკი მოსკოვში ცოტა ხანს მაინც გივლია მანქანით, 3-წუთიანი საცობი აქ ნერვებს აღარ მოგიშლის. იქ უფრო ძნელია მანქანის მართვა. შეიძლება, 2 საათი ისე გავიდეს, რომ საცობების გამო ერთი მეტრიც კი ვერ გაიარო. იქ ხუმრობენ კიდეც — განათლების მიღება ტრანსპორტში მგზავრობის დროსაც შეიძლებაო...

— მოვლა თუ გიყვართ მანქანის და თუ ხვდებით, რა უფუჭდება?

— ძალიან მიყვარს ჩემი მანქანა, რადგან საკუთარი ფულით მაქვს ნაყიდი. მიყვარს მოვლა, ხშირად მიმყავს ,,პროფილაქტიკაში", სამრეცხაოში. იმდენი წელია, საჭესთან ვზივარ, რომ უკვე ვხვდები, მანქანას რომელი ნაწილი დაუზიანდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ქუჩაში გაფუჭებულა, კარბურატორი დამიშლია და ამიწყვია. ეს მანქანაც მიფუჭდება ზოგჯერ, მაგრამ ქუჩაში დარჩენა არ მემუქრება.

— მგზავრობისას მუსიკის მოსმენა თუ გიყვართ?

— იშვიათად ვუსმენ მუსიკას მანქანაში — შეიძლება, მთლიანად მუსიკაზე გადავერთო და სულ დამავიწყდეს, მანქანას რომ ვმართავ.

— ბოლოს, თქვენს საზაფხულო გეგმებზეც გვითხარით რაიმე. დასვენებას არ აპირებთ?

— ძალიან დატვირთული ზაფხული მაქვს. მე და ჩემი ჯგუფი ვმონაწილეობდით მოსკოვში ჩატარებულ ფრანგული მუსიკის ფესტივალში. ვიყავით დონეცკში ჯაზფესტივალზე, სოჭში დავესწარით კინოფესტივალ ,,კინოტავრის" გახსნას. გარდა ამისა, ვიღებთ კლიპს გონებრივად შეზღუდულ ბავშვებთან ერთად. მათ პედაგოგმა დაუწერა სიმღერა, რომელსაც ბავშვებთან ერთად ვასრულებ. ძალიან რთული სიმღერაა და ბავშვებმა მას კარგად გაართვეს თავი. როცა კლიპზე მუშაობას დავამთავრებთ, შემდეგ, ცოტა ხანს დავისვენებთ — თან კონცერტები გვექნება ბათუმსა და ქობულეთში და თან დავისვენებთ. სექტემბერში კი, ახალი ალბომის ჩაწერას ვგეგმავთ. ■

„ოცილებელია, ქალი კვირაში ერთი დღე დილიდან საღამომდე ინგეს"

დასვენება ყველა ადამიანისთვის აუცილებელიაო — ამბობს ზღვისა და მთის მოყვარული თამუნა ამონაშვილი. თურმე მას ვერ წარმოუდგენია ზაფხული ზღვის გარეშე. ძალიან უყვარს ზაფხული და ალბათ ჯვარიც იმიტომ დაიწერა ივნისში. მართალია, თაფლობის თვე ახალდაქორწინებულმა წყვილმა თბილისში გაატარა, მაგრამ სექტემბრისთვის ანტალიაში დასვენებას გეგმავს.

ეკა მინდაძე

— ვფიქრობ, დასვენება ყველა ადამიანისათვის საჭიროა. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში 80% ქალაქიდან გასვლას ვერ ახერხებს. ზოგი სამსახურის გამო ვერ იცლის, ზოგი კი, უსახსრობის გამო ვერ მიდის დასასვენებლად. ამგვარი ცხოვრება დაუშვებელია, ადამიანმა უნდა მოიცალოს თუნდაც ერთი კვირით მაინც, რათა განიტვირთოს ყველაფრისგან. იმისათვის, რომ ქალი კარგად გამოიყურებოდეს, აუცილებელია კვირაში ერთი დღე, დილიდან საღამომდე იწვეს. შეიძლება რთულია მთელი დღე უმოქმედოდ ყოფნა, მაგრამ ეს უნდა გაკეთო იმისათვის, რომ დანარჩენი დღეები აქტიური გქონდეს.

— შენ თუ იყენებ ამგვარ მეთოდს?

— კი, შეძლებისდაგვარად ვცდილობ, კვირაში ერთი დღე გამოვყო წოლისათვის. მეორე დღეს გარეთ რომ გავდივარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რამდენიმე დღე დასასვენებლად ვიყავი წასული.



ნამდვილი სიყვარული, 25 წლიდან მოდის...

— თაფლობის თვე სად გაატარეთ?

— თბილისში. ისე, 3-4 დღით არაერთხელ გავსულვართ ქალაქიდან, მაგრამ მე ამას არაფრად ვთვლი.

— თუ გახსოვს, პირველად მშობლების გარეშე როდის წახვედი დასასვენებლად?

— მე 16 წლიდან დამოუკიდებელი პიროვნება ვარ. ჩემი დამოუკიდებელი ცხოვრება თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებისთანავე დაიწყო. უნდა იცოდე, რომ შენ, მსახიობი, ეკუთვნი მხოლოდ საკუთარ თავს და არავისზე დამოკიდებული არ ხარ. პირველად მშობლების გარეშე ქალაქიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების ჯგუფთან ერთად გავედი და თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ. მას შემდეგ არაერთი გასვლითი კონცერტი მქონდა ანსამბლ ,,ივერიასთან" ერთად.

— ახალგაზრდულ ბანაკში თუ დაგისვენია?

— კი, ძალიან ხშირად დავდიოდი ბორჯომის ბანაკში. სხვათა შორის, ძალიან მიყვარდა ბანაკში ყოფნა. იქ საკუთარ თავთან პირისპირ ვრჩებოდი და უამრავ ადამიანთან მიწევდა ურთიერთობა, რის გამოც მიყალიბდებოდა ცუდის და კარგის გარჩევის უნარი. მიხარია, რომ ბანაკების არსებობის ტრადიცია განახლდა. ეს ყველა მოზარდისთვის აუცილებელია იმისათვის, რომ დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

— დასასვენებლად წასულს, სასიყვარულო თავგადასავალი ხომ არ გქონია?

— ბავშვობაში კი. ეს ბუნებრივიცაა,

მე და რეზის მეგობრების გარეშე ერთი დღე არ შეგვიძლია...

რადგანაც ამ ასაკში ყოველთვის ყველაფერს სხვა თვალით უყურებ. მახსოვს, ერთი პერიოდი, მთელი ბანაკის ბიჭებს ვუყვარდი და ყველანი, „კუკლას" მეძახდნენ... ერთ ზაფხულს ბანაკში ისე შევუყვარდი ერთ ბიჭს, რომ როგორც კი სხვა ბიჭი ზედმეტად დამელაპარაკებოდა, მაშინვე მასთან საქმის გარჩევას იწყებდა. მეც, რა თქმა უნდა, ეს მსიამოვნებდა. სხვათა შორის, ამ ბიჭს დედა გერმანელი ჰყავდა. ბავშვური სიყვარული ძალიან ლამაზი გასახსენებელია, მაგრამ მე ამას ნამდვილ სიყვარულს ვერ ვუწოდებ. ჩემი აზრით, ეს უფრო გატაცებაა, ხოლო ნამდვილი სიყვარული, 25 წლიდან მოდის...

— ბავშვობაში, გარდა ბანაკებისა, სად ისვენებდი ხოლმე?

— ბავშვობაში უფრო მთაში დავდიოდი. დღეს კი, პირიქით ხდება — ზღვაზე უფრო ხშირად დავდივარ, ვიდრე მთაში. თითქმის ყოველ ზაფხულს ვისვენებდი კახეთში, კერძოდ, ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში. სამწუხაროდ, დღეს იქ ვეღარ ვახერხებ ჩასვლას, მაგრამ ვგრძნობ, რომ იქაური ჰაერი ჩემთვის წამალივითაა. შილდაში რომ დავიძინებ, მეორე დღეს თავს ჩიტივით ვგრძნობ. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს მართლაც ასეა.

— მთა უფრო გიყვარს თუ ზღვა?

— დღეს მე ორივე ძალიან მიყვარს. წარმოუდგენლად მიმაჩნია სეზონი ზღვის გარეშე. რაც არ უნდა მოუცლელი ვიყო, არ არსებობს, 3 დღით მაინც რომ არ წავიდე ზღვაზე. მე ვთვლი, რომ ადამიანმა ჯერ მთაში უნდა დაისვენოს, ხოლო შემდეგ — ზღვაზე. მთის ჰაერი მართლაც რომ აუცილებელია ორგანიზმისთვის. სწორედ იქ არის შესაძლებელი ადამიანის ფილტვების გაწმენდა ქალაქში დაგროვილი მტვრისა და იმ გამონაბოლქვისგან, რომელსაც ყოველდღიურად ვსუნთქავთ.

— გარუჯვა გიყვარს?

— რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, რამდენად ცუდია კანისთვის გარუჯვა, მაინც ვერ ველევი. რა ვქნა, ვერ წარმომიდგენია ზაფხული თეთრი კანით. თუ გარუჯული არ ვარ, ასე მგონია, არაფერი არ მიხდება. ძალიან მიყვარს ზაფხული და მზეზე გარუჯვა. უარვყოფ სოლარიუმებს, თუმცა რამდენჯერმე მაინც მივდივარ იმისათვის, რომ ზღვაზე წასვლის წინ, კანი შევაგუო დასხივებას. მახსოვს, ერთხელ საშინლად დავიწვი ქობულეთში გასტროლის დროს. მაშინ ანსამბლ „ივერიას" უნდა წარმოედგინა „თოვლის ბებოს ზღაპარი". ჩავედით თუ არა, პირველსავე დღეს საშინლად დავიწვი. დავიწვებოდი, აბა, რა — 5 საათი ვიწექი შუაგულ მზეზე, ყოველგვარი მზის დამცავი კრემის გარეშე. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდი. მთელი ტანი მიხურდა, კანი ისე დამისივდა და დამეჭიმა, რომ თავს გვერდზე ვერ ვწევდი. მიუხედავად ამისა, მე საცოდავს, ამ მდგომარეობაში სცენაზე გამოსვლა და 5-6-ჯერ სხვადასხვა კოსტიუმის ჩაცმა მიწევდა. ეს ყველაფერი ისე კოშმარულად მახსოვს, რომ მას შემდეგ განსაკუთრებულად ვუფრთხილდები თავს. მართლაც საშინელი ტანჯვა-წამება გადავიტანე იმ დღეებში.

— ცურვა თუ იცი?

— მიუხედავად იმისა, რომ ვგიჟდები ზღვაზე, ცურვა არ ვიცი. სასაცილოა, მაგრამ ზღვაში კამერით ჩავდივარ. საკუთარ თავზე თვითონ მეცინება ხოლმე. ბავშვობიდან წყლის შიში მაქვს. არაერთხელ მიცდია ცურვის სწავლა, ხან ვინ მასწავლიდა და ხან ვინ, მაგრამ — უშედეგოდ. საშინელი დისკომფორტი მექმნება, როცა ყურში წყალი შემდის და თმა მისველდება. კამერით კი ძალიან კარგად ვარ, ალბათ იმიტომ, რომ თავს დაცულად ვგრძნობ.

— ოდესმე ლაშქრობაში თუ ყოფილხარ წასული?

— არა და არც არანაირი სურვილი არ მაქვს სალაშქროდ წასვლის. ალბათ იმიტომ, რომ ვერ შევძლებ უკომფორტობის ატანას. მე თუ ყოველ საღამოს თავი არ მოვიწესრიგე, არაფრით არ შემიძლია. არიან ადამიანები, რომლებისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს, პირს დაიბანენ თუ არა. მე კი ეს არ შემიძლია. ზოგიერთს კარავშიც შეუძლია დაიძინოს და ხის ძირშიც. ჩემთვის კი ეს ყოვლად წარმოუდგენელია.

— პიკნიკებზე სიარული გიყვარს?

— ძალიან მიყვარს და ხშირად დავდიოდი მეგობრებთან ერთად. დღეს კი, რაც ოჯახი შევქმენი, ამისათვის ვეღარ ვიცლი. ამჟამად ქალაქგარეთ ტაძრების დათვალიერება უფრო მაინტერესებს, ვიდრე ბუნებაში ქეიფი.

— საზღვარგარეთ თუ დაგისვენია?

— ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ დასასვენებლად ვიყავი მხოლოდ: გერმანიაში, საბერძნეთში, თურქეთსა და ისრაელში.

— საოჯახო საქმეები თუ გეხერხება?

— საოჯახო საქმეების კეთება ხშირად მიწევს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დალაგება მიყვარს. არა, უბრალოდ სისუფთავე მიყვარს. მე არ შემიძლია, არეულ სახლში ძილი. თურმე ეს მანია გენეტიკურად მქონია. ვიდრე დედასთან ვცხოვრობდი, მე არაფერს ვაკეთებდი, მაგრამ როგორც კი მარტო ცხოვრება დავიწყე, მივხვდი, რომ მეც დედაჩემივით სისუფთავის მოყვარული ვარ. რეცხვა და უთოობა ვის უყვარს, მაგრამ მე არ შემიძლია ჭუჭყიანი და დაჭმუჭნილი კაბა ჩავიცვა ან თუნდაც შარვალი. ამიტომ სახლში როცა ვარ, ხან ვალაგებ, ხან ვრეცხავ და ხან ვაუთოებ.

— თავისუფალ დროს სად და როგორ ატარებ?

— თავისუფალ დროს მეგობრების წრეში ვატარებთ. ჩემთვის მეგობარი ყველაფერია და მასთან ყოფნაც სასიამოვნო სტიქიაა. მე და რეზის, მეგობრების გარეშე ერთი დღე არ შეგვიძლია. ხან ჩვენ მივდივართ მათთან და ხან ისინი მოდიან ჩვენთან. პირადად მე, გაცილებით მეტ სიამოვნებას მანიჭებს მეგობრის ოჯახში ყოფნა, ვიდრე რესტორანსა და ბარში სიარული.

— ყველაზე კარგად სად და როდის ისვენებ?

— ყველაზე კარგად ვისვენებ საკუთარ სახლში, რაც არ უნდა კარგად ვისვენებდე სხვაგან, ისე კარგად მაინც ვერ ვგრძნობ თავს, როგორც ჩემს სახლში — აქაური ატმოსფერო და ჰაერიც კი მასვენებს. ამრიგად, ჩემი სახლი სასტუმროც არის და ციხესიმაგრეც, სადაც ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს. ■

რეცხვა და უთოობა ვის უყვარს, მაგრამ მე არ შემიძლია ჭუჭყიანი და დაჭმუჭნილი კაბა ჩავიცვა

საღ და რიგორ ისვენებენ «ახალი ქართველები»



ტურისტული სეზონი ჩვენს ცნობიერებაში ზაფხულის არდადეგებთან ასოცირდება, ისევე, როგორც დასვენება, წლების განმავლობაში — შავი ზღვის სანაპიროსა და საქართველოს მაღალმთიან კურორტებზე დასვენებასთან. ყირიმი, სოჭი და იალტა მხოლოდ საბჭოთა ფუნქციონერებისთვის იყო ხელმისაწვდომი, ხოლო საქართველოში ჩამოსული უცხოელი, შორტიანი ტურისტი საყოველთაო განსჯის საგანი ხდებოდა. მას შემდეგ, რაც საზღვრები გავხსენით, შარვლები თავადაც დავიმოკლეთ, უცხოელებიც გავიშინაურეთ და ტურისტული ბიზნესიც გავაჩაღეთ. გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ პატარა და ღარიბ საქართველოში 150-ზე მეტი ტურისტული სააგენტო ამოქმედდა. ზოგი ტურისტებს საოცნებო ქვეყანაში მოგზაურობას ჰპირდება, ზოგიც, ტურისტის ნიღაბს ამოფარებული, „საოცნებო“ სამსახურის შოვნას. ასე რომ, როგორც ერთი მთლიანობის ორი განუყოფელი ნაწილი, ჩვენი საზოგადოებაც მდიდრებად და ღარიბებად იყოფა. ამ უკანასკნელთა ყოფაზე ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან არაერთხელ გიამბეთ. ამიტომ ახლა გვსურს, ე.წ. „ახალი ქართველების“ ტურისტული მისწრაფებები განვიხილოთ. როგორც ამბობენ, ტურისტული ბიზნესი საქართველოში ფაქტობრივად, მხოლოდ საზოგადოების ამ მცირე ნაწილისთვის მუშაობს.

ემა ტუხიაშვილი

მართალია, ტურისტული სააგენტო არც კერძო დეტექტივის ბიუროა და არც საგადასახადო ორგანო, ნებისმიერ ინფორმაციას იქ ძალზე ძუნწად გასცემენ. ეს გასაგებიცაა, რადგან ქვეყანაში, სადაც პენსიონერი 28-ლარიანი კომპენსაციით ცხოვრობს, ვიღაც-ვიღაცებს საკუთარი კრუიზებისა და ვოიაჟების აფიშირება არ სურთ. თუ ტურისტული სააგენტოს მესვეურს გულახდილ საუბარზე დაიყოლიებთ, შეიტყობთ, რომ ვთქვათ, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე იაპონიაში საკურას ყვავილობის სანახავად ჩადის. აღსანიშნავია, რომ ეს მცენარე მხოლოდ რამდენიმე საათი ყვავილობს და განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენს, ამიტომ იაპონიაში ტურისტული ვოიაჟი წინასწარ იგეგმება. ალბათ დაგაინტერესებთ ისიც, რომ ოქროს, ვერცხლის ქორწილის ან უბრალოდ, შეუღლების რომელიმე საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, „ახალი ქართველები“ კარიბის კუნძულებზე, კონკრეტულად კი ბარბადოსზე მიემგზავრებიან. როგორც ტურისტულ სააგენტოებში განმარტავენ, ბარბადოსის ყველა სასტუმროში არსებობს ქორწილების ორგანიზატორი, რომელიც ამ ცერემონიის ჩატარებას თქვენთვის სასურველ ადგილას უზრუნველყოფს: პლაჟზე, ქოქოსის ხის ქვეშ, იახტაზე ან ზღვის ფსკერზე, მარჯნის რიფების მახლობლად... ზოგიერთი ნორჩი ტურისტისთვის პარიზში მდებარე „დისნეილენდი“ უკვე კარგადაა ნაცნობი, ამიტომ ზაფხულში მშობლები ცდილობენ, შვილებს იტალიაში არსებული, ევროპის ყველაზე დიდი აკვარიუმი უჩვენონ, სადაც 500 სახეობის ზღვის ბინადარია თავმოყრილი...

იმის გასარკვევად, თუ რა ხდება დღეს ქართულ ტურისტულ ბიზნესში, ორი ცნობილი სააგენტოს ხელმძღვანელს შევხვდით.

ნიკა გაგუნია:

— ტურისტული ბიზნესი საქართველოში 1994-95 წლებში გააქტიურდა, თუმცა მაშინაც და ახლაც ძირითადად, ტურისტთა ქვეყნის გარეთ გაყვანა უფრო ხდება, ვიდრე პირიქით. მართალია, ზუსტი მონიტორინგი არ გვიწარმოებია, მაგრამ ზოგადად შემიძლია გითხრათ, რომ ტურისტული სააგენტოების სერვისით დღეს, ჩვენი მოსახლეობის 20-25% სარგებლობს. უცხოელი ტურისტებისგან განსხვავებით, ქართველ დამსვენებელთა ნაკადი მხოლოდ ზაფხულის დადგომასთან ერთად აქტიურდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა ეპოქის გავლენა ჯერ კიდევ დიდია. ივლისში თითქმის ყველა, მთიან კურორტზე ამჯობინებს დასვენებას, ხოლო აგვისტოში აუცილებლად მიემგზავრებიან ზღვაზე. ბოლო დროს, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა თურქეთი და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები, ამიტომ ქართველი ტურისტების დიდი ნაწილი გასარუჯად სწორედ იქ მიემგზავრება. ჩვენს კლიენტებს ორ კატეგორიად დავყოფ: პირველში შედიან ისინი, ვინც მხოლოდ მაღალი კატეგორიის სასტუმროს გვიკვეთს, მეორეს კი ისინი წარმოადგენენ, ვინც თანახმაა, საზღვარგარეთ დაბალი კატეგორიის სასტუმროში დაბინავდეს. ქართველი ტურისტების ერთი ნაწილი, ასე ვთქვათ, შემეცნებითი ხასიათის დასვენებას ირჩევს და ევროპის ისტორიულ ქალაქებში მიემგზავრება. დიდია, ბრაზილიაში „სამბას“ კარნავალზე გამგზავრების მსურველთა რიცხვი. მართალია, ეს შედარებით ძვირი სიამოვნებაა და სოლიდურ თანხებთან ასოცირდება, მაგრამ უკვე ჩვენშიც არსებობს დამსვენებელთა კატეგორია, ვისთვისაც ეს ტური ხელმისაწვდომია. მინდა გითხრათ, რომ ტურისტული სააგენტოს მოვალეობაა არა მხოლოდ ტურისტის ტრანსპორტირებისა და დაბინავების უზრუნველყოფა, არამედ ისეთი დეტალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, როგორიცაა ამა თუ იმ ქვეყანაში მოსალოდნელი ამინდის პროგნოზი...

— იქნებ, უფრო დავაკონკრეტოთ, როგორია ტურისტული საგ-

ზურის მინიმალური ღირებულება და ქართული ტურისტული სააგენტოებისთვის ხელმისაწვდომი, სერვისის ზღვრული დონე.

– ტურისტული საგზურის მინიმალური ღირებულებაა 550 დოლარი, იმისათვის, რომ ადამიანმა 10 დღე თურქეთის სანაპიროზე გაატაროს. საგზურის მაქსიმალური ღირებულება კი, ცოტა რთული დასადგენია – ეს შეიძლება იყოს 5 ან 10 ათასი დოლარი, რა თქმა უნდა, შეთავაზებული სერვისის მიხედვით.

— რამდენად ხშირად დადიან ე.წ. საოჯახო ტურით?

– მთელი ოჯახის გამგზავრებას ევროპის მიმართულებით თავად ამ ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობები ზღუდავენ, თუმცა, არსებობს საზოგადოების გარკვეული ფენა, რომლისთვისაც მსგავსი შეზღუდვები უცხოა და შეუძლიათ, ოჯახთან და შვილებთან ერთად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გაემგზავრონ. ამას განსაზღვრავს ტურისტის თანამდებობა (ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო სამსახურში), მისი სოციალური სტატუსი და ა.შ.

— თქვენ სეზონურობა ახსენეთ და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ზამთარში ტურისტული სააგენტოები უფუნქციოდ რჩებიან, ასეა?

– მთლად მასეც არ არის, არიან იმის მსურველები, რომ საქართველოს ზამთრის კურორტების გარდა, სხვა ქვეყნების თოვლიან მთებში დასასვენებლად გაემგზავრონ. ამავე დროს, ისეთი ტურისტებიც გვხვდებიან, ვინც საქართველოდან ცივ ზამთარს გაურბის და გასარუჯად წითელი ზღვის სანაპიროზე მიემგზავრება ხოლმე.

— გაუთვალისწინებელი შემთხვევები თუ მომხდარა ტურისტებთან დაკავშირებით?

– ჩვენი უცხოელი პარტნიორების დახმარებით, წინასწარ ზუსტდება ტურისტის დასვენების ყველა დეტალი – გიდის მომსახურებით დაწყებული, სამედიცინო დაზღვევით დამთავრებული. თუმცა გაუთვალისწინებელი შემთხვევები მაინც ხდება და რიგ შემთხვევებში, კურიოზულიც. მაგალითად, გვქონდა შემთხვევა, როდესაც დამსვენებლებისთვის 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო გვქონდა დაჯავშნული და რომ ჩავიდნენ, ყველა ნომერი დაკავებული დახვდათ. პრობლემა სწრაფად მოგვარდა, რადგან ჩვენმა პარტნიორმა ტურისტები მალევე, ასეთივე დონის სხვა სასტუმროში დააბინავა. კიდევ ერთი ამბავი ე.წ. საინფორმაციო ტურის დროს შეგვემთხვა. ყოველი სეზონის დასაწყისში, ჩვენი უცხოელი პატნიორების ხელშეწყობით, საშუალება გვეძლევა, ტურისტები საკმაოდ შეღავათიან ფასად მსოფლიოს ცნობილ 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში გავგზავნოთ და ამით ტურს საინფორმაციო, გაცნობითი ხასიათი შევძინოთ. სწორედ ასეთ ტურში გავუშვით ერთ-ერთი ქართული ოჯახი და რამდენიმე დღეში, უკვე სასტუმროს ნომრიდან ოჯახის უფროსმა საყვედურებით დაგვირეკა: ესაა თქვენი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო? მე მეგონა, ისეთი ნომრები იქნებოდა, როგორიც რიჩარდ გირს აქვს ფილმში „ლამაზმანიო"!.. ამ დროს კი, მის მეზობლად, აწ გარდაცვლილი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი იყო დაბინავებული...

ზურაბ ვარშალომიძე:

– ზოგადად, ტურისტულ ბიზნესს საქართველოში დიდი პერსპექტივა აქვს, მაგრამ ამჟამად, მის განვითარებას ხელს უშლის არსებული ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტირების მაღალი ტარიფები. ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, უცხოელები მაინც სიფრთხილით ეკიდებიან საქართველოში ჩამოსვლას ტურისტული მიზნით. მთელი წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთეული ასეთი შემთხვევები გვაქვს და უცხოელებს უმეტესად აინტერესებთ ჩვენი მთიანი რეგიონები: სვანეთი, ყაზბეგი, თუშეთი, ხევსურეთი. ამ ბოლო დროს კი, სტიქიამ საერთოდ მიუვალი გახადა რამდენიმე მთიანი რეგიონი, ამიტომ ამ ეტაპზე, უცხოელი ტურისტების მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ ხერხდება. ამის საპირისპიროდ, საკმაოდ დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც საქართველოდან ტურისტული ვიზით უცხოეთში გამგზავრება სურთ, მაგრამ სერიოზულ პრობლემებს ე.წ. შენგენის ქვეყნებთან ურთიერთობისას ვაწყდებით. არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ საქართველოდან გასული ვითომ ტურისტების გარკვეული ნაწილი (და ამ შემთხვევაში რთულია, განსაზღვრო ასაკობრივი ზღვარი) სინამდვილეში, ქვეყნიდან გასვლას და სამუდამო არალეგალურად მუშაობის დაწყებას ლამობს. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ჩვენი მოქალაქეებისთვის საკმაოდ გართულებულია ვიზის მიღების პროცედურა. ხშირია შემთხვევა, როდესაც საერთო ფონის გამო, იჩაგრება ნამდვილი ტურისტი და მისთვის სასურველ ქვეყანაში გამგზავრების ნებართვას ვერ იღებს, საკონსულო კი არ არის ვალდებული, საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზები აუხსნას. მსგავსი ვითარება არასასურველ ფონს ქმნის ტურისტული სააგენტოების არსებობისთვის. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენთან ტურისტულ სააგენტოს უფლება არა აქვს, დამკვეთის საბუთები შეიტანოს ამა თუ იმ ქვეყნის საკონსულოში, მთელ ამ ხანგრძლივ პროცედურას თავად ტურისტი აგვარებს. მაშინ, როდესაც უცხოეთში ტურის შესაკვეთად, მსურველმა საკმარისია, ერთხელ დარეკოს ტურისტულ სააგენტოში და სასურველ დროს გაემგზავრება დასასვენებლად.

— ასეთ პირობებში, რამდენი ხნით ადრე უნდა დაიწყოს ქართველმა ტურისტმა გამგზავრებისთვის საჭირო დოკუმენტაციაზე ზრუნვა?

– საბოლოო შედეგის მისაღწევად, მას ალბათ 2-3 თვე მაინც დასჭირდება. მაგრამ იმის შესახებაც უნდა ვიყოთ ინფორმირებული, რომ მაგალითად, საბერძნეთის საელჩო ტურისტული ვიზის გაცემას არ ემსახურება და ამ ქვეყანაში დასვენების მსურველს აუცილებლად დასჭირდება მიწვევა მასპინძლისგან. ამის გამო, ქართველები ამჯობინებენ, დასასვენებლად მეზობელ თურქეთში გაემგზავრონ, რადგან იქ ნაკლებ პრობლემას წააწყდებიან. გამოცდილება გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ქართველებს უყვართ ტურში მეგობრებთან ერთად, 10-15-კაციანი ჯგუფის შემადგენლობით გამგზავრება, ამის განხორციელება კი, შენგენის ქვეყნებში თითქმის წარმოუდგენელია... ბოლო პერიოდში, ქართველთა ინტერესის არეალში მოექცა აგრეთვე, მაროკო და ტუნისი.

— რამდენად შესამჩნევია ქართული ტურისტული კომპანიების როლი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე?

– ჩვენს კომპანიას ჰყავს სერიოზული პარტნიორები მსოფლიოს ბევრ წამყვან ქვეყანაში, ამიტომ შეგვიძლია, დამსვენებელს შევთავაზოთ სერვისის ისეთივე პაკეტი, როგორსაც თავის დამკვეთს სთავაზობენ განვითარებული ქვეყნების წამყვანი ტურისტული კომპანიები. თუმცა, ბაზარზე ჩვენი აქტივობა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ფონითაა განპირობებული. შემიძლია გითხრათ, რომ ამჟამად მსოფლიოში ყველაზე მეტად რუსეთის ტურისტული ბაზარი აქტიურობს. გაგიმხელთ საკმაოდ კონფიდენციალურ ციფრს: ჩვენმა პარტნიორმა თურქეთში მხოლოდ გასულ წელს, 70000 რუსი ტურისტი მიიღო. ასევე ცნობილია, რომ რუსი ტურისტი ყველაზე კარგი ტურისტია, რადგან არ იშურებს თანხას იმისთვის, რომ საკუთარ თავს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას. სხვათა შორის, ჩვენ მიერ ცოტა ხნის წინ მომზადებული ტურით საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი რუსი ოლიგარქი იმყოფებოდა, რომელმაც თბილისთან ერთად, ყაზბეგის ხეობაც მოინახულა. როგორც სტუმარმა გაგვიმხილა, საქართველოში ტურისტული ვოიაჟის სურვილით, მას მოსკოვში 15-20 ტურისტული კომპანიისთვის მიუმართავს და არც ერთ მათგანს ბიზნესმენის თბილისში გამომგზავრებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა არ აუღია. გაოცებული დარჩა, როდესაც რუსთაველზე უსაფრთხოდ სეირნობის საშუალება მიეცა...

— რამდენად მაღალია ქართველების ტურისტული კულტურა?

– არის შემთხვევები, როდესაც გრანდიოზულ სანახაობრივ ტურებს გვიკვეთენ. მაგალითად, იყო ასეთი შეკვეთა, რომელიც მოიცავდა მოგზაურობას: 3 დღით რომში, ამდენივე ხნით – ფლორენციაში, შემდეგ – მილანში (პროგრამაში სახელგანთქმული ლა სკალას ჩართვით), დასვენებას სანაპიროზე, ვოიაჟის დასკვნითი ნაწილის ვენეციაში გატარებით. გვქონდა დაკვეთა, რომელიც ბენილუქსის ქვეყნების მონახულებას ითვალისწინებდა. საკმაოდ ძვირად ღირებულია ტური აფრიკაში. რა თქმა უნდა, მცირეა მოთხოვნა ასეთ ეგზოტიკურ ქვეყნებზე და იქ ძირითადად, ნადირობის მსურველები მიემგზავრებიან ხოლმე... სხვათა შორის, საქართველოშიც ჩამოდიან უცხოელები სანადიროდ. მაგალითად, გერმანელებს, რუსებსა და იტალიელებს, კახეთში ფრინველებზე ნადირობა ხიბლავთ. გვაქვს ინფორმაცია, რომ უცხოელი ტურისტების მცირე ნაწილი წელს ქობულეთსა და ბათუმში დასვენებას გეგმავს. მაგრამ საწყენია, რომ ჯერჯერობით, სერვისის დონე საქართველოში თანამედროვე სტანდარტებს ვერ უტოლდება.

— ალბათ, ბევრი ცნობილი ქართველი სარგებლობს თქვენი კომპანიის მომსახურებით. დარწმუნებული ვარ, მათ ვინაობას არ გაამხელთ, მაგრამ ის მაინც გვითხარით, თუ რა სახის დასვენებას ანიჭებენ უპირატესობას პოლიტიკოსები და როგორ ტურებს ირჩევენ შემოქმედებითი ელიტის წარმომადგენლები?

– როდესაც კომპანიაში საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნება მოდის, ხშირ შემთხვევაში, მას უკვე მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი მოთხოვნები, იცის, თუ რა და როგორ უნდა. შესაძლოა, მის გეგმებში ჩვენ მხოლოდ მცირედი შესწორებები შევიტანოთ. პოლიტიკოსები უფრო პრაგმატულები არიან და დასასვენებლად უფრო მშვიდ გარემოს ეძებენ. ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები უპირატესობას აქტიურ დასვენებას ანიჭებენ, ირჩევენ ისეთ ადგილებს, სადაც სიცოცხლე დუღს.

— რამდენად პრეტენზიულები არიან ქართველი ტურისტები უცხოეთში ყოფნისას?

– მახსოვს, ერთ-ერთმა ჩვენმა ტურისტმა საფრანგეთიდან დამირეკა და მითხრა: სასტუმროს ნომერში ონკანში წყალი არ მოდისო. ცოტა არ იყოს, დავიბენი: აქედან ეს კომუნალური პრობლემა როგორ უნდა მომეგვარებინა?.. აღმოჩნდა, რომ მცირე შეფერხება პროფილაქტიკური სამუშაოებით იყო გამოწვეული. როგორც ჩანს, ყველაფრის მომსწრე ქართველებს, უცხოეთში ასეთი ხარვეზების ატანა უჭირთ. თუმცა, როდესაც ფულს იხდი, პრეტენზია კომფორტზე სავსებით სამართლიანია... ■

„გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ ქართველი ქალბატონის უჩვეულო თავგადასავლის პირველი ნაწილი. ჯუნა 19 წლის იყო, როდესაც მოსკოვში მილიციის თანამშრომელმა მისი გაუპატიურება მოინდომა. გოგონამ მოძალადე თავისსავე იარაღით მოკლა და 6 წელი მიუსაჯეს. ზონაში მოხვედრილ ჯუნას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა. ჩხუბისა და აყალმაყალისთვის ის ცალკე საკანში გადაიყვანეს, საიდანაც ერთი თვის შემდეგ გაათავისუფლეს. რა მოხდა ამის შემდეგ? გთავაზობთ ჯუნას ინტერვიუს მეორე ნაწილს.

"ტკივილი გულიდან იწყება, მთელ მკერდს მოედება და მუცელში "გრეხვდება"

ანუ ბიზნესმენი ტინეიჯერი გოგოს საკიბო მოგონებები

მარი ხაფარიძე

საკანში შესული, კარგა ხანს კართან ვიდექი და ოთახს ვათვალიერებდი. ვცდილობდი, თვალებისთვის ისეთი გამომეტყველება მიმეცა, რომ პატიმრებს შეშინებოდათ. ქალებს შორის ერთი ახალი შევნიშნე. ჩემზე 2-3 წლით უფროსი იქნებოდა. მისი გარეგნობით მიხვდი, რომ შუაზიელი უნდა ყოფილიყო. მაშა ჩემკენ ღიმილით წამოვიდა – Ну что, блядь, теперь будешь знать свое место-ო, მითხრა. – გზიდან ჩამომეცალე-მეთქი, ვუთხარი და ჩემს ადგილს მივაშურე. ნარზე ჩამოვჯექი და იმ ახალ გოგოს დავუახე – საკანში სიტუაციას მე განვაგებ, ამიტომ მითხარი, ვინ ხარ, რისთვის იხდი სასჯელს-მეთქი. თურმე ყაჩაღობისთვის დაუჭერიათ. ტაქსის მძღოლისთვის ფულიც წაურთმევია, მანქანაც და ეს ყველაფერი სათამაშო პისტოლეტით მოუხერხებია. მთელი ამ საუბრის განმავლობაში მუჭში მეჭირა ის შეფუთული საგანი, რომელიც ციხის თანამშრომელმა მომცა. ერთი სული მქონდა, მენახა, რა იყო, მაგრამ 7 წყვილი თვალი მომჩერებოდა და ვერ ვახერხებდი. ბოლოს ნარზე წამოვწექი და ეს ნივთი ბალიშის ქვეშ შევაცურე, ღამე რომ მენახა. ნებისმიერ ჩვენგანს თავისუფლად შეეძლო ზონის ტერიტორიაზე გადაადგილება. ლუბას ნახვა მინდოდა, მაგრამ მთელი თვე რბილ ლეიბს მონატრებულს უმალვე ჩამეძინა. უცებ, რაღაც საშინელმა შეგრძნებამ გამაღვიძა. ვიღაცამ ხელი მტაცა და იატაკზე დამაგდო. თავზე ვერა მედგა – მაშ, შენ ხარ აქ უფროსიო? – მეკითხებოდა. უცებ გამოვფხიზლდი და ფეხზე წამოვხტი. ვერას თმაში ვწვდი და ვცადე, კართან მიმეყვანა. წინააღმდეგობას მიწევდა, მეძიძგილავებოდა, მაგრამ მე უკეთესი პოზიცია მეკავა. კართან მისულმა, ვედრო შევნიშნე, რომელშიც საშვლის ნარჩენები და ნაგავი ეყარა. თავი ამ ვედროში ჩავაყოფინე. მაგრამ უცებ დარტყმა ვიგრძენი და ძირს გავიშლართე. ეს მაშა იყო. რადგან ძირს დავეცი, უკვე წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევდი და ისე დამალილავეს, რომ მთელი თვე მოვუნდი გახეთქილი კეფისა და ჩალურჯებული თვალების მოშუშებას. ამ აყალმაყალის ხმაზე, ციხის თანამშრომლები შემოცვივდნენ და ვერა გაათრიეს. ის მთელი თვე აღარ გამოჩენილა. მე კი მანამდე, ძალაუფლება ჩავიგდე ხელში და „პალაჟენიე“ დავაყენე.

— იმ ნივთის შესახებ არაფერი გითქვამთ, რომელიც ბალიშის ქვეშ შეინახეთ...

– ეს გახლდათ ცხვირსახოცში გახვეული „ბრიტვა“. ლუბას ფული გადაუხდია იმისათვის, რომ ეს ნივთი ჩემთვის გადმოეცათ, რადგან თვითონაც ამ დროს ბურში მჯდარა და იცოდა, რომ საკანში ჩატარებული „შმონის“ შემდეგ, ყველა მჭრელ საგანს გაიტანდნენ. ვერა რომ წაიყვანეს, რამდენიმე დღის შემდეგ ცალკე გავიხმე სალაპარაკოდ ის გოგო, რომელიც ჩემ თვალწინ გააუპატიურეს. ნამუსზე შევაგდე – როგორ უნდა აპატიო, ასე რომ მოგექცნენ-მეთქი? – რამე რომ გავუბედო, მომკლავენო; შევაგულიანე, მე შენკენ ვარ, თითს ვერავინ დაგაკარებს-მეთქი, ვუთხარი და „ბრიტვა“ მივეცი. ვერა „ადინოჩკაში“ იჯდა. ეი. მაშაზე უნდა ეყარა ვაკვრი. გვიანი ღამე იყო. ყველას ეძინა. მე კი ვფხიზლობდი. ძალზე მაინტერესებდა, შეძლებდა თუ არა სამაგიეროს გადახდას შეურაცხყოფილი გოგო. დავინახე, როგორ უხმაუროდ ადგა თავისი ნარიდან, ფეხაკრეფით მივიდა მაშას საწოლთან და როგორ დაუსვა „ბრიტვა“ გადაპარსულ თავზე. არაადამიანურმა ყვირილმა გააყრუა იქაურობა. გოგონა თავისი ნარისკენ გაიქცა და ვიდრე შუქს აანთებდნენ, ისევ საბნის ქვეშ შეძვრა. სისხლის გუბე დადგა ოთახში. მაშა წაიყვანეს. კარგა დიდი ჭრილობა ჰქონდა თავზე. უკან გამთენიისას დაბრუნდა თავშეხვეული. თურმე 8 ნაკერი დაუდვიათ. საკანში რომ შემოვიდა, დინჯშემოყრილი დავხვდი და ვუთხარი – შურისძიება ის „ბლუდაა“, რომელიც ცივად უნდა მიირთვა-მეთქი. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს ჩემი ჩადენილი იყო. დილით თავისივე სისხლი იატაკიდან მას მოვაწმენდინე. თან დავცინოდი. ის კი მიღრენდა და მეუბნებოდა – ვერკა დაბრუნდება და სამაგიეროს ის გადაგიხდისო. ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ, ლუბაც გამოვიდა ბურიდან. იმავე საღამოს თავისთან დამიბარა. ნარზე იოგას პოზაში ვჯდა. მეც წინ დავუჯექი. თვალებში შემომხედა და მითხრა – გოგო, შენ ზედმეტი არ მოგიჯდეს, მეც თავზე არ გადამახტეო. – არა-მეთქი, დავპირდი. მერე ერთად შევიმუშავეთ გეგმა, როგორ დამეყენებინა „პალაჟენიე“ ვერას დაბრუნებამდე. ერთ საღამოს, სხვების შეუმჩნევლად ანალგინი დავფშვენი წმინდად, ქაღალდში გავახვიე და საღამოს, როცა წვნიანი ჩამოგვირიგეს, მაშას ჯაჭში მარილივით ჩავყარე. უცებ წამოხტა – ეს რა არისო? – ეს ისეთი შხამია, რომელიც უცებ არ მოგკლავს, მაგრამ ნელ-ნელა ბოლოს მოგიღებს-მეთქი, ვუთხარი. რა თქმა უნდა, არ შეჭამა. არც თავის ულუფას დაუთმობდა ვინმე. დარჩა მშიერი. ასე ვიქცეოდი დილა-შუადღე-საღამოს. მაშა მთელი 6 დღე შიმშილობდა. მერე მოვიდა და მთხოვა – ოღონდ ნუ მაშიმშილებ, რაც გინდა, დამავალე, შენი მონა ვიქნებიო. – ფეხები დამბანე-მეთქი, – ვუთხარი... ამის შემდეგ ის უკვე ჩემს ყმად გადაიქცა. ერთ დღეს, პაემანზე დამიძახეს. ბიძაჩემი და მამაჩემი მოსულიყვნენ. ბიძაჩემი მეუბნებოდა – ყველაფერს გავაკეთებ, რომ აქედან გაგიყვანო. მდუმარედ ვუქნევდი თავს...

— თქვენს კუთვნილ მაღაზიას რა ბედი ეწია?

– ბიძაჩემი ამუშავებდა. ამონაგებს კი

ბანკში, ჩემს ანგარიშზე რიცხავდა. მამაჩემი ძალზე მოტეხილი მომჩვენა. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს ბოდიშს იხდიდა იმის გამო, რომ მე ციხეში ვიყავი, ის – გარეთ. იქ თავი მხნედ მოვაჩვენე, არაფერი მიჭირს-მეთქი, ვეუბნებოდი, მაგრამ უკან რომ დავბრუნდი, საწოლზე პირქვე დავემხე და ხმამაღლა ვიტირე. ქალები გაოცებული მიყურებდნენ. არასოდეს დაუნახავთ ჩემს თვალზე ცრემლი. თუმცა, ამ ბოლო დროს, საკუთარ თავს მეც ველარ ვცნობდი. ის, რაც წინათ სისასტიკედ მეჩვენებოდა, ახლა ცხოვრების წესად მექცა. სხვაგვარად თავს ვერ გავიტანდი. როგორც ჩანს, კავკასიური, ქართული ხასიათიც მიწყობდა ხელს საიმისოდ, რომ თავს არავის ვაჩაგვრინებდი. იმ უზბეკ გოგოს, რომელიც ყაჩაღობისთვის ოჯდა, ანჟელა ერქვა. ძალზე დამიახლოვდა. როგორც ჩანს, ჩემი იმედი ჰქონდა. მეც მომეწონა – ძალზე სადა, კარგად აღზრდილი გოგო იყო და დავმეგობრდით. იცით, როგორი ზრდილი ადამიანი გახლდათ? შესაძლოა გაგიკვირდეთ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ იშვიათად მინახავს ასეთი მანერებისა და ინტელექტის მქონე ადამიანი, მით უმეტეს, 24 წლის ასაკში. მისი ამბის მოყოლა შორს წაგვიყვანს. უბრალოდ, გეტყვით, რომ სხვადასხვა ვითარების გამო მოხვდა დამნაშავეთა ჯგუფში, შემდეგ კი – ციხეში. ადამიანებთან ურთიერთობას ძალზე იოლად ამყარებდა და იცოდა ყოველი წვრილმანი, რაც ზონაში ხდებოდა. ასეთი ადამიანი კი საჭირო გახლდათ. ერთხელ ამბავი მომიტანა, რომ ზონაში შემოუყვანიათ 40 წლის ქალი, რომელიც „კაგებეს“ „დაევერბოკებული“ იყო, „სროკი“ გაუჩალიჩეს და თავიდან მოშორებას უპირებენო. სამ დღეში თავი ჩამოიხრჩო. რატომ, ან როგორ მოახერხა, არავინ იცის. ზონაში დიდი რაოდენობით შემოდიოდა ჰეროინი. პატიმარი ქალების უმეტესობა კაიფობდა. ერთხელ, ჩვენს ოთახში მყოფ ნინკას ქმარმა წამალი შემოუგზავნა. ცოტა თავის დაქალს გაუნაწილა, დანარჩენი კი საიმედო ადგილზე შეინახა. მეორე დღეს აღმოაჩინა, რომ წამალი დაიკარგა. ისეთი ამბავი აატყდა, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. ლუბამ თავისებური „გამოძიება“ ჩაატარა და წამალს ერთ პატიმართან მიაგნო. დაზარალებული ანუ წამლის პატრონი ითხოვდა, რომ ქურდი დაესაჯათ. მაგრამ როგორ? ლუბამ ქსივა გააგზავნა კაცების ზონაში. იქიდან უპასუხეს – ქურდი დაზარალებულმა სცემოსო. ისე უმოწყალოდ ურტყამდა, რომ ყოველი წიხლის დარტყმაზე პირიდან სისხლი ჩანჩქერივით ჩქეფდა. გულმა არ მომითმინა და ქურდს გამოვესარჩლე. ამის გულისთვის დავისაჯე კიდეც. იმავე საღამოს, დერეფანში მიმავალს, ფეხი წამომიდო წამლის პატრონმა. ხელში წყლით სავსე პატარა ტაშტი მეჭირა. წავიქეცი, კბილები კი ტაშტის კიდეს ჩამოვარტყი და ერთი კბილი ჩამომეფშვნა. ამის გამო ხელჩართული ბრძოლა გავმართეთ. ხან მე ვიყავი ზემოდან, ხან – ის. ბოლოს, მოვერიე, ხელები თავისსავე მაისურით დავუბი, პირქვე დავაწვინე, შარვალი ჩავხადე და ნედლი ხის ტოტით „ვავროზგე“. საკვდომი სულ დავუწითლე. მერე ოთახში შევათრიე და თავის ნარზე დავაგდე. ჭრილობების მოშუშებას რამდენიმე დღე დასჭირდა. მერე, ერთ ღამეს, დამინებულს რაღაც ხმა მომესმა. უცებ წამოხტომა დავაპირე და მხარში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. თურმე, ამ ჩემ მიერ გაროზგილ ქალს (სახელი აღარ მახსოვს) სამრეცხაოს ფანჯარა ჩაუმტვრევია, წვეტიანი ნატეხი წამოუღია და ერთი დარტყმით ალბათ კისრის არტერიასაც გადამიჭრიდა, რომ არ გავნძრეულიყავი. მინის ნატეხი ასე, 20 სმ სიგრძის იქნებოდა, სამკუთხედის ფორმა ჰქონდა და მაგარი წვეტიც. მხრიდან მე თვითონ ამოვიძვრე, სისხლი თქრიალით წამომივიდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. მინის ნატეხი დანასავით მოვიმარჯვე, ჩემს დამჭრელს კისერში მეორე ხელი წავუჭირე, კედელთან მივიმწყვდიე, მინის ნატეხი გულზე მივადე და ვუთხარი: ან დაიჩოქებ და ფეხებს დამიკოცნი, ან ახლავე გაგათავებ-მეთქი. იცოდნენ, კაცის მკვლელი ვიყავი. ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ გავიმეტებდი კიდეც. კედელთან ზურგით ჩაცურდა, ჩემს ფეხებთან დაემხო და შემევედრა, – ნუ მომკლავო. ჩემი ჭრილობა საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა და კარგა ხანს ჯიუტად არ იკრავდა პირს. სამაგიეროდ, ამ შემთხვევის წყალობით, უბატონოდ ხმას არავინ მცემდა. რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, როგორ ეუნებოდა ორი პატიმარი ერთმანეთს – Лучше с грузинкой не связываться-ო. ამ შემთხვევის გამო ლუბასგანაც ქება დავიმსახურე. – შენ ჩემი მფარველობა აღარ გჭირდება, საკუთარ თავს თვითონ მიხედავო. კვარტალში ერთხელ ზონაში მოდიოდა კომისია ცენტრალური სამართველოდან. ყველა საკანში შედიოდნენ და პატიმრებს ესაუბრებოდნენ. თან ჰყავდათ ფსიქოლოგი, რომელიც პატიმარს საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარებოდა კიდეც ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში. ჩემი იქ ყოფნის დროს კომისია პირველად რომ მოვიდა, მე არც კი გავნძრეულვარ, ნარზე წამოწოლილი დავხვდი. ჩემი ვინაობით დაინტერესდნენ. – ქართველია, კაცი ჰყავს მოკლულიო, უთხრეს. ჯგუფს ერთი ქალი გამოეყო. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ყოფილა, ლუდმილა ხორდონენკო. მომიახლოვდა. იძულებული გავხდი, წამოვმდგარიყავი. თვალით გამზომა, სახელი მკითხა და გაბრუნდა. რამდენიმე საათის შემდეგ გამოაცხადეს – ჯუნა ადმინისტრაციაში გამოცხადდესო. ავედი. ოთახში სადაც შემიყვანეს, არავინ იყო, იმ ქალის გარდა, რომელიც საკანში ჩემით დაინტერესდა. მაგიდაზე ხილი და სასმელი იყო. ლუდმილამ თითქმის ძალით დამსვა სკამზე და კარი შიგნიდან ჩაკეტა. თვითონ ჩემ გვერდით, პირდაპირ მაგიდაზე ჩამოჯდა, ისე, რომ პირდაპირ მიყურებდა. ხილს თავისი ხელით მაჭმევდა. უხერხულ სიტუაციაში ვიყავი და მხოლოდ ვიშმუშნებოდი. შემდეგ უკან დამიდგა, ხელები მხრებზე დამადო, დაიხარა და ყურში წამჩურჩულა: – Если ты станешь моей, ты станешь королевой зоны... გავვიჟდი. ფეხზე წამოვხტი და მოშორებით დავდექი. გული გამალებით მიცემდა... ცალი ხელით დინჯი შემოიყარა და დაამატა – Если не будешь послушной, во всем себя будешь винить... – ვუთხარი, ქალები არ მაინტერესებს-მეთქი... – სხვა გამოსავალი არ გაქვსო. მომიახლოვდა და სცადა, ხელი მაისურის ქვეშ შეეცურებინა. კარს მივვარდი და ბრახუნი ავტეხე. მთელი ძალით ვუშენდი მუშტებს, მაგრამ არავინ გამომეხმაურა. იძულებული ვიყავი, ლუბასთვის მეხმო საშველად. ფანჯარას მივვარდი, რომელიც ზონის ეზოში გადიოდა და ხმამაღლა დავიძახე. მალე ქვევით ჩოჩქოლი ატყდა. ლუდმილამ კარი გამოაღო და ხელით ზურგზე მიბიძგა. იმავე საღამოს, ისევ „ადინოჩკაში“ გადამიყვანეს და მთელი 3 წელი და 2 თვე საკნიდან არ გამოვსულვარ. ალბათ, იზოლაციაში იმიტომ მომაქციეს, რომ მომზდარი არავისთვის მეამბნა. იმის მოყოლა, წყალსა და პურზე მყოფმა როგორ გავატარე უფანჯრო, ნესტიან ოთახში ამდენი წელი, არაფერს მოგიტანთ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ ხნის განმავლობაში, პაემნზეც არავინ შემახვედრეს. თხოვნას თხოვნაზე ვწერდი პრეზიდენტ ელცინის სახელზე, რომ შეეწყალებინე. ამასობაში „უდომ“ (ვადაზე ადრე გათავისუფლება) მომიწია და 4 წლის შემდეგ გამომიშვეს. ამ დროისთვის დედა გარდაცვლილი დამხვდა. მამა – უცხოეთში იყო წასული. ყველაფერი გავყიდე, რაც მოსკოვში მებადა და სასწრაფოდ თბილისში გადმოვბარგდი. აქ რამდენიმე ბინა ვიყიდე, ერთში ვცხოვრობდი, დანარჩენები გავაქირავე და ამით ვირჩენდი თავს, თუმცა არც ისე ცუდი შემოსავალი მქონდა და არ გეგონოთ, ვწუწუნებ. ბიძაჩემი ისევ დამეხმარა და თბილისში თავისი ფირმის ფილიალი გახსნა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. სწორედ იქ გავიცანი ამირანი – ჩემი მომავალი მეუღლე. თავიდან ვერ გავუმხილე, რომ ასეთი საშინელი წარსული მქონდა. მერე და მერე, უფრო გამიჭირდა. თან ვფიქრობდი, ჩემს ქმარს ჩემი შიში ეჭნება, თუ გაიგებს, რომ კაცი მყავს მოკლული-მეთქი. ამიტომ დავუმალე ჩემი თავგადასავალი. ახლა ერთი შვილი გვყავს, 3 წლის ნინო. თითქოს ბედნიერი ვარ, მაგრამ სულ ვშიშობ, რომ შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს ამირანმა ყველაფერი გაიგოს და ჩემი ბედნიერებაც უმალვე დასრულდეს. ■

ივლისის კალორიები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ზაფხულის მენიუ რადიკალურად განსხვავდება სხვა სეზონების მენიუსაგან. ეს მხოლოდ იმის ბრალი არ არის, რომ ამ დროს სეზონური პროდუქტების დიდი არჩევანია. სიცხეში ადამიანს დიდი ჯაფა ადგას: ნივთიერებათა ცვლა მატულობს, იზრდება გულის დატვირთვა, ხშირად ვითარდება ალერგიული რეაქციები და ორგანიზმიდან ცუდად გამოიდევნება ტოქსინები. ამიტომ მადის დაქვეითება ორგანიზმის კანონზომიერი დამცავი რეაქციაა. ამ დროს სრულიად ზედმეტია ნოყიერი სადილი, გვიანი ვახშამი, ღორის ან ცხვრის ხორცის ცხიმიანი კერძები.

ზაფხული ბევრ თავსატეხს უჩენს მზარეულსაც. მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ სიცხით გათანგული ადამიანები სწორად დააპუროს. ძირითადი წესი ამ დროს უნდა იყოს: მინიმალური რაოდენობის ცხიმი და ტკბილეული და მაქსიმალური რაოდენობის ხილი, ბოსტნეული და მწვანილი. არ ღირს ცხარე სანელებლების ბოროტად გამოყენება — ზაფხულში ისინი ინფექციებთან გამკლავებაში გვეხმარება, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდის „შინაგან გრადუსს“.

ზაფხულში ადამიანი ძირითადად ვეგეტარიანულ კვებაზე გადადის, მაგრამ სიცხის მიუხედავად, ორგანიზმს აუცილებლად სჭირდება ცილებიც. ამიტომ რაციონში უნდა შევიტანოთ უცხიმო ხორცი, თევზი და ზღვის პროდუქტები. მათში შემავალი ნახევრად უჯერი ცხიმოვანი მჟავები ხელს უწყობს იმუნური და გულ-სისხლძარღვთა სისტემების მუშაობას და ზრდის შრომისუნარიანობას.

გაზიანი სასმლის გარეშე!

სიცხეში გაუწყლოება ორგანიზმისთვის უსიამოვნო გამოვლინებებს — ქოშინს, თვალის უპეების შეშუპებას უწყობს ხელს.

ზოგადი წესი ასეთია — სვით ცოტ-ცოტა, მაგრამ ხშირ-ხშირად. ნუ დაუჯერებთ რეკლამას, რომელიც გარწმუნებთ, რომ სიცხისგან საუკეთესო გამოსავალი, გაზიანი სასმელია. სიცხეში ის საერთოდ არ უნდა მიიღოთ. ჯერ ერთი, მასში ბევრია შაქარი — სიტკბო კი წყურვილის აღმძვრელია. მეორეც, ნახშირორჟანგი აჩქარებს ორგანიზმიდან სითხის გამოდევნას. მესამეც, ცივი სასმელი, რომელსაც ჭარბად სვამთ სიცხეში, შეიძლება გაცივებისა და ანგინის მიზეზი გახდეს.

ოფლიანობისას ჩვენ ვკარგავთ მინერალურ ნივთიერებებსა და ვიტამინებს, რომლებიც ორგანიზმს აუცილებლად სჭირდება გადახურების დროს. წყლის ბალანსის შესანარჩუნებლად საუკეთესო საშუალებაა მწვანე ჩაი. სასურველი ეფექტის მისაღწევად, მისი დალევა, წყალთან შედარებით ორჯერ ნაკლები რაოდენობით მოგიწევთ. ამასთან, იგი დადებითად მოქმედებს თირკმლებისა და გულის მუშაობაზე, ხელს უწყობს ცხიმების წვას და აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის დონეს.

სასარგებლოა კენკრისა და ხილის სასმელები. სახის ნორმალური ფერის აღდგენაში დაგეხმარებათ ნიახურისა და ვაშლის ახალგამოწურული წვენები, შეშუპებებთან გამკლავებაში კი — ჩირის კომპოტები, რომლებიც მდიდარია კალიუმით, რომელიც ამცირებს დატვირთვას გულზე ზაფხულის პერიოდში. ნუ დაივიწყებთ რძემჟავა პროდუქტებსაც (მაწონს, კეფირს) — ისინი გვეხმარება ინფექციებთან ბრძოლაში, შეიცავს სრულფასოვან ცილებს და ხელს უშლის დისბაქტერიოზის განვითარებას.

სიცხეში არარეკომენდებულ სასმელთა სიაში, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, შედის ყავა და ალკოჰოლი. როცა ცხელა, გულზე დატვირთვა მატულობს და არ არის სასურველი მისი კიდევ უფრო გადატვირთვა კოფეინით ან ალკოჰოლით. სიცხეში ლუდის ბოკალი გვიზიდავს, მაგრამ გირჩევთ, მის ნაცვლად, ჩვეულებრივი სასმელი ან მინერალური (სასურველია, გაზგასული) წყალი მიირთვათ. წყურვილს კლავს მინერალური წყალი ნატურალური დანამატებით — მაგალითად, ლიმონის წვენით.

■

ეს ლუდი აღარ იქნება!

გერმანელმა ლუდის ოსტატმა ჰელმუტ ფიტჩერმა შექმნა ლუდის ახალი სახეობა, რომელიც ჩვეულებრივი წესით იხარშება, მაგრამ შემდგომში ემატება მნიშვნელოვანი კომპონენტები: წყალმცენარე სპირულინა, პროტეინები და ფლავონოიდები, რომლებიც, როგორც მიიჩნევენ, ორგანიზმს სიმსივნისგან იცავს. ეს კომპონენტები ლუდის მოყვარულებს, რომლებიც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, საშუალებას აძლევს, სვან ლუდი და თან არ ავნონ საკუთარ ჯანმრთელობას. თუმცა ამ ახალ სასმელს ლუდი აღარ ერქმევა, რადგან მსოფლიოში მოქმედი უძველესი კანონის „რაინჰაიტსგებოტის“ (იგი მიღებულია 1516 წელს) თანახმად, ლუდი უნდა შეიცავდეს მხოლოდ ოთხ ინგრედიენტს.

■

გულით ახალგაზრდები, ღვიძლით მოხუცები

თითოეული ორგანო, თითოეული უჯრედი, თითოეული მოლეკულა თავისი პროგრამის მიხედვით და სხვადასხვა ტემპში ბერდება. სწორედ ამიტომ ბიოლოგიური და ქრონოლოგიური ასაკი, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა: ადამიანი კარგად გამოიყურება, ვიდრე ახალგაზრდა უჯრედები სჭარბობს დაბერებულ ორგანოებს. დაბერების ტემპები სხვადასხვაგვარია: ზოგიერთი ბედნიერი გასაოცარ ახალგაზრდობას ინარჩუნებს 70 წლამდე, შემდეგ კი უეცრად ხდება მისი გადაქცევა ხანდაზმულ ადამიანად.

■

ზაფხულის ფეხსაცმელი

ზაფხული მეტად რთული პერიოდია ფეხებისათვის. ფეხის სუნმა რომ რა შეგაწუხოთ, საჭიროა **დილა-საღამოს საპნითა და თბილი წყლით დაბანა, შემდეგ კი კარგად გამშრალება, განსაკუთრებით თითებს შორის. კარგი იქნება, თუ სპეციალურ დეზოდორანტებსაც გამოიყენებთ, რომელთა წასმა მშრალ, დაბანილ ფეხზეა საჭირო.**

მხოლოდ ხარისხიან ფეხსაცმელში არ დაგეღლებათ ფეხი ზაფხულის სიცხეშიც კი. ფეხსაცმლის მასალა ელასტიკური და რბილი უნდა იყოს, ძირი — ნატურალური, ქუსლი კი — მყარი, არ უნდა მოძრაობდეს. ლაკის ფეხსაცმელი ცუდად ატარებს ჰაერსა და ტენს, ამიტომ ზაფხულში მის ტარებას არ ვურჩევთ განსაკუთრებით მათ, ვისაც ფეხის მეტისმეტი ოფლიანობა აწუხებს. ამ პერიოდში ყველას სჯობს ნაჭრის ან მსუბუქ ტყავის ფეხსაცმელები.

მინიმავნებლები

ადამიანის ტერფს აქვს რამდენიმე ფუნქცია: საყრდენის, ამორტიზაციისა და ბალანსირების. ფეხსაცმელი ბოლო ორ ფუნქციას მინიმუმამდე ამცირებს, მხოლოდ საყრდენის ფუნქცია რჩება თითქმის შეუცვლელი. ამასთან, ქალაქის მცხოვრებლებს სიარული ძირითადად ასფალტზე უწევთ, რაც ტერფებს დამატებით დატვირთვას უქმნის.

დღემდე გრძელდება დავა იმის შესახებ, მავნეა თუ არა მაღალი ქუსლები. ზოგი ორთოპედი ამტკიცებს, რომ ქუსლები ზრდის დატვირთვას ტერფისწინა ნაწილზე და თითებზე, რაც აქილევსის მყესის შეკუმშვასა და კუნთების დაზიანებას იწვევს. სხვების აზრით კი, მაღალი ქუსლი არც ისე მავნებელია, პირიქით, სასარგებლოც კია ტერფის ზოგიერთი ორთოპედიული პათოლოგიის დროს.

მეტისმეტად მაღალი, წვეტიანი ქუსლი წვივ-ტერფის კუნთების ძლიერ შეკუმშვასა და წვივისწინა კუნთებისა და მყესების მოდუნებას იწვევს. თუ მაღალ ქუსლებს მუდმივად ატარებთ, ფეხის ძირებზე უხეში ბრტყელი კოჟრები წარმოგექმნებათ. 12 სმ-ზე მაღალმა ქუსლმა კი შესაძლოა შინაგანი ორგანოების გადაადგილებაც გამოიწვიოს. ამიტომ ასეთი ფეხსაცმლის ჩაცმა მხოლოდ 18 წელზე უფროსი გოგონებისთვისაა დასაშვები.

განსაკუთრებით საზიანოა მაღალქუსლიანი და წვეტიანი ფეხსაცმელი. იგი აუარესებს სისხლის მიმოქცევას ფეხებში. ამავე დროს უკარგავს ტერფს ამორტიზაციის ფუნქციას და იწვევს წვრილი სახსრების (მაგალითად, თითების) ართროზს.

უარს კი ნუ იტყვით ქუსლიან ფეხსაცმელზე, უბრალოდ, თავს ზიანი რომ არ მიაყენოთ, დაიცავით განსაზღვრული წესები. არც უქუსლო, ბრტყელძირიანი ფეხსაცმელია გამოსავალი: იგი ღლის ტერფის თაღს. ქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება დასაშვებია დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში. შემდეგ კი ფეხზე უნდა გამოიცვალოთ. ყველაზე ხელსაყრელი ფეხსაცმელი ქალისთვის ის არის, რომელსაც 3-5 სმ-ის სიმაღლის განიერი ქუსლი აქვს. ასეთი ფეხსაცმლის ჩაცმისას სხეულის დატვირთვა ძირითადად ქუსლზე მოდის, რაც სავსებით ნორმალურია.

პლატფორმიანი ფეხსაცმელი ტერფს მთლიანად ართმევს ამორტიზაციისა და ბალანსირების ფუნქციებს. ამორტიზაციის პროცესში კი ჩართულია ძვლებიც, წვივებიც, ბარძაყებიც და ხერხემალიც კი. ამიტომ ასეთი ფეხსაცმლის ტარებისას ადამიანს შეიძლება განუვითარდეს მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრების ართროზი და ოსტეოქონდროზი.

იდეალური ფეხსაცმლის პორტრეტი

ფეხსაცმელი უნდა შეარჩიოთ დღისით, როდესაც ფეხი უკვე „გადიდებულია“, თუმცა საღამოს შეშუპება ჯერ კიდევ არ განვითარებულა. სიარულისას ტერფი იცვლის ზომებს, ამიტომ ფეხსაცმლის შიგნითა პარამეტრები მოსვენებულ მდგომარეობაში მდებარე ტერფის ზომებს ოდნავ უნდა აღემატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტერფი დეფორმირდება, წარმოიქმნება კოჟიჟები. ფეხსაცმელი მხოლოდ ფეხზე დამდგარმა მოიზომეთ, გაიარ-გამოიარეთ. თითები ფეხსაცმელში თავისუფლად უნდა იყოს, უნდა შეგეძლოთ მათი მოძრაობა. მჭიდრო ფეხსაცმელი თითების დეფორმაციას, სისხლის მიმოქცევის დარღვევასა და ფრჩხილების ჩაზრდას იწვევს. არც ფართო ფეხსაცმელია რეკომენდებული – მასში ტერფი არ ფიქსირდება და წონასწორობის შესანარჩუნებლად კუნთების დაძაბვაა საჭირო. თუ ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ფეხი ფეხსაცმელში მოძრაობს, სწრაფად დაიღლებით. ასე რომ, ფეხსაცმლის შერჩევისას მთავარია, თავს მასში კომფორტულად გრძნობდეთ. ■

ფეხით სეირნობა სიგარეტის გადაგდებაში დაგეხმარებათ

ფეხით სეირნობა სიგარეტისთვის თავის დანებებას უწყობს ხელს – იტყობინებიან ამერიკელი მეცნიერები.

მათ გამოიკვლიეს იმ მწეველთა ფიზიკური მონაცემები, რომელთაც 1-2 კმ ფეხით გაიარეს. აღმოჩნდა, რომ სიარულისას და მის შემდეგაც 20 წუთის განმავლობაში, მნიშვნელოვნად ქვეითდებოდა მოწევის სურვილი, ქრებოდა ნიკოტინური შიმშილის სიმპტომები. მეცნიერები ამ ეფექტს უკავშირებენ დოფამინს (მას „სიამოვნების ნივთიერებას“ უწოდებენ), რომელსაც ტვინი აქტიურად გამოიმუშავებს სუფთა ჰაერზე სეირნობისას. ■

წიგნი ტელეფონში

იაპონიაში პოპულარულია წიგნის კითხვა მობილური ტელეფონების ეკრანებიდან. ამ მომსახურების მქონე საიტს უკვე ჰყავს 50000-ზე მეტი მომხმარებელი. „მობილური კითხვის“ პოპულარობა ადვილად აიხსნება: ასეთი წიგნი მუდმივად თან გაქვს, არ იკავებს დიდ ადგილს ჩანთაში და მგზავრობისას ან რიგში დგომისას დროის უქმად ხარჯვას აგარიდებთ. ერთი წიგნის კითხვის დამთავრების შემდეგ, შეგიძლიათ, უმალვე გააგრძელოთ ახალი წიგნის კითხვა. ამისთვის საკმარისია, შეარჩიოთ საჭირო ნაწარმოები მენიუში, რომელიც სულ მოკლე ხანში ჩაიტვირთება თქვენს მობილურში. ■

როგორ გავუმკლავდეთ მუწუკებსა და ფერიმჭამელებს

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც მანდილოსნებს აწუხებს — გარეგნობაა. საკუთარი სილამაზისთვის, ისინი რა მეთოდებს აღარ მიმართავენ: იკეთებენ პლასტიკურ ოპერაციებს, იჭიმავენ კანს, იცავენ დიეტას, ხმარობენ ძვირად ღირებულ კოსმეტიკურ საშუალებებს, მაგრამ ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს, ამის საშუალება არა აქვს. როგორ მოვუაროთ კანს ზედმეტი ხარჯის გარეშე და მეტი ეფექტურობით, ამ კითხვაზე კოსმეტოლოგი — ნანა სტურუა გვიპასუხებს.

ლიკა ქაჯაია

— საკუთარ გარეგნობაზე გადამეტებულად ზრუნვა, შეიძლება დაავადებაში გადაიზარდოს და ამის გამო, ქალების 50%-ს, საკუთარ სახის კანზე იმაზე ცუდი წარმოდგენა აქვს, ვიდრე სინამდვილეშია. მათ მთელი ყურადღება სილამაზეზე აქვთ გადატანილი, ყიდულობენ ძვირად ღირებულ კოსმეტიკურ საშუალებებს, სამაგიეროდ, ჯანმრთელობას იმდენ ყურადღებას აღარ აქცევენ. პირველ რიგში, კანი ვიტამინებით უნდა გავამდიდროთ და უარი ვთქვათ სიგარეტის მოწევაზე, სოლარიუმზე...

— რა ზიანის მოტანა შეუძლია სოლარიუმს?

— სოლარიუმში ხელოვნურად მიღებული ნამზეური კანის დაბერებას უწყობს ხელს. ჩნდება ნაოჭები და კანის სიმსივნის გაჩენის საშიშროება. თუმცა, სოლარიუმის მოყვარულებს ამაში ვერავინ დაარწმუნებს.

— ამბობენ, ზაფხულში კანი შრებაო. ამ შემთხვევაში რა ბუნებრივი საშუალებებით დამზადებულ ნიღაბს შემოგვთავაზებთ?

— გაღიზიანებულ კანს, კარტოფილის ნიღაბი აწყნარებს. უფრო გლუვს ხდის მას. გათლილი კარტოფილი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. მიღებულ მასას, კვერცხის გული და თბილი რძე დაამატეთ. ეს მასა დაიდეთ სახესა და ყელზე. გაიჩერეთ 20-30 წუთი და ნელთბილი წყლით ჩამოიბანეთ...

— რა მოსდის ზაფხულში ცხიმიან კანს?

— ამ დროს, მასაც გამოშრობა ემუქრება, მაგრამ მისი დაცვა მზისგან უფრო ადვილია, ვიდრე მშრალი კანის. აიღეთ 1 ცალი გაფცქვნილი კივი, 2 წვეთი ლიმონი, 2 ს/კ ზეითუნის ზეთი, შეურიეთ ერთმანეთს და ნიღაბი სახესა და ყელზე დაიდეთ. 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

— მართალია თუ არა, რომ სახის კანის ყოველდღიური დაბანა საჭითა და ცხელი წყლით მას აზიანებს?

— საერთოდ, მშრალი კანის მქონე ადამიანებმა უმჯობესია, პირი დილით, ცივი წყლით დაიბანონ, რომლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს ოთახის ტემპერატურას. ცხიმიანი კანის მქონე ადამიანებმა კი — თბილი წყლით... საპონი კვირაში 1-2-ჯერ გამოიყენეთ. ამ პროცედურის შემდეგ, აუცილებლად წაისვით კრემი... სხვათა შორის, საპნის დამზადება თავადაც შეგიძლიათ: 1 ლ წყალში (რომელსაც ადუღებამდე მივიყვანთ), ჩავამატოთ 2 ცალი გახეხილი საბავშვო საპონი. ვადუღოთ 1 საათის განმავლობაში და გავაცივოთ. შემდეგ, დავუმატოთ 7 ჩ/კ 100%-იანი წყალბადის ზეჟანგი, 4 ჩ/კ ბორის მჟავა. ისევ ვადუღოთ (მუდმივი მორევით), გავაცივოთ და ვიხმაროთ, როგორც საპონი.

— თუ სახეზე მუწუკები გაგვიჩნდა?..

— არასდროს გამოირწყათ იგი ხელით. წინაალმდეგ შემთხვევაში, იგი გავრცელდება მთელ სახეზე (სისხლის საშუალებით). აიღეთ ღორის ქონი, გაადნეთ და ადუღეთ. დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ქაფური და კარგად აურიეთ. ტილოზე ან სხვა ნაჭერზე წაუსვით და დაშავებულ ადგილზე დაიკარით. ფერიმჭამელის საწინააღმდეგოდ, საუკეთესოა შემდეგი რეცეპტი: 1 ჩ/ჭ ადუღებულ წყალში გახსენით 1 ჩ/კ ბორის მჟავა და პირის დაბანის შემდეგ, სახე ამ სითხით დაისველეთ.

— ზაფხულში, მანდილოსანთა უმეტესი ნაწილი სახეს მაწვნით იწმენდს. რამდენად შედეგიანია ეს პროცედურა?

— შედეგიანია, მაგრამ გააჩნია მისი მოხმარების წესს. უნდა ავიღოთ აბანოს პირსახოცის მსგავსი ქსოვილი, დავასველოთ მაწონში და წავისვათ ახალდაბანილ სახის კანზე. კანი გამოცოცხლდება, სინაზეს დაიბრუნებს. სავალდებულოა, რომ ამ პროცედურის შემდეგ, მკვებავი კრემი გადაისვათ... სახის გამწმენდ საუკეთესო საშუალებად ითვლება შემდეგნაირად დამზადებული ლოსიონები: წვრილად დაჭრილ ოხრახუშს დავასხათ მდუღარე წყალი (რაც მეტია მწვანილი, მით უკეთესი). ნარევი გაცივების შემდეგ დოლბანდში გავწუროთ, ჩავასხათ ბოთლში და დავდგათ ბნელ, გრილ ადგილას. ძილის წინ სახე ამ ნარევით გავიწმინდოთ. ის კანს ათეთრებს და არბილებს, ან 1 ცალ გაწურულ ლიმონს, დავუმატოთ 1 ს/კ გლიცერინი, ნახევარი ჩ/ჭ გადადუღებული წყალი... მაგრამ, სანამ ყველა ამ პროცედურას ჩაიტარებთ, ზუსტად უნდა იცოდეთ თქვენი კანის გამოშრობის ან დანაოჭების მიზეზები. ■

| ნივთიერება, აჩქარებს ქიმიურ რეაქციას, მაგრამ რეაქციაში არ შედის | | |

როგორ ვინინასწარმეტყველოთ ხანგრძლივი ქორწინება

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა განაცხადეს, რომ მიაგნეს მეთოდს, რომლის მიხედვითაც ქორწინების ხანგრძლივობის წინასწარმეტყველება შეუძლიათ. ეს მეთოდი მხოლოდ 94%-ით მართლდება, მაგრამ მისი შედეგები მაინც საინტერესოა. ამერიკელ მეცნიერთა მტკიცებით, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად ხშირად ჩხუბობენ მეუღლეები და რა გამონათქვამებს იშველიებენ ამ დროს. მთავარია, ცოლიც და ქმარიც დისკუსიის ერთსა და იმავე მეთოდს იყენებდეს.

მკვლევართა აზრით, არსებობს მეუღლეების სამი მთავარი ტიპი, რომელსაც ხანგრძლივი თანაცხოვრება გარანტირებული აქვს.

პირველი ტიპი — „მშვიდები“ — ადამიანები, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ კონფლიქტის თავიდან აცილებას.

მეორე ტიპი — „მოკამათეები“ — მეუღლეები, რომლებიც წვრილმან მიზეზსაც არ უშვებენ ხელიდან, რომ იკამათონ და ვინ იცის, უკვე მერამდენედ არკვევენ ურთიერთობებს.

მესამე ტიპი — „კონსულტანტები“ — როცა მეუღლეები ყურადღებით ისმენენ ერთმანეთის არგუმენტებს და ცდილობენ, ორივესთვის ხელსაყრელ გამოსავალს მიაგნონ.

როდესაც წყვილდებიან ადამიანები, რომლებიც ურთიერთობის გასარკვევად სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ (მაგალითად, ერთი „მოკამათეა“ და მეორე „კონსულტანტი“; ან ერთი „მშვიდია“ და მეორე კი, „მოკამათე“), მათი ქორწინება თითქმის ყოველთვის კრახით მთავრდება.

განსაკუთრებული სალათა

მასალად საჭიროა:

1 ცალი მოზრდილი პომიდორი;
1 ცალი კიტრი;
1 თავი ხახვი;
1 ცალი ბულგარული წიწაკა;
100 გ ყველი;
ზეთი, ძმარი;
მწვანილი, მარილი.

მომზადების წესი:

ბულგარული წიწაკა პატარა ნაჭრებად დაჭერით და ზეთში შეწვით. ალყა-ალყა დაჭრილ ხახვს მოასხით ძმარი, მოაყარეთ მარილი გემოვნებით, გააჩერეთ ცოტა ხანს, გადაწურეთ ძმარი და ზედ ბულგარული წიწაკა მოაწყვეთ. მსხვილ სახეხზე გახეხეთ ყველი. კიტრი და პომიდორი დაჭერით, ლანგარზე დაალაგეთ და ზედ ხახვიანი ბულგარული წიწაკა, გახეხილი ყველი და თქვენთვის სასურველი მწვანილი მოაყარეთ. შეგიძლიათ, გემოვნებისდა მიხედვით, მაიონეზი ან არაჟანი მოასხათ.

სასარგებლო რჩევები

- ტყავის ნივთებს დიდხანს შეუნარჩუნებთ პეწსა და ლაზათს, თუ მათ პერიოდულად ქაფურის სპირტით ან ვაზელინით გაწმენდთ;
- თუ ლიმონის კანს მდუღარეს დასხამთ და შემდეგ ცოტა შაქარსაც დაუმატებთ, მშვენიერი, არომატული სასმელი გამოვა;
- ვაფლი და ნებისმიერი შაქარლამა უფრო ჰაეროვანი გამოგივათ, თუ ცომის მოსაზელად, ჩვეულებრივი წყლის ნაცვლად, მინერალურ გაზიან წყალს გამოიყენებთ;
- თვალის და ტუჩის ფანჯრის გასათლელად ნუ იხმართ სპეციალურ მრგვალ სათლელს. უბრალოდ, ფანქარი 2 საათის განმავლობაში, საყინულეში მოთავსეთ, შემდეგ კი ჩვეულებრივად „ბრიტვით“ გათალეთ;
- ავეჯის გალაქულ ზედაპირზე ნაკაწრების მოცილება სულ იოლად შეიძლება... სათანადო ფერის ფეხსაცმლის კრემით.

ჰიჩკოკის საკულტო ფილმი	ცხელი ქარი აფრიკის უდაბნოში	მგოსანი მუსლიმანურ ქვეყნებში	თიხის წყლის ჭურჭელი	წყლის გრაციოზული ფრინველი	ქალაქი ავსტრალიაში

ბილოზე მაგრებელი ნაყური	ვისაც წვერულვაში არ ამოსდის	ფარაონის დაბალზამირებული სხეული	ნამცხვარი	ფოლაქი	თეატრალური ხელოვნების ქანრი	ბენისიო ... ტორო	ვერდის ოპერა

რა უნდა ვიცოდეთ ბავშვის დასჯასთან დაკავშირებით

ბავშვის კეთილზნეობრივი აღზრდა რომ მშობლების უმთავრესი და უპირველესი მოვალეობაა, ამის ახსნა არც ერთ ჭეშმარიტ ქრისტიანს არ სჭირდება. ბუნებრივია, მხოლოდ სიყვარულით, მოფერებითა და თამაშით ბავშვის კარგად აღზრდა შეუძლებელია. როგორც ქრისტიანული რელიგია გვასწავლის, აღზრდის პროცესში გამოყენებული უნდა იყოს შეგონება-დარიგებებიც და მივმართოთ დასჯასაც: „დასჯას თუ თავის დროზე და თავის ადგილზე გამოვიყენებთ, უდიდესი როლის შესრულება შეუძლია“, — ბრძანებენ წმინდა მამები.

შორენა მერკვილაძე

როგორც ვხედავთ, მართლმადიდებლური სარწმუნოება არ კრძალავს ბავშვის დასჯას, მაგრამ საჭირო და აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა მიზეზით, რის გამო შეიძლება დაისაჯოს ბავშვი, რადგან ზოგჯერ ხდება, რომ ის სრულიად უსამართლოდ და არაკეთილგონივრულად ისჯება. მაგალითად, როდესაც ბავშვი დაეხმარება იმ ადამიანს, რომელთანაც მის მშობლებს ცუდი დამოკიდებულება აქვთ, ან მშობლების დაუკითხავად, დახმარებას გაუწევს ღარიბ ამხანაგს და ამის გამო სჯიან, გამოდის, რომ ის კეთილი საქმის ჩადენისთვის დაისაჯა. გაუმართლებელია ბავშვის დასჯა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისე კარგად ვერ სწავლობს და ვერ ამზადებს გაკვეთილებს, როგორც მისი ნიჭიერი თანატოლები. ბავშვი არ უნდა დაისაჯოს ავადმყოფობის, ჭამის დროს და ძილის წინ, ასევე — როდესაც შემთხვევით გაუფუჭდება რაიმე. მაგრამ თუკი ის არაკეთილზნეობრივად იქცევა — უმიზეზოდ ჭირვეულობს, თავნებობს, ჯიუტობს, იტყუება, უხამს სიტყვებს იყენებს, უარს ამბობს სწავლაზე, დაუკითხავად აიღებს რაიმეს შინ ან სტუმრად ყოფნისას, ასეთ დროს მისი დასჯა არათუ საჭირო, აუცილებელიცაა.

არსებობს დასჯის სხვადასხვა მეთოდი — სიტყვიერი გაფრთხილება, კუთხეში დაყენება, ოთახში მარტო გამოკეტვა, ტკბილეულის აკრძალვა და ა.შ. უფროსები ხშირად მიმართავენ ბავშვის ფიზიკურ დასჯასაც. მისაღებია თუ არა ბავშვის ცემა?

წმინდა მამები გვირჩევენ, რომ ბავშვი უფრო ხშირად, მკაცრი ტონით გავაფრთხილოთ, გარკვეული დროის მანძილზე შეიძლება, ავუკრძალოთ თამაში, მცირე ხნით გამოვკეტოთ ოთახში და სხვა. რაც შეეხება ცემას — დასჯის უკიდურეს ზომას — ამ შემთხვევაში, წმინდა იოანე ოქროპირი ასე გვმოძღვრავს: „ცემას ნუ გამოიყენებ ბოროტად, რათა არ მიაჩვიო ბავშვი აღზრდის ამ საშუალებას, რადგან თუ მიეჩვია, რომ მას გამუდმებით ამ ხერხით ზრდიან, მის უგულებელყოფასაც დაეჩვევა და მაშინ ყველაფერი ამაო იქნება“. ამასთანავე, თუ ფიზიკურ დასჯას ხშირად გამოვიყენებთ, ბავშვი შესაძლოა, სასტიკი და ბოროტი გაიზარდოს. იმ შემთხვევაში, თუკი მაინც მივმართავ დასჯის ამ უკიდურეს ზომას, აუცილებლად გავითვალისწინოთ, რომ არავითარ შემთხვევაში, არ შევეხოთ მას თავის არეში და არ ვცემოთ ბავშვი სხვისი თანდასწრებით. რაც განსაკუთრებულად შელახავს მის ადამიანურ ღირსებას.

საჭიროა თუ არა ბავშვის დასჯა იმ შემთხვევაში, როდესაც ის გულწრფელად განიცდის ჩადენილ ცუდ საქციელს?

როდესაც ჯერი ბავშვის დასჯაზე მიდგება, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როგორ რეაგირებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე: თუ ის აღიარებს, რომ ცუდად მოიქცა, სინანულს გამოხატავს და პირობას დებს, რომ მსგავს საქციელს აღარ ჩაიდენს, უმჯობესია, თავი შევიკავოთ მისი დასჯისგან: „ჩვენი ბავშვებისადმი სიყვარული უნდა იყოს გამოხატულება ღვთის სიყვარულისა ადამიანების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ თუ ბავშვი აღიარებს დანაშაულს ანდა გამოხატავს სინანულს, ჩვენ უნდა შევუმსუბუქოთ საყვედურები და სასჯელი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით ცოდვას წავახალისებთ ან თუნდაც, გარეგნულად ისე გამოჩნდება, თითქოს ცოდვის წამხალისებლები ვართ, არამედ საჭიროა, ბავშვის შეგულიანება, რათა არ შეეცადოს დანაშაულის დაფარვას და ტყუილის გამოგონებას ჩადენილი ცოდვის გასამართლებლად. სიცრუე ხარისხობრივად უარესია ნებისმიერ ცუდ ქცევაზე. და თუ ის თავს იჩენს ბავშვისა და მშობლის ურთიერთობაში, ძალზე ძნელი იქნება შემდგომში ურთიერთობის მოგვარება“, — შეგვაგონებს დედა მაგდალინა. იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვი, მიუხედავად დადებული პირობისა, კვლავ გაიმეორებს ცუდ საქციელს, მისი დასჯა აუცილებელია.

ზოგჯერ ხდება, რომ მშობელი მხოლოდ მუქარით შემოიფარგლება, შემდეგ კი არ ასრულებს...

უპირველესად უნდა ითქვას, რომ უმჯობესია, თავი შევიკავოთ მუქარისგან, მაგრამ თუ მაინც დავემუქრებით, აუცილებლად უნდა შევასრულოთ, რადგან ხშირი მუქარა, რომელსაც არ მოჰყვება შესრულება, არასერიოზულად აღიქმება და მშობლები ნდობას კარგავენ. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი მუქარა არ უნდა სცილდებოდეს იმ ფარგლებს, რისი გაკეთებაც რეალურად შეგვიძლია.

P.S. დავსაჯოთ თუ არა ბავშვი უფლის სახელის გამოყენებით? რა არის დასჯის მიზანი? რა უნდა გავაკეთოთ ბავშვის დასჯის შემდეგ? — ამ და სხვა საკითხებს „გზის“ მომდევნო ნომერში გავაშუქებთ.

მეწისქვილე „შეთავსებით“ – გამშველებელი...



მას შემდეგ, რაც ქვეყანა აირია და ადამიანები უსამსახუროდ და უსაქმოდ დარჩნენ, ზოგმა რა გზა აირჩია ლუკმაპურის საშოვნელად და ზოგმა — რა... 60 წლის ნანული ჯიბაშვილი ადრე ვერასდროს წარმოიდგენდა, ქალისთვის ძალზე უჩვეულო და მძიმე საქმეს თუ აირჩევდა და მეწისქვილე თუ გახდებოდა.

ნინო ჯავახიშვილი

— წისქვილის გახსნა თავდაპირველად ჩემი ძმის იდეა იყო. სოფლიდან ფქვილი ჩამოიტანა და როცა ნახა, კარგი გასავალი ჰქონდა, დირექტორთან მივიდა და სთხოვა, ადგილი გამომიყავი, ბაზარსაც სარგებელი ექნებაო. დირექტორი დაგვთანხმდა და წისქვილი ავაშენეთ. 12 წელი ვიმუშავე მეწისქვილედ, მერე ვიღაც ჩაგვიდგა ჯიბრში და წისქვილი წაგვართვა. 4 წელი მან ამუშავა, მაგრამ – დანაკლისით, მოგება ვერაფრით ვერ ნახა... ამ ხნის განმავლობაში, ბაზრის დირექტორმა უმუშევრად არ დამტოვა, ადგილი გამომიყო სავაჭროდ. დაახლოებით ერთი თვის წინ კი მთხოვა – იქნებ, კვლავ შენ აამუშაო წისქვილიო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

— ქალისთვის ალბათ ძალიან ძნელია წისქვილში მუშაობა?

— ძნელია, აბა, ადვილი ხომ არ იქნება?! 20-25-კილოიანი ტომრები უნდა ასწიო, რაც ძალიან ძნელია ქალისთვის. ადრე 50-კილოიან ტომრებსაც ვეწეოდი, მაგრამ ახლა დავბერდი და აღარ შემიძლია. მთელი დღის განმავლობაში, ძალიან დატვირთული ვარ. შეკვეთები ბევრი გვაქვს სიმინდზეც და ხორბალზეც.

— კლიენტებს წისქვილში ქალი რომ ხვდებით, არ უკვირთ? მამაკაცები თუ გეხმარებიან ხოლმე?

— ზოგს მართლაც, ძალიან უკვირს, ძველი კლიენტები კი სიხარულს გამოხატავენ – რა კარგია, რომ დაგვიბრუნდიო. მენდობიან და ამიტომ – სასწორსაც არ შეხედავენ, დამიტოვებენ ხოლმე საფქვავს და შემითანხმდებიან, წასაღებად როდის მოვლენ. ამას წინათ, ერთმა კაცმა მომიტანა საფქვავი. რომ ავწონე, ვუთხარი – 15 კილოამეთქი. გაუხარდა – მართალი ხარ, არ იტყუებიო, – მითხრა... ზოგი მეხმარება ტომრების აწევაში, ზოგი – ხელსაც არ ჰკიდებს...

— გამიგონია, მეწისქვილეებს სდებენ ხოლმე ბრალს — კარგი ფქვილი არ გამოვიდაო. ეს რაზეა დამოკიდებული — თვითონ მეწისქვილეზე თუ წისქვილის ქვებზე?

— ორივეზე – დამფქველზეც და ქვებზეც. ტყიბულში, სოფელ მუხურში არიან წისქვილის ქვების სპეციალისტები, მეც იქიდან ჩამოვიტანე. გარდა ამისა, სიმინდი კარგად უნდა იყოს გამომშრალი. თუ ნედლია, კარგად არ დაიფქვება. ამიტომ ყველას ვურჩევ ხოლმე – ცეცხლზე ოდნავ მოხალეთ და ფქვილიც უფრო გემრიელი გამოვა-მეთქი.

— მთელ დღეს ბაზარში ატარებთ, ათასი ჯურის ხალხს ხვდებით... ალბათ ბევრი საინტერესო რამ გადაგხდენიათ თავს, არა?

— ერთი მოხუცებული ქალი ჩემ გვერდით სუნელებით ვაჭრობდა. ერთხელ ბაზრიდან სუნელებით სავსე ყუთი მოიპარეს. იმავე დღეს, ახალგაზრდა კაცმა ზაფრანა მომიტანა გასაშრობად და ქალმა ქურდობა რატომღაც მას დააბრალა – გინდა თუ არა, შენ მომპარე სუნელებიო. „მხედრიონელი“ ნათესავი ჰყოლია და „მხედრიონელები“ დააყენა თავზე. ვიცოდი, ის ბიჭი მართალი იყო და წინ გადავუდექი. ერთმა იარაღი ამოიღო და შუბლზე მომადო. მე ვუთხარი – მესროლე, იარაღი რომ გიჭირავს, იმიტომ ხარ ვაჟკაცი, ქალს იარაღით როგორ მაშინებ-მეთქი?!. მოკლედ, ის ბიჭი ცემას გადავარჩინე. უსამართლობას ვერ ვიტან... ჩხუბი და აყალმაყალი ბაზრისთვის იშვიათი არ არის. სადაც ვინმე ჩხუბობს, მეც იქ ვარ და გამშველებლის ფუნქციას ვასრულებ. ჩემი შვილი ამის გამო სულ მეჩხუბება ხოლმე.



ტყიბულში, სოფელ მუხურში არიან წისქვილის ქვების სპეციალისტები, მეც იქიდან ჩამოვიტანე

— ბოლოს ისიც მითხარით, მეწისქვილის შემოსავალი რამდენია და თუ გყოფნით?

— იმდენია, რომ თვიდან თვემდე თავს გავიტან და შვილებსაც მივეხმარები. დღეში დაახლოებით 10 ლარი გამოდის, დიდი შრომის ფასად. მაგრამ როცა სხვა გზა არა გაქვს, რას იზამ?!. ■

...შესაძლოა, რომელიმე ქართველმა ლეგიონერმა ცალკეული მატჩი მასზე უკეთ ჩაატარა, მაგრამ ერთი რამ უდავოა — ჩვენებურთაგან საუკეთესო და ყველაზე სტაბილური სეზონი ვლადიმერ ბოისას ჰქონდა. ლუბლიანის „ოლიმპიას“ ქართველმა კაპიტანმა საკუთარი კლუბის გაჩემპიონებაში ლომის წილი დაიდო და თითქმის ყველა შეხვედრაში საუკეთესო იყო თანაგუნდელთა შორის. იმის მიუხედავად, რომ სლოვენია უკვე კარგა ხანია, მეორე სამშობლოდ იქცა მისთვის, ვოვამ პროგრესისთვის აუცილებელი ნაბიჯი გადადგა და გაცილებით ძლიერ, იტალიის საკალათბურთო ლიგას მიაშურა. ამიერიდან, ვლადიმერ ბოისა სიენის „მონტე პასკის“ მოთამაშეა და ახლა ამ კლუბისთვის მოუხდება ოფლის ღვრა. მომქანცველი სეზონის შემდეგ, ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ჯერ კუბაში დაისვენა ოჯახთან ერთად, ახლა კი საქართველოშია და ახალ კლუბსაც მალე მიაშურებს.

«არ მინდოდა, მაყურებელს ჩემი ცრემლი ენახა»

— დასასვენებლად იტალიაში უნდა გავმგზავრებულიყავი, ყველაფერს ჩემი ახალი კლუბი უზრუნველყოფდა, თუმცა... რომელიღაც საბუთის არქონის გამო საგზური არ მომცეს. ტურისტულ სააგენტოში გავარკვიე, რომ სწრაფად გამგზავრებას და სრულფასოვან დასვენებას კუბაში მოვახერხებდი და რამდენიმე საათში, უკვე თვითმფრინავში ვიყავი ოჯახის წევრებთან ერთად. გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. დასვენებისას ბევრი სიარული არ მიყვარს: სასტუმრო, რესტორანი, პლაჟი — აი, ჩემი „გრაფიკი“. უნდა აღვნიშნო, რომ კუბაში ყველაფერი ეს უმაღლესი დონისა იყო და ორი კვირა ჩინებულად დავისვენე.

— ფიდელ კასტროსაც ხომ არ „წასწყდომიხარ“ სადმე?

— სამწუხაროდ, არა *(იცინის)*. სიმართლე გითხრათ, მისი პერსონით არც დავინტერესებულვარ, კუბაში დასასვენებლად ვიყავი და ეს მშვენივრად მოვახერხე...

— დასვენებას რა სჯობს, თუმცა, მანამდე ურთულესი სეზონი გქონდა...

— სეზონი მისი დასრულების შემდეგ უნდა შეაფასო. ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, უამრავი კლუბი შემეხმიანა და კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა. ეს გასაკვირი არც არის — კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩავატარე, არც ტრავმას შევუწუხებივარ და სტატისტიკაც ჩინებული მქონდა. „ოლიმპია“ ყოველწლიურად კარგავს 5-6 წამყვან მოთამაშეს. კლუბის ფინანსური მდგომარეობა გაძლიერების შესაძლებლობას არ იძლევა და ყოველ სეზონს სულ უფრო სუსტი გუნდით ვხვდებოდით. თუმცა, წელს მაინც მოვახერხეთ ჩემპიონობა...

— გამორჩეულად რომელი მატჩი დაგამახსოვრდა?

— ფინალური სერიის გადამწყვეტი შეხვედრა. სხვა რომ არაფერი, ოქროს მედლები მოვიგეთ და თანაც, ჩემი ბოლო მატჩი იყო „ოლიმპიის“ შემადგენლობაში. ასევე კარგი მატჩი ჩავატარე ევროლიგაზე ტელავივის „მაკაბის“ წინააღმდეგ...

— სლოვენიასთან მრავალწლიანი ურთიერთობა გაკავშირებს. ქვეყნის დატოვება არ გაგიჭირდა?

— მოკლედ გეტყვი — საქართველო ჩემი ქვეყანაა, ლუბლიანა — ჩემი ქალაქი... ამ ქალაქში შვიდი წელი გავატარე და ჩემი მშობლიური რუსთავივით მიყვარს. საერთოდაც, ამ წლების მანძილზე, „ოლიმპიისთვის“ ძალზე ბევრი რამ გავაკეთე, თუმცა, კლუბმაც უამრავი რამ მომცა და მასთან განშორება ძალიან გამიჭირდა. უკანასკნელი მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთი იყო დარჩენილი, როცა მწვრთნელს ვთხოვე, მოედნიდან გავეყვანე. მეტი აღარ შემეძლო, მალე ტირილს დავიწყებდი და არ მინდოდა, მაყურებელს ჩემი ცრემლები ენახა...

— ბუნებრივია, რომ „ოლიამპიას“ არაფრით სურდა შენი გაშვება!..

— ძალიან უნდოდათ, კლუბში დავრჩენილიყავი, მაგრამ... გუნდს სხვა პრეზიდენტი რომ ჰყავდეს, კიდევ იმედი მექნებოდა, რომ სპონსორების მოძიებას მოახერხებდა, ახლანდელს კი მეტი არ შეუძლია. ასე რომ, ჩემს დასატოვებლად არც ფინანსები ჰქონდათ და თავადაც მსურდა, უფრო ძლიერ ჩემპიონატში და კლუბში მეცადა ბედი.

— ახალ კლუბზე, სიენის „მონტე პასკიზე“ რას იტყვი?

— იტალიას ძლიერი ჩემპიონატი აქვს,

- ალკოჰოლიზმი
- ნაბახუსევი („ზაპოი“)
- გულძმარვა
- ნევროზი (აგრესიულობა, დეპრესია)
- ღვიძლი
- ნაღვლის ბუშტი

მცენარეული პრეპარატების მიღება შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც

☎ 98-42-49 **(11⁰⁰–17⁰⁰სთ. კვირის გარდა)**

77-71-22 **(საღამოს);** 893-35-45-35 **თამრიკო**

სიენური კლუბი კი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური კოლექტივია, ბევრი მაღალი დონის მოთამაშე ჰყავთ. „მონტე პასკისთან“ სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და პირობებითაც კმაყოფილი ვარ. ისე, ჩემთვის გადამწყვეტი ფული რომ ყოფილიყო, იტალიაში კი არა, რუსეთში წავიდოდი. რუსეთის ჩემპიონატში გაცილებით უკეთესი ანაზღაურებაა, ვიდრე თუნდაც იტალიაში...

— სლოვენიისა და იტალიის ჩემპიონატებს შორის რა სხვაობაა?

— „ოლიმპიამ“ იტალიის ჩემპიონატში რომ ითამაშოს, ექვსეულში მოხვედრას თუ მოახერხებს, სლოვენიის პირველობის მეორე ადგილზე გასულს კი, ათეულში შესვლაც გაუჭირდება. დანარჩენი თავად განსაჯეთ. იტალიაში მოთამაშე კალათბურთელებისგან ვიცი — გამარჯვებაში წინასწარ დარწმუნებული, ბოლო ადგილზე მყოფ გუნდთანაც კი არ უნდა იყო, თორემ მარცხი არ აგცდება.

— საქართველოს ნაკრების ახალი თავკაცი, გორდონ ჰერბერტი პარიზულ კლუბს წვრთნის. ეროვნული გუნდის მწვრთნელზე რა ინფორმაცია გაქვს?

— ჰერბერტს 2-3-ჯერ შევხვდი. მის სამწვრთნელო მოღვაწეობას კი კარგად ვიცნობ, ძალზე ბევრს მუშაობს და ყველგან, სადაც კი უმუშავია, ჩინებული შედეგები აქვს.

— ესე იგი, ნაკრებში მის დანიშვნას იმედიანად უყურებ?

— რა თქმა უნდა. ვიცი, რომ ჩვენს ნაკრებს ძალიან ბევრი შეუძლია და ახალი მწვრთნელისაც მჯერა. სექტემბრის მატჩებიდან ჩვენთვის გადამწყვეტი ფინეთთან სტუმრობა იქნება, დანარჩენ ორ მატჩში კი აუცილებლად გავიმარჯვებთ. მთავარია, ნაკრების ყველა წევრი ტრავმის გარეშე შეხვდეს ამ შეხვედრებს...

■

«ამაზე კარგ ფორმაში ვყოფილვარ, მაგრამ ნაკრებიდან არ შემხმიანებიან»

დავით მუჯირისთვის ახალი სეზონი შესანიშნავად დაიწყო. ავსტრიული „შტურმის“ ქართველი მოთამაშე ტრავმებმა ექვსი თვე გააწამა, თუმცა, მოედანს დაუბრუნდა თუ არა, ორ მატჩში სამი გოლი შეაგდო და საკუთარ კლუბს ქვეყნის ჩემპიონ ვენის „რაპიდთანაც“ მოაგებინა. „შტურმი“ ავსტრიული მასშტაბებითაც მოკრძალებული გუნდია, თუმცა ახალ სეზონს შთამბეჭდავი სტარტით შეხვდა და „ინტერტოტოზეც“ სულ ცოტა დააკლდა „ვოლფსბურგის“ ძლევამდე, ჩვენებურმა კი გუნდის ლიდერობა და ბომბარდირობა დაიბრუნა...

— ზამთრის შემდეგ პირველად, ივნისში გავაგორე ბურთი და ფორმას ასე სწრაფად რომ ვიბრუნებ, ძალიან მიხარია. ტკივილები ჯერ ბოლომდე ვერ მოვიშორე, მწვრთნელებიც ცდილობენ, ძალიან არ დამტვირთონ და თანდათანობით, ჩვეულ ფორმას აღვიდგენ.

— ვარჯიში ახალი დაწყებული გაქვს და ორ მატჩში უკვე სამი გოლი გაიტანე...

— პირველ ტურში ქვეყნის ჩემპიონ „რაპიდს“ სტუმრად მოვუგეთ. მასპინძლები აშკარა ფავორიტები იყვნენ და მათთან გამარჯვების შემდეგ, „შტურმს“ სულ სხვაგვარად უყურებენ. იმ მატჩში ერთი გოლი გავიტანე, მომდევნო ტურში კი „ადმირასთან“ დუბლი შევასრულე და 2:1 მოვიგეთ. ისე, უკანასკნელ წუთებზე მეტოქემ მაგრად გვანერვიულა — ჩვენი მეკარის ჩინებული თამაში რომ არა, გოლი გარდაუვალი იყო. ავსტრიის ჩემპიონატში იოლი მატჩები არ არსებობს და ასეთი კარგი სტარტით ყველა კმაყოფილია. ახლა ლიდერთა შორის ვართ და შევეცდებით, „ტემპი“ არ დავაგდოთ.

— წარმატებულმა სტარტმა კლუბის მიზნებიც შეცვალა?

— ოთხი გუნდი: „რაპიდი“, „აუსტრია“, „გრაცერი“ და „ზალცბურგი“ გამოკვეთილი ფავორიტებია. ფინანსური მდგომარეობითაც და შემადგენლობითაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის უმთავრეს კანდიდატებადაც ეს კლუბები რჩებიან, თუმცა შევეცდებით, ამ ოთხეულში ჩვენც „შევძვრეთ“ და თუ ისევე კარგად ვითამაშეთ, როგორც საწყის ტურებში, უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაც შეგვიძლია.

— შარშანდელთან შედარებით, რა შეიცვალა გუნდში?

— რომ ვთქვა, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა-მეთქი, არ ვიქნები მართალი. „შტურმი“ დაახლოებით იმავე სიძლიერის გუნდია, წინა წლებში რომ იყო. უბრალოდ, ახლა გაცილებით უკეთ მოვემზადეთ.

— ავსტრიის მაქსბუნდესლიგა რა სიძლიერის ჩემპიონატია?

— უფრო გერმანული სტილის ფეხბურთს თამაშობენ, თუმცა, ბუნებრივია, სიძლიერით ბუნდესლიგასთან ვერ მივა. ისე, ავსტრიაშიც არის არაერთი ძლიერი კლუბი და როგორც გითხარით, დაძაბული ბრძოლებიც არაა იშვიათი. უკვე მეექვსე წელია, ავსტრიაში ვთამაშობ, ქვეყანასაც მივეჩვიე, იქაურ ფეხბურთსაც და ყოველწლიურად, სულ უფრო მიადვილდება თამაში.

— „ინტერტოტოზე“ მხოლოდ ერთი ეტაპი გადალახეთ. „ვოლფსბურგის“ ძლევა არ შეიძლებოდა?

— შეიძლებოდა კი არა, ძალიან ახლოსაც ვიყავით გამარჯვებასთან. გერმანელებს ვაჯობეთ და ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, შემდეგ ეტაპზე „შტურმი“ გავიდოდა. ანგარიში ორჯერ გავათანაბრეთ. გოლის გატანა გვჭირდებოდა, უკანმოუხედავად შევუტიეთ და ბურთი საკუთარ კარში მივიღეთ. მატჩის შემდეგ, გერმანელები ერთხმად აღნიშნავდნენ, ძალიან კარგად ითამაშეთო...

— ბოლოს, ყველა ფეხბურთელის მიზანზე — ეროვნულ ნაკრებზე გკითხავ: როგორ გგონია, ასეთი თამაშით ნაკრებს უახლოვდები?

— თუ გამომიძახებენ, სიამოვნებით ჩამოვალ, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამის იმედი ნაკლებად მაქვს. ამაზე კარგ ფორმაშიც ვყოფილვარ, მაგრამ გამოძახებას თავი დავანებოთ, ნაკრებიდან არავინ შემხმიანებია. ცოტა არ იყოს, გასაკვირი კია — საქართველოს ნაკრები ნამდვილად არ არის ისე განებივრებული მაღალი კლასის ფეხბურთელებით, რომ 18-კაციან განაცხადში მოხვედრა გამჭირვებოდა...

■

ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲔᲤᲔᲥᲢᲔᲑᲘ! — ᲤᲘᲚᲛᲘᲡ „ᲤᲝᲠᲡᲐᲟᲘ“ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲙᲐᲡᲙᲐᲓᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲢᲠᲘᲣᲙᲔᲑᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲑ

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲘᲐᲛᲡᲘᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡ ᲢᲠᲐᲡᲔᲑᲖᲔ

მაგარი ბიჭები ძვირფასი ავტომობილებით დაქრიან და კონკურენტთა ხრიკებს იოლად უმკლავდებიან. გზადაგზა კი პირად პრობლემებსაც აგვარებენ — ავტორბოლებზე გადაღებული ყველა ცნობილი ფილმი ერთი შეხედვით ერთმანეთს წააგავს, მაგრამ სპეციფექტების, ნამდვილ რბოლათა შთამბეჭდავი სცენების, მსახიობთა დამაჯერებელი თამაშისა და რაღა თქმა უნდა, ადრენალინის სოლიდური დოზის წყალობით, ეს ფილმები მოსაწყენი სულაც არ არის. ავტორბოლათა მოყვარულნი ამ ფილმებს კომედიას უწოდებენ და მათში მრავალ უზუსტობას ამჩნევენ, ჩვეულებრივი მაყურებელი კი ავტორბოლების საინტერესო სამყაროს ეცნობა. ეს სამყარო ხომ დიდი ხანია, რაც ლამაზი ცხოვრების ნაწილად იქცა.

უცნაურია, მაგრამ ავტორბოლებზე შექმნილ ძველ სურათებს სპეციალისტები რეალობასთან ყველაზე ახლოს მდგომ ფილმებად მიიჩნევენ. ეკრანებზე 1966 წელს გამოსული სურათი „გრან-პრი“ რეჟისორმა ჯონ ფრანკენჰაიმერმა ავტორბოლათა ერთი სეზონის განმავლობაში შექმნა. გადაღებები ნამდვილ ტრასებზე მიმდინარეობდა. „გრან-პრი“ ყველაზე ზუსტად ასახავს „ფორმულა-1“-ის იმ სულს, რომელიც 10 წლის წინ სუფევდა და რომელსაც ახლა ბევრი სინანულით იხსენებს. რეჟისორმა შესანიშნავი ტიპაჟები შეარჩია: ივ მონტანმა ხანში შესული ექსჩემპიონის სახე შექმნა, ნინო ბარლინიმ ახალგაზრდა, გამბედავი და თავზე ხელაღებული სპორტსმენი განასახიერა, ჯეიმს გარნერის გმირი ავტორბოლაში მემკვიდრეობის მისაღებად მონაწილეობს, ბრაიან ბედფორდი კი პრაგმატულ ამერიკელად გვევლინება, რომელიც საკუთარი კარიერის გადარჩენას ცდილობს. იმ წლების სახელგანთქმული მრბოლელები ფილ ჰილი და გრეჰემ ჰილი მაყურებლის წინაშე მსახიობის ამპლუაში წარდგნენ, მათმა კოლეგებმა კი კონსულტანტთა ფუნქცია იკისრეს და ეპიზოდური როლები განასახიერეს.

ჯონ ფრანკენჰაიმერი საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა. მან კინოკამერები ბოლიდებზე დაამონტაჟა და პილოტთა ხელოვნება მსახიობებთან ერთად მრბოლელთა სკოლაში გულდასმით შეისწავლა. ფილმში ჩვეულებრივ სცენებთან ერთად ნამდვილ რბოლათა ამსახველი, 1966 წლის „ფორმულა-1“-ის ჩემპიონატის დოკუმენტური კადრებიც შევიდა. ეფექტის გასაძლიერებლად რეჟისორმა პილოტთა ჭიდილის საჩვენებლად იმ დროისათვის მოდური პოლიეკრანის ხერხი გამოიყენა (ეკრანის ფრაგმენტებად დაყოფა). სასიყვარულო ინტრიგით გაჯერებული მეტოქეობის ამსახველი სურათი საკულტო ფილმად იქცა და ხმოვანი ეფექტებისა და საუკეთესო მონტაჟის ნომინაციაში 2 „ოსკარის“ მფლობელი გახდა.

1969 წელს რეჟისორმა ჯეიმს გოლდსტოუნმა გადაიღო სურათი „გამარჯვებულნი“. რომელიც ლეგენდარულ ამერიკულ რბოლებზე — „ინდიანაპოლისის 500 მილი“ ცნობილი მრბოლელის ფრენკ კაპუას თავგანწირულ ბრძოლას ეძღვნებოდა. მთავარი გმირი სურათში პოლ ნიუმენმა განასახიერა და უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, ნიუმენი ავტოსპორტის ფანატი გახდა. „ამ სურათმა მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა, რბოლებმა მომნუსხა. გადაღებებზე უკვე კარგად ვხვდებოდი, თუ რა ხდებოდა ტრასაზე: გადაღებების ბოლოს ბოლიდის საჭესთან თავს სრულიად თავისუფლად ვგრძნობდი“, — იხსენებს მსახიობი. ამ ფილმის შემდეგ, პოლ ნიუმენმა მრავალ რბოლაში მიიღო მონაწილეობა და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია, 1983 წელს კი კარლ ჰაასთან ერთად საკუთარი გუნდიც კი შექმნა, რომელიც Champ Car-ის ამერიკულ სერიაში გამოდის.

1971 წელს რეჟისორმა ლი კატცინმა ავტორბოლათა გულშემატკივრები, ფილმით — „ლე-მანი“ მოიხიბლა, რომლის სიუჟეტს საფრანგეთში ჩატარებული 24-საათიანი რბოლა დაედო საფუძვლად. სურათში მთავარი როლი სტივ მაკქუინმა განასახიერა. მსახიობმა 200 კმ/სთ სიჩქარით რბოლას შესანიშნავად გაართვა თავი. მაკქუინის გმირი მაიკლ დელეინი გამარჯვებისათვის ბრძოლის დროს უდიდეს ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის, რადგან ერთი წლის წინათ, ამავე ტრასაზე მისი მეგობარი დაიღუპა. ამ ფილმებში შესანიშნავად იყო ასახული რბოლების ატმოსფერო და პილოტთა სულიერი განცდები.

ᲐᲛᲝᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲙᲚᲝᲓ ᲚᲔᲚᲣᲨᲘ

კლოდ ლელუშის ფილმში — „მამაკაცი და ქალი“ მოთხრობილი სიყვარულის

ᲯᲔᲘᲛᲡ ᲒᲐᲠᲓᲜᲔᲠᲘ, ᲯᲔᲡᲘᲙᲐ ᲰᲐᲠᲞᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲘᲐᲜ ᲑᲔᲓᲤᲝᲠᲓᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ „ᲒᲠᲐᲜ-ᲞᲠᲘ“ (1966)

ივ მონტანმა ფილმში „გრან-პრი“ უკვე ხანში შესული ჩემპიონი განასახიერა

პოლ ნიუმენი – შესანიშნავი მრბოლელი (1978)

ყველაზე ცნობილი და ამავე დროს ამოუცნობი ამბავი ავტორბოლების ფონზე ვითარდება. რეჟისორმა მთავარი როლის შემსრულებლად ჟან-ლუი ტრენტინიანი მიიწვია. მისი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. მსახიობი იმ ოჯახში გაიზარდა, რომლის წევრები რისკს, ტრასებზე რბოლასა და თავგადასავლებს აღმერთებდნენ.

ჟან-ლუის ბიძა, ლუი ტრენტინიანი ცნობილი ავტომრბოლელი იყო. იგი 1933 წელს პიკარდიში, პერონეს ტრასაზე დაიღუპა. მეორე ბიძა, მორისი „ფორმულა-1“-ის მრბოლელი იყო და მონაკოს პრესტიჟული „გრან-პრი“ ორჯერ მოიპოვა, ერთხელ კი ცნობილი რბოლის „ლე-მანის 24 საათიც“ მოიგო.

სურათმა „მამაკაცი და ქალი“ ტრიუმფით მოიარა მსოფლიო ეკრანები, მრავალი პრიზი მოიპოვა და ჟან-ლუი ტრენტინიანი და ანუკ ემე მსოფლიო დონის ვარსკვლავებად აქცია. ამერიკელებმა ეს მარტივი მელოდრამა უცნაურ, აბსურდულ ფილმად ჩათვალეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სურათმა „საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმის“ და „საუკეთესო სცენარის“ ნომინაციებში 2 „ოსკარი“ მოიპოვა.

რბოლებისა და სენსაციების მოყვარული კლოდ ლელუში მიღწეული წარმატებით არ დაკმაყოფილდა. ერთ მშვენიერ კვირადღეს სწრაფმავალ Ferrari 275 GTB-ზე კინოკამერა დაამონტაჟა და პარიზის ქუჩებში გააქროლა. ასე შეიქმნა რვაწუთიანი სურათი „რანდევუ“, რომელმაც მაყურებელი არანაკლებ გააოგნა. დღემდე უცნობია, მართლა გაიარა თუ არა ავტომობილმა ელისეს მინდვრები და მონმარტრი 200 კმ/სთ სიჩქარით. ისიც არავინ იცის, ვინ ოჯდა საჭესთან – თავად რეჟისორი თუ „ფორმულა-1“-ის პილოტი ჟაკ ლაფიტი. ფილმით პოლიციაც დაინტერესდა: მეუღლესთან შესახვედრად მიმავალმა გმირმა ხომ პარიზის ქუჩებში წარმოუდგენელი სისწრაფით იქროლა და მოძრაობის ყველა წესი დაარღვია. რეჟისორი თავს იცავდა, ირწმუნებოდა, რომ უსაფრთხოების ყველა ზომას მიმართა, რომ მანქანას პროფესიონალი პილოტი მართავდა... მას შემდეგ უკვე მრავალი წელი გავიდა. კლოდ ლელუში კი დღესაც ირწმუნება, რომ სურათის გადაღებისას სპეცეფექტები არ გამოუყენებია. რეჟისორ-დოკუმენტალისტმა რიჩარდ საიმონმა „რანდევუს“ საიდუმლოების ამოხსნა თავისებურად სცადა: „ამ სურათის გადაღების სიგიჟეს სრულად მაშინ ჩავწვდი, როდესაც წითელ შუქზე დიდი სიჩქარით გავიარე. ადამიანი სიჩქარის პრიმიტიული შეგრძნებით ტკბება, მაგრამ გულის სიღრმეში კარგად ესმის, თუ რაოდენ უპასუხისმგებლოა მისი საქციელი“.

NASCAR-ის ამბავი

ავტორბოლებზე გადაღებულმა ფილმმა მხოლოდ პოლ ნიუმენის ცხოვრება როდი შეცვალა. რეჟისორ ტონი სკოტის სურათის – „ჭექა-ქუხილის დღეები“ (1990) გადაღებებმა ტომ კრუზისა და ნიკოლ კიდმანის ვნებიან რომანს დაუდო დასაბამი, რაც შემდგომ, ქორწინებით დაგვირგვინდა. პრესამ თავად ფილმი სასტიკად დაიწუნა. კრიტიკის განსაკუთრებული ქარცეცხლი სურათის სუსტ სცენარს დაატყდა თავს.

ტომ კრუზის გმირის პროტოტიპი NASCAR-ის მრბოლელი ტიმ რიჩმონდი გახლდათ. ამ ლეგენდარული პლეიბოი სპორტსმენის ცხოვრება ბევრად უფრო სისხლსავსე და საინტერესო იყო, ვიდრე ნებისმიერი ფილმის სიუჟეტი. ტიმი მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდა. გუნდებს ხშირად იცვლიდა და არც სასმელზე ამბობდა უარს. 1988 წელს გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ტიმი შიდსით იყო დაავადებული, რის გამოც NASCAR-ის დატოვება მოუხდა. ერთი წლის შემდეგ ამერიკული მოტოსპორტის გმირი ამ საშინელი სენით გარდაიცვალა.

ტომ კრუზი ტიმ რიჩმონდის ხასიათს გამარჯვების დაუოკებელ წყურვილს, სპორტულ ჟინსა და სიჯიუტეს დაესესხა. სურათის მთავარი გმირი კოულ ტრიკლი – ახალგაზრდა, ამბიციური სპორტსმენია, მისი დევიზია: „მანქანის საჭესთან ყველაფრის გაკეთებას შევძლებ!“ და ეს განწყობა გამარჯვების მიღწევას და მშვენიერი კლერ ლევიცკის (ნიკოლ კიდმანი) მოპოვებაში ეხმარება.



მრბოლელი მორის ტრენტინიანი, ძმისშვილთან ჟან-ლუი ტრენტინიანთან ერთად (1982)

პოლ ნიუმენი (ფრენკ კაპუა) და რობერტ ვაგნერი (ჯეკი) ფილმში „გამარჯვებულნი“ (1969)

ავტორბოლებზე ზოგჯერ ასეც ხდება – „მიშელ ვალიანი: სიჩქარის წყურვილი“ (2003)

სპეციალურად ამ ფილმისათვის შექმნილი ავტომობილები ფენიქსისა და დარლინგტონის რბოლებში მონაწილეობდა. ტომ კრუზს სურდა, ყველა ტრიუკი თავად შეესრულებინა, მაგრამ ამას დაზღვევის პირობები კრძალავდა, ასე რომ, ავტორბოლათა სცენებში ტომ კრუზი NASCAR-ის მრბოლელმა გრეგ საქსმა შეცვალა. სურათის ზოგიერთი ეპიზოდი, მაგალითად, კოულ ტრიკლსა და გუნდის ბოსს შორის არსებული კონფლიქტი ტიმ რიჩმონდის რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. ფილმის ორი პერსონაჟი კი ცნობილი მრბოლელების დეილ ერნჰარდისა და მარიო ანდრეტის სახეებიდან არის გადმოხატული.


ტომ კრუზი ლეგენდარული მრბოლელის კოულ ტრიკლის როლში („ჭექა-ქუხილის დღეები“, 1990)

კომედია რბოლების შესახებ

„ფორმულა-1“-ის შესახებ ფილმის შექმნაზე სილვესტერ სტალონე დიდხანს ოცნებობდა. ჩემპიონატის ბოსს ბერნი ეკლსტოუნს ამ თემაზე სლაი მრავალჯერ ესაუბრა და მსახიობებად მიხაელ შუმახერისა და ჟაკ ვილნევის მოწვევასაც შეჰპირდა, მაგრამ საბოლოოდ, „ფორმულა-1“-ზე გადაღებული ფილმის ნაცვლად, 2001 წელს ეკრანებს ამერიკული სერია CART-ის შესახებ შექმნილი სურათი „მრბოლელი“ მოევლინა. მაყურებელი და კრიტიკა ამ ფილმისაგან ძალზე ბევრს ელოდა. საბოლოოდ კი, სტალონეს ქმნილებას უამრავი ლანძღვა ხვდა წილად. „მრბოლელს“ უზუსტობებითა და ლაფსუსებით სავსე „კომედიისა“ და „ავტორბოლების თემაზე შექმნილი ყველაზე ცუდი ფილმის“ ტიტული უბოძეს. საოცარია, მაგრამ კრიტიკის მკაცრი გამონათქვამები სურათის შემოსავალზე არანაირად არ აისახა. თავად სლაი კი ირწმუნება, რომ ფილმში მთავარია ადამიანები და არა – რბოლები. „ჩემპიონატი მხოლოდ ფონია და სხვა არაფერი მინდოდა, გარდა იმისა, რომ მაყურებლისათვის ნამდვილი მეგობრობისა და გამარჯვების ფასი მეჩვენებინა. ჩემი ფილმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია, მუდამ პირველი იყო. როდესაც ამას ხვდები, დროა – ახალგაზრდებს დაეხმარო“.

კომიქსებიდან – ეკრანზე

საფრანგეთსა და ამერიკას შორის გამართულ ბრძოლას ავტორბოლებზე გადაღებული საუკეთესო ფილმების მწარმოებლის ტიტულის მოსაპოვებლად ბოლო არ უჩანს. 2002 წელს ლუიპასკალ კუვლერმა იმ სურათის გადაღებები დაიწყო, რომელიც ჩვენმა მაყურებელმა „მიშელ ვალიანი: სიჩქარის წყურვილი“ სათაურით იხილა. სცენარის შექმნაში ავტორბოლათა თავგადაკლული გულშემატკივარი ლუკ ბესონიც მონაწილეობდა, რომელიც მსგავს სურათზე 1999 წლიდან ოცნებობდა.

საფრანგეთში პოპულარული კომიქსების გმირი მიშელ ვალიანი მხატვარმა ჟან გრატონმა 1957 წელს შექმნა. რეჟისორთა და პროდიუსერთა ჩანაფიქრით, მთავარი როლის შემსრულებელი მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული და აუცილებლად ფრანგი მსახიობი უნდა ყოფილიყო, გარეგნულად – კომიქსების პროტოტიპის მსგავსი. მსახიობ საგამორ სტევენინის კანდიდატურამ ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილა. ფილმის სიუჟეტი ორიგინალობით არც ამჯერად გამოირჩეოდა: წარმატებული ავტომრბოლელი მორიგი გამოცდისათვის – „ლე-მანის 24 საათის“ რბოლისათვის ემზადება. ისევე, როგორც ამ თემაზე გადაღებულ ყველა სურათში, აქაც მრავლად გვხვდებიან ვერაგი კონკურენტები, სასიყვარულო ვნებათაღელვისა და ჭეშმარიტი მეგობრობის მაგალითები. ფილმის მესამედზე მეტი „ლე-მანის 24 საათის“ მარათონის 2002 წლის ჩემპიონატზე გადაღებულმა სცენებმა დაიკავა.


სილვესტერ სტალონე (ჯო ტანგო) და ჯულ პარდიუ (ჯიმი ბლაი) – მასწავლებელი და ახალგაზრდა პილოტი ფილმიდან „მრბოლელი“ (2001)

ქუჩის რბოლათა სამყაროში

ტელეეკრანის წინ წამოწოლილი ყველა გულშემატკივარი სარბოლო ავტომობილის საჭესთან მიჯდომასა და გამარჯვების გემოს გაგებაზე ოცნებობს. უკანასკნელ ხანს ქუჩის რბოლების მზარდი პოპულარობის მიზეზიც სწორედ ეს არის.

ერთხელ, ერთ-ერთ ჟურნალში გამოჩნდა სტატია, სადაც მოთხრობილი იყო კლუბის შესახებ, რომლის წევრებმა იაპონური ავტომობილებით ქუჩის რბოლა გამართეს. სწორედ ეს სტატია დაედო საფუძვლად ბოევიკის – „ფორსაჟი“ სცენარს, სადაც უხვად იყო სულის შემძვრელი ეპიზოდები და საავტომობილო ბატალიები. ქუჩის მრბოლელთა ბანდის მეთაური დომინიკ ტორეტო (ვინ დიზელი) ავტომობილების სამყაროში ცხოვრობს. ის წარმატებებს შეჩვეული, თავისი საქმის ჭეშმარიტი ოსტატია. მის გარემოცვაში ბრაიანი (პოლ უოკ-

ერი) გამოჩნდა და დომინიკის ნდობა დაიმსახურა, მაგრამ სინამდვილეში ბრაიანი პოლიციელია, რომელიც ძვირფასი აპარატურის ქურდობის საქმეს იძიებს.

„ფორსაჟმა“ ვინ დიზელი სუპერვარსკვლავად აქცია. ფილმის სიკველში მონაწილეობისათვის მსახიობმა სოლიდური ჰონორარი მოითხოვა, რაზეც უარი უთხრეს. ახალ სურათში – „ორმაგი ფორსაჟი“ ვინის არყოფნა სპეცეფექტებმა და ლამაზი ავტომობილების სიუხვემ შეავსო, მაგრამ მაყურებლისათვის ქუჩის როლების სცენები ზედმეტად კომპიუტერიზებული აღმოჩნდა. ახალ ფილმში პოლ უოკერი ახლა უკვე ყოფილ პოლიციელს თამაშობს, მისი მეწყვილის როლი კი შავკანიანმა მსახიობმა რომან პირსმა განასახიერა. სუ-



მომხიბვლელი აგენტი მონიკას როლი მსახიობ ევა მენდესისათვის მუდამ სავიზიტო ბარათად დარჩება („ორმაგი ფორსაჟი“)

რათს განსაკუთრებული ეშხი შემატა კუბური წარმოშობის მსახიობმა ქალმა ევა მენდესმა. ეგზოტიკური გარეგნობის მენდესი ამერიკულ ბოევიკში მონაწილეობამ აღაფრთოვანა: „ამ სურათს ვაღმერთებ, „ორმაგი ფორსაჟი“ ძალზე კარგი და სახალისო ფილმია“, – განაცხადა მსახიობმა. კინოკრიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ „ორმაგი ფორსაჟი“ მრავალი წლის განმავლობაში ევა მენდესის სავიზიტო ბარათად და იმ ფილმად დარჩება, რომლის შემდგომაც მისი კარიერის აღმასვლა დაიწყო.

როგორც ამბობენ, მაყურებელი „ფორსაჟების“ გაგრძელებას სულმოუთქმელად ელის. ავტოსპორტი ხომ დღესაც ნუსხავს ადამიანებს, ამ თემაზე გადაღებულ ფილმებს კი ისინი მამაცი მრბოლელების, ლამაზი ქალებისა და სწრაფი მანქანების ჯადოსნურ სამყაროში გადაჰყავს. ■

სანდრა ბალოკი რეალითი-შოუს ვარსკვლავს გაჰყვა ცოლად



ჰოლივუდის პოპულარული მსახიობი სანდრა ბალოკი რეალითი-შოუს ვარსკვლავს ჯესი ჯეიმსს გაჰყვა ცოლად. საქორწინო ცერემონია კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-ინეზის მახლობლად მდებარე არენდით აღებულ დიდ რანჩოზე მოეწყო. წვეულებას რამდენიმე ასეული სტუმარი დაესწრო, მათ შორის იყვნენ: ჯეიმი ლი კერტისი, რეჯინა კინგი, უილიამ შეტნერი, ჯგუფი „მეტალიკის“ სოლისტი ჯეიმს ჰეტფილდი და შოუბიზნესის სხვა ცნობილი წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლივუდის 41 წლის ვარსკვლავისთვის ეს პირველი ქორწინებაა, რასაც ვერ ვიტყვით მის მეორე ნახევარზე, რომელსაც ოჯახური ცხოვრების საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ჯესი ჯეიმსისთვის ეს მესამე ქორწინება გახლავთ და პირველი ორიდან მას 3 შვილი ჰყავს. მსახიობმა, რომელიც, როგორც წესი, ეკრანზე დადებით პერსონაჟებს ასახიერებს (მას მაყურებელი იცნობს ფილმებით: „სიჩქარე“, „ქსელი“, „პრაქტიკული მაგია“, „მკვლელობის ჟამი“, „ბუნების ძალა“, „მის კონგენიალურობა“), პოპულარული შოუ – „მონსტრების გარაჟის“ – 35 წლის სვირინგებიანი ვარსკვლავი ჯესი ჯეიმსი 2003 წელს გაიცნო. ყოფილი ფეხბურთელი და დაცვის თანამშრომელი ჯეიმსი ცნობილია, როგორც მოტოციკლებისა და ე.წ. ბაიკერული კულტურის ფანატი. ის, ცნობილი სახელოსნოს – West Coast Choppers – მფლობელი გახლავთ, რომელიც მაღალხარისხოვან მოტოციკლებს უშვებს და მრავალი ცნობილი ადამიანი მისი კლიენტი არის. გარდა ამისა, ჯესი ჯეიმსი ირწმუნება, რომ ის თავისი სეხნიის, XIX საუკუნის აშშ-ში მატარებლების სახელგანთქმული მძარცველის პირდაპირი შთამომავალია. ■

ესლი სნაიპსს სარ-ში პერსონა ნონ გრატად აცხადებენ

ჰოლივუდის შავკანიანი მსახიობი უესლი სნაიპსი (ბოევიკ „ბლეიდის“ ვარსკვლავი) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს. სარ-ის საიმიგრაციო კანონის დარღვევისთვის, მას ამ ქვეყანაში შესვლა და ვიზის მიღება ეკრძალება. საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლებმა მსახიობი იოჰანესბურგის საერთაშორისო აეროპორტში მაშინ დააკავეს, როცა ის უკვე ქვეყნის დატოვებას აპირებდა. სარ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, უესლი სნაიპსი 23 მაისს „მალულად“, ყალბი სამხრეთაფრიკული პასპორტით შევიდა ქვეყანაში. კომპიუტერულმა აღრიცხვის სისტემამ მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღმოაჩინა, რომ ქვეყანაში შესული პირის დოკუმენტზე მითითებული სარეგისტრაციო ნომერი ბუნებაში არ არსებობდა. ამის შემდეგ, საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლებმა მიიღეს მითითება, რომ ყალბი პასპორტის მქონე პირი ქვეყნის დატოვებისას დაეკავებინათ. სნაიპსი მართლაც დააკავეს და დაჰკითხეს. მან განაცხადა, რომ თავისთვის და ოჯახის სხვა წევრებისთვის სარ-ის პასპორტის აღების განცხადება საკუთარი ამერიკელი ადვოკატების მეშვეობით შეიტანა. ჩხრეკისას მსახიობს აღმოუჩინეს აშშ-ის ნამდვილი პასპორტიც. ვინაიდან უესლის ეს დოკუმენტი და თვითმფრინავის ბილეთი აღმოაჩნდა, სარ-ის ხელისუფლებამ მას გამგზავრების ნება დართო. უკანასკნელ თვეებში სარ-ის შსს-ს საპასპორტო განყოფილება არაერთ გახმაურებულ კორუფციულ სკანდალში აღმოჩნდა გახვეული, მათ შორის, ყალბი დოკუმენტის გაცემაშიც. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. ■

მასპინძის ძალები

ლუბა ელიავილი

(დასაწყისი „გზა“ №28-29)

ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნორა, რომელსაც „გზის“ მკითხველი შარშან გამოქვეყნებული დეტექტივიდან — „ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო“ — იცნობს, ახალ ფათერაკში ეხვევა. ჟურნალ „რეიტინგიდან“ მას ახლა რადიოში გადაუნაცვლებია, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი და ამ კომპანიის ერთ-ერთი მოწილეც გამხდარა, რომლის მთავარი დამფუძნებელი, ასევე „ჩიპოლინოს“ პერსონაჟი, მაგდა კრიხელია. თავად მაგდა ამერიკაშია წასული და მარიანა დროებით მის სახლში, მთაწმინდაზე ცხოვრობს, მის ძაღლს ბონის, კატას საფოსა და თევზებს უვლის.

სწორედ ბონის უეცარი დაკარგვით იწყება ნორას ახალი თავგადასავალი. ჟურნალისტი მას მიწაზე დავარდნილს, დასისხლიანებულს იპოვის, დაჭრილი ძაღლის გვერდით კი, ადამიანის მოჭრილი თავი აგდია... მარიანა თავის უფროსს, ირაკლი მაღრაძეს ურეკავს, რომელიც მეგობარ გამომძიებელთან, ალეკო ბალაშვილთან ერთად მოდის და ოპერატიულ ჯგუფსაც ჩართავს საქმეში. მაგრამ ამაოდ — პოლიციელები ადამიანის თავს ვერ პოულობენ, რაც ირაკლისა და ალეკოს გულისწყრომას გამოიწვევს: მათ მიაჩნიათ, რომ ნორას გამუდმებით რაღაც ელანდება, რადგან ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე, ჟურნალისტ ქალს მოპირდაპირე სახლის სახურავზე მოჩვენება გამოეცხადება. ამავე დროს, რაღაც ჩხაკუნი მოესმება და სახლში შუქიც ჩაქრება. მარიანა, ცეცხლის საჩხრეკი რკინის ჯოხით ხელში, სახლის მეორე სართულზე ადის. მის უკან კიბის საფეხური გაჭრიალდება, შემდეგ წვივზე მწარე ტკივილს იგრძნობს და კიბეზე დაგორდება. გონს მოსული დაინახავს, რომ მას თავზე პოლიციელები წამოსდგომიან.

ისინი მარიანას აცნობებენ, რომ სიგნალიზაციის ამუშავებიდან 5 წუთში მასთან გაჩნდნენ და იმის გამო უსაყვედურებენ, რომ კარი ღია დარჩენოდა. მოგვიანებით მოსული შინამოსამსახურე ნაზიკო ირწმუნება, რომ წინადღეს, ნამდვილად დაკეტა კარი. საუზმისას, ნორა წუხანდელ ინციდენტსა და მოჩვენებაზე უყვება მას და ნაზიკო იხსენებს შემთხვევას, როცა ერთ დღეს, ბუჩქებში ჩამალული მეზობელი გოგონა, 22 წლის ბაია იპოვა, რომელიც ტიროდა და ეხვეწებოდა — მამაჩემს არ უთხრა, რომ აქ ვარო: ის თურმე, ავად ყოფილა, დროდადრო შეტევა ჰქონდა და ნაზიკოს აზრით, სწორედ ბაია იქნებოდა სახურავზე ამძვრალი, როცა მარიანამ „მოჩვენება“ დაინახა. ნაზიკოს თქმით, გოგონას, მხატვარი ბაკური უყვარს, რომელიც მთაწმინდის ერთ-ერთი კლდის წვერზე უცნაურ ვარჯიშებს ასრულებს ხოლმე. მარიანა გადაწყვეტს, კომპიუტერში ცალკე ფაილი — სახელწოდებით „მოჩვენება“ — შექმნას და მასში უცნაურ ხილვასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ერთად შეინახოს. თავისი რადიოგადაცემის — „გულახდილი საუბრების“ — მორიგ თემადაც, მოჩვენებებს აირჩევს...

— საღამო მშვიდობისა, გულახდილი საუბრის მოყვარულო, გაბედულო ადამიანებო, ვისაც სურვილი გაქვთ, მთელ საქართველოს გული გადაუშალოთ და არ დაგაფრთხობთ პერსპექტივა, რომ შესაძლოა, ვიღაც შეგეკამათოთ ან არ გაიზიაროს თქვენი დარდი თუ სიხარული,. გახსოვდეთ, ჩიპოლინო თქვენი ერთგული მეგობარი და დაინტერესებული მსმენელია, თანაც დღეს თავად გთხოვთ დახმარებას, რადგან მარტო დავრჩი აჩრდილის პირისპირ. დიახ, წუხელ ჩემი სახლის ფანჯარაში მოჩვენება ვიხილე, მერე კი უცნაურად დავგორდი კიბეზე და კინაღამ კისერი მოვიტეხე. ან კი რა მიკვირს, რადგან ბი-ბი-სის თუ დაკუჯერებთ, მოჩვენებები ხანდახან მთელი ქალაქის მცხოვრებლებსაც კი უბნევენ თავგზას. დიახ, ინდოეთის პატარა ქალაქ ბესუანში ერთმა უზნეო, უსხეულო არსებამ უამრავი ქალი დაატერორა, თანაც ძალზე ორიგინალური ხერხით. იგი ქუჩაში მიმავალ ქალებს უხმაუროდ ეპარება და უკანალზე შემოსცხებს ხოლმე ხელს, რაც ამ უკანასკნელთ ძალზე აშფოთებთ და ანერვიულებთ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალები საჯდომზე ბალიშებს იმაგრებენ და მხოლოდ ამგვარად აღჭურვილნი გამოდიან სახლიდან. მართალია, გაზეთის — „ჰინდუსტან ტაიმსის“ ურწმუნო რედაქტორი, შაილემ შეხარი მიიჩნევს, რომ ინდოელი მანდილოსნები უსაგნო პანიკას არიან აყოლილი და მასობრივი ჰალუცინაციის მსხვერპლი გახდნენ. მაგრამ ამ მოსაზრებას ფსიქიატრები არ იზიარებენ: ქალები აბსოლუტურად საღ გონებაზე არიან და ამტკიცებენ, რომ მოჩვენება მათ ნამდვილად ესხმის თავს. შაილემ შეხარი კი, თავისას არ იშლის და დაუჟინია, რომ სინამდვილეში, ეს ვიღაც ავყია მუსუსის უსაქციელობა უნდა იყოს. სავარაუდოდ, რამდენჯერმე, ძალზე მოხერხებულად ჩადენილი ოინბაზობა, პანიკაში ჩავარდნილმა ქალებმა ფანტასტიკურ მასშტაბამდე გაბუქეს... — დასრულებულიც კი არ მქონდა ჩემი შესავალი, რომ ეთერში პირველი ზარი გაისმა.

— გისმენთ, თქვენ პირდაპირ ეთერში ხართ. გაგვეცანით და გვიამბეთ თქვენი უცნაური ამბავი, — გავამხნევე სასიამოვნო ხმის მქონე ახალგაზრდა ქალი, რომელიც ცოტა დაბნეულად მომესალმა.

— მე რუსუდანი მქვია... — მითხრა მან და გაჩერდა.

— გისმენთ, გისმენთ, იქნებ, გვითხრათ რაიმე საინტერესო მოჩვენებების შესახებ.

— იცით, მე იმის თქმა მინდა, რომ ერთხელ, მართლაც გამომეცხადა უცნაური, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი კაცი, ძველმოდური ბაკენბარდებით, — გათამამდა ჩემი რესპონდენტი. — ღამით რაღაც ძალამ გამომაღვიძა და დავინახე, საწოლთან მეჯდა. მირჩია, ბინა გამეცვალა და სხვა სახლში გადავსულიყავი.

— თქვენც დაუჯერეთ? — ვიკითხე დაინტერესებულმა.

— დიახ, დავუჯერე და ბინა გადავცვალე.

— მერე ამან რა მოგიტანათ? — არ მოვეშვი მე.

— რა და გავთხოვდი, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში. ჩემს ქმარს ახალ ბინაში გადასვლის მერე შევხვდი, კარის მეზობე-

ლი აღმოჩნდა. რომ ვუამბე ეს ამბავი, გაუკვირდა. ბებუა ჰყოლია ახალი გარდაცვლილი, სულ მის დაოჯახებას ნატრობდა, სიკვდილის წინ უთხოვია თურმე, ამ ბინიდან არ გადახვიდე და ბედი თავისი ფეხით მოგადგებაო... ფოტოსურათი მაჩვენა, ნამდვილად ის იყო, ვინც მე გამომეცხადა, ფუმფულა ბაკენბარდებით და გაწკეპილი ულვაშით... მოკლედ, ქმრის გარდაცვლილმა ბებუამ მაპოვნინა ბედი.

— გილოცავთ გაბედნიერებას, დიდი მადლობა საინტერესო მონათხრობისათვის, — ჩავერთე საუბარში მე. — სხვათა შორის, როგორც აღმოჩნდა, მოჩვენებების არსებობას ადასტურებენ მოსკოველი დიგერებიც. როგორც მოგეხსენებათ, ამ უცნაური ადამიანების საყვარელი საქმიანობა, რუსეთის დედაქალაქის მიწისქვეშეთის კვლევაა. მათ საიტზე წავიკითხე, რომ დიდი ქალაქის ჯურღმულებში, მეტროპოლიტენის ლაბირინთებსა და სხვა მიწისქვეშა კომუნიკაციებში ხეტიალისას, არაერთხელ გადასწყდომიან უცნაურ, მანათობელ ფიგურებს, გიგანტურ ვირთაგვებსა და სხვა უჩვეულო მოვლენებს. მაგალითად, პატარა, შავ, ბანჯგვლიან არსებებს, ეგრეთ წოდებულ „ხოხრიკებს“, რომლებიც ადამიანებს შეუმჩნევლად ასხდებიან მხარზე და თუ ვინმემ შენიშნა, უმალვე უჩინარდებიან.

ჩემი მონოლოგი კვლავ სატელეფონო ზარმა შეწყვიტა.

— მაიცა, რა, ჩიპოლინო, რას ბორტაობ?! დედას გეფიცები, მაგრა გამიტეხე, ეგეთი გოიმური რამეები არ გეკადრება, ქაჯი ხო არა ხარ, ეგეთი რამეები რო იბაზრო. აი, დიდი ვირთხები თუ გაინტერესებს, მაგას რად უნდა მოსკოვის მეტრო და დიგერების საიტი, გამოდი ვაჟაზე, კვარტალებში და ბუნკერებთან იმხელა ვირთხებს ჩაგახუტებ, კაი დიდი გოჭი გეგონება... ჩემი რჩევა იქნება, მაგ სიფანდობებს მაეშვი, რა, არ გინდა, ეს მოჩვენებები და ამბავი, ჯობია, ისევ ძველებურს მიაწვე: „შეყვარებულმა მიმატოვა“, „დაქალმა მიღალატა“ და რამე. მაგრა გამოგდის, დედას გეფიცები, მაგარს ვკაიფობ, ვიღაც გოგოები რო რეკავენ და წუწუნებენ.

— თქვენი სახელი მითხარით, თუ საიდუმლო არ არის, — დავტკბი.

— ჩემი სახელი რა, რო მოგატყუო, რო რამე მაზალო მქვია, ჯუმბერი მაგალითად, რას გაიგებ?..

— მართალი ბრძანდებით, ვერ გავიგებ, — ტონი არ შევიცვალე, — თქვენი სახელი უბრალოდ, იმისთვის მჭირდება, რომ ვიცოდე, როგორ მოგმართოთ, ბატონო ჯუმბერ. ისე, არც მე მქვია ჩიპოლინო.

— ჰო, სწორია, — ჩასწვდა ნათქვამის „ღრმა აზრს“ ჯუმბერი. — სხვა რადიოებში რო სულ შინაურულად ლაპარაკობენ, შენ რატო აწვები ამ „თქვენს“? მე როგორ

— დაგიძახო, „ქალბატონო ჩიპოლინო?“ თუ რა ვქნა?

— რა ქენი, იცი?.. ჭიჭიკოს და ბიჭიკოს დაურეკე და იმათ ელაპარაკე შენობით. — გავბრაზდი. — რადგან უკვე შინაურულადაც ვილაპარაკეთ და მოჩვენებებზე თქვენი აზრიც შევიტყვე, ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ, ბატონო ჯუმბერ. ეთერში მუსიკალური პაუზის დროა, ელის კუპერის „სტივენით“ გავახარებთ მოჩვენებების და ფსიქოდელიური მუსიკის თაყვანისმცემლებს.

სანამ ეთერში მუსიკა გადიოდა, მედეამ სტუმარი შემოარბენინა და მიკროფონთან დასვა. ვიღაც შავებში გამოწყობილი, თმაგაშლილი ქალბატონია, მაჯაზე კაბალის მიმდევრების თილისმა — წითელი ძაფის სამაჯური უკეთია, კისერზეც უამრავი ამულეტი აქვს ჩამოკონწიალებული. ელა მჟავია, რომლის მოყვანასაც მედეა დამპირდა, ნამდვილად არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, სტუმარი გამომიცვალა, ჩემთვის თქმა კი დაავიწყდა. თვალით ვანიშნე, რომ სტუმარი ვერ ვიცანი, მრავლისმთქმელი გამომეტყველებით დამიკრა თავი და საეთერო კაბინიდან გავიდა. ცოტა ხანში ყურსასმენში მისი შეწუხებული ხმა გავიგონე:

— მაპატიე, ჩიპო, დამავიწყდა შენი გაფრთხილება: ელა მჟავია ვერ მოვიდა და ლია გალუმაშვილი მოგიყვანე, ნათელმხილველი, ექსტრასენსი და მოკლედ, თეთრი მაგი. რაღაც ჯადოებს ხსნის, მომავალს წინასწარმეტყველებს, თან მთელი სახლი ხატებით აქვს გამოვსებული. ჰო, არ დაგავიწყდეს — სამი თვე ეძინა, ვიდრე ეს ნათელმხილველობის ნიჭი აღმოაჩნდებოდა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ჰყვება. მოკლედ, რომ გამოეღვიძა, მერე გაეხსნა, „ჩაკრებია“, „მესამე თვალი“ თუ რაღაც ჯანდაბა. უკვე ორი წელია, მომაკვდინებლად პოპულარულია, სახლთან რიგი უდგას და როგორც თვითონ წერს, საგაზეთო ინტერვიუებში, მასთან „ბევრი გავლენიანი ფიგურა და ცნობილი სახე დადის“. ოც წამში ეთერში ხარ, აბა, ყოჩაღად და „ნი პუხა“!..

„კ ჩორტუ!“ — მექანიკურად გავიფიქრე და ჩემ წინ მაგიდაზე დადებულ თეთრ ფურცელს რომ დავხედე, მერეღა მივხვდი, რომ დღევანდელი რესპონდენტის გვარი ქაღალდზე არ ჩამიწერია და ვერც ვიხსენებ.

— გვარი, — ამოვიხავლე გულგახეთქილმა. — სახელი და გვარი მითხარი.

— ჩემი გვარი გაინტერესებთ? — გამომხედა სტუმარმა და უნაკლოდ შესრულებული მეტალოკერამიკის ღიმილი შემომანათა. — ლია ვარ, გალუმაშვილი. — ახლა უკვე გადაუდებლად ჩავიწერე მისი სახელი და გვარი, რომელიც მედეამ ყურში ექოსავით გამიმეორა.

— ეთერში ხარ! — გავიგონე რედაქტორის განწირული კივილი, რომელიც ელის კუპერის ბოლო დაკვლებას შეერწყა. „სტივეეენ“ — დაიყვირა მომღერალმა კრინით და გაჩუმდა. მოვალეობის შესრულებას შევუდექი.

— ძვირფასო რადიომსმენელებო, მე ისევ დაგიბრუნდით და წარმოგიდგენთ ჩვენი გადაცემის დღევანდელ სტუმარს, ქალბატონ ლიას, — მივაყარე დაბნეულმა, საბჭოთა რადიოს დიქტორის დათაფლული კილოთი. — იგი უკვე სამი თვეა, ნათელმხილველობით არის დაკავებული, საკუთარ

თავში ამ ნიჭის აღმოჩენამდე კი, ორი წელი ეძინა.

— უკაცრავად, — შემისწორა თეთრმა მაგმა, — სამი თვე მეძინა და ორი წლის წინ გამეღვიძა.

— და როგორ მიხვდით, რომ ნათელმხილველად იქეცით?

— ჩვენს თემაში მეტი ტრანსპარენტულობა რომ შევიტანოთ, უნდა მოგახსენოთ, რომ მაქვს კალიფორნიის ჰარმონიული განვითარებისა და სპირიტუალური ზრდის ინსტიტუტის სერტიფიკატი, — გამოცდილი „ენჯეოშნიკის“ შემართებით მომაყარა სათქმელი „აჩრდილების მეგობარმა“. თვალები შუბლზე ამივიდა, გულმა მიგრძნო, რომ მალე ჯადოქრების, თეთრი მაგებისა და ნათელმხილველების ასოციაციასაც მოვესწრები და ალბათ კუდიანების ყრილობებიც გაიმართება ოფიციალურად, მაგრამ უსაგნო განსჯას მოვეშვი და საქმეს მივუბრუნდი:

— ქალბატონო ლია, როგორ მიგაჩნიათ — რა არის მოჩვენება და რატომ ეცხადება იგი ადამიანებს?

— მოგეხსენებათ, თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ენერგეტიკული აურა აქვს, — აკადემიკოსის დარბაისლური ტონით განაგრძო საუბარი ჩემმა სტუმარმა. — გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი სული ტოვებს ფიზიკურ სხეულს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იგი რაღაცით არის დამძიმებული, გარკვეული ხნის განმავლობაში, მიწაზე რჩება და ენერგეტიკულ აურაში განსხეულებული დაეხეტება ადამიანებს შორის.

— რა მიზეზით შეიძლება იყოს დამძიმებული სული?

— ამის მიზეზი უამრავია, ახლა ამაზე ნუ შევჩერდებით, — ისეთი სახით გამომიცხადა სტუმარმა, მივხვდი, რომ სრულიად გაუნათლებელ და თემაში ჩაუხედავ ადამიანად ჩამთვალა. — საინტერესო ისაა, რომ მოჩვენებები, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენამდე რაღაც ინფორმაციის მოტანას ცდილობენ. მათ უმეტესობას ჩვენი დახმარება სჭირდება. თუმცა, არიან აგრესიული აჩრდილებიც, რომლებიც ცდილობენ, დააშინონ და სიცოცხლე გაუმწარონ ადამიანებს. ისინი ძირითადად, ჩვენი ან წინაპრების მიერ ჩადენილი ცოდვების გამო გვსჯიან.

სასჯელის ვერსია ძალიან არ მესიამოვნა და ჩემთვის უფრო მისაღებ მომენტს მივუბრუნდი.

— რა დახმარება შეიძლება სჭირდებოდეს მოჩვენებას?

— ეს უმეტესად მაშინ ხდება, თუ ადამიანი ძალადობის მსხვერპლია. მაგალითად, იგი მოკლეს და მკვლელი დაუსჯელი დარჩა. ან თვითონ ავნო ვინმეს, მოუნანიებლად გარდაიცვალა, ან თვითმკვლელობის ცოდვითაა დამძიმებული და ახლა უნდა, რაიმე საშუალებით მოინანიოს დანაშაული.

— როგორც ოსკარ უაილდის „კენტერვილის სასახლის მოჩვენებაში“, — გამიხარდა, ნაცნობ თემას რომ მივაგენი და განსწავლულობის გამოჩენის შესაძლებლობა მომეცა. ერთი დამაცადოს ამ გაფუყულმა „მაგმა“, არც ეგეთი უვიცი ვარ, ცოტა ხანში, ჩემს აზრებს „ასტრალის, მენტალის და კუნდალინის“ შესახებ ერთად დავაყრი თავზე და ვნახოთ, ვისი აჯობებს...

— „კენტერვილის მოჩვენება“ მხატვრული ნაწარმოებია, თან — საკმაოდ არასერიოზული. მე რომ მკითხოთ, ოსკარ უაილდი დასასჯელია ამ მნიშვნელოვანი თემისადმი ასეთი აგდებული და ირონიული დამოკიდებულების გამო.

— ისედაც საკმაოდ დაისაჯა, არც ცოხე დაჰკლებია და არც საზოგადოებრივი გაკიცხვა... — გამოვესარჩლე კლასიკოსს. ქალბატონ ლიას სახეზე შევატყვე, ოსკარ უაილდზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა და თემის შეცვლა დავაპირე. — ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ მოჩვენება საკუთარი ცოდვის გამოსასყიდად ევლინება ადამიანებს ან თავისი დაუსჯელი მკვლელის მხილებას ცდილობს?

— შესაძლოა, ასეც ითქვას, — რატომღაც მოკლედ მომიჭრა გაბუტულმა ნათელმხილველმა და სტუდიაში უხერხული პაუზა ჩამოვარდა. ვიდრე გამოსავალს მოვიფიქრებდი ან ფილმ „მოჩვენებიდან“ მუსიკალურ ფრაგმენტს შევთავაზებდი მსმენელს, სატელეფონო ზარმა სულზე მომისწრო.

— ალო, ისმის ჩემი ხმა?

— დიახ, დიახ, ეთერში ხართ, — ისე გამიხარდა უცნობი ხმის გაგონება, ყურადღება აღარ მივაქციე უცნაურად, დაგუდულად რომ ისმოდა. თითქოს ცხვირზე სარჭი აქვს დამაგრებული და ისე ლაპარაკობსო. აი, ძველ დროში, მეკობრულ ფილმებს ერთი და იგივე დუდღუნა ხმა რომ ედო, იმას წააგავდა.

— გისმენთ, თქვენი სახელი, თუ შეიძლება.

— ოიდიპოსი, — ჩაიხითხითა უცნობმა.

— უცნაური მეტსახელი შეარჩიეთ, მაგრამ თქვენი ნებაა. რას გვეტყვით მოჩვენებების შესახებ?

— ჩიპოლინოს აღარ სჯობია? ოიდიპოსი მეფე იყო, თუმცა კი, ძალიან უბედური. რაც შეეხება მოჩვენებას, მე მინახავს ერთი, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ჩნდება ხოლმე, წითელი პერანგი აცვია და თავზე ვარდების გვირგვინი ადგას. ბევრჯერ დამინახავს ფანჯარაში.

— რა იცით, რომ მოჩვენებაა? იქნებ, ვინმე სათნო ქალბატონი იხედება ფანჯრიდან?

— ეგ ისეთივე სათნო ქალბატონია, როგორიც მე — მითური მეფე. თანაც ცოცხალი ადამიანი ვერ იქნება, რადგან ყელი აქვს გამოჭრილი და მუცელი გამოფატრული...

— ნამდვილად საშინელი სურათი დახატეთ, — შევწუხდი მე. — როგორ ფიქრობთ, რა ინფორმაციის გადმოცემა შეიძლება უნდოდეს ასეთი საშინელი გარეგნობის აჩრდილს?

— თავისი ცოდვილი სიცოცხლისათვის შენდობას დაეძებს, ალბათ, — დამიკონკრეტა უცნობმა.

— საიდან იცით, რომ ცოდვილია? — ვკითხე შეწუხებულმა.

— აბა, მკვლელის შესახებ მესიჯის მოსაწოდებლად მე არ გამომეცხადებოდა.

— რატომ? — არ მოვეშვი.

— იმიტომ! ყველას თავისი გზა აქვს, გუგულის ბედისწერა, საათში გამოკეტილი ცხოვრება და სიკვდილია... — უსიამოვნოდ, ქალივით მაღალ ხმაზე ჩაიქირქილა უცნობმა და ტელეფონი გათიშა.

სხვისი არ ვიცი და მე ამ ზარმა გუნება გამიფუჭა. უგულისყუროდ ვუსმენდი ქალბატონი ლიას განსჯას აჩრდილების არამიწიერ არსებობაზე და შეკითხვებსაც ცალყბად ვუსვამდი. მერე ეთერში ფილმ „მოჩვენების“ საუნდტრეკიც გავუშვი და გადაცემის დროც ამოიწურა. უამრავი ადამიანი გამოეხმაურა მოჩვენების შესახებ გამართულ დისკუსიას. ეთერში რეკავდნენ და თავს გადამხდარ უცნაურ ამბებს ჰყვებოდნენ. ზოგიერთი, სასაცილოც იყო, მაგრამ მე მაინც დათრგუნვილი გამოვედი სტუდიიდან, ის უცნაური ზარი არ მასვენებდა. „პატარა ბიჭი დამეკარგა, წითელპერანგა“ — მომესმა თიკა ჯამბურიას სიმღერა და რატომღაც უცნობი „ოიდიპოსის“ დახატული საშინელი სურათი დამიდგა თვალწინ: წითელკაბიანი, ყელგამოღადრული და მუცელგაფატრული ქალი. უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა.

— ყოჩაღ, მაკო, მაგარი ეთერი გამოგივიდა! — შემოქანდა ოთახში გახარებული რედაქტორი. — რას ვიფიქრებდი, ამდენ ხალხს თუ სჯეროდა მოჩვენების და ავი სულების. ის მაინც რა მაგარი ზარი იყო, ავსტრიაში პოლიციამ მოჩვენება რომ დააკავა!..

ჯერ გამიკვირდა და მერე მივხვდი, რას მეუბნებოდა. ახალგაზრდა მამაკაცმა დარეკა და ის ამბავი მოგვიყვა, რომელიც წუხელ ინტერნეტში ქექვისას მეც აღმოვაჩინე „ლენტა რუზე“. ერთ ავსტრიელ მოქალაქეს პოლიციისთვის მიუმართავს და დახმარება უთხოვია იმ მიზეზით, რომ ღამღამობით მის სახლში მოჩვენება ჩნდებოდა: დადიოდა, აკაკუნებდა და ზოგჯერ, თეთრებში გამოწყობილიც კი ეცხადებოდა. ავსტრიის პოლიციამ, პირველ რიგში,

მომჩივნის ფსიქიკური მდგომარეობა შეამოწმა. როდესაც დადგინდა, რომ მისი ჯანმრთელობა ეჭვს არ იწვევდა, პოლიციამ სახლში ფარული კამერა დაამონტაჟა და მოჩვენებასაც მალე მიაგნო: იგი ორმოცდასამი წლის პოლონელი ქალბატონი აღმოჩნდა, ამ ავსტრიელის ერთ-ერთი მოსამსახურის ცოლი, რომელიც ამგვარად აშინებდა სახლის პატრონს. „მოჩვენებას“ ხულიგნობისთვის ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა არავინ დაინტერესებულა, რამ აიძულა ქალი, ასე მოქცეულიყო. ნაზიკო ხომ არ მეხუმრება უნიჭოდ?.. – გამიელვა ერთი წუთით და იქვე უკუვაგდე ეს სისულელე. იგი პრაქტიკულად, მაგდას უახლოესი ადამიანი და ოჯახის წევრია. ნაზიკო ჯოგლიძე ჭიათურიდან მას შემდეგ ჩამოვიდა, რაც იქ კერამიკული ქარხანა დაიხურა. ქალი უმუშევრად დარჩენილ ქმართან და ორ შვილთან ერთად, მთაწმინდაზე, თვეში 60 ლარად დაქირავებულ, ერთოთახიან ნახევარსარდაფში დასახლდა. ბინას – დაბალი ჭერი და ეზოში მოწყობილი ფიცრული ტუალეტი ჰქონდა, მაგრამ ჯოგლიძეებს ამის გამო არ უწუწუნიათ. იქვე, ეზოში თიხის გამოსაწვავი ღუმელი გამართეს და ტოტალური უმუშევრობის ხანაში, თავის გადარჩენაზე ზრუნვას მიჰყვეს ხელი. ნაზიკომ ჯერ ქმრის გაკეთებული თიხის ქოთნების გაყიდვა სცადა, მაგრამ ამ წამოწყებამ არ გაამართლა. მერე, მცირე ბიზნესისთვის გამოყოფილი საკრედიტო პროგრამით, 400 დოლარი აიღო და ტრაპიზონიდან საქონელი ჩამოიტანა გასაყიდად. ამ საქმიანობიდან ამოღებული ფულით ბანკის ვალი ძლივს გაისტუმრა და ის იყო, სრული უპერსპექტივობის გამო სასოწარკვეთილი, ჭიათურაში აპირებდა დაბრუნებას, რომ უეცრად, უფალმა მისი ლოცვა შეისმინა და სასწაული მოხდა. ნაზიკოს გაბედნიერების მიზეზი, კრიხელების ოჯახში დატრიალებული უსიამოვნება გახდა. საქმე ისაა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მაგდას ლაბრადორი ბონი დაეკარგა. მოძრავ სტრიქონში გამოქვეყნებულ განცხადებას რამდენიმე ადამიანი გამოეხმაურა, მაგრამ ნაპოვნ ძაღლებში ბონი არ აღმოჩნდა. ორდღიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, მაგდამ გადაწყვიტა, რომ ძაღლი მოჰპარეს და მოიწყინა. მესამე დღეს, კრიხელების სახლს ჭიათურელი ნაზიკო მიადგა:

– ძაღლი დაგკარგვიათ, გევიგე, იქინე უნდა იყოს, ზეით, კლდეებში, ფიჩხს ვაგროვებდი და რაცხა წკმუილი მომეყურა. ერთი თუთაა ბებერი, გამხმარი, იმის ფუღუროშია შეკვეტებული გონია, რაცხა ავი სული მეგონა, მარა თქვენი ძაღლია ნამდვილად. თუ წამომყვები, გიჩვენებ იმ ადგილს. – ნაზიკომ სხაპასხუპით მიაყარა მაგდას სათქმელი და მომლოდინე მზერა მიაპყრო. მანაც რატომღაც, მაშინვე დაიჯერა ნათქვამი და მიუხედავად საღამოს ბინდისა, უცხო ქალს უშიშრად გაჰყვა ტყეში, კლდეებზე სახეტიალოდ. მაგდას მძღოლმა ლადომ, დაცვის ფუნქცია იკისრა და შორიახლო აედევნა. ბებერ თუთასთან მისულებმა, დიდხანს აყურადეს, მაგრამ ძაღლის წკმუტუნი ვერ გაიგონეს. გამხმარ თუთას მერქანი საკმაოდ მაგარი ჰქონდა. ერთ ადგილას პატარა ფუღურო ჩანდა, რომელშიც ხელი ვერ შეეტია. ლადო მონადირის დანით ფრთხილად აცლიდა ხეს მარქანს. ეშინოდა, ძაღლი არ დაეზიანებინა, ამიტომ ფუღუროს გაფართოებას დიდი დრო დასჭირდა. ამასობაში სულ ჩამობნელდა და ლადომ მაგდას შინ დაბრუნება სთხოვა.

– წარმოუდგენელია, ძაღლი ამ ხის ფუღუროში იყოს ჩაჭედილი და ხმას არ იღებდეს, – ამბობდა იგი.

– ნამდვილად აქანე ვიყავი, კარგად გევიგე წკმუილი, – დაიჟინა ნაზიკომ. მერე ხეში დანით გამოღრუტნულ ვიწრო ფუღუროში ხელი შეყო და იკივლა.

– აგერაა, ნახეთ, თუ არ გჯერათ, – მაგდამ შიშით შეყო ხელი ფუღუროში და ბონის თავზე მოუთათუნა.

– აქ არის, ნამდვილად ისაა, ცხვირი სულ ცხელი და მშრალი აქვს, ხელი გამილოკა, – ასლუკუნდა მაგდა. ამის პასუხად, ფუღუროდან ძაღლის მოგუდული წკმუტუნი გაისმა.

– გაიგონეთ? ჩემს ხმაზე რეაგირებს! – გული აუჩუყდა მოსე კრიხელის ნებიერა ქალიშვილს. აღმოჩენამ სამეულს ძალა შემატა, გაათკეცებული მონდომებით ეკვეთნენ ხეს და ფუღუროს გაფართოება განაგრძეს. თითქოს მათ ჯინაზე, წვიმა წამოვიდა. ბოლოს და ბოლოს, გამოღრუტნულში ძაღლი გამოეტია. მისი გამოყვანა არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა.

– ეტყობა, თაგვს გაეკიდა და იმ გამოშვერილი კლდიდან ჩამოსრიალდა ფუღუროში. შეხედეთ, ხეს მთელი ტანი ფუტურო აქვს, – ახედა ცას ფარნით განათებულ ფუღუროში თავშეყოფილმა ლადომ. – ეს საწყალი ორი დღე თავდაყირა იყო ჩაჭედილი თუთაში. წკმუტუნის თავიც აღარ ჰქონდა. სასწაულია პირდაპირ, შიგ ფუღუროში როგორ ისკუპა. ის პატარა გამოღრუტნული რომ არა, ჩვენ რომ გავაფართოვეთ, ვერც ისუნთქებდა. – ლაპარაკის საღერღელი აეშალა წარმატებით ფრთაშესხმულ მძღოლს. მაგდა პირიქით, სულ დაამუნჯა ბონის საცოდაობამ, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ნაზიკოს და ლადოს ჯერ ძაღლის ხიდან გამოცოცებაში ეხმარებოდა უსიტყვოდ, მერე კი, თავსხმა წვიმაში, ბალახზე მიწვენილ სევდიან და მოთხუპნილ ბონის ეფერებოდა თავზე და რაღაცას ეჩურჩულებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ლევან მოსეშვილს, რომელიც წლების განმავლობაში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდს ედგა სათავეში, საყვარელი საქმე არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიუტოვებია. მისი თავკაცობით „დინამო“ დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის ისტორიაში ქვეყნის პირველი ჩემპიონი გახდა. გუნდმა ბატონი ლევანის მეშვეობით აღნიშნული შედეგი ორი წლის წინაც გაიმეორა, მაგრამ მაშინ კლუბის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა მოსეშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ქართველი მწვრთნელის ნაცვლად დანიშნულმა ხორვატმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა კი წარმატებას ვერ მიაღწია და გუნდიდან ისიც გაუშვეს. შარშან მოსეშვილი კლუბ „თბილავიამშენს“ ჩაუდგა სათავეში, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა. ბატონი ლევანი ამჟამადაც „თბილავიამშენის“ თავკაცია და ინტერვიუსთვის გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე ვეწვიეთ.

ლევან მოსეშვილმა ჩამორთმეული სატი მიორგი სისარულიძის ოჯახში წასა

რამ დაუკარგა სახელები ლესელიძეში მუოფ რუს კალათბურთელებს

გიორგი ლანჩავა

„დინამოში“ – პარტიის ჩარევის შედეგად

– კალათბურთში ვარჯიში 1953 წელს დავიწყე, მწვრთნელ შალვა დიასამიძესთან. მაშინ მხოლოდ 13 წლისა ვიყავი, მაგრამ სიმაღლით გამოვირჩეოდი თანატოლებისგან და მეზობელმა მირჩია, სპორტის ამ სახეობით დავკავებულიყავი. ამაში ხელი იმანაც შემიწყო, რომ ვერის საკალათბურთო დარბაზთან ახლოს ვცხოვრობდი. შემდეგ ვარჯიში „ტონოში“ მიხეილ კეკელიძესთან გავაგრძელე, რომელმაც ჩემი თავი ფაქტობრივად წაართვა დიასამიძეს. იმ პერიოდისთვის უკვე 190 სმ სიმაღლის გახლდით, რაც მართლაც იშვიათობა იყო. 1959 წელს, „ტონოდან“ „ქარიშხალაში“ გადავედი, რომლის შემადგენლობაში ალმა-ათაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ერთ-ერთ ტურში ვითამაშე. მომდევნო წელს უკვე „დინამოში“ მიმიწვიეს, სადაც თამაში არ მსურდა, რადგან „ქარიშხალაში“ თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობდი. მაგრამ 1961 წელს, „დინამოს“ ევროპის ჩემპიონთა თასზე უწევდა ასპარეზობა და საქართველოს რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის ჩარევის შემდეგ, იძულებული გავხდი, გუნდი გამომეცვალა. იმ დროისთვის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი და ერთ-ერთი ძლიერი მოთამაშე გახლდით, ამიტომ „დინამოს“ პირველ ხუთეულში დამკვიდრება არ გამჭირვებია. თან გვერდში გურამ აბაშიძე დამიდგა, რომელმაც ჩემში საკუთარი შემცვლელი დაინახა.

უარი ლარი ბრაუნს

– თბილისის „დინამოში“ მაღალ დონეზე ასპარეზობის გამო, ალექსანდრ გომელსკიმ საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში მიმიწვია და 1964 წელს, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე გავემგზავრე. იაპონიაში პირველი მატჩი კანადელებთან ჩავატარე და ფეხი დავიზიანე. ოლიმპიური გუნდის ექიმმა ზოია მირონოვამ ჩათვალა, რომ ოპერაცია არ დამჭირდებოდა და მკურნალობა ჰიდროკორტიზონის ნემსებით დამიწყეს, რაც იმ დროს სპორტულ მედიცინაში ახალი დანერგილი იყო. სხვათა შორის, ოპერაციის მომხრე მეც არ ვიყავი, რადგან შემოდგომაზე ნაკრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქონდა ტურნე დაგეგმილი და არ მსურდა, გუნდს გამოვკლებოდი. მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, მირონოვას გადაწყვეტილება მცდარი იყო. ოლიმპიადაზე ძირითადად, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და მოედანზე გამოსვლამ მხოლოდ ფინალურ შეხვედრაში მომიწია. არადა, ტოკიოში მსგავსი ტრავმა ერთ-ერთმა ამერიკელმა კალათბურთელმაც მიიღო. არ ვიცი, მას რა მეთოდით უმკურნალეს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მოთამაშემ 3 შეხვედრის ჩატარება შეძლო. ნაკრებში ჩემი მოვალეობა იყო, გენადი ვოლნოვი შემეცვალა, რომელიც ამერიკელების წინააღმდეგ ყოველთვის კარგად თამაშობდა და მათთან შეხვედრებში 20 ქულაზე ნაკლებს არ აგროვებდა. ოლიმპიადის ფინალში მას თამაში არ გამოუვიდა, რადგან ამერიკელმა ბილ ბრედლიმ გასაქანი არ მისცა. ვინაიდან ვოლნოვმა ბრედლის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო, გომელსკიმ მოედანზე მე შემიყვანა, მაგრამ მტკივანი ფეხით ვერ ვითამაშე. ის მატჩი 14 ქულით დავთმეთ. კარიერის დასრულების შემდეგ, ბრედლი რესპუბლიკური პარტიიდან აშშ-ის სენატორი გახდა. იმ ოლიმპიადაზე ამერიკელთა ღირსებას ლარი ბრაუნიც იცავდა, რომელიც შტატებში დღესდღეობით ნომერ პირველ მწვრთნელად არის მიჩნეული. იგი არმიელთა გუნდის კალათბურთელს, არმენაკ ალაჩაჩიანს დაეხმარა კანადის ვიზის მიღებაში და ანალოგიური სამსახურის გაწევა მეც შემომთავაზა. მაგრამ ალაჩაჩიანისგან განსხვავებით, ქვეყანა არ დამიტოვებია, რადგან ცოლი და ორი შვილი მყავდა. თან ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველთვის ძალზე ფრთხილი ვარ. სიმართლე გითხრათ, მაშინ საქართველოდან წასვლა ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ვთვლი, რომ მაშინ შეცდომა დავუშვი...

ამერიკული კედი მსაჯს

— „დინამოდან“ გურამ მინაშვილის წასვლის შემდეგ, გუნდის კრებაზე კაპიტნად ამირჩიეს. მაგრამ ეს თანამდებობა „ცეესკასთან“ ჩატარებული ერთ-ერთი მატჩის შემდეგ დავკარგე. მინდა გითხრათ, რომ მოსკოვის არმიელებთან ყოველთვის დაძაბული ორთაბრძოლა გვქონდა და მათ წითელ მაისურებს როდესაც ვხედავდით, მწვრთნელის რჩევა-დარიგება აღარ გვჭირდებოდა: ჩვენთვის „ცეესკა“ ყოველთვის რუსულ არმიასთან და დამპყრობელთან ასოცირდებოდა. მახსოვს, მოსკოველებს თბილისში ვხვდებოდით და „დინამოს“ შეტევის დროს წავიქეცი, თან ერთ ფეხზე კედი გამძვრა, რომელიც ამერიკული წარმოების იყო. ვინაიდან მსაჯმა თამაში არ გააჩერა, კედი ვისროლე და ჩემდა საუბედუროდ, იგი არბიტრს მოხვდა თავში. ფეხზე წამომდგარმა კი მას ბურთიანი ხელი მოვუქნიე. მერე ჩვენსა და არმიელებს შორის ჩხუბი გაიმართა, რაც იშვიათობა სულაც არ გახლდათ. ალექსანდრ გომელსკიმ საკუთარი გუნდი გასახდელში შეიყვანა და თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა. არმიელთა მწვრთნელთან გასახდელში საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, გიორგი სიხარულიძე შევიდა, რომელმაც გომელსკის უთხრა, რომ მომხდარს იმავე საღამოს, „ამერიკის ხმა“ გააშუქებდა, რაც ქვეყნის სირცხვილად ჩაითვლებოდა. სიხარულიძის შეგონებამ შედეგი გამოიღო, მაგრამ მე ის თამაში აღარ გამიგრძელებია. მატჩის დასრულებისას, სპორტის სასახლის გასახდელშივე კრება მოიწვიეს და კაპიტნობიდან გამათავისუფლეს. გუნდის თავად კი, ჩემი წარდგინებით, ამირან სხიერელი აირჩიეს.

ღვინის ტექნოლოგი მწვრთნელი

— მწვრთნელობა იმიტომ ავირჩიე, რომ თავიდანვე ვფიქრობდი — ამ საქმის კეთება შემეძლო. ყოველთვის ავტორიტეტით ვსარგებლობდი, როგორც საკუთარ გუნდში, ასევე საკავშირო მასშტაბით. აქვე გეტყვით, რომ სპეციალობით ღვინის ტექნოლოგი ვარ და ჩემი დიპლომის ხელმძღვანელ პროფესორს არაერთხელ უთქვამს — აფსუს, რა დიპლომს აფუჭებო!.. მაშინ ამ დარგის მუშაკები ბევრ ფულს შოულობდნენ, მაგრამ მე ეს არ მიტაცებდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ უმეტესობას ჩემს წლოვანებამდე არ მიულწევია, ზოგი ზედმეტი ღვინის სმისგან დაიღუპა, ზოგი — ავტოავარიაში... 1972 წელს, როდესაც კარიერას ვამთავრებდი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბოლო ტურებში „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ოთარ ქორქია შეუძლოდ შეიქნა და მთხოვა, დავხმარებოდი. იგი 5 მატჩში შევცვალე, მათგან 4 გუნდმა ჩემი ხელმძღვანელობით მოიგო. იმ დროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კოტე კეთილაძე გახლდათ, რომელმაც თავის კაბინეტში დამიბარა და „დინამოს“ მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზა. მე უარი ვთქვი, რადგან გუნდს ქორქია წვრთნიდა და ჩემი მხრიდან კეთილაძის წინადადებაზე დათანხმება არასწორად მიმაჩნდა. მაგრამ ამ დროს, ბრძანება ჩემი დანიშვნის თაობაზე, თურმე, უკვე დაწერილი იყო. სასწრაფოდ, ძალით შემიყვანეს კომუნისტურ პარტიაში, რადგან „დინამოს“ მწვრთნელი არ შეიძლებოდა, უპარტიო ყოფილიყო... მინდა აღვნიშნო, რომ სანამ გუნდს ოფიციალურად ჩამაბარებდნენ, მოსკოვის „დინამოსთან“ გვქონდა თამაში, რომელსაც ვაგებდით. ერთ-ერთ ეპიზოდში ქართველ გამოცდილ მწვრთნელს, რომელიც დარბაზში იმყოფებოდა, დავეკითხე, თუ როგორ უნდა მემოქმედა, მან კი ხელი ამიქნია და მიპასუხა: აბა, მე რა ვიცი... ამან ძალიან დამწყვიტა გული. სამაგიეროდ, ის მატჩი მოსკოველებს მაინც მოვუგეთ... თავდაპირველად, სირთულე იმანაც შემიქმნა, რომ „დინამოში“ მოთამაშეთა მთელი ჯგუფი იყო, რომლებთან ერთადაც წლების განმავლობაში ვთამაშობდი. ზოგიერთი მათგანი დღესაც ნაწყენია ჩემზე, რადგან მიაჩნიათ, რომ გუნდიდან ადრე გავუშვი. მაგალითად, ერთხელ ასეთი რამ ვლადიმერ უგრეხელიძეს წამოსცდა.

ლევან მოსეშვილი (მარჯვნივ) და ამირან სხიერელი 1961 წელს ევროპის ჩემპიონთა თასით

რა არ დაუჯერა დერიუგინმა მწვრთნელს

— ქუთაისის კალათბურთის პატრიარქთან, სულიკო თორთლაძესთან ახლო მეგობრობა მაკავშირებდა და იგი წლების განმავლობაში „დინამოს“, ბალტიისპირეთში დაჰყვებოდა, სადაც თან ერთობოდა, თან ოჯახისთვის რაღაცებს ყიდულობდა. თორთლაძეს ისე ვუყვარდი, რომ მეუბნებოდა: წელიწადში თითო ნიჭიერ კალათბურთელს არ მოგაკლებო. ნიკოლოზ დერიუგინის კანდიდატურა — სწორედ მან შემომთავაზა. იგი 16 წლის იყო, „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში რომ დავაყენე. დერიუგინი ორჯერ უფრო ძლიერი მოთამაშე იქნებოდა, ჩემთვის რომ დაეჯერებინა. კოლია მარჯვენა მხრიდან ძალიან კარგად თამაშობდა შეტევაში, მაგრამ მარცხნიდან სუსტი იყო. მაგრამ მან არ იზრუნა იმაზე, რომ ეს ნაკლი გამოესწორებინა. თან საკმაოდ ადრე, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვდა, ჩათვალა, რომ ყველაფერი უკვე იცოდა და საკუთარ თავზე მუშაობა ფაქტობრივად შეწყვიტა... 1977 წელს, დერიუგინმა მოსკოვში „ცეესკასთან“ თამაშისას, 59 ქულა დააგროვა. მატჩის მიმდინარეობისას მიშა ქორქიამ მითხრა: გამოიყვანე მოედნიდან, თორემ, თავში აუვარდებაო. ბოლოს და ბოლოს, ასეც მოხდა...

თვითმფრინავის ბილეთი ქორქიასათვის

— მიხეილ ქორქიას მომავალი მეუღლე სკოლაში ჩემი ცოლის მოსწავლე იყო. როდესაც ქორქია დაქორწინდა, ჩვენ ოჯახებით ძალიან დავახლოვდით. მიშა ის მოთამაშე გახლდათ, რომელიც მოედანზე იმედს არასოდეს კარგავდა და ყოველთვის ბოლომდე იბრძოდა. ასეთივე შეუპოვარი და ოპტიმისტი იყო ლევან ჩხიკვაძე. 1975 წელს, საკავშირო სპარტაკიადაზე უკრაინის ნაკრებს ვხვდებოდით, რომლის რიგებში ტკაჩენკო, კოვალენკო და ბელოსტენნი გამოდიოდნენ. თამაშს ვაგებდით და ქორქია, ზურაბ საკანდელიძესთან ერთად, სათადარიგოთა სკამზე იჯდა, თან მატჩს საკმაოდ პესიმისტური განწყობით ადევნებდა თვალყურს, რადგან ფიქრობდა, რომ წაგებული გვქონდა. მაგრამ ჩხიკვაძემ მოედანზე იმდენი იბრძოლა,

რომ შეხვედრის გადარჩენის შანსი გაგვიჩნდა, რასაც მიშაც მიხვდა და თანაგუნდელებს დაუძახა კიდეც – მიდით, ბიჭებო!.. ცოტა ხანში, საკანდელიძემაც გაიმეორა იგივე და ორივეს შევატყვე, რომ მოედანზე დაბრუნება სურდათ. ისინი ცოტა გავაწვალე – უცებ არ გამომიშვია სათამაშოდ... საბოლოო ჯამში, ორივემ ბრწყინვალედ იასპარეზა და უკრაინელები დავამარცხეთ. ჩემთვის სადებიუტო იმ სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დავიკავეთ. ერთხელ, ლენინგრადში ყოფნისას, ქორქია სასტუმროში ღამის 3 საათზე დაბრუნდა, არადა, მეორე დღეს, თამაში გვქონდა ჩასატარებელი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ლენინგრადში ცოლთან ერთად იყო ჩამოსული და წესით, დაგვიანებაც საპატიოდ უნდა ჩათვლოდა, მიშას მეორე დილას ლენინგრადი-თბილისის რეისზე თვითმფრინავის ბილეთი ავუღე და სახლში გამოვუშვი. ასეთი რამ იმიტომ გავაკეთე, რომ ქორქიასთვისაც და მთლიანად გუნდისთვის ჭკუის სასწავლებელი ყოფილიყო.

მოსეშვილი დერიუგინს მოძღვრავს

ჩამორთმეული ხატი

– საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე „დინამოს“ სტუმრად ჰქონდა შეხვედრა ჩასატარებელი და რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში მოხუცი ქალისგან 10 მანეთად ძველებური ხატი ვიყიდე, რომელიც ალბათ, დღეს საკმაოდ ძვირი ეღირებოდა. არ ვიცი, ეს ამბავი სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ საიდან გაიგო, მაგრამ ფაქტია, რომ მან დამიბარა და გამლანძღა. სიხარულიძის თქმით, საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი ვიყავი და უფლება არ მქონდა, ასეთი რამ გამეკეთებინა. ხატი ჩამომართვეს და წლების შემდეგ, ის სიხარულიძის ბინის კედელზე ჩამოკიდებული ვნახე, როდესაც ამ პიროვნების გასვენებაში მივედი...

უდისციპლინო დარსაძე

– გელა დარსაძე თავისი მონაცემებით საქართველოში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი იყო. მისი ნიჭი განსაკუთრებით მაშინ გამოვლინდა, როდესაც „დინამოში“ ლენინგრადელი გამთამაშებელი კაპუსტინი გადმოვიდა. დარსაძეს კალათბურთი ზედმიწევნით კარგად ესმოდა, მაგრამ დისციპლინაში მოიკოჭლებდა. იგი ხშირად გამიგდია ვარჯიშიდან, რადგან ნასვამი მოსულა. სხვათა შორის, ზურაბ საკანდელიძეც არ გამოირჩეოდა რეჟიმის დაცვით და ყველა რესტორანი ზეპირად ვიცოდი, სადაც ის უნდა მომეძებნა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში თბილისიდან ჩასულ საკანდელიძეს, ზედმეტი სმისგან წნევა აწუხებდა და გუნდის ექიმები ცდილობდნენ, ზურა სათანადო კონდიციაში მოეყვანათ. როდესაც ნაკრებიდან თბილისში დაბრუნდებოდა, ისევ აგრძელებდა სმას. მას და დარსაძეს რამდენჯერმე ვუთხარი – როდესაც კალათბურთს თავს დაანებებთ, არც ერთი ის ცრუმმაკაცი აღარ გეყოლებათ გვერდით, ვისთან ერთადაც სვამთ-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მათ ჩემი სიტყვები აუხდათ... 1985 წელს, საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან“ ევროთასების გათამაშებაში შინ 22 ქულით დავმარცხდით და როგორც დარსაძემ, ასევე სანაძემ ის თამაში „ჩააგდეს“. ბერძენთა გამარჯვება ისეთი დამაჯერებელი ჩანდა, რომ როდესაც ვთქვი – ეს ვისთან წავაგეთ-მეთქი! – ხალხმა გაკვირვებით შემომხედა, ჯანო ბაგრატიონმა შეიცხადა – რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდიო?!. განმეორებით მატჩში, რომელიც საბერძნეთში შედგა, დარსაძე არ წავიყვანე, რადგან მან კაპუსტინთან იჩხუბა. იმ შეხვედრის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე, 26 ქულით ვიგებდით და გელა სწორედ მაშინ მჭირდებოდა. საბოლოოდ ჩვენთვის არასაკმარისი ანგარიშით გავიმარჯვეთ და გათამაშებას გამოვეთიშეთ.

ქართული კალათბურთის გადასარჩენად გადადგმული ნაბიჯი

– თავის დროზე, ვაი-პატრიოტები ხშირად მსაყვედურობდნენ, რომ ქართული კალათბურთი „გავარუსეთ“. თუმცა, ამ პერიოდში საქართველოში სპორტის აღნიშნულ სახეობაში ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო, რაც ბავშვთა საკალათბურთო სკოლებში მწვრთნელთა არასათანადო მუშაობამ განაპირობა. მინდა გითხრათ, რომ რუსებს ჩვენთან ჩამოსვლა არ უნდოდათ და ვცდილობდით, მათთვის „დინამოში“ თამაშის სანაცვლოდ ფული ან ავტომანქანა შეგვეთავაზებინა. ჩემი აზრით, ეს ნაბიჯი რომ არ გადამედგა, ქართული კალათბურთი მოკვდებოდა. ჩამოყვანილთაგან, კაპუსტინმა, ტიუბინმა, მილოვიდოვმა და ოპოშნიანმა ჩვენი იმედი გაამართლეს. ვერ გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობა ბოროდოჩოვმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიმაღლე 210 სმ იყო. რუსებს დალევა უყვართ და ბუნებრივია, ამას არც თბილისში ყოფნისას იკლებდნენ, რაზეც ზოგჯერ თვალს ვხუჭავდი. კაპუსტინი წინადღეს რომ დალევდა, მეორე დღეს, საერთოდ არ ეტყობოდა, ნაბახუსევი თუ იყო. პულავსკი როდესაც რეჟიმს იცავდა, ვერ თამაშობდა. ამიტომ სხიერელს ვეტყოდი ხოლმე – წაიყვანე, რამე დაალევინე ამას, სანამ თავი მომაკვლევინა-მეთქი... რადგან დალევაზე ჩამოვარდა საუბარი, გეტყვით, რომ ქართველებში ბევრი კალათბურთელი იყო, ვინც 8 ლიტრ ღვინოს სვამდა ქეიფის დროს. მახსოვს, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად შეკრებას ლესელიძეში გავდიოდით და ერთ-ერთ ოჯახში დაგვპატიჟეს. მასპინძელმა „იზაბელა“ მოგვართვა და რუსები ღვინოს რომ დალევდნენ, ზედ არაყს აყოლებდნენ. ისე დათვრნენ, ფეხზე ვეღარ იდგნენ. მეორე დილით, ნახევარ ნაკრებს სახე დაკაწრული ჰქონდა: ლესელიძეში სახლები ეკლიანი მესრით იყო შეღობილი და მთვრალი კალათბურთელები თურმე, მესერში გაჩხერილან... ■

„დიდად პატივცემული" ძრავა

BMW M5

BMW-ს ძრავა, რომლის სამუშაო მოცულობა 5 ლ-ს შეადგენს, ძალზე საპატიო ჯილდოთი – „2005 წლის ძრავების ოსკარით" აღინიშნა. მას ერთდროულად 3 ნომინაციაში – „საუკეთესო ახალი ძრავა", „დიდი სიმძლავრის საუკეთესო ძრავა" და „4 ლ-ზე მეტი მოცულობის საუკეთესო ძრავა" – მიანიჭეს პირველობა. 10-ცილინდრიანი აგრეგატით, რომელიც 507 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს, სპორტული მანქანები – BMW M5 და M6 აღიჭურვება.

ასევე ბავარიული კონცერნის კონსტრუქტორთა ნამუშევრებს ხვდა წილად გამარჯვება 2,5-დან 3 ლ-მდე მოცულობის ძრავების კლასშიც (აქ პირველობა ტურბოდიზელს – 535d-ს მიენიჭა) და 3-დან 4 ლ-მდე მოცულობის აგრეგატებშიც (ჟიურის წევრებმა საუკეთესოდ დაასახელეს 3,2 ლ-იანი, 6-ცილინდრიანი BMW M3).

ყველაზე ეკონომიური ძრავების კატეგორიაში, 1,5 ლ მოცულობის Toyota-ს ძრავამ გაიმარჯვა (ჰიბრიდული მოდელი Prius). ყველაზე მომცროებს შორის (1 ლ-მდე), საუკეთესო, კომპანია Honda-ს ნაწარმი – Insight Hybrid (76 ცხ.ძ.) დაასახელეს. 1-დან 1,4 ლ-მდე სამუშაო მოცულობის კატეგორია მოიგო General Motors-ისა და FIAT-ის ერთობლივმა ნამუშევარმა – 1,3 ლ-იანმა დიზელის აგრეგატმა, რომლითაც მოდელები: FIAT Panda, FIAT Punto, Lancia Ypsilon, Opel Tigra და Opel Corsa აღიჭურვება.

პრემია – „წლის ძრავების ოსკარი" – 1999 წელს დაწესდა. მასში გამარჯვებულებს, 26 ქვეყნის წარმომადგენელი 56 ექსპერტისგან შემდგარი ჟიური ასახელებს. კონკურსში 11 ნომინაციაა, აბსოლუტურ ჩათვლაში გამარჯვებული კი, „ძრავების ოსკარის" მფლობელი ხდება. ■

FIAT Panda

„პლატინისგან" დამზადებული Peugeot

მიმდინარე თვის შუა რიცხვებიდან, ევროპელ დილერებს ე.წ. რესტაილინგური Peugeot 307-ის პირველი პარტიები მიაწოდეს. ამ მანქანას წინა ნაწილი შეუცვალეს: ახლა მისი ყველა მოდიფიკაცია (Limousine, Break, SW და CC) Peugeot 407-ისთვის დამახასიათებელი, მკვეთრად გამოხატული აგრესიულ-დინამიკური სტილით გამოირჩევა. წინა მაშუქებიც მოდერნიზებულია და უკანა მანათობლების დიზაინიც შეცვლილია. ადრე არსებულ ძრავებს, ახალი – 2 ლ მოცულობის, 177 ცხ.ძ. სიმძლავრის 16-სარქველიანი აგრეგატი შეემატა, რომლითაც ვარიანტი – Platinum იქნება აღჭურვილი. გარდა ამისა, „პლატინის" Peugeot-ს ტყავის სალონი, კლიმატ-კონტროლი და საბურავებში წნევის საზომი შეემატა.

თვის დამლევს, ევროპელ მომხმარებლებს საშუალება ექნებათ, წინასწარ შეუკვეთონ ვარიანტი – CC (კუპე-კაბრიოლეტი), რომელიც 2-ლიტრიანი, 136 ცხ.ძ. სიმძლავრის, დიზელის ძრავათი იქნება აღჭურვილი.

ახალი „პეჟო 307-ის" ფასი საშუალოდ, 200 ევროთი გაიზარდა. საბაზო ვერსია – Grand Filou Cool 90 – 15.350 ევრო ღირს. ■

„იერიში" ჩინელთა დახმარებით

კორეული ფირმა – Ssangyong – წლეულს 2 ახალი მოდელის სერიულ წარმოებაში ჩაშვებას აპირებს. მოდელი – Kyron – ყველგანმავალ Musso-ს შეცვლის. მისი ოფიციალური პრემიერა ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონისთვისაა დაგეგმილი. Kyron-ის წარმოება წლევანდელი წლის დამლევს დაიწყება. ეს მანქანა 2 ლ მოცულობის დიზელის ძრავათი („მერსედეს-ბენცის" ლიცენზია) იქნება აღჭურვილი. მისი სავარაუდო ფასი 26 ათასი ევროა.

გარდა ამისა, კორეელთა გეგმაშია სრულამძრავიანი კუპეს – SUC (Sports Utility Coupe) გამოშვება, რომელიც სავარაუდოდ, Toyota RAV4-სა და Nissan X-Trail-ს გაუწევს კონკურენციას. 5 მგზავრისთვის გათვალისწინებული ამ მანქანის ძირითადი მონაცემები ასეთია: სიგრძე – 4,5 მ, სრული ამძრავი, 4-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი. Ssangyong-ის „იერიშს", ამ კომპანიაში ახალი აქციონერის – ჩინური კონცერნის – SAIC – გამოჩენას უკავშირებენ. ■

აქტიურად აქლეჯეული ქეთი ახობაძე და სპონტანურად გაჩენილი კლიპის იდეა

სულ ახლახან, ახალგაზრდა მომღერალმა ქეთი ახობაძემ ახალი კლიპი გადაიღო, რომელშიც ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულ ბევრ ცნობილ თუ უცნობ სახეს წარმოგვიდგენს. კლიპის პრეზენტაციაზე იმდენი ადამიანი მივიდა, რომ კინოთეატრ „რუსთაველის“ დარბაზმა ყველა ვერ დაიტია და ამიტომ პრეზენტაცია გამეორდა. იქიდან კი, ყველა აცრემლებული გამოდიოდა... კლიპის შექმნის თაობაზე, მის დეტალებსა და სხვა საინტერესო საკითხებზე თავად ნორჩი მომღერალი, ქეთი ახობაძე მოგვითხრობს.

ნათია ქივიძე

— ქეთი, მოდი, საუბარი შენი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებით დავიწყოთ. როგორ გამოჩნდი მუსიკალურ ასპარეზზე?

— თავდაპირველად, „ბასტი-ბუბუში“ დავდიოდი. ამ სტუდიამ ძალზე დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. როგორც მომღერალი, მათ ჩამომაყალიბეს, თუმცა იქ, სიმღერის გარდა, ცეკვასა და ათას სხვა რაღაცასაც მასწავლიდნენ. როცა უკვე გავიზარდე და „ბასტი-ბუბუს“ ასაკში აღარ ვიყავი, სამეცადინოდ ვოკალის პედაგოგთან მივედი. რამდენიმე პედაგოგი შევიცვალე და ახლა, მზია ღამბაშიძე მამეცადინებს.

— როგორც ვიცი, რაც ქართულ ესტრადაზე ხარ, არცთუ ისე ცოტა წარმატებისთვის მიგიღწევია...

— „ბასტი-ბუბუს“ პერიოდში, დაახლოებით 5 კლიპი მაქვს გადაღებული. მოგვიანებით, ფილარმონიის სოლისტობაც მხვდა წილად. შემდეგ, უკრაინის ფესტივალზე წავედი, სადაც მესამე ადგილი დავიკავე. ამით ძალზე კმაყოფილი ვარ, რადგან იქ წასვლა ჩემი კარიერისთვის კარგი იყო, საჭირო გამოცდილება შემძინა. უკრაინაში ფესტივალზე შევასრულე უკრაინული სიმღერა — „უტკვე“, რომლის ვიდეოვერსია არსებობს და ჩვენს ეკრანებზე ტრიალებს. ამ სიმღერასთან ერთად, გიორგი ცაბაძის „მუხამბაზიც“ ჩავწერე, რომელზეც სულ მალე, კლიპსაც გადავიღებთ. საქართველოში გამართულ ფესტივალებზეც უამრავი ნომინაცია მაქვს აღებული, მათ შორისაა, კინოსა და მუსიკის ფესტივალზე ჩემთვის მონიჭებული „მომავლის იმედის“ ნომინაციით გათვალისწინებული ჯილდო, რომელიც ეკა კვალიაშვილმა გადმომცა.

— უკრაინის ფესტივალიდან წარმატებული დაბრუნდი. ახლა აღარ აპირებ რომელიმე ფესტივალზე გამგზავრებას?

— საერთოდ, ფესტივალები ყოველთვის ზაფხულში იმართება. ამ ზაფხულს ხელი შეგვეშალა, რადგან მოგეხსენებათ, ახალი კლიპი გადავიღეთ, რომელსაც ხანგრძლივი მუშაობა სჭირდებოდა და დიდი პასუხისმგებლობა მქონდა აღებული. ამ ფაქტმა შემიშალა ხელი, წელს რომელიმე ფესტივალზე წასასვლელად, თორემ, მომავალ წელს აუცილებლად წავალ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდები საკუთარ შესაძლებლობებში.

— შენს ახალ კლიპზე მოგვიანებით ვისაუბროთ, ახლა კი ის მითხარი — არ გაგიჭირდა ქართულ შოუბიზნესში თავის დამკვიდრება?

— შოუბიზნესში თავის დამკვიდრება არანაირად არ გამჭირვებია, რადგან ცეკვა, სიმღერა და საერთოდ, სცენაზე დგომა ჩემი ცხოვრების მიზანია. სცენა იმის საშუალებას მაძლევს, რომ საკუთარი თავით ყოველთვის კმაყოფილი ვიყო.

— მართალია, მაგრამ ესტრადაზე დგომისთვის მხოლოდ ეს საკმარისი არ უნდა იყოს...

— იცით, რა? ამ ყველაფერს ჩემთვის ვაკეთებ და ვცდილობ, ჩემი შემოქმედება ხალხსაც მოვაწონო და მას ხარისხიანი მუსიკა მივაწოდო. მე იმას კი არ ვცდილობ, ვიღაცას დავაჯერო, რომ ეს კარგია, მათ ჩემი სიმღერა უნდა მოეწონოთ.

— ამ ყველაფერში ვინ გეხმარება?

ლადო ცირეკიძე

დუდუ დადიანი

— ჩემი პროდიუსერი, ინგა ჯიქია. აგრეთვე — ჩემი ოჯახი, რომლისაც ძალზე კმაყოფილი ვარ. ყოველთვის ჩემ გვერდით დგანან და ყველაფერში მეხმარებიან, განსაკუთრებით — დედა.

— როგორც ვიცი, შენი აუდიოალბომი ჯერ არ გამოსულა. რა არის ამის მიზეზი?

— ალბომზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან მის ჩასწერად საჭიროა, რომ 10 სიმღერა მაინც ჰქონდეს მომღერალს. მე ჯერ მხოლოდ 7 სიმღერა მაქვს და ალბომის გამოშვებას მოგვიანებით, ჩემი პროდიუსერი და ოჯახი ერთად გადაწყვეტენ. ვფიქრობ, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება.

— ახლა დაგისვამთ კითხვას, რომელიც ამ ბოლო დროს ტრადიციად მექცა, შოუბიზნესის წარმომადგენლებთან საუბრისას: შენი აზრით, რატომ არის, რომ დღევანდელი შოუბიზნესი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს?

— მე ვფიქრობ, რომ არ არსებობენ კარგი პრომოუტერები, რომლებიც ხარისხიან კონცერტებს გამართავენ. თუმცა, ამ ბოლო დროს, მე მართლა აქტიურად ვმღერი. თუკი სადმე რამე ტარდება და ჩემს იქ გამოსვლას ჩემი პროდიუსერი საჭიროდ ჩათვლის, ყველგან გამოვდივარ.

— არის თუ არა სიმღერა შენი შემოსავლის წყარო?

— ჯერჯერობით, არა. თუ ვინმე გამახარებს და წამახალისებს ჰონორარით, ამას რა სჯობს!.. მაგრამ ეს იშვიათად ხდება. ალბათ, ახლო მომავალში, ამასაც გადავწყვეტთ და სიმღერა ჩემი შემოსავლის წყარო გახდება. ახლა კი ამისთვის არ ვმღერი.

— მოდი, ახლა შენს ახალ კლიპზე ვისაუბროთ, რომელიც გარდაცვლილებს მიეძღვნა. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ამ სახის ყოფილიყო და საერთოდ, ვის ეკუთვნის ეს იდეა?

გვანცა შერგელაშვილი

— ამ სიმღერის იდეა სულ მქონდა მას შემდეგ, რაც ჩემი დეიდაშვილი, ლადო ცირეკიძე ჩემ გვერდით აღარ არის: მინდოდა, რომ მისთვის სიმღერა მიმეძღვნა. როცა გარდაიცვალა, ერთი ლექსიც მივუძღვენი და რამეს თუ ვაკეთებ მისთვის, მგონია, რომ მისი სულის წინაშე ვალს ვიხდი, ვინაიდან ჩვენ ერთმანეთის დიდი სიყვარული გვქონდა. ამ კლიპის გადაღება ჩემი ოჯახის იდეაც იყო. ლადოს დედა — ე.ი. დეიდაჩემი, ყველა იმ გარდაცვლილი ადამიანის მშობელთან მეგობრობს, ვისაც ეს კლიპი მიეძღვნა და მათაც გადაწყვიტეს, რომ მათი შვილები ერთხელ კიდევ გაცოცხლებულიყვნენ ეკრანზე... სიმღერის კომპოზიტორიც და ტექსტის ავტორიც, მსახიობი თაკო აბაშიძე გახლავთ. ეს ძალზე სპონტანურად მოხდა. თაკო ჩვენს ოჯახში სტუმრად იყო მოსული, საუბრისას აღვნიშნეთ, რომ ასეთი რამის გაკეთებას ვაპირებდით. მეორე დღეს დაგვირეკა და გვითხრა, რომ სიმღერა დაწერა. ასე უცებ ალბათ, იმიტომ მოახერხა, რომ ისიც განიცდიდა იმავე ტკივილს... კლიპში ჩანს მიხეილ აბაშიძე — თაკოს ნათესავი. თავიდანვე მოგვწონა სიმღერა და მაშინ გადავწყვიტეთ, რომ კლიპიც გადაგვეღო. კლიპის რეჟისორია ჯაბა მელქაძე, ოპერატორი — ლევან აბულაძე, მხატვრები — მეკო კვაჭანტირაძე და მიშა სარიშვილი, მაკიაჟზე მაკა რევაზიშვილმა იმუშავა, ხოლო მონტაჟი კოსტას ეკუთვნის. გადაღებების დროს, იმ სევდიან ნოტაზე, კარგი ის მოხდა, რომ ჩვენი ჯგუფის

ოძელა

კლიპის იდეა ის არის, რომ რეალური ცხოვრებიდან არარეალურ სამყაროში უნდა მოხვდე.

წევრი, მაკა რევაზიშვილი გაგვითხოვდა...

— ჩამომითვალე ის გარდაცვლილი ადამიანები, რომლებიც ამ კლიპში არიან ნაჩვენები...

— როგორც უკვე აღვნიშნე, ეს კლიპი მიეძღვნა ჩემს დეიდაშვილს, ლადო ცირეკიძეს, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ დათო ცირეკიძეს, მეტსახელად შავს, რომელიც ჩემი ლადოს ნათესავია; აგრეთვე — დუდუ დადიანს, გვანცა შერგელაშვილს, მანჩო შაუთიძეს, მიხეილ აბაშიძეს, დათო ოძელაშვილს (ოძელას) და ფეხბურთელ თორნიკე რუხაძეს. კლიპის პრეზენტაცია 10 ივლისს შედგა და ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ამ დღეს, თორნიკეს დაბადების დღე იყო. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ამ ადამიანების გახსენება ყოველწლიურ ტრადიციად იქცეს. რა თქმა უნდა, ეს აბსოლუტურად არაკომერციული იქნება, თუმცა, გარკვეულ ფინანსებს მაინც მოითხოვს; ამ კლიპის გარდა, კიდევ რაიმე საინტერესო დაემატება და ამ ხალხს ყოველთვის გავიხსენებთ. კლიპში მხოლოდ 8 ადამიანია ნაჩვენები, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს სიმღერა მთელ საქართველოს და ყველა უდროოდ წასულს ეძღვნება.

— კლიპის ერთ-ერთ კადრში ჩანს, რომ ტირი. ეს სცენარით იყო გათვალისწინებული თუ სპონტანურად მოხდა?

— ეს აბსოლუტურად ბუნებრივად მოხ-

და. ჯერ იმას აღვნიშნავ, რომ ეს კლიპი მთლიანად ბუნებრივია და კომპიუტერი მასში საერთოდ არ არის გამოყენებული. სამი კედელი იყო გაკეთებული, სადაც რვავე ადამიანის რვა განსხვავებული ფოტო იყო დაკიდებული. ასეთი სიუჟეტი იყო: უნდა მეყურებინა ლადოს ფოტოსთვის, მერე, მეორე კედელზე უნდა გადამეტანა მზერა და ისევ ლადოს ფოტოსთვის უნდა შემეხედა... ლადოს რომ ვუყურებდი, მთელმა მისმა ცხოვრებამ ჩაიარა ჩემ თვალწინ და ამ დროს მომინდა, რომ მეტირა. ისეთ განწყობილებაზე ვიყავი, რომ შემეძლო, მთელი კლიპის გადაღების დროს მეტირა...

— როგორც ვიცი, კლიპში ყველა იმ გარდაცვლილი ადამიანის შვილები მონაწილეობენ, ვისაც ეს კლიპი ეძღვნება.

— კლიპის იდეა ის არის, რომ რეალური ცხოვრებიდან არარეალურ სამყაროში უნდა მოხვდე. კლიპის მთავარი გმირი, ჩემთან ერთად, დათო ცირეკიძის უფროსი ვაჟი ლუკაა, რომელთანაც შინ სტუმრად მივდივარ და მამამისის სურათებს მათვალიერებინებს. აქედან გადავდივარ არარეალურ სამყაროში, სადაც გარდაცვლილების სურათებია გამოფენილი. კლიპის ბოლოს კი, ყველა მათგანის შვილებს ვხვდები (გვანცას და ლადოს შვილები არ ჰყავდათ, ამიტომ იქ მათი დისშვილები და ძმისშვილები იყვნენ) და მათ ფოტოებს ვუღებ. იდეა ის გახლავთ, რომ მათი სიცოცხლე მომავალ თაობაში გრძელდება...

■

და-ძმა საქართველოს წარმოჩენას ლათინურამერიკული ცეკვებით ცდილობს

ლათინურამერიკული და ევროპული ცეკვების სტუდია — „სპორტ-კლუბი ლიდერი“ სახელწოდებას ნამდვილად ამართლებს და აგერ უკვე მრავალი წელია, საქართველოში გამართულ ჩემპიონატებზე ტოლს არავის უდებს. წარმატების გარანტი კი, პედაგოგების — ალექსანდრე ბაბაიანისა და ანი ბაბაიან-მეტრეველის პროფესიონალიზმი და დაუღალავი შრომაა. აღსანიშნავია ისიც, რომ და-ძმა საქართველოში სხვა საქმიანობითაცაა ცნობილი: ალექსანდრე ავეჯის დიზაინერია და მისი მაკეტით შეიქმნა ტახტრევანი წმინდა სამების საკათედრო ტაძრისათვის; ის აგრეთვე, მამასთან ერთად ქმნის მინანქრის ჭურჭელს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იყიდება. რაც შეეხება ანის — ის დიზაინერია, მისი ნამუშევრების ჩვენება კი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ეწყობა ხოლმე.

— ალექსანდრე, როგორც ვიცი, ახლა თქვენ და ანის ყურადღება მთლიანად ცეკვის სტუდიისკენაა მიმართული...



— ,,სპორტ-კლუბი ლიდერი“ მე და ანიმ 8 წლის წინ, საქართველოს ბავშვთა ფედერაციასთან დავაარსეთ. ამ ხნის განმავლობაში, ბევრი წარმატება მოვიპოვეთ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენი სტუდია, მსოფლიო სპორტული ცეკვების ფედერაციის სრულფასოვანი წევრი გახლავთ. ყოველ წელს ვესწრებით ინგლისში ცეკვის ფესტივალს, სადაც სანახაობრივი ჩვენებების გარდა, შემეცნებითი კონფერენციები და სემინარებიც ეწყობა ხოლმე. ჩვენი სტუდიის აღსაზრდელებს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვთ და ეს ჩემპიონატებზე ასპარეზობისას აშკარად თვალში საცემია, ამიტომ მე და ანის გვსურს, რომ სამომავლოდ გავაღრმავოთ ურთიერთობები ჩვენს უცხოელ კოლეგებთან, პარტნიორებთან. სამწუხაროდ, მთელი რიგი მიზეზების გამო, ჩვენი მოცეკვავეები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ მასშტაბურ საერთაშორისო ჩემპიონატებში მონაწილეობას, თუმცაღა, მათი მომზადების დონე მართლაც, მაღალი შეფასების ღირსია. ჩვენი წარმატების დიაპაზონი ჯერ მხოლოდ კავკასიის რეგიონში შეგვიძლია განვსაზღვროთ და თამამად გეტყვით, რომ სომეხ და აზერბაიჯანელ მოცეკვავეებს შორის, ლათინურამერიკული და ევროპული ცეკვების ქართველი შემსრულებლები მართლაც, საუკეთესოები არიან.

მოცეკვავე ჟურნალისტები, თვალების არშემდგარი აუქციონი და სცენის განუმეორებელი ხიბლი

მოგეხსენებათ, რომ 23 ივლისს კუს ტბაზე ფოლკლორული თეატრის, „ნაბადისა“ და ჟურნალისტების ერთობლივი კონცერტი გაიმართა. აქამდე ჟურნალისტებმა საკუთარი ძალები სიმღერასა და პოდიუმზე მოსინჯეს. ახლა კი საკუთარი ნიჭი ცეკვაშიც გამოამჟღავნეს. კონცერტამდე მთელი ერთი კვირის განმავლობაში, მედიის წარმომადგენლები გულმოდგინედ ვცდილობდით ხალხური ცეკვის სხვადასხვა ილეთის ათვისებას. როგორც იქნა, ის ნანატრი დღეც დადგა, როცა საკუთარი პროფესია რამდენიმე საათით უნდა დაგვივიწყებინა და თავი „ვარსკვლავების“ ამპლუაში წარმოგვედგინა. იმის გამო, რომ დენი არ იყო, სტუმრებსა და ჩვენც, საათზე მეტხანს მოგვიხდა ლოდინი. პუბლიკას რომ არ მოეწყინა და საკუთარი თავიც გაგვემხნევებინა, საქართველოს ჰიმნი ყოველგვარი რეპეტიციის გარეშე, ექსპრომტად „შემოვძახეთ“. ამასობაში, დენიც მოვიდა. რაც ყველაზე მეტად, საღამოს წამყვან ვანიკო თარხნიშვილს გაუხარდა.

ნათია ქივიძე

მოცეკვავეებმა და მედიის წარმომადგენლებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის დამახასიათებელი ცეკვა წარმოვადგინეთ. ნუგზარ ხავთასმა და ალანა გაგლოევამ „ხევსურული ბალადა“ შეასრულეს, მოგვიანებით კი, ალანა „ნაბადის“ მომღერლებთან ერთად ოსურადაც ამღერდა. თქვენმა მონამორჩილმა, არცთუ ისე წარუმატებლად, „ნაბადის“ მოცეკვავესთან, სოსო ლაჩაშვილთან ერთად „ხევსურული“ იცეკვა. ნატო ნიჟარაძეს „აჭარულის“ ცეკვა ისე გაუტკბა, სცენა ძლივს დავატოვებინეთ. ჟურნალ „რეიტინგის“ წარმომადგენელმა დიანა ჭანკოტაძემაც „ნაბადელ“ ზვიად ხომერიკთან ერთად, „აჭარული“ შეასრულა. მსმენელის წარმომადგენლებს არც სცენის მიღმა გვაკლდა აქტიურობა და ერთმანეთს შეძახილებითა და ტაშით ვამხნევებდით. საღამოს წამყვანი ვანიკო, ჩვენი ნიჭით აღფრთოვანებას ვერ ფარავდა და ხშირად იმეორებდა — დავეცი!..

კონცერტის დასკვნითი ნაწილისთვის, ჟურნალისტების თვალების აუქციონიც იყო დაგეგმილი, მაგრამ ტექნიკის უქონლობის გამო ეს ვერ მოხერხდა. ამიტომ „ნაბადის“ ხელმძღვანელმა და უკვე ჩვენმა კარგმა მეგობარმა, ნინო ტურაბელიძემ საკუთარი თვალების ფოტოები გადმოგვცა საჩუქრად და თან დასძინა — ნამდვილად არ ველოდი, თუ ჟურნალისტები ყველა საქმეში ასეთი ნიჭიერები იქნებოდით და კონცერტიც ასე წარმატებით ჩაივლიდაო.

ჩვენი და „ნაბადის“ შემოქმედებით მაყურებელიც აღფრთოვანებული იყო და კომპლიმენტებს არ იშურებდა. უამრავ უცხო სტუმართან ერთად, ჩვენს საყურებლად ზუმბა და მამუკა ლომაშვილიც იყვნენ მოსული. ეგ კი არა და, „ქუჩის ბიჭი“, პაატა ხაჩიძე და გურამიკო ლომიძის ძმა, გიორგი, მეგობარი ჟურნალისტების საგულშემატკივროდ ბორჯომიდან ჩამოვიდნენ.

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ქართველ „ვარსკვლავებს“, სულ ვაკრიტიკებდი, ვამბობდი — თუ სიმღერა არ იციან, სცენაზე რა უნდათ-მეთქი?!. ახლა კი სცენის ხიბლი საკუთარ თავზე ვიწვნიე და მათაც, ასე თუ ისე, გავუგე. მსგავსი შემოთავაზება კიდევ რომ მივიღო, დაუფიქრებლად დავთანხმდები... ■

როგორც იქნა, ის ნანატრი დღეც დადგა (სტატიის ავტორი „ნაბადის“ მოცეკვავესთან ერთად)

მართველი მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სადაური იყო წარმოშობით გრაფი დრაკულა?

ა) რუმინელი;
ბ) ესტონელი;
გ) ჩეხი.

2. ელიზაბეტ ტეილორმა სულ რვაჯერ იძორწინა, მათ შორის, ორგზის:

ა) რიჩარდ გირზე;
ბ) რიჩარდ ბარტონზე;
გ) რიჩარდ ჩემბერლენზე.

3. როდის გამოვიდა დადგენილება საბჭოთა ჯარში ჯარისკაცებისთვის 100-100 გრამი არყის დარიგების შესახებ?

ა) 1941 წლის სექტემბერში;
ბ) 1945 წლის 9 მაისს;
გ) 1953 წლის 5 მარტს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ფეხი — ბოსტანი, წინ — ლენინი ანუ ბოლოს დაჯმალოთ ხეოლის ნაჭილი

თვითნასწავლმა დიზაინერმა — სოფო სირაბიძემ, რომელსაც ხატვა და თარგის გამოჭრაც კი არ ეხერხება, მოდის ბიზნესში საკმაო წარმატებას მიაღწია. თუმცა ფიქრობს, რომ საქართველოში მოდის ბიზნესი, ფაქტობრივად, არ არსებობს და ამიტომაც, ცნობილი დიზაინერები ერთმანეთს არ ეკონტაქტებიან, სხვის ჩვენებებზე არ დადიან...

როგორი კოსტიუმებია აქტუალური წლევანდელ ზაფხულში, რა ფერისა და დიზაინის საცურაო კოსტიუმებია მოდაში, რომელმა ცნობილმა დიზაინერმა გამოიწვია სოფოს გულისწყრომა? ამ და სხვა კითხვებზე თავად სოფო გვიპასუხებს.

ლიკა ქაჯაია

— თვითნასწავლი დიზაინერი ვარ. წარმოშობით ბათუმელი გახლავართ. პირველი პერსონალური ჩვენება 2003 წლის 13 იანვარს, თბილისში მოვაწყვე. შემდეგი ჩვენებები ქობულეთსა და ბათუმში მქონდა. მაგრამ თბილისში მუშაობა უფრო მიყვარს. შარშან, მეტეხში ფესტივალი გაიმართა, სადაც საუკეთესო ავანგარდისტად დამასახელეს. იქაც საცურაო კოსტიუმები მქონდა წარმოდგენილი, ოღონდ — ნაქსოვი.

— ეი. ქსოვაც გეხერხებათ. რამდენად პრაქტიკული და მოდურია ნაქსოვი საცურაო კოსტიუმები?

— ქსოვა 2004 წლის ჩვენებისთვის ვისწავლე. სხვათა შორის, ამ კოსტიუმებს ე.წ. ირისის ძაფისგან ვქმნი, რომელიც საოცრად პრაქტიკულია. იგი არ იწელება და არც ფერი გასდის. ნაქსოვი სამოსი წელსაც მოდაშია...



ის საცურაო კოსტიუმები, რომლებსაც ვერ გავყიდე, თავად უნდა ჩავიცვა...

— მიუხედავად ამისა, 18 ივლისს, ერთ-ერთ კლუბში გამართულ ჩვენებაზე ნაქსოვი კოსტიუმები არ გამოგიტანიათ...

— ამისთვის დრო არ მრჩებოდა, რადგან სულ რაღაც 20 დღეში, 44 კოსტიუმი შევქმენი. თითოეული მათგანი ჩემს ტანზე იკერებოდა.

— ძირითადად, რა სტილის კოსტიუმებზე მუშაობთ?

— ეს ჩვენება არც ავანგარდული იყო და არც კლასიკური. ის უფრო შერეული გახლდათ. საერთოდ კი, ავანგარდი უფრო მომწონს. ამ სტილის სამოსს თავადაც ვატარებ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი საზაფხულო კოსტიუმები ჩვენი საზოგადოებისთვის, ცოტა არ იყოს, თამამია?

— ალბათ, კი. მაგრამ მაინც ბევრი კლიენტი მყავს. ერთი კაბა 18 ივლისს გამართულ ჩვენებაზეც გავყიდე... მთხოვეს, ის კაბაც გამეყიდა, რომელიც მე მეცვა, მაგრამ ვერ გავიმეტე. დღესაც ვფიქრობ — გავყიდო თუ არა *(თეთრი, გამჭვირვალე ქსოვილისგან შეკერილი, ზურგზე ღრმად ამოჭრილი, რომელშიც თვით დიზაინერიც კი შებოჭილად გრძნობდა თავს... — ავტ.)*

— სხვა დიზაინერებისგან განსხვავებით, თქვენი სამოსი არ გამოირჩეოდა მკვეთრი ფერებით...

— საერთოდ, ყოველთვის ვცდილობ, ფერი ფერზე დავსვა, ისე, რომ ერთმანეთი არ „გაჭრას“. თუმცა, ძალიან მიყვარს მკვეთრი ფერებიც. ნათელ ფერებს, მეტი სიხალისე შემოაქვს...

— რა ფერებია წელს მოდაში?

— მოდა ის არის, რაც გიხდება. ამავე დროს ვფიქრობ, რომ წელს უფრო მყვირალა ფერებია აქტუალური — მწვანე, სტაფილოსფერი...

— როგორ საცურაო კოსტიუმებს მივანიჭოთ უპირატესობა?

— მოდაში ე.წ. ტანგაა, რომელსაც საქართველოში ერთეულები იცვამენ.

— თუმცა, ასეთი კოსტიუმი თქვენს ჩვენებაში წამოდგენილი არ იყო.

— არ გამომიტანია, იმიტომ, რომ ყველაფერი გათვლილი მქონდა. ის საცურაო კოსტიუმები, რომლებსაც ვერ გავყიდი, თავად უნდა ჩავიცვა და სიმართლე გითხრათ, ტანგით ვერ ვიბანავებ, რადგან თავისებური, ქართული კომპლექსი მაქვს...

— როგორ შეიძლება დაიმალოს საცურაო კოსტიუმში სხეულის ის ნაწილები, რომლებიც გვაკომპლექსებს?

— გააჩნია, რას ვმალავთ. შარშან მქონდა ასეთი შემთხვევა: ბათუმში მყავს მეზობელი, რომელიც ზღვაზე საბანაოდ

არასდროს მიდიოდა. თურმე, აკომპლექსებდა დამწვრობა, რომელიც კისერზე ჰქონდა. მომივიდა იდეა, შემეკერა ყელიანი საცურაო კოსტიუმი... საქართველოში ძირითადად, საჯდომის პრობლემა აქვთ. სწორედ ასეთი ხალხისთვის შევქმენი საცურაო კოსტიუმი, მაგრამ ჩვენებაზე რატომღაც არ გავიტანე: უკან შორტია, წინ – ტრუსი.

— ქალების უმეტესობას არანაკლებ აწუხებს მუცლის პრობლემა. რას ურჩევდით მათ?

– ამ შემთხვევაში, უნდა ატაროთ მთლიანი საცურაო კოსტიუმი, რომლის ქსოვილიც მჭიდროდ მიგეკრობათ ტანზე. გაითვალისწინეთ, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს შავი, რადგან შავი ფერი, მართალია, ახდუნებს, მაგრამ სამაგიეროდ, ყველა ნაკლს აჩენს. ჭრელზე კი ეს ნაკლი იმდენად არ ჩანს – ამ დროს, ყურადღება კოსტიუმის ფერადოვნებაზე გადადის...

— თქვენს ჩვენებაზე თვალში საცემი იყო ერთი უცნაური ფაქტი — მოდელებს საცურაო კოსტიუმების ჩვენებების დროს, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვათ...

– ეს იმიტომ, რომ ფეხსაცმლის დიზაინი არ მეხერხება. ძალიან მინდოდა, რომ მოდელები, არა მარტო საცურაო კოსტიუმების, არამედ საზაფხულო კოსტიუმების ჩვენებების დროსაც, ფეხშიშველები გამოსულიყვნენ, მაგრამ უარი მითხრეს: ეს არ შეიძლება, რადგან შენი შემოქმედება (მოდელის ტანზე) ეფექტს დაკარგავსო. საერთოდ, მაღალი ქუსლი, ქალის ტანს უფრო ხვეწს, გამოკვეთს... სხვათა შორის, არც ერთ სამოსს ეფექტი არ დაუკარგავს სააგენტო „ლეონის“ მოდელის, ირინა შეყრილაძის ტანზე, რომელიც ჩემი კოლექციის სახედ იქცა.

— და კიდევ: არც ერთ მოდელს, საყურეების გარდა, არანაირი აქსესუარი არ ამშვენებდა...

– აქსესუარების გაკეთება მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი. სხვადასხვა მაღაზიაში ნაყიდი სამკაულების წარმოდგენა კი, არ მინდოდა და გოგონებს ვთხოვე – რაც ეკეთათ, ყველაფერი მოეხსნათ. შეიძლებოდა, რომელიმე დიზაინერის აქსესუარები გამომეტანა, მაგრამ ასეთს არავის ვიცნობ.

— წელს ქამარი აქტუალური არ არის?

– რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ჩემი საზაფხულო კაბები იმდენად თამამი იყო, რომ დამატებითი დეტალი სიშიშვლეს უფრო გამოკვეთდა. თანაც, მგონი, არც მოუხდებოდა. სხვათა შორის, არასდროს მიცდია ქამრის შეკერვა. ალბათ, ეს არც გამომივა.

— მენეჯერი არ გყავთ?

– ჯერჯერობით, არა. რომ მოვძებნო, შეიძლება, ვიპოვო კიდეც, მაგრამ ამჟამად, ყველა თავს იკავებს, რადგან დღესდღეობით, ეს მომგებიანი საქმე არ არის. ძირითადად, მამაჩემი მაფინანსებს... სიმართლე გითხრათ, როგორც კი შანსი გამომიჩნდება, მაშინვე მოსკოვში წავალ.

— ეი. ფიქრობთ, რომ მოსკოვში მეტ წარმატებას მიაღწევთ?

– არ ვიცი, მაგრამ საქართველოში მოდის ბიზნესი ფაქტობრივად, არ არსებობს. თანაც ვფიქრობ, ქართველებს ჩაცმის კულტურა არ გვაქვს...

— მაგრამ ხშირად იმასაც გაიგონებ, რომ ქართველები ყველაზე გემოვნებიანი ჩამცმელები არიან...

– ეს მაშინ ჩანს, როცა ქუჩაში გავდივართ, მაგრამ რა კულტურაზეა ლაპარაკი, როცა ადამიანები ოპერაში ჯინსით მიდიან?!.

— კონკურენციაზე რას ფიქრობთ?

– ამ სფეროში ჩვენს ქვეყანაში, კონკურენციაზე ლაპარაკი შეიძლება?.. იქნებ, ასე იმიტომ ვამბობ, რომ ქართველ დიზაინერებს არ ვიცნობ, ისინი



აქსესუარების გაკეთება მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი...

აქტიურები არ არიან. მიმაჩნია, როცა დიზაინერი გაიგებს, რომ ვიღაც ჩვენებას მართავს (არა აქვს მნიშვნელობა, პოპულარულია ის თუ არა), აუცილებლად უნდა მივიდეს... სხვათა შორის, ჩემს ბოლო ჩვენებაზე ავთო ცქვიტინიძე დავპატიჟე, მაგრამ არ მოვიდა და ძალიან გავბრაზდი. ვკითხე – სხვის ჩვენებებზე დადიხართ თუ არა და რით განასხვავებთ დიზაინერებს ერთმანეთისგან, პოპულარობით-მეთქი?.. საქართველოში წამყვან დიზაინერად ითვლება და მისი აზრი მაინტერესებდა. მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, თუნდაც იმიტომ წავიდოდი, რომ ლამის დავუჩოქე, ისე ვთხოვე... მერე მკითხა: როგორ ქმნი სამოსსო? რომ გაიგო – კერვა, ხატვა არ მეხერხება, გაოცდა – ვუნდერკინდი ხარო?! ვუპასუხე – მოსულიყავით და გენახათ-მეთქი...

— თქვენ თვითონ თუ დადიხართ სხვის ჩვენებებზე?

– რასაკვირველია. ბოლოს, გვანცა ჯანაშიას ჩვენებაზე ვიყავი. მისი კოლექცია ძალიან მომეწონა... ამ ბოლო დროს, ავთო ცქვიტინიძის შემოქმედებაც შედარებით დაიხვეწა. სხვათა შორის, ვერ ვხვდები, რატომ ამბობენ, ავანგარდის სტილი საქართველოში ავთო ცქვიტინიძემ დაამკვიდრაო. სინამდვილეში, ჩემი აზრით, ის ირაკლი ნასიძემ დაამკვიდრა, – დიზაინერმა, რომელმაც საფრანგეთშიც კი გაითქვა სახელი.

— როგორც გავიგე, საცურაო კოსტიუმების ჩვენებას ბათუმში აპირებთ.

– კი, ამ კოსტიუმებზე უკვე ვმუშაობ. შემდეგ დავიწყებ საშემოდგომო კოლექციის მომზადებას, სადაც ძირითადად, ნაქსოვი ტანსაცმელი იქნება წარმოდგენილი. ძალიან მინდა, გავაკეთო თეთრი კოსტიუმების კოლექცია. ეს ფერი მიყვარს, მაგრამ ცხოვრებაში პირველად, 18 ივლისს გამართულ ჩვენებაზე მეცვა, მიუხედავად იმისა, რომ განათხოვარი ვარ და თეთრი მანამდეც უნდა მცმოდა...

■

ჯონ ტერი ჩემპიონი, რომელიც ავტორიტეტებსაც ეჯამათება

გასული საფეხბურთო სეზონის მიწურულს, ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ ლონდონის „ჩელსის“ კაპიტანი, ჯონ ტერი ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. ეს ტიტული ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია ინგლისურ ფეხბურთში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მას მცველი იღებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ამპლუის მოთამაშეებს ეს ჯილდო 1978 წლის შემდეგ აღარ მიუღიათ. მაშინ საუკეთესო ფეხბურთელად „ნოტინგემ ფორესტის“ მცველი კენი ბერნსი აღიარეს.

ჯონ ტერი კი „ჩელსის“ პირველი მოთამაშეა, რომელმაც 1993 წლის შემდეგ ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა. 12 წლის წინ, ეს პატივი პოლ მაკგრაიდს ხვდა წილად. და კიდევ, 2001 წლის შემდეგ, როდესაც საუკეთესოდ იმხანად „მანჩესტერელი“, ტედი შერინგემი ცნეს, ტერი ამ წოდების მატარებელ პირველ ინგლისელ ფეხბურთელად იქცა.

ჯონ ტერი 1980 წლის 7 დეკემბერს ლონდონში დაიბადა. 1997 წლის აგვისტოში მან „ჩელსისთან“ სათადარიგო მოთამაშის კონტრაქტი გააფორმა. იმ პერიოდში ტერი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა.

1998 წლის 28 ოქტომბერს, ჯონმა კლუბის ძირითად შემადგენლობაში „სტამფორდ ბრიჯზე“ პირველი მატჩი ჩააატარა („ასტონ ვილასთან“). უკვე 2001 წელს, ტერი წლის ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს „ჩელსიში“.

2002 წლის იანვარში, ტერი და „უიმბლდონის“ მოთამაშე, დეზმონდ ბირნი ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბში პოლიციამ ჩხუბისთვის დააკავა. იმავე წლის აგვისტოში, ჯონს ყველა ბრალდება მოუხსნეს, მაგრამ სწორედ ამ ინციდენტის გამო მან 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღო.

2003 წლის ივნისში, ჯონ ტერის დებიუტი შედგა ინგლისის ეროვნულ ნაკრებში, როდესაც ის სერბეთის გუნდთან შეხვედრისას შეცვლაზე შევიდა მოედანზე. ერთ წელიწადში მარსელ დესაისაგან „ჩელსი“ კაპიტნის სამკლავური მიიღო. 2004 წლის ნოემბერში ტერიმ ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე გააფორმა, გასულ გაზაფხულზე ის ინგლისის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა და ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელადაც ცნეს.

აღსანიშნავია ის, რომ 2004-2005 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშის წოდების მფლობელის გამოსავლენად ჟურნალისტებში გამართულ გამოკითხვაში ტერის, ტიერი ანრი („არსენალი“), ფრენკ ლემპარდი და პეტრ ჩეხი (ორივე „ჩელსიდან“), სტივენ ჯერარდი („ლივერპული“) და „კრისტალ პალასის“ ფორვარდი, ენდრიუ ჯონსონი უწევდნენ კონკურენციას.

სწორედ დაცვაში ჯონის დამაჯერებელი თამაშის წყალობით, „ჩელსიმ“ თავისი დაარსებიდან 100 წლისთავზე და 50-წლიანი პაუზის შემდეგ, ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თანაც, ლონდონელებმა გასულ სეზონში, პრემიერლიგის არსებობის მანძილზე ყველაზე ცოტა გოლი გაუშვეს და კიდევ: პეტრ ჩეხი, ტერის დახმარების გარეშე ნამდვილად ვერ შეძლებდა, რომ 1024 წუთის განმავლობაში ბურთი არ გაეშვა და სეზონში ყველაზე მეტ მატჩში შეენახა „მშრალად“ თავისი კარი. გარდა ამისა, ტერიმ თავის ანგარიშზე 8 გოლიც ჩაიწერა, რაც ალბათ საშუალო დონის ფორვარდისთვისაც არ იქნებოდა ურიგო შედეგი. ამას „ჩელსის“ ქომაგები სულაც არ გაუკვირვებია, რადგან ისინი ჯონს იმ მოთამაშედ იცნობენ, რომლისთვისაც თავისი გუნდის იერიშებში ჩართვა უცხო არ არის.

როგორც ცნობილია, რომან აბრამოვიჩმა „ჩელსის“ შემადგენლობის გასაძლიერებლად 100 მილიონი დოლარი დახარჯა, თუმცა რუს ოლიგარქს ჯონ ტერიში ერთი ცენტიც არ გადაუხდია. 2004-2005 წლების სეზონის ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი ხომ უკვე რვა წლის განმავლობაში იცავს „ჩელსის“ ღირსებას. მიუხედავად ამისა, „ჩელსის“ მფლობელმა მას კვირაში ანაზღაურება 90 ათასი დოლარიდან 155 ათასამდე გაუზარდა.

„ჩელსიში“ თამაშის დაწყებისთანავე ტერიმ ლიდერის ხასიათი გამოავლინა, თუმცა, ის მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელების გარემოცვაში იმყოფებოდა. ჯონმა უმალვე მიიპყრო „არისტოკრატთა“ იმჟამინდელი მთავარი მწვრთნელის,

ჯანლუკა ვიალისა და ვეტერანი მარკ ჰიუიზის ყურადღება, მაგრამ არა მოედანზე თავისი მოქმედებით, არამედ იმით, რომ თავს უფლებას აძლევდა და მათ უყვიროდა! დიახ, ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში ტერი თანაგუნდელებს ლიდერობდა, ხოლო ვარჯიშებზე თვით ვიალისთან კამათსაც არ ერიდებოდა, რომელიც იმ პერიოდში „ჩელსიში“ მოთამაშე-მწვრთნელის სტატუსით იმყოფებოდა. „როდესაც ვხედავდი, რომ ისინი ბოლომდე არ იხარჯებოდნენ, უმალვე შენიშვნას ვაძლევდი, – იხსენებს ტერი ღიმილით. – თავიდანვე ვთვლდი, რომ მოედანზე ყველა თანასწორია და ასაკს მნიშვნელობა არა აქვს“.

პირველი ვარჯიშის შემდეგ, ვიალიმ ჯონს ხელი ჩამოართვა და შეაქო. „ეს სწორედ ის არის, რაც მე მსურს“, – უთქვამს ჯანლუკას ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელისთვის. 1998 წელს იტალიელმა მწვრთნელმა პირველად გაიყვანა მოედანზე ტერი, თუმცა ამ უკანასკნელს ძირითადი შემადგენლობის სტატუსი ფეხბურთის ასევე იტალიელმა სპეციალისტმა, კლაუდიო რანიერიმ მიანიჭა და კაპიტნის სამკლავურიც უბოძა. „როდესაც „ჩელსიში“ დავიწყე მუშობა და ტერის თამაში მეორე გუნდის შემადგენლობაში ვიხილე, საკუთარ თავს ვუთხარი: „ეს ფანტასტიკური მოთამაშეა!“ მისი შესაძლებლობებისა უმალვე ვირწმუნე. თუ გახსოვთ, თავიდანვე ლებეკთან მიმართებაში უპირატესობა მას მივანიჭე“, – დასძენს რანიერი.

როგორც კი ჟოზე მოურინიომ „ჩელსი“ ჩაიბარა, იგი მაშინვე დაინტერესდა იმით, თუ რომელი მოთამაშე სურდათ გუნდის წევრებს თავიანთ კაპიტნად. მათი პასუხი ერთსულოვანი იყო – ჯონ ტერი, რომელიც თავის მოვალეობას იდეალურად ართმევდა თავს. ინგლისში ბევრი ქომაგი დარწმუნებულია, რომ დადგება დრო, როდესაც ეროვნული ნაკრების კაპიტანიც ტერი გახდება. „არ მსურს, სხვა ცენტრალური მცველების მონაცემები უგულებელვყო, მაგრამ ჩემი აზრით, ტერი ევროპაში საუკეთესოა“, – ამბობს ჯონის შესახებ მოურინიო. სხვათა შორის, ამ თემაზე საუბრისას ზედმეტ თავმდაბლობას არც თავად ფეხბურთელი იჩენს: „არ მახსოვს, რომ ოდესმე რომელიმე თავდამსხმელს ჩემი მოტყუება მოეხერხებინოს. პრემიერლიგაში ანრის, შირერისა და ვან ნისტელროის წინააღმდეგ ვასპარეზობ და ჩემი თამაშით ყოველთვის კმაყოფილი ვრჩები. ყოველთვის მიხდება სხვადასხვაგვარი გამოცდის ჩაბარება. შირერთან პაექრობისას ყველაფერი ფიზიკურ მომზადებაზეა დამოკიდებული, ანრის წინააღმდეგ თამაშისას კი, სწრაფი უნდა იყო. ვფიქრობ, რომ ტესტებს ყოველთვის წარმატებულად ვაბარებ“.

აღსანიშნავია ის, რომ ჯონის ძმამ, პოლმაც სცადა საფეხბურთო კარიერის გაკეთება, მაგრამ ის მოკრძალებულ „იოვილ თაუნს“ არ გასცილებია.

არაორდინარული ხასიათი ტერის 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა დარჩენად დაუჯდა. მაშინ მას ღამის კლუბში მოწყობილი მუშტი-კრივისთვის ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მისცეს. ამ ინციდენტამდე ერთი წლით ადრე ტერიმ, ფრენკ ლემპარდმა, ჯოდი მორისმა და ეიდურ გუდიონსენმა ზღვარგადასული ღრეობა გამართეს. რა თქმა უნდა, მათი დროს ტარება შეუმჩნეველი დარჩებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ბიჭებმა აეროპორტ „ჰიტროუს“ ახლოს მდებარე სასტუმროში მოილხინეს 2001 წლის 12 სექტემბერს, ე.ი. ნიუ-იორკის ცათამბჯენებზე ტერაქტის განხორციელებიდან მეორე დღეს. სასტუმროს ბარში მყოფი ამერიკელები კი, გაოგნებულები უყურებდნენ გამომთვრალი ფეხბურთელების ორგიას. ტერი ორი კვირის ხელფასის დაკავებით დაისაჯა. გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობა მას კონტრაქტის გაწყვეტითაც დაემუქრა.

მას შემდეგ, რაც ღამის კლუბში წამოწყებული ჩხუბისათვის 2002 წლის აგვისტოში ტერის ბრალდება მოუხსნეს, მან ცხოვრებისადმი თავისი დამოკიდებულების კარდინალურად შეცვლა გადაწყვიტა: „უკვე ყველაფრისთვის მზად ვიყავი, ციხეში ჩასაჯდომად ვემზადებოდი. ჩანთაში კბილის ჯაგრისი, საპონი, წიგნი და რადიომიმღები ჩავალაგე. ვიცოდი, უდანაშაულო რომ ვიყავი, მაგრამ საკუთარი თავი ასეთ მდგომარეობაში ხომ თავად ჩავაგდე. ხანდახან ასეთი გამოცდილების მიღება აუცილებელია, რათა სერიოზულად დაფიქრდე და ზოგიერთ რამეზე შეხედულება შეიცვალო“.

სვენ გორან ერიქსონისგან ეროვნულ ნაკრებში პირველი მიწვევა ტერიმ 2003 წლის მარტში მიიღო. მაგრამ გუნდში მისი დებიუტი მოგვიანებით შედგა – ივნისში, სერბებთან ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში. ჯონმა საკუთარი პოტენციალი ნაკრებშიც მალევე გამოავლინა. თურქეთის ნაკრებთან სტუმრად გამართულ შეხვედრაში, რომელშიც „ევრო-2004“-ის საგზურის მფლობელი უნდა გამოვლენილიყო, ტერი ინგლისელთა შემადგენლობაში საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ევროპის ჩემპიონატი ტერის უკვე აღარ გაუცდენია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი გუნდში „მანჩესტერის“ ცენტრალური მცველის, რიო ფერდინანდის დისკვალიფიკაციის შედეგად აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ფერდინანდის ნაკრებში დაბრუნების შემდეგაც ერიქსონი ტერის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ მიიჩნევს.

2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ტურნირის ტრიუმფატორები, ფრანკ ლებეფი და მარსელ დესაი „ჩელსის“ საწვრთნელ შეკრებას შეუერთდნენ, ისინი საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მაისურებში გამოწყობილები, სიგარებით ხელში ზლაზვნით შევიდნენ გასახდელში. სწორედ ამ „ნომრის“ გამეორება სურს ჯონ ტერის 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, რომელსაც გერმანია უმასპინძლებს. „ვიმედოვნებ, რომ სიგარების მოწევის დრო და მიზეზი მე, ლემპარდსა და ჯო კოულსაც მოგვეცემა“, – დასძენს „ჩელსის“ კაპიტანი. ■

მოამგაღა
ალექსი რეხვიაშვილმა

როგორ მოვიხელთოთ საყვარელი მამაკაცის გული

„მამაკაცისთვის სიყვარულის გზა კუჭზე გადისო“, ამბობენ ქალები და გარკვეულწილად, მართლებიც არიან, როდესაც მშიერ მამაკაცს რომანტიკულ გრძნობებზე არ ესაუბრებიან. თუმცა, ვინც ასტროლოგიურ შტრიხებს გაითვალისწინებს, ის უფრო ადვილად შეძლებს საყვარელი მამაკაცის გულის დაპყრობას.

ასტროლოგიური რჩევები მანდილოსნებს



ვერძი

თუ თქვენი რჩეული ვერძის ნიშნით გახლავთ დაბადებული, მისგან ნუ ელოდებით ხანგრძლივ თაყვანისცემას და თავბრუდამხვევ ქათინაურებს. თუ გსურთ, რომ მას მოეწონოთ, ნუ დაიწყებთ საკუთარი ინტელექტის გამოვლენას და ნუ აიძულებთ, თქვენს მონოლოგებს მოუსმინოს. გახსოვდეთ, ნებისმიერი თქვენი იდეა მისი კუთვნილებაა. „რაო, შენ მოგივიდა აზრად ზაფხულის შვებულება ზღვაზე ერთობლივად გაგვეტარებინა?! როგორ არ გრცხვენია, ეს ხომ მე მოვიფიქრე?!“.

ნუ შეეპასუხებით, დაუთმეთ პირველობა ყველგან და ყველაფერში და არ წააგებთ. შესაძლოა, მის გვერდით დაიღალოთ, რადგან ის საოცარი სისწრაფით დაქრის, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: ის თქვენი ერთგული იქნება. კიდევ ერთი რჩევა, მისი თანდასწრებით ნუ გაიკეთებთ მაკიაჟს, ნუ გაიხეხავთ კბილებს, ნუ დაენახვებით წელზე თბილი შალით — მას ხომ ჰგონია, რომ გვერდით მეფის ასული ჰყავს. ასე რომ, ნუ დაუშსხვრევთ ზღაპარს, თორემ, გა-გი-ფრი-ნდე-ბათ.

კურო

ნამდვილად გაგიმართლათ, თუ თქვენი გულის სწორი კუროა. ის ძალიან მშვიდი, გაწონასწორებული, რომანტიკული და ამასთან, საოცრად პრაქტიკული პიროვნებაა, ეს კი ბევრ მამაკაცს არ ახასიათებს. არ დაგავიწყდეთ, მას სიყვარულის და მშვენიერების ჰლანეტა — ვენერა მფარველობს, ეს კი მის გულს საოცარი სინაზით ავსებს. მას შეუძლია დაბადების დღეზე საკუთარი დაწერილი ლექსი მოგართვათ და თან აკაპულკოს ან კარლოვი ვარის საგზურიც მოაყოლოს. ჰა, როგორია?! ნამდვილად მშვენიერია. მთავარია, მას კარგად აჭამოთ და ოჯახში სიმყუდროვე შეუქმნათ (რათა მან მუშაობა მოახერხოს). თუ ეს შეძელით, თქვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. შესაძლოა, ახალგაზრდულ ასაკში ცოტა ფინანსურ პრობლემას განიცდიდეს, მაგრამ გარწმუნებთ, ეს მომავალში აუცილებლად გამოსწორდება. კიდევ ერთი შტრიხი — ის საოცრად ჯიუტია, ამიტომ, მასთან დაპირისპირებას არ გირჩევთ, ნურც მისი მშვიდი ხასიათით ისარგებლებთ, თორემ... ის ფაიფურის მაღაზიაში მოხვედრილ მოზვერს დაემსგავსება, რომელიც ყველაფერ შემხვედრს ლეწს.

მარჩბივი

არც ვიცი, მოგილოცოთ თუ გაგაფრთხილოთ. თუ თქვენ რომანტიკული ბუნების ადამიანი ბრძანდებით და თქვენი ცხოვრების სტილი მშვიდი და გაწონასწორებულია, მაშინ, გირჩევთ, სხვა მამაკაცი მოძებნოთ. მარჩბივი ცოტა დაბნეულია, ამასთან გაორებულიც. ალბათ, გახსოვთ ანეკდოტი, მამაკაცი საშინაო ფლოსტებით და პიჟამათი ქუჩაში პურზე რომ ჩავიდა და... სამი დღეს შემდეგ, ნასვამმა რომ დარეკა, მე მეგობართან ვარ და პურზე თქვენ წადითო. ასეთი სიტუაცია მარჩბივის ცხოვრებაში ყოველდღიურად თუ არა, ყოველკვირეულად მაინც ხდება. აი, თუ კროსვორდს ვერ ავსებთ და გაგიჭირდათ, მაშინ მას მოუხმეთ და ყველაფერი რიგზე იქნება. საერთოდ, თუ მასთან ცხოვრებას გადაწყვიტეთ, მაშინ, გრძნობებში თავდავიწყებით ნუ გადაეშვებით, ცხოვრებას ცოტა ზედაპირულად შეხედეთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

კირჩხიბი

სასურველია, იცოდეთ — კირჩხიბი მამაკაცთა იმ კატეგორიას არ განეკუთვნება, რომელიც მზად არის, პირველსავე შემხვედრს გული გადაუშალოს. შესაძლოა, თავიდან ის ქარაფშუტა და არასაიმედო ადამიანად მოგეჩვენოთ. ცოტა ბუზღუნაც არის, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, მას მთვარე მართავს — გამოუცნობი და იდუმალი მნათობი. მისი ინტუიცია ბევრი ხიფათისაგან გიხსნით, მისი ყაირათიანობა პირდაპირ გაგაკვირვებთ (თანაცხოვრებიდან ოცი წლის შემდეგ შესაძლოა, აღმოაჩინოთ, რომ მან საკუთარი დანაზოგიდან რამდენიმე ათასის გადანახვა მოახერხა, როგორ? ეს მისი საიდუმლოა). როგორც მამა, ის უნაკლოა, მისნაირი სიყვარულით და ერთგულებით ბევრი დედაც კი ვერ დაიტრაბახებს. ვფიქრობ, ეს ცოტა სულაც არ არის. კიდევ ერთი შტრიხი — მოსალოდნელია, ყველაზე რომანტიკულ წუთებში უბრალო ხალხური ლექსის ნაწყვეტი წაგიკითხოთ. ნუ გეწყინებათ, ამას მისი არტისტული ბუნება განაპირობებს.

ლომი

ნუ ეცდებით მის დამორჩილებას, პირიქით, იტყვის მარჯვნივ, წადით მარჯვნივ, იტყვის მარცხნივ — დაე, მარცხნივ იყოს. ის ხომ მეფეა და მეფეებს სიტყვას არ უბრუნებენ. ეს ნახევრად ხუმრობით, თუმცა, ამაშიც არის სიმართლე. მიეცით საშუალება, თქვენ წინ თავი მოიწონოს. ხომ გახსოვთ, ნამდვილი ხვადი-ლომი როგორ გორაობს საკუთარი ძუს წინაშე და თავს იწონებს. საერთოდ, ლომი-მამაკაცის გულის მონადირება საოცრად ადვილია და თუ მასთან რომანის გაბმას მოიწადინებთ, ამას ნახევარ საათში მოახერხებთ. ის იმთავითვე რომანისთვის არის განწყობილი და გარწმუნებთ. გულგრილი სულაც არ დარჩება სანთლების შუქზე სასიყვარულო ჩურჩულის მიმართ. ასე რომ, ძალზე იოლია ცხოველთა მრისხანე მეფე კატის კნუტად გადააქციოთ — მისით აღტაცება, ოაყვანისცემა, პირფერობა და ის ბადეშია გაბმული. თუ ყველაფერს მას დაეკითხებით, მაგალითად, რა ჩაიცვათ, როგორი ვარცხნილობა გაიკეთოთ, ვისთან იმეგობროთ და ა.შ. ეს ხომ მთლად კარგი (თუ მერწყული ან მშვილდოსანი ხართ, ეს ცოტა გაგიჭირდებათ).

ძალწული

თუ ქალწული-მამაკაცი გაიცანით, მაშინვე ტელეფონს ნუ დაეძგერებით და მეგობარს ნუ მიაყრით: „გოგო, რა კარგი ვინმე გავიცანი, რა ზრდილობიანი, რა ელეგანტური, რა მდიდარი, რა...“ აბა, დაშვიდდით და კარგად მომისმინეთ: თუ თქვენი

რჩეული გაუნათლებელი ადამიანია, მაშინ – თქვენი აღტაცება რამდენიმე საათს ან ერთ დღეს გასტანს, თუ განვითარებული და რაფინირებული ახალგაზრდაა, მაშინ – რამდენიმე დღეს. არავითარი რომანტიკულობა და ვნება, არ შეცდეთ და არ იფიქროთ, მას მხურვალე კოცნით აღაგზნებთ ან მდგომარეობიდან გამოიყვანთ. ის მშვიდად მოგიცილებთ და ცივად იტყვის: „სირცხვილია, ხალხი გვიყურებს". არადა, ამ დროს გარშემო არავინ არის. თუ ვახშამზე დაგპატიჟათ, ნუ გეგონებათ, იქ წელში გაზნექილი სუფრა დაგხვდებათ გაშლილი. მანამდე არაფერი გეტკინოთ, რამდენიმე კარტოფილი, ერთი მუჭა ბრინჯი და წყალწყალა სუპი – აი, მისი მენიუ. რაც მთავარია, ის სიყვარულში ხარისხს დაეძებს და არა რაოდენობას.

სასწორი

არ დაგავიწყდეთ, ალენ დელონი და მარჩელო მასტროიანი ამ ნიშნით არიან დაბადებულები. ალბათ მიხვდით, რომ თუ სასწორს შეხვდით, პირველსავე წუთებიდან მოჯადოებული ხართ. ერთი შეხედვით, სასწორი-მამაკაცი ნამდვილ დენდს მოგვაგონებს, ის საოცრად რაციონალურია (თვით სიყვარულშიც), ამან კი შესაძლოა, მდგომარეობიდან გამოგიყვანოთ. კიდევ რაც თქვენს გაღიზიანებას გამოიწვევს, არის ის, რომ მისგან უამრავ უფასო რჩევას მოისმენთ და თავს შეურაცხყოფილადაც კი იგრძნობთ. მას ნუ დაეყრდნობით, რადგან მერყევი და გაუწონასწორებელია. არ არის გამორიცხული, მომენტალურად გაცივდეს თქვენ მიმართ და სულ სხვა ქალს გაეკიდოს (გაიხსენეთ, ალენ დელონისა და რომი შნაიდერის სიყვარულის ტრაგიკული ამბავი). თუმცა, თუ მასთან დაქორწინებას გადაწყვიტეთ, გახსოვდეთ, რომ თავი ძალაუფლების მქონე და მტკიცე ქალად უნდა მოაჩვენოთ, ეს ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ მასთან ურთიერთობისას. რატომ? უბრალოდ, მას თავისი მერყევი ხასიათიდან გამომდინარე, მტკიცე ხასიათის მანდილოსნები მოსწონს.

ღრიანკალი

მაშ, ასე, თუ სუსტი პიროვნება ხართ, არ გიყვართ მძაფრი ემოციები და იდუმალი სიტუაციები, მაშინ ღრიანკალ-მამაკაცს ახლოსაც არ გაეკაროთ. ნუ გარისკავთ და ნუ იტყვით: „მერე რა, მისგან თავის დაღწევას ყოველთვის შევძლებ". არც კი გაიფიქროთ. ალბათ გახსოვთ, ნამდვილი ღრიანკალი როგორ ნადირობს?! ის გარეთ ღამით გამოდის და მსხვერპლს შზამიანი ნესტარით ადამბლავებს. თქვენ კი გაიძახით, თავს ვუშველიო. მაგრამ თუ ძლიერი პიროვნება ხართ, მაშინ გარისკეთ და... არც ინანებთ. მისი დახასიათება ერთი სიტყვით შეიძლება – უძლეველი (გაიხსენეთ ფილმი – „მეფე-მორიელი"). ის საოცრად მგრძნობიარე არსებაა, თუ გარეგნულად არ ეტყობა და ფოლადივით ცივია, შინაგანად ერთიანად თრთის. მან არ იცის, რას ნიშნავს დამარცხება. გაჭირვების ჟამს, როდესაც სხვა მამაკაცები წუწუნს იწყებენ, ის ბრძოლაში უშიშრად ერთვება და იმარჯვებს. მეგობრებიც და მტრებიც ბლომად ჰყავს, თუმცა, მას ყველა აფასებს. კიდევ ერთი რჩევა: მასზე ნუ იეჭვიანებთ.

მშვილდოსანი

თუ თქვენ მეტყვით, რომ თქვენი რჩეული მშვილდოსანია, უბრალოდ გამეღიმება. აბა, დაფიქრდით, თქვენ უფრო მეტ დროს გითმობთ თუ საკუთარ საქმეებს? თქვენთან უფრო ბევრ დროს ატარებს თუ უფრო მეტს მოგზაურობს? თუ გაბრაზდებით და იტყვით: „ყველაფერს პირში მივახლი და დავშორდები", გარწმუნებთ, მაინც არაფერი გამოგივათ, რადგან როდესაც პაემანზე მიხვალთ, არ დაგხვდებათ. ნუ იეჭვიანებთ, უბრალოდ, ალბათ გზაში ალპინისტები შეხვდნენ და მათ მწვერვალის დასაპყრობად გაჰყვა, იქიდან კი შესაძლოა, ჰავაის კუნძულებზე გაემგზავროს, ადგილობრივი აბორიგენების რიტუალზე დასასწრებად, იქიდან რიო-დე-ჟანეიროში, სამბას ფესტივალზე და ა.შ. როდის მოიხელთებთ, რომ პრეტენზიები წაუყენოთ? სამწუხაროდ, ვერასოდეს. ერთ რჩევას კი მოგცემთ: იყიდეთ ჯინსის შარვალი, სპორტული ფეხსაცმელი და თან გაჰყევით. თუ მასთან ერთად ცხოვრება გსურთ, არავითარი კლასიკური ჩაცმულობა და სახლში ჯდომა (მით უმეტეს, ხომ შეიძლება სადღაც გადაკარგულში თავისი ჭკუის ქალიც მოძებნოს).

თხის რქა

თხის რქა-მამაკაცი (ისევე როგორც კირჩხიბი) საკმაოდ გულჩახვეულია, ამასთან – საოცრად მდგრადი, მომთმენი, ორგანიზებული და შრომისმოყვარე. „წესრიგი ყველგან და ყველაფერში" – აი, მისი დევიზი. სხვათა შორის, ეს თქვენც გამოგადგებათ. ჩაცმულობაში კლასიკური შტრიხები შეიტანეთ, პაემანზე ჯინსით, ბოტასით და კისერზე უზარმაზარი ჯაჭვით ნუ გამოეცხადებით, ეს მაინცდამაინც სასურველ შედეგს არ მოგიტანთ. საერთოდ, თხის რქა-მამაკაცს ძალიან უნდა, რომ ხალხმა მისი ღირსებები და დამსახურებები დაინახოს, ამიტომ, ყოველთვის აღნიშნეთ მისი მიღწევები და მოპოვებული ჯილდოები. დაეხმარეთ მომავლის დაგეგმარებაში და თუ სერიოზულ ადამიანებსაც გააცნობთ (მაგალითად, ბიზნესმენებს, პოლიტიკოსებს, ბანკირებს), მაშინ მისი გული დაპყრობილი გაქვთ. შესაძლოა, ცოტა ანგარიშიანი და მეტად პრაგმატული მოგეჩვენოთ, მაგრამ რას იზამთ, ის ასეთია. მას რომანტიკასა და სერენადებს ნუ მოსთხოვთ, სამაგიეროდ, მომავალში მოსალოდნელია, ბანკირის ან ცნობილი ფირმის პრეზიდენტის ცოლობასაც კი გამოჰკრათ ხელი. ალბათ მიხვდით, რომ მას დიდი მომავალი აქვს.

მერწყული

მერწყული-მამაკაცი როგორც ცხოვრებაში, სიყვარულშიც ორიგინალურია. ის აბსოლუტურად სხვანაირად ამყღავნებს საკუთარ გრძნობებს. თუ მოგეჩვენათ, რომ აღარ უყვარხართ, ესე იგი, საქმე კარგად არის და მალე შესაძლოა, ხელიც გთხოვოთ. თუ მთელ ყურადღებას თქვენ გითმობთ, მაშინ უფრთხილდით. საქორწინო მოგზაურობა კი შესაძლოა, მდინარის პირას, კარავში გაატაროთ. ისე, თუ ინტელექტუალი არ ხართ და ყველა თემაზე საუბარი არ შეგიძლიათ (ძველი რომის ისტორიიდან დაწყებული, ამოუცნობი მფრინავი ობიექტებითა და გენური ინჟინერიით დამთავრებული), მაშინ მერწყულის მოხიბვლას ვერ შეძლებთ. ასე რომ, თუ მასთან ერთად ცხოვრება გსურთ, სასწრაფოდ წიგნი აიღეთ ხელში. კიდევ ერთი რჩევა, რომელიც ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ – ეს მისი დაინტერესება, უფრო სწორად მისი დაინტრიგებაა. თქვენ მისთვის ამოუხსნელ კროსვორდად უნდა იქცეთ და თუ ამოგხსნათ (ანუ თქვენი ყველა საიდუმლო და ოცნება შეიტყო)... ალბათ, თვითონაც კარგად უწყით, რა ბედი ეწევა ხოლმე ამოხსნილ კროსვორდებს. კარგი იქნება, თუ მიმართვას – „ძვირფასო" – „მეგობარსაც" დაუმატებთ, მეგობრობა ხომ მერწყულისთვის უდიდესი რამ არის.

თევზები

საერთოდ თევზები ორი ტიპის არიან – პირველი, რომელიც ადვილად ხვდება როდის იწყება მიქცევა ან მოქცევა და ამის გამო მუდამ სასურველ ადგილზეა და შესანიშნავად ცხოვრობს და მეორე, რომელსაც ამის უნარი არა აქვს და ფანტაზია და მით უმეტეს, ილუზია არ უნდა აწუხებდეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის ხელოვანია (ხელოვნებაში ფანტაზია საჭიროც კი არის). სუსტი ნებისყოფის გამო შესაძლოა, მას ალკოჰოლისადმი მისწრაფებაც ჰქონდეს, ამიტომ, წინდაწინ კარგად შეისწავლეთ თუ ვისთან ერთად აპირებთ თანაცხოვრებას, რათა მომავალში თავბედი არ იწყევლოთ. თუმცა, მას უბადლო იუმორის გრძნობაც აქვს და ყველაზე მძიმე წუთებში სწორედ ეს ეხმარება. თქვენს რჩეულს კიდევ ერთ რამ ასწავლეთ – ნუ დაიწყებს საკუთარი ქონების განიავებას, ამას ზღვარგადასული თანაგრძნობის გამო აკეთებს და ხშირად ეს სიკეთე ცუდად უბრუნდება. ■

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(28 ივლისი - 3 აგვისტო)

ვერძი – 21/III-20/IV

ეს პერიოდი სასიკეთო იქნება. მოსალოდნელია წინსვლა მათთვის, ვინც საქმიანობს: პოლიტიკაში, კომერციაში, საბანკო-საფინანსო სფეროში. მნიშვნელოვნად გაძლიერდება თქვენი გონებრივი შესაძლებლობები, რაც ცხადია, თქვენს წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და კირჩხიბთან, ნეგატიური – კუროსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები**: 29, 30, 31. **ნეგატიური დღეები**: 1, 2.

კუროო – 21/IV-21/V

გირჩევთ, მეტი თავშეკავება და წინდახედულება გამოიჩინოთ, რადგან ამ პერიოდში გაზრდილია შეცდომების დაშვების რისკი. ნუ აჰყვებით ცდუნებებს, ნუ დასახავთ ახალ გეგმებს. ჯობს, ძველი პროექტების დასრულებისთვის იზრუნოთ. შეინარჩუნეთ სიმშვიდე. ურთიერთობები პოზიტიურია თხის რქასა და თევზებთან, ნეგატიური – ლომსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები**: 28, 31, 2. **ნეგატიური დღეები**: 1, 3.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

პარასკევ-შაბათს შექმნილი უმნიშვნელო პრობლემები გარკვეულ უსიამოვნებებს მოგიტანთ. თუ გამოიჩენთ დიპლომატიის უნარს, ამას თავს აარიდებთ. ნუ გამოეკიდებით წვრილმანებს. ნათქვამის მიუხედავად, თქვენ წინაშე სასიკეთო პერსპექტივაც გაჩნდება. ეს დაკავშირებული იქნება ხელოვნებასთან და ფინანსებთან. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და ლომთან, ნეგატიური – ღრიანკალსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები**: 31, 1, 2. **ნეგატიური დღეები**: 29, 30.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

მოგეცემათ შანსი, გადაჭრათ ის პრობლემები, რომლებიც დიდი ხანია, მოსვენებას არ გაძლევთ. წელგამართულმა იარეთ და თქვენი ხასიათის საუკეთესო თვისებები – შემოქმედებითი მიდგომა და ენერგიულობა გამოიჩინეთ. კვირის ბოლოს შესაძლოა, ძველ მეგობარს შეხვდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თევზებთან, ნეგატიური – ვერძსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები**: 28, 30, 1. **ნეგატიური დღეები**: 2, 3.

ლომი – 23/VII-23/VIII

შესაძლოა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგექმნათ. საერთოდ, ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იქნება თქვენთვის. მოგიწევთ უამრავი სასარგებლო შეხვედრა და შეეცადეთ, მომავალ წარმატებებს ჩაუყაროთ საძირკველი. საქმიანობისას აუცილებლად დაიხმარეთ მეგობრები და ოჯახის წევრები. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მარჩხივთან, ნეგატიური – კუროსა და მერწყულთან, **პოზიტიური დღეები**: 30, 31, 3. **ნეგატიური დღეები**: 28, 1.

ქალწული – 24/VIII-23/IX

შესაძლოა, რომ დაღლა და მოუსვენრობა იგრძნოთ. ნუ შეშფოთდებით და ნუ მიეცემით პესიმიზმს. მოდუნდით და შეეცადეთ, ყოველდღიური საქმიანობით შემოფარგლოთ – დაისვენეთ, მიხედეთ ოჯახს, ესტუმრეთ მეგობრებს და საერთოდ, ცოტა ხნით მაინც გაეცალეთ რუტინას. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და თხის რქასთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 1, 2, 3. **ნეგატიური დღეები**: 28, 30.

სასწორი – 24/IX-23/X

შესაძლოა, დაძაბულ და ქაოსურ სიტუაციებში მოხვდეთ, რომლესაც თქვენ მიერ გადადგმული გაუმართლებელი ნაბიჯებიც გაართულებს. გირჩევთ, ნებისმიერი გადაწყვეტილება კარგად აწონ-დაწონოთ. იყავით გულისხმიერი და მეგობრული, გარშემო მყოფების მიმართ. ეცადეთ, ცოტა ხნით მაინც დაისვენოთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხივსა და მერწყულთან, ნეგატიური – ვერძსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები**: 29, 31, 1. **ნეგატიური დღეები**: 2, 3.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

გრძელდება თქვენთვის სასიკეთო პერიოდი. მოსალოდნელია წინსვლა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ეს განსაკუთრებით იმ ადამიანებს შეეხებათ, რომელთა საქმიანობა სწავლასთან, ინფორმაციის დაგროვებასა და მოგზაურობასთანაა დაკავშირებული. ყურადღება გაამახვილეთ საწინააღმდეგო სქესის ადამიანებთან ურთიერთობაზე , ისინი ძალზე საჭირო დახმარებას გაგიწევენ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური – ვერძსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები**: 30, 2, 3. **ნეგატიური დღეები**: 28, 31.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

მოერიდეთ როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ გადატვირთვას. რაც შეეხება საქმიანობას – მისი შედეგები თქვენს აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული. შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ საქმე წინ არ მიდის, მაგრამ ნუ შეშფოთდებით: მალე, თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები დაიწყება. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – მარჩხივსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 28, 29, 1 **ნეგატიური დღეები**: 30, 3.

თხის რქა – 22/XII-20/I

ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები დაასრულოთ. სიახლეები თქვენს ცხოვრებაში კვირის ბოლოს დაიწყება და გირჩევთ, სწორედ ამ პერიოდიდან იაქტიუროთ. შესაძლოა, მოულოდნელად, პერსპექტიული წინადადებებით მოგმართონ. არ მოდუნდეთ და ყურადღების მიღმა არ დაგრჩეთ მოცემული შანსი. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები**: 30, 31, 2. **ნეგატიური დღეები**: 29, 1.

მერწყული – 21/I-19/II

ეს კვირა შემოქმედებითი და ნაყოფიერი იქნება. წინა პლანზე წამოიწევს თქვენი საქმიანობა. ნუ გამოიჩენთ აგრესიულობას სადავო საკითხების განხილვისას. შესაძლოა, მიიღოთ ახალი შემოთავაზებებიც, რასაც თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური – ლომსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 28, 29, 1. **ნეგატიური დღეები**: 31, 2.

თევზები – 20/II-20/III

უნდა შეძლოთ, იმ პროექტების ლოგიკური დასასრულზე იზრუნოთ, რომლებიც ბოლო ერთი თვის მანძილზე გაქვთ დაწყებული, რადგან ახლოვდება ნეგატიური პერიოდი, როდესაც მათი დამთავრება უფრო გაგიჭირდებათ. ნუ იზარმაცებთ და ნუ მოდუნდებით. არ აჰყვეთ ილუზიებს, თითქოს ყველაფერი კარგად მიდის. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თხის რქასთან, ნეგატიური – ქალწულსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები**: 31, 2, 3. **ნეგატიური დღეები**: 28, 30.



53-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.

ანეკდოტები

***

სარეკლამო განცხადება ავტომოყვარულთათვის:

— უახლესი საბურავები.

— მაღალი კლასის სპეციალისტები.

— უმაღლესი ხარისხის ზეთი.

— ...თუ არა და, საფლავის ქვები.

***

საპარსის რეკლამა ქართულ ბაზარზე:

— მიხო ეუბნება ცოლს:

— მარო, თვალები დახუჭე... მაიტა ხელი... გრძნობ?!.

— უი, ქა!.. აბრეშუმი თეთრეულია?!.

— არა, უკეთესი... ესა, ჩემი ბანჯგვლებისგან გაპარსული ზურგია...

***

— რისთვის შექმნა ღმერთმა კარტოფილი?

— იმისთვის, რომ ღარიბ ხალხს ჰქონოდა შესაძლებლობა, რაღაცისთვის მაინც გაეძრო ტყავი.

***

— მიხო მამიი, ბებო ცუდადაა — ძლივსღა სუნთქამს.

— ვაა, ახლა კუბოი ფიცრები ეძებე, რაა!

***

— აბრამ, გძინავს?

— არა, რა არის?.

— 3 ლარი მომეცი, რა!

— დაგენაცვლე, ვერ ხედავ, რომ მძინავს?!.

***

მალხაზი აფრიკიდან დაბრუნდა. დადის მოწყენილი. მეგობარი მიზეზს ეკითხება. ის პასუხობს:

— იცი, იქ, აფრიკაში, ერთი მაიმუნი გადამეკიდა, ლოგინში შემათრია და...

— მერე რა მოხდა, მალხაზ, ძმაო, ეგ ამბავი უკვე წარსულს ჩაჰბარდა. ხომ არავინ იცის და ვერც მაიმუნი მოუყვება ვინმეს.

— საქმეც მაგაშია, რომ ვერავის მოუყვება... ვერაფერს მომწერს... ვერ ჩამოვა... ვერ დამირეკავს...

***

სვანის განცხადება:

— მე ჩემი სიდედრი მთვრალსაც კი არ მიყვარს!

***

ჭიჭიკიას აცვია „ჩიკაგო ბულზის“ მაისური, ზედ მიხატული ხარით. მოდის ბიჭიკია და ეუბნება:

— რა არის, ჭიჭიკია, „გავიადინა“ ხარ?

***

— თქვენი ქალიშვილი თანახმაა, რომ ცოლად გამომყვეს.

— თქვენს თავს დააბრალეთ. რას მოდიოდით ჩვენთან ყოველ საღამოს?!.

***

ერთი მწყემსი ეუბნება მეორეს:

— გუშინ ისე ცუდად ვიყავი, საღამოს ცხვრები თვითონ ითვლიდნენ ერთმანეთს.

***

— გუშინ მოვდივარ და რას ვხედავ — სამნი ერთს არ სცემენ?!

— მერე?

— მაშინათვე ვიფიქრე, მივეშველებიმეთქი.

— ყოჩაღ, გაბედული ყოფილხარ. მერე?

— უნდა გენახა, ჩვენ ოთხმა ის ერთი რა გემრიელად ვჟეჟეთ.

***

— დომინო გაქვთ?

— კი.

— მომყიდით?

— რა თქმა უნდა.

— ერთი დუ შაში და დუ იაქე მომე.

***

— თუ სიგარეტს თავს დაანებებთ, 80 წელი იცოცხლებთ, — ეუბნება ექიმი პაციენტს.

— მე 103 წლის გახლავართ... — პასუხობს პაციენტი.



***

ტიპი რეკავს:

— ალო, გამოსაფხიზლებელია?

— დიახ.

— ქიბროწაშვილი მაიყვანეს?

— არა, ჯერ არ მოუყვანიათ.

— არც მაიყვანენ, სახლში ვსვამ, თქვენი დედაც!..



***

მიხო და მარო ზოოპარკში არიან. მათ გიდი უხსნის:

— ეს ბეჰემოთია. მისი სქესობრივი აქტის ხანგრძლივობაა ერთი საათი.

— ყოჩაღ! — ამბობს მარო და დამცინავად უყურებს მიხოს, რომელსაც დამნაშავესავით თავი აქვს ჩაქინდრული.

— ეს ჟირაფია. მისი სქესობრივი აქტის ხანგრძლივობაა ნახევარი საათი!

— მაინც ყოჩაღ! — ამბობს მარო და ისევ ირონიულად გახედავს მიხოს.

— ეს კი ირემია. მისი სქესობრივი აქტი ერთი წუთი გრძელდება.

— ენდე! — გამარჯვებული სახით შეხედავს მიხო მაროს.

— ენდე და იმიტომაც ადგას მაგოდენა რქები.

***

სვანს სტუმარი მოუვიდა. სახლში კი მისი ძმაა. გავიდნენ აივანზე. სტუმარი ძმას ეკითხება:

— შენი ძმა სად არის?

სვანმა მთა დაანახვა, სადაც კაცები წერტილებივით მოჩანან:

— აგერ იქ თიბავს!

— ვერ ვხედავ, — უთხრა სტუმარმა.

სვანმა გამოიტანა სახლიდან ორლულიანი თოფი, ისროლა და სტუმარს მიუბრუნდა:

— აგერ ისაა, ფერდობზე რომ მოგორავს!..

***

— ექიმო, ერთი ოც წელს კიდევ ვიცოცხლებ? — ეკითხება პაციენტი ექიმს გასინჯვის შემდეგ.

— სვამ?

— არა.

— ეწევი?

— არა.

— ქალებში დადიხარ?

— იშვიათად!

— აბა, რა ჯანდაბად გინდა კიდევ ოცი წელი?..

რამდენად სამართლიანად გაქვთ გადანაწილებული საოჯახო საქმეები?

ქალების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ საზოგადოება უფრო მეტს მოითხოვს მათგან, ვიდრე მამაკაცებისაგან. ზოგიერთი მამაკაცი კი მიიჩნევს, რომ საოჯახო საქმეებზე ზრუნვა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ზოგ-ზოგი კი იმასაც ამტკიცებს, რომ ქალები არ ინტერესდებიან საკუთარი მეუღლეების საქმიანობით და არ ესმით, რატომ ბრუნდებიან ისინი შინ საღამოობით ასეთი დაღლილ-დაქანცულები. უამრავ ოჯახში დავის საგანს წარმოადგენს ის, თუ ვის უფრო მეტი წვლილი მიუძღვის ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვაში.

ყოველ შეკითხვაში, რომელსაც თქვენ გულწრფელად შეგიძლიათ უპასუხოთ „მე“, დაიწერეთ 1 ქულა, დანარჩენ შემთხვევაში — 0 ქულა.

1. როგორ ფიქრობთ, თქვენ უფრო დაძაბული ცხოვრების რიტმი გაქვთ თუ თქვენს მეუღლეს?
2. ვინ უფრო მეტად ზრუნავს შვილებზე?
3. რომელ თქვენგანს უფრო ხშირად მიმართავენ ბავშვები თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად?
4. რომელი თქვენგანი უფრო ხშირად დადის მშობელთა კრებაზე სკოლაში?
5. ამა თუ იმ დღესასწაულის დროს, ვინ ახდენს საბავშვო ზეიმების ორგანიზებას საბავშვო ბაღში, სკოლასა თუ სახლში?
6. რომელი თქვენგანი უფრო ხშირად ინტერესდება ბავშვთა აღზრდის საკითხებზე არსებული ლიტერატურით?
7. რომელი თქვენგანი ბრუნდება სამსახურიდან შინ უფრო გვიან?
8. თქვენს ოჯახში ვის მხრებზე გადადის მძიმე ფიზიკური სამუშაო?
9. რომელი თქვენგანი უფრო მიდრეკილია სტრესის, მელანქოლიისა და აპათიისაკენ?
10. ვის უფრო მძიმე სამუშაო აქვს?
11. რომელი თქვენგანის სამსახური მდებარეობს თქვენი სახლიდან უფრო მოშორებით?
12. ვინ უფრო მეტად ზრუნავს ოჯახზე?
13. რომელი თქვენგანია უფრო ფიცხი?
14. ვინ ასრულებს ისეთ საოჯახო საქმეს, რომლის კეთებაც გულისყურის განსაკუთრებულ დაძაბვას მოითხოვს?
15. რომელი თქვენგანი უფრო მეტს ლაპარაკობს?
16. ვინ უფრო ხშირად დადის მაღაზიაში პროდუქტების შესაძენად?
17. ოჯახში ვინ ქსოვს და კერავს?
18. ვინ რეცხავს?
19. ვინ ალაგებს სახლს?
20. ვინ ასრულებს სახლში წვრილმან სარემონტო სამუშაოებს?
21. ძირითადად, ვინ ინარჩუნებს კონტაქტებს მეზობელ-მეგობრებთან?
22. ვინ ინარჩუნებს ურთიერთობას ნათესავებთან?
23. ვინ სწერს წერილებს ახლობლებს ოჯახის სახელით?
24. ვინ იხდის სინათლის, გაზისა თუ სხვა გადასახადებს, ვინ იწერს (ყიდულობს) პრესას?
25. ვინ აპურებს ძაღლს, კატასა თუ თევზებს?
26. ვინ უვლის აგარაკზე ბოსტანს ან შინ ოთახის ყვავილებს?
27. თუკი შვებულებას არ მივიღებთ მხედველობაში, რომელ თქვენგანს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვს?
28. ვინ უფრო მეტ დროს უთმობს ბავშვების მეცადინეობას?
29. ვინ გეგმავს ოჯახის ბიუჯეტს?
30. ვინ გეგმავს, სად და როგორ უნდა გაატარონ ოჯახის წევრებმა თავისუფალი დრო და ამ საკითხში ვის ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა? ■

ტესტის შედეგები

27 და უფრო მეტი ქულა: თქვენს ოჯახში საქმეების იდეალურ და სამართლიანად გადანაწილებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სასურველი იქნება, თუკი მშვიდ ატმოსფეროში ერთობლივად განიხილავთ ყოველი თქვენგანის მიერ ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვაში შეტანილ წვლილს და ამის შემდეგ, უფრო თანასწორად და სამართლიანად გადაინაწილებთ საზრუნავს.

13-26 ქულა: ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენს ოჯახში განგაშის საფუძველი არ არსებობს. თქვენ ხალისით ეხმარებით ერთმანეთს და ეს საკმაოდ გიმსუბუქებთ ოჯახის მძიმე ჭაპანის გაწევას. გირჩევთ, ამავე სულისკვეთებით გააგრძელოთ ცხოვრება და თქვენს უღრუბლო ცოლქმრულ ცხოვრებას არაფერი დაემუქრება.

12 და უფრო ნაკლები ქულა: შესაძლოა, თქვენ გეჩვენებათ, რომ ოჯახში მოვალეობები თანაბრადაა გადანაწილებული, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ თქვენს მეუღლეს ამ საკითხთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს. ეს კი შესაძლოა, ურთიერთგანაწყენების საბაბად იქცეს. ასე რომ, გირჩევთ, უფრო ობიექტურად შეხედოთ სინამდვილეს და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე მეტად იზრუნოთ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ამრიკელებმა გადწყვიტეს, თავისებურად აღენიშნათ ნაციონალური ფრანგული დღესასწაული – ბასტილიის აღების დღე. ნიუ-იორკში მდებარე ფრანგული რესტორნებისა და კაფეების მფლობელებმა, უარი თქვეს სალუტებსა და ფეიერვერკებზე და ამჯობინეს, თავი საქმეში გამოჩინათ: მათ ორგანიზება გაუკეთეს შეჯიბრს – რომლის წესების მიხედვითაც, ოფიციანტებს, წყლით სავსე ბოკალდადგმული ლანგრებით ხელში, ქუჩები უნდა შემოერბინათ. გამარჯვებული ის იქნებოდა, ვისი ჭიქიდან წვეთი წყალიც კი არ გადმოიღვრებოდა.

მანჰეტენზე მდებარე ფრანგული კვების ობიექტებში მომუშავე ოფიციანტები ლანგრებით „შეიარაღდნენ“ და ქალაქის ქუჩებში მიმოფანტნენ. ეს მარათონი ფრანგული სამზარეულოს – რომელიც უგემრიელესი, დახვეწილი რეცეპტებითა და რესტორნებში უბადლო სერვისითაა განთქმული – ერთგვარ რევერანსს წარმოადგენდა. ღონისძიებას, ფრანგულ კოლორიტს მსახიობები სძენდნენ, რომლებიც მადამ პომპადურს განასახიერებდნენ. – ისინი კეკლუცად ულიმოდნენ გამვლელებს და ღვინოს სთავაზობდნენ.

როგორც ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონე – ფილიპ ლანჟოლი ამბობს, ოფიციანტის შრომა დიდ გამოცდილებას, ნივსა და საქმისადმი ერთგულებას მოითხოვს. ის დარწმუნებულია, რომ ამგვარი მარათონები, მომავალში, თავისუფლად შეიძლება ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ სახეობადაც ჩაითვალოს. თუმცა, ვინაიდან შეჯიბრი პირველად ჩატარდა, ოფიციანტებს ლანგრებზე დასაწყობად, ღვინო და ეგზოტიკური კერძები არ ანდვეს და მხოლოდ წყლით სავსე ბოკალებს დასჯერდნენ.

ყველასდა გასაოცრად, კონკურსში, ამ საქმეში სრულიად ახალბედამ გაიმარჯვა. „ჩემი წარმატების საიდუმლო შემდეგში მდგომარეობს: თავი სწორად უნდა გეჭიროს, ჭიქას ხშირად არ უნდა უყურო, მთელი დატვირთვა ფეხებზე გადაიტანო, ხელი კი რბილად და გრაციოზულად ამოძრაო“, – ამბობს გამარჯვებული. ■

ᲛᲝᲮᲣᲪᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ 300-ᲛᲓᲔ ᲙᲐᲢᲐ ᲨᲔᲘᲤᲐᲠᲐ

მოხუცი ამერიკელი ქალის სახლიდან, პოლიციელებმა დაახლოებით 300 კატა გამოიყვანეს. აქედან ყოველი მესამე მკვდარი იყო. ეს „სპეცოპერაცია“ მათ მას შემდეგ ჩაატარეს, რაც მყრალი სუნით შეწუხებულმა მეზობლებმა დასახმარებლად მიმართეს.

82 წლის კატების მოყვარულის – რუტ ნევენის სახლი, ვირჯინიაში, ისტორიული მაუნტ-ვერნონის მამულთან (რომელიც ადრე ლეგენდარულ ჯორჯ ვაშინგტონს ეკუთვნოდა) ახლოს მდებარეობს. ამ სახლში რუტი ქმართან და ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. ყვავილნარში ჩაფლული სახლი, რომელსაც აკურატულად გაკრეჭილი გაზონები ეკრა გარს, ახლომდებარე სახლებისგან თითქოს არაფრით გამოირჩეოდა და შორიდან საკმაოდ მიმზიდველადაც გამოიყურებოდა. მაგრამ სურათი, რომელიც კედლებს მიღმა იმალებოდა, ყველაზე უწესრიგო ადამიანშიც კი, უდავოდ გულისამრევ რეაქციას გამოიწვევდა. „ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თანაც ისეთი მყრალი სუნი იდგა, ცოტა დამაკლდა, რომ არ წავქცეულიყავი. სახლი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სავსე იყო სხვადასხვა ჯიშის კატითა და მათთვის განკუთვნილი საკვებით. კატები კარადებიდან და კომოდის უჯრებიდანაც კი ხტებოდნენ, კედლებს აწყდებოდნენ, ფეხებში გვედებოდნენ...“ – ასე უზიარებდა „დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს“ ჟურნალისტებს „ოპერაციაში“ მონაწილე პოლიციის თანამშრომელი. მან მოჰყვა, რომ საკონტროლო სამსახურის თანამშრომლებმა სახლიდან 273 კატა გაიყვანეს, მათ შორის 86 უკვე მკვდარი იყო. სამართალდამცველებმა დაუყოვნებლივ შეადგინეს ორდერი სახლის კონფისკაციის თაობაზე – რომლის მიხედვითაც, მის მობინადრეთ დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინათ იქაურობა.

მოგვიანებით მისის ნევენი ყოფილ სახლში დაბრუნდა და შეეცადა, შინ დარჩენილი 30 კატა თან წაეყვანა (რომელიც პოლიციელებმა მაშინ, რატომღაც ვერ იპოვეს), მაგრამ ქალი შინ არ შეუშვეს.

როგორც აღმოჩნდა, მოხუცს შინ უპატრონო კატები მოჰყავდა, რომლებიც შემდეგ იქვე მრავლდებოდნენ. „კატები ავადმყოფები და უჯიშოები იყვნენ. ამიტომ ნაკლებსავარაუდოა, რომ ისინი რომელიმე ოჯახმა შეიფაროს“, – დასძინა პოლიციელმა.

სამწუხაროდ, კატების უმეტესობას, ალბათ დახოცავენ. მოხუც ქალბატონს კი სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა. ■

ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲞᲝᲚᲣᲡᲐᲛᲓᲔ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲗ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ჰოლანდიელ მსახიობს, რომელიც ბოლო დროს, ძალზე შეწუხებულია უპატრონო ბავშვების ბედით, სურვილი გაუჩნდა, მატერიალურად დახმარებოდა მათ. მსახიობმა გადაწყვიტა, საჭირო სახსრების შესაგროვებლად, რაიმე ექსტრაორდინარული გაეკეთებინა. ბევრი ფიქრის შემდეგ, 28 წლის მანონ ოსევოროტმა ევროპის გავლით, სამხრეთ პოლუსამდე ტრაქტორით მოგზაურობა დაისახა მიზნად.

თუმცა ამ უცნაურ წამოწყებას ხორცშესხმა არ ეწერა. მანონ ოსევოროტმა, ავტობანზე, უნიმრო ტრაქტორით, დაახლოებით 19 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას, ბელგიელი პოლიციელების ყურადღება მიიპყრო. მიუხედავად იმისა, რომ ქალმა, სამართალდამცველებს თავისი არაორდინარული მოგზაურობის მიზეზები დეტალურად განუმარტა და არც მისი საბოლოო მიზანი დაუმალავს, კანონმორჩილმა პოლიციელებმა მსახიობს შეღავათი არ გაუწიეს და ტრაქტორი ჩამოართვეს.

ამჟამად, მანონი ელის, რომ მისი სპონსორი – ტრაქტორების მწარმოებელი ფირმა, ყველა იურიდიულ საკითხს გადაწყვეტს და მას მოგზაურობის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემა. ■

ფოტოკუჩიოზები

Ь 123/14

ცოდოებლო გვცხოვრობენ

ზაფხულის სიცხეში

ნიგნები
„კვირის პალიტრის"
საგამომცემლო
სახლისგან

ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის მკითხველისთვის